საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
7 - 13 დეკემბერი, 2011
№44 (135)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

**საგარეო ვალის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე 1129 დოლარს გადააჭარბებს** 16

# განხეთქილების მაესტრო



4

ეროსი კიწმარიშვილი ტელეკომპანია „მაესტროს“ ლოგოზე ისე მოხერხებულად გადაძვრა, თითქოს ადამიანი-ობობა ან, როგორც მინიმუმი, კუ-ნინძა ყოფილიყოს.

„წარმოვიდგინოთ, რომ არჩევნებამდე მცირე დრო დარჩა და სააკაშვილის ჯგუფი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ ივანიშვილი თავის მოკავშირეებთან ერთად მას დიდი უპირატესობით დაამარცხებს. შემდეგ კი უკან გადავახვიოთ ფირი, რომელიც ლოგოზე კიწმარიშვილის ჰეროიკულ გადაძრომას ასახავს და წარმოვიდგინოთ, რომ ლოგოსთან დაუდგენელი ტიპების გარემოცვაში არა კიწმარიშვილი, არამედ ირაკლი ოქრუაშვილი დგას, ხოლო ლოგოს მიღმა არა ტელეკომპანია „მაესტრო“, არამედ რომელიმე სტრატეგიული ობიექტი მდებარეობს; მარტივად რომ ვთქვათ, „მოდელირებული პუტჩი“ წარმოვიდგინოთ.“



3

## «МОШИАШВИЛИ С ВЕЩАМИ!»

თუ რომელიმე დიქტატორი მივა დასკვნამდე, რომ შეუძლია იგივე ტრიუკი გაიმეოროს და ამით სარგებელი ნახოს, ეს ისტორია არაერთგზის გამეორდება, ხოლო თუ სააკაშვილის რეჟიმი სამაგალითოდ დაისჯება, მსგავსი აზრი თავში, ალბათ, არავის მოუვა.



ზაზა ხატიაშვილი:

6

## მიხეილ სააკაშვილი მიცვალებულების პრეზიდენტია

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ევროპელებს სააკაშვილის, მერაბიშვილის, ადეიშვილის, კუბლაშვილისა და კალმახელიძის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებას სთხოვს**

# 120 კომპანია

## რომელსაც საახალწლოდ მერაბიშვილის კანტორიდან მიაკითხავენ

1. „გლობალ-თრეველი“
2. „ელიტ-თრეველი“
3. „N ტური“
4. „არგოტური“
5. „თრეველ სტუდიო“
6. „ვორლდექსპრესთრეველი“
7. „უნივერს-თრეველი“
8. „ბიზნესთრეველი“
9. „თრეველლაინი“
10. „ნიუ-ექსპრესი“
11. „უნითრეველი“
12. „სითი-ტური“
13. „გლობალთრეველი“
14. „მეჯიქტური“
15. „სქაი-ლაინი“
16. „ვანილა-სქაი“
17. „სოფ-თრეველი“
18. „M&T თრეველი“...

სრული სია იხ. გვ. 8

7

## სუბარი მერაბიშვილისა და ვაშაძის გასამართლებას მოითხოვს





2

ნანა დევდარიანი:

დღეს, როცა საქართველოს მმართველი რეჟიმი და მისი ოპოზიციაც ერთნაირად პროდასავლურია, ყველა ერიდება იმის თქმას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენ თანდათან ამერიკული იმპერიალიზმის კოლონიად ჩამოვყალიბდით; კოლონიად, რომელიც სხვის მაგივრად გზავნის ჯარისკაცებს ომში, სხვისი მითითებით აძლევს თანხმობას, სხვისი ნების გარეშე ვერ ცვლის საკუთარ ხელისუფლებას...

# კოლონიალიზმის ვარდისფერი ხიბლი



გუბაზ სანიკიძე:

## ნაგებულ საქმეში მე არ წავალ... 9

«თუკი «ვარდების რევოლუცია» შეიძლებოდა, ახლა რატომ არ შეიძლება რევოლუციის მოწყობა?»

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



კოლონიას არ სჭირდება მეცნიერებათა აკადემია, კონსერვატორია, საგარეო პოლიტიკა, ჯარი – საკუთარი საჭიროებისთვის, უმაღლესი განათლება. ამას ყველაფერს მეტროპოლია გადაწყვეტს. გზები, ფეშენებელური სასტუმროები და, მაგალითად, ოპერის თეატრი ან თუნდაც ჩვენთვის აუხსნელი და ჩვენი გარემოსთვის შეუფერებელი ქანდაკებები ისევ კოლონიზატორებისთვის კეთდება, ხოლო მათი ენის ცოდნა აუცილებელია. აბა, ისინი ხომ არ ისწავლიან აბორიგენების ენას?! როგორია კოლონიაში ცხოვრება?

# კოლონიალიზმის ვარდისფერი ხიბლი



**ოცდახუთიოდე წლის წინ თავისუფლება ჯინსებისა და „მალბოროს“ სინონიმად აღიქმებოდა. აღდგომის ღამეს ჩვენს ტელეეკრანებზე „შესანიშნავი შვიდეული“ გადიოდა, რომ ახალგაზრდები ლიტანიობას არ დასწრებოდნენ. კოვბოებისადმი სიყვარული საცოდავი მექსიკელი გლეხების ბედს ბინდავდა და ჩვენც საკუთარ თავს „კოვბოების ცივილიზაციას“ ვაკუთვნებდით. რა თქმა უნდა, მაშინ იმაზე არ გვიფიქრია, რომ „კოვბოი“ პირდაპირ თარგმანში მწყემსს ნიშნავს, ხოლო მათი განგსტერული ქცევა კეთილშობილების გამოხატულება გვეგონა.**

**დღეს, როცა საქართველოს მმართველი რეჟიმი და მისი ოპოზიციაც ერთნაირად პროდასავლურია, ყველა ერიდება იმის თქმას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენ თანდათან ამერიკული იმპერიალიზმის კოლონიად ჩამოვყალიბდით; კოლონიად, რომელიც სხვის მაგივრად გზავნის ჯარისკაცებს ომში, სხვისი მითითებით აძლევს თანხმობას, მაგალითად, რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებას, სხვისი ნების გარეშე ვერ ცვლის საკუთარ ხელისუფლებას...**

მთელი მსოფლიოს „გადემოკრატებისთვის“ თავგადადებულ ამერიკელებს არც ახლა უყვართ იმის გახსენება, რომ რეზერვაციაში შერეკილი ინდიელების მიწებს ევროპიდან მოსული „კოვბოები“ დაეპატრონენ, ხოლო უკანასკნელი ბელადი სამარცხვინოდ დევნეს და ბოლოს მოკლეს კიდეც. აშშ-ის პირველმა პრეზიდენტმა ჯორჯ ვაშინგტონმა 1779 წელს დამპყრობელი კამპანია წამოიწყო იროკეზთა ცივილიზაციის წინააღმდეგ. თავის წერილში მარი ჟოზეფ ლაფაიეტისადმი იგი წერდა, რომ მისი ამოცანაა, **„გაანადგუროს ეს ხალხი ამერიკული ქვეყნის ტერიტორიაზე და გადაწიოს ამერიკის საზღვარი მისისიპის დასავლეთით“**. იროკეზების ტომთა ბელადებს გამოუცხადეს, რომ მათ განმათავისუფლებლებს კომპენსაცია უნდა გადაუხადონ „წინააღმდეგობის ვერაგულად გაწევის“ გამო.

**ნიუ იორკის მაშინდელმა გუბერნატორმა ჯ.კლინტონმა დამარცხებულ ტომებს აცნობა: „ჩვენი დანაკარგების, აგრეთვე, თქვენი ვალებისა და ჩვენი ადრინდელი მეგობრული ურთიერთობების გათვალისწინებით, თქვენი მხრიდან გონივრული იქნება, თუ მიწებს დაგვითმობთ, რაც ჩვენს დანახარჯებსა და თქვენს ვალებს დაფარავს“. ასე რომ, როცა ამერიკელები გონივრულობისაკენ მოგიწოდებენ, ჰკითხეთ, სად არიან ახლა ამერიკული მიწების პატრონი იროკეზები.**

სხვათა შორის, ჯ. ვაშინგტონს მხოლოდ ამერიკული პატრიოტიზმი როდი ამოძრავებდა; 19 წლის ასაკიდან, როცა მემკვიდრეობით მაუნტვერნონის მამული მიიღო, ოჰაიოს კომპანიის მეწილე გახდა, რომელიც ინდიელებისთვის წართმეული მიწების სპეკულირებით იყო დაკავებული. ამას ამერიკელები არ იხსენებენ, სამაგიეროდ უყვართ იმის გახსენება, როგორ გაათავისუფლა ვაშინგტონმა მონები თავისი ანდერძით (ცხადია, მისი სიკვდილის შემდგომ).

საკუთარი „ღვთივრჩეულობის“ იდეა ამერიკელმა პიონერებმა დროშად აღმართეს ახალი კონტინენტის ათვისებისა და ადგილობრივი მოსახლეობის განადგურებისას. 1845 წელს ჯონ ო'სალივანი თავის ჟურნალში Democratic Review აღფრთოვანებით წერდა: **„გვაქვს უფლება, ბედით წერილი, დავასახლოთ კონტინენტი, რომელიც განგებამ გვაჩუქა წლიდან წლამდე მზარდი მრავალმილიონიანი ერის თავისუფალი განვითარებისთვის. ეს უფლება ისეთივე ბუნებრივია, როგორც ხის უფლება, — დაიკავოს თავისი ფესვებითა და ვარჯით სივრცე ჰაერში და მიწაში... ვინ გაბედავს, შეგვიზღუდოს წინ მოძრაობა? ჩვენთან არს განგება და ვერც ერთი მიწიერი ძალა ხელს ვერ შეგვიშლის. მსოფლიოს სხვა ქვეყნების მიმართ, ვისთვისაც დაფარულია ჭეშმარიტების სინათლე, კურთხეული მისიის შესასრულებლად ამერიკაა რჩეული; მისი მაღალი მაგალითი გაანადგურებს ტირანებსა და მეფეებს, იერარქებს და ოლიგარქებს, მიიტანს მშვიდობისა და კეთილი ნების ხარებას იქ, სადაც უთვალავი ათასი ადამიანი არსებობს ყოფით, რომელიც იმაზე მეტ შურს არ იმსახურებს, ვიდრე ცხოველების ყოფა მინდორში. ვინღა დაეჭვდება იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა იქნება მომავლის უდიდესი ერი?“** — პათოსით საბჭოთა პიონერის ფიცს წააგავს, მაგრამ, თუ ამერიკის თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ 150 წლის განმავლობაში იგი ოდნავაც არ დაშორებია ჯონ ო'სალივანის რიტორიკას.

პრეზიდენტმა ტრუმენმა მეოცე საუკუნის 40-იან წლებში განაცხადა: **„ღმერთმა შეგვქმნა ჩვენ, მოგვიყვანა დღევანდელ ძლიერებამდე დიადი დანიშნულების გამო“**. 1999 წელს სააკაშვილის დღევანდელმა მეგობარმა ჯონ მაკკეინმა ბრძანა: **„აშშ შეუცვლელი ერია, რადგან ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ისტორიის უდიადესი სიკეთის ძალა ვართ... ჩვენ მტკიცედ ვაპირებთ გამოვიყენოთ ჩვენი წამყვანი პოზიციები მსოფლიო საქმეებში კაცობრიობის სასიკეთოდ“**. 2000 წელს მან განმარტა ამ „სასიკეთო“ ჩარევის ხასიათი: **„მე შევაიარაღებ, გავწვრთნი და მოვამარაგებ გარედან და შიგნიდან ძალებს, რომლებიც საბოლოო ჯამში დაამხობენ რეჟიმებს და შექმნიან თავისუფალ და დემოკრატიულად არჩეულ მთავრობებს“**. ამერიკული მმართველი ელიტა კვლავაც განაგრძობს „ხის უფლებით“ ექსპანსიას მთელ მსოფლიოში.

დღეს შეერთებული შტატები „ღვთივრჩეულობის“ ამ თეორიას უკვე არა საკუთარ კონტინენტზე, არამედ მთელ მსოფლიოში იყენებს, როგორც საკუთარი დიადი მისიის არგუმენტს. საფრანგეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი იუბერ ვედრინი ამბობს: **„აშშ კვლავაც მიიჩნევს, რომ იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს მსოფლიოში, რომ მას ცივილიზატორული მისია აკისრია და ყველა დანარჩენს უნდა მიუტანონ დემოკრატიისა და ლიბერალური ეკონომიკის ფასეულობები. ამერიკას სწამს საკუთარი განსაკუთრებული დანიშნულება“**.

ჯონ მაკკეინისა და იუბერ ვედრინის ციტატების შემდეგ ძნელი არ უნდა იყოს მიხვედრა, თუ რომელ კოლონიურ უღელში ამოყო თავი საქართველომ 2003 წლის „ვარდების რევოლუციად“ წოდებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ. სააკაშვილის მეგობარი მაკკეინი სამი წლით ადრე აფრთხილებდა მსოფლიოს, თუ რა მეთოდებით აპირებდა მის „გადემოკრატებას“.

ეროვნული მოძრაობის ზეობისას ხშირი იყო საუბარი იმაზე, რომ რუსეთის იმპერია საქართველოს ძარცვავს. საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსეთის ეკონომიკას ლახვარი „ჩავეცით“ და სამტრედიაში რკინიგზა გადავკეტეთ. ყოველი შეძახილი იმის შესახებ, რომ ეკონომიკური კავშირების ასე ერთბაშად გაწყვეტა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდა საქართველოს, ეხლებოდა იმ ტიპის გამონათქვამებს, როგორიცაა — „დამოუკიდებელი ვიყოთ და ბალახს შევჭამთ“, ან „ჩვენ მარტო ბორჯომი და ჩაი გვარჩენს“ და ა.შ. ბორჯომი იმ მცირე ჯგუფს არჩენს, ვინც პრივატიზაციისას იმარჯვა, ხოლო ჩაი საბოლოოდ გავერანდა, რადგან რუსეთის გარდა იგი არც ერთმა ქვეყანამ არ შეუშვა ბაზარზე. უცხოელმა ინვესტორმა ჩაის ფაბრიკები მხოლოდ იმიტომ შეისყიდა, რომ საბოლოოდ გაეჩერებინა ისინი, რათა მისი საწარმოების კონკურენტი ვინმეს არ აემუშავებინა.

1988 წელს ერთი ანეკდოტური შემთხვევა მოხდა; იმ ისტერიის ფონზე, რომ რუსეთი ყველაფერს ეზიდება საქართველოდან, ერთ-ერთმა ქართველმა კინოდოკუმენტალისტმა გადაწყვიტა, გადაეღო, როგორ მიემართება საქართველოდან დატვირთული შემადგენლობები რკინიგზით. ჩავიდნენ დასავლეთ საქართველოში, ოპერატორმა კამერა დააყენა და გადაღება დაიწყო. ცოტა ხანში მიხვდნენ, რომ რაღაც ისე არ არის: შემოდის დატვირთული ვაგონები და გადის ცარიელი პლატფორმები. საქმე ის არის, რომ კადრის აგებას თავისი კანონი აქვს: რაც მარცხნიდან შემოდის კადრში, ის „შემოსვლად“ აღიქმება, რაც მარჯვნიდან — „გასვლად“. ოპერატორმა შუბლში იტკიცა ხელი: — ვიცი, როგორ უნდა გავაკეთოთო! გადავიდა ლიანდაგის მეორე მხარეს და სურათიც დალაგდა: მარჯვნიდან მარცხნივ სავსე ვაგონები „გადიოდა“, ხოლო მარცხნიდან მარჯვნივ — ცარიელი ვაგონები „შემოდიოდა“!

**სრულიად უმართებულო იყო ეროვნული მოძრაობის წლებში ტერმინ „კოლონიის“ დამკვიდრების მცდელობა, რადგან საბჭოთა კავშირში კოლონიის სტატუსი არც საქართველოს და არც სხვა რესპუბლიკებს არ ჰქონიათ.** შეიძლება ბევრი ნაკლი მოუძებნო იმ იდეოლოგიას, მაგრამ იგი ნამდვილად ერთა და ადამიანთა თანასწორობაზე იდგა. არც ერთი რუსი არც ერთ ქართველზე (და სხვებზე) მეტ უფლებებს არ ფლობდა და არც უკეთესად ცხოვრობდა. გასული საუკუნის 30-იან წლებში კინოფილმ „ცირკში“ ზანგი ბავშვის გამო განვითარებულ დრამას ვუყურებდით და ვერ გაგვეგო, როგორ შეიძლებოდა, კანის ფერის გამო ვინმე ედევნათ, მას შემდეგ კიდევ 30 წელიწადი ამერიკაში თეთრი და ზანგი (ახლა რომ პოლიტკორექტულად „აფროამერიკელებს“ უწოდებენ) ბავშვები სხვადასხვა სკოლაში სწავლობდნენ.

**დღეს, როცა საქართველოს მმართველი რეჟიმი და მისი ოპოზიციაც ერთნაირად პროდასავლურია, ყველა ერიდება იმის თქმას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენ თანდათან ამერიკული იმპერიალიზმის კოლონიად ჩამოვყალიბდით; კოლონიად, რომელიც სხვის მაგივრად გზავნის ჯარისკაცებს ომში, სხვისი მითითებით აძლევს თანხმობას, მაგალითად, რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებას, სხვისი ნების გარეშე ვერ ცვლის საკუთარ ხელისუფლებას...**

ამ სქემას მშვენივრად აღწერს ჯეიმს პეტრასი სტატიაში „XX ს. კულტურ-იმპერიალიზმი“: **„კულტურ-იმპერიალიზმი ყველაზე წარმატებულად თავისი კოლონიზირებული შუამავლების, კულტურ-კოლაბორაციონისტების მეშვეობით მოქმედებს. ტიპური იმპერიული კოლაბორაციონისტები არიან მესამე სამყაროს განათლებული კარიერისტები, რომლებიც პატრონებს ბაძავენ. ისინი დასავლეთს ემონებიან და თავხედურად ექცევიან საკუთარ ხალხს, ეს ავტორიტარული ტიპის ნათელი ნიმუშია. ბანკებისა და ტრანსნაციონალური კომპანიების მხარდაჭერით ისინი უზარმაზარ გავლენას მოიპოვებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე სახელმწიფო და ადგილობრივ დონეებზე. დასავლეთის მიბაძვით, ისინი განუხრელად იცავენ უთანასწორო მონაწილეთა შეჯიბრებითობის პრინციპს, ქვეყნებისა და ხალხების გახსნას უმოწყალო ექსპლოატაციისათვის ვაჭრობის თავისუფლების სახელით. ისინი ალმერთებენ ბაზარს, როგორც აბსოლუტურ მსაჯულს სიკეთისა და ბოროტების საკითხებში... შეუზღუდავი მსოფლიო ბაზარი წარმოუდგენიათ როგორც განვითარების ერთადერთი საშუალება. ირონია იმაშია, რომ არასოდეს დღემდე ბაზარი ასეთი უმოწყალო არ ყოფილა მესამე სამყაროს მიმართ. არასოდეს აშშ, ევროპა და იაპონია არ ყოფილან ასე აგრესიულნი მესამე სამყაროს ექსპლოატაციაში. დაქირავებული ინტელექტუალების კულტურული გაუცხოება მსოფლიო რეალობისგან — დასავლური კულტურ-იმპერიალიზმის ბატონობის თანმხლები პროდუქტია“.**

რა მდგომარეობაშიც დღეს საქართველო აღმოჩნდა, ასი წლის წინ დაწერილი ეს სიტყვებიც მკაფიო წარმოდგენას იძლევა: **„იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმი განვითარების იმ სტადიაზე, როცა ჩამოყალიბდა მონოპოლიებისა და ფინანსური კაპიტალის ბატონობა, ხოლო კაპიტალის გატანამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა, დაიწყო მსოფლიოს დანაწილება საერთაშორისო ტრესტების მიერ და ეს დანაწილება დასრულდა დედამიწის მთელი ტერიტორიის გაყოფით უმსხვილეს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის“.** ახლა ამ ტექსტში „ტრესტების“ ნაცვლად „ტრანსნაციონალური კორპორაციები“ ჩასვით, ხოლო ბოლო ფრაზის ნაცვლად იხმარეთ ტერმინი „ახალი მსოფლიო წესრიგი“ და თავად უპასუხეთ, სწორად არის თუ არა აღწერილი დღევანდელი სურათი. რა გამოგივიდათ?

არადა, ეს სიტყვები ლენინს ეკუთვნის. ვინძლო არ მოგეჩვენოთ, რომ კომუნისტური იდეოლოგიის გავლენის ქვეშ მოექეცით, თანამედროვეობის, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი მკვლევარის, სამუელ ჰანტინგტონის ფრაზას მოვიტან: **„დეკოლონიზაციის შემდგომ... ტრადიციული ტერიტორიული იმპერია შეცვალა ტრანსნაციონალურმა იმპერიალიზმმა“.**

**ასე რომ, იმპერიალიზმი, ლენინის საქმისგან განსხვავებით, „ცოცხლობს და იმარჯვებს“!**

**ნანა დევდარიანი**

**P.S.** კოლონიას არ სჭირდება მეცნიერებათა აკადემია, კონსერვატორია, საგარეო პოლიტიკა, ჯარი – საკუთარი საჭიროებისთვის, უმაღლესი განათლება. ამას ყველაფერს მეტროპოლია გადაწყვეტს. გზები, ფეშენებელური სასტუმროები და, მაგალითად, ოპერის თეატრი, ან თუნდაც ჩვენთვის აუხსნელი და ჩვენი გარემოსთვის შეუფერებელი ქანდაკებები ისევ კოლონიზატორებისთვის კეთდება, ხოლო მათი ენის ცოდნა აუცილებელია. აბა, ისინი ხომ არ ისწავლიან აბორიგენების ენას?! როგორია კოლონიაში ცხოვრება?

ადამიანების თავისუფლებით ვაჭრობის პრეცედენტი სააკაშვილის ხელისუფლებისთვის (და, სამწუხაროდ, მთელი ქვეყნისთვის), სავარაუდოდ, უაღრესად ცუდ შედეგებს მოიტანს და 70 მილიონზე გაცილებით ძვირი დაგვიჯდება... თუმცა ჯანდაბას ინვესტიციები, აქ მთავარი სულ სხვა რამ არის. ებრაელებთან ხანგრძლივი, გულწრფელი მეგობრობა გვაკავშირებს და ძალზე დასანანი იქნება, თუ რომელიმე მათგანი საქართველოს ეჭვის თვალით შეხედავს.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თავისუფლების ფასი, ანუ «Мошиашвили с вещами!»

**„ჯერ არაფერი მითქვამს და, ვიდრე ვიტყოდე, ებრაელები ჩემს წონა ოქროს იშოვიან და სულ მალე გაალებს კარს ზედამხედველი და რუსულად დამიძახებს — „Мошиашвили с вещами!“. ეს რეპლიკა „თეთრი ბაირაღებიდან“ გასულ კვირას, ალბათ, ბევრს გაახსენდა და ფანქრით ხელში დაფიქრდა იმაზე, თუ რამდენს იწონიდა მოშიაშვილი, ისევე, როგორც რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი, რომლებიც (როგორც იქნა!) საპატიმროდან გათავისუფლდნენ და საქართველოდან ისრაელში გაემგზავრნენ.**

2 დეკემბერს სააკაშვილის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ გვამცნო, რომ ადამიანმა, რომელმაც ახლახან საკუთარ მშფოთვარე წარმოსახვაში, არც მეტი არც ნაკლები, ნახევარმილიონიანი ქალაქი ლაზიკა დააარსა, „ისრაელის მთავრობისა და პირადად ისრაელის პრეზიდენტის თხოვნის საფუძველზე ჰუმანური მოსაზრებების, ასევე ფუქსისა და ფრენკელის ასაკისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, მიიღო გადაწყვეტილება მათი შეწყალების შესახებ“. ეს ერთობ მოულოდნელი იყო, რადგან ამ მომენტამდე რეჟიმი ბიზნესმენების შესაძლო გათავისუფლებაზე საუბრისას მეტწილად მრისხანედ ბუტბუტებდა და გოროზად იჭიმებოდა. ჯერ კიდევ 12 მაისს „24 საათი“ „სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით“ წერდა, რომ „სააკაშვილი არ აპირებს, შეიწყალოს ქვეყნისთვის ზიანის მომტანი კორუფციული დანაშაულისთვის გასამართლებულები“; იგივე წყარო იტყობინებოდა, რომ **სააკაშვილი „თავის გადაწყვეტილებებში კატეგორიულია და არ აპირებს პოზიციის შეცვლას, რადგანაც საქმე ეხება მძიმე დანაშაულს“. ამ მოტივის გადამღერებას ხელისუფლება ფუქსისა და ფრენკელის პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში აგრძელებდა, თუმცა 2 დეკემბერს „ნულოვანი ტოლერანტობის“ მთავარი აპოლოგეტის სულის სიღრმეში რატომღაც ჰუმანურობამ იმძლავრა, ხოლო კატეგორიულობამ ადგილი, როგორც ჩანს, სადღაც მისი გარდერობის სიღრმეში, საბრძოლო ჰალსტუხების კოლექციის გვერდით დაიკავა.**

ამ ტრანსფორმაციის სავარაუდო მიზეზზე იმავე დღეს იუსტიციის მინისტრის მოადგილის, თინათინ ბურჯალიანის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ მიანიშნა. **თუ ადრე საქართველოს, ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ფუქსისა და მისი ბერძენი პარტნიორის — კარდასოპულოსის (კომპანია „ტრამექსი“) 110 მილიონი დოლარი მართებდა, ამიერიდან, „ტრამექსთან“ მიღწეული შეთანხმების თანახმად, 70 მილიონით ნაკლების გადახდა მოგვიწევს (ამ ინფორმაციას, ალბათ, შემდგომი, დეტალური დაზუსტება დასჭირდება).** სააკაშვილის ხელისუფლებას არც კი უცდია, ოდნავ მაინც შეენიღბა კავშირი ამ შეთანხმებასა და ბიზნესმენების გათავისუფლებას შორის. 3 დეკემბერს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა შემდეგი ინფორმაცია გაავრცელა: „ოფიციალური კავშირი ებრალი ბიზნესმენების გათავისუფლებასა და საერთაშორისო ადვოკატებთან მიღწეულ შეთანხმებას შორის არ არსებობს, თუმცა სახელისუფლო წრეებში ადასტურებენ, — რომ არა დავის სახელმწიფოსთვის მომგებიანი პირობებით დასრულება, ებრაელი ბიზნესმენები საპატიმროდან დროზე ადრე ვერ გამოვიდოდნენ“. როგორც ჩანს, რეჟიმმა გონიერების უკანასკნელი ნარჩენები დაკარგა და, ფაქტობრივად, აღიარა, რომ ადამინების თავისუფლება ვაჭრობის საგნად იქცა, რაც ტერორისტულ დაჯგუფებებს და უაღრესად ველურ ტომებს ახასიათებთ.

ფუქსი და ფრენკელი (ხელისუფლების ვერსიით) ციხეში იმის გამო იჯდნენ, რომ კუთვნილი თანხის მიღებისთვის ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ქრთამი შესთავაზეს; თავად ბიზნესმენები მიიჩნევენ, რომ მათ პროვოკაცია მოუწყვეს. არც ერთი სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფო ან თუნდაც უსამართლო, მაგრამ ფსიქიკურად ჯანმრთელი დიქტატურა არასოდეს, ირიბადაც კი, არ დააფიქსირებდა კავშირს ფირმა „ტრამექსთან“ მიღწეულ შეთანხმებასა და ბიზნესმენების გათავისუფლებას შორის, რადგან ეს ორი სხვადასხვა საქმეა. მსგავსი ტიპის გარიგებას ადგილი რომც ჰქონოდა, სხვა ქვეყნები, სავარაუდოდ, მის მაქსიმალურ შენიღბვას შეეცდებოდნენ, ესენი კი ავანსცენაზე გამოვარდნენ და ლამის ღიად აღიარეს, რომ ადამიანებით (მათი თავისუფლებით) ვაჭრობა დაიწყეს; მათ, როგორც ჩანს, ჯერ არ ესმით, თუ რა დათესეს და რას მოიმკიან.

მოშიაშვილის აწონვა, უკაცრავად, მოლაპარაკება, თუ რის სანაცვლოდ გაათავისუფლებდნენ ფუქსსა და ფრენკელს, როგორც ჩანს, საკმაო ხანს გაგრძელდა. ჯერ კიდევ მარტში „Businessweek“-ი, წერდა: „ერთ-ერთი დიპლომატი ადასტურებს, რომ ფუქსს ციხიდან გაათავისუფლებენ, თუ იგი 100 მილიონზე უარს იტყვის“. ფრენკელის ადვოკატი, მორდეხაი ცივინი „IzRus-თან საუბარში შემდეგ ეპიზოდს აღწერს: „დაახლოებით ოთხი თვის წინ დაპატიმრებული ბიზნესმენების ერთ-ერთი მეგობრის თვითმფრინავით სასწრაფოდ თბილისში გავემგზავრე. როგორც გვითხრეს, ადგილი აქვს „გარღვევას“ — **მიხეილ სააკაშვილი მზად არის, გარიგება შემოგვთავაზოს. როგორც გაირკვა, მას უნდოდა, რომ ისრაელის მხარეს დასაწყისისთვის 140 მილიონ დოლარად რესპუბლიკის პარლამენტის შენობა ეყიდა. გარიგების თანახმად, 100 მილიონი ეს იყო ფული, რომელიც საქართველოს ფუქსის, ფრენკელისა და მათი კომპანიონების მართებს, ხოლო კიდევ 40 მილიონის გადახდა გახდებოდა საჭირო. შემდეგ ის შენობა გარემონტებას და საქართველოს ხელისუფლებისთვის 30-წლიანი არენდით გადაცემას გვთავაზობდა“. თუ ცივინი სიმართლეს ამბობს, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ოფიციალურად ბანდიტურ სახელმწიფოში ვცხოვრობთ.**



სხვათა შორის, პერიოდს „დაახლოებით ოთხი თვის წინ“ შეიძლება ივლისის ბოლო დეკადაც მივათვალოთ, როდესაც (27-ში) თბილისის სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი განიხილა. ეს იყო საკმაოდ ხელსაყრელი მომენტი ფუქსისა და ფრენკელის გასათავისუფლებლად, თუმცა შესაძლოა იმის გამო, რომ ცივინის მიერ აღწერილი გარიგება არ შედგა, სააპელაციომ განაჩენი ძალაში დატოვა.

მთელი ამ დროის განმავლობაში, ცნობები ფუქსისა და ფრენკელის მდგომარეობის შესახებ სულ უფრო დრამატული ხდებოდა. ოქტომბრის ბოლოს **ისრაელის ერთ-ერთი წამყვანი ჟურნალისტი ბენ კასპიტი წერდა, რომ „ფუქსისა და ფრენკელის დრო იწურება და საუბარი არა მათ გათავისუფლებაზე, არამედ შესაძლო გარდაცვალებაზე მიდის“. იქვე იყო აღწერილი, თუ როგორ ეუბნებიან დიაბეტით დაავადებულ ფუქსს უარს სპეციალურ კვებაზე და ექიმის გამოძახებაზე, ხოლო ღამით ნიღბიანი ზედამხედველები საკანში ზედიზედ რამდენიმეჯერ ჩხრეკას უტარებენ. კასპიტი წერდა, რომ „საქართველოს ხელმძღვანელობა იქცევა როგორც დანაშაულებრივი კლანი, ხოლო ფუქსისა და ფრენკელის საქმე სულ უფრო ემსგავსება მცირებიუჯეტიან ფილმს მაფიაზე“. დღეს ისრაელში მყოფი ზეევ ფრენკელი უყვება პრესას, თუ „როგორ ცდილობდნენ ზედამხედველები მისი სულის გატეხვას“. „ჩვენ არ შეგვეძლო იმის დაჯერება, რომ ასეთი რამ შეიძლება დემოკრატიულ ქვეყანაში მოხდეს. ეს უფრო მოუხდებოდა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ავღანეთი, პაკისტანი ან ირანი, და არა სახელმწიფოს, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანებას მიისწრაფვის“ („მაარივი“).**

**„ედიოტ ახრონოტთან“ საუბარში კი ფრენკელმა აღწერა, თუ როგორ სცადეს მასთან ერთ საკანში მყოფმა პირებმა მისი დახრჩობა, რის შემდეგაც გულის შეტევა დაემართა და კარდიოლოგიური ოპერაცია დასჭირდა.**

ყოველივე ამის შემდეგ ისრაელის მხარემ, შესაძლოა, ჩათვალა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ფსონად ამ თამაშში ორი ასაკოვანი ადამიანის სიცოცხლე აქცია. ფაქტია, ნებისმიერ სახელმწიფოს და ტერორისტულ დაჯგუფებასაც კი შეუძლია (თუ მოინდომებს) ამა თუ იმ პატიმრის (მძევლის) უსაფრთხოება და ჯანმრთელობის დაცვა უზრუნველყოს, თუმცა ინფორმაცია თბილისიდან აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ამით თავს დიდად არ იწუხებს. **გამორიცხული არაა, რომ ისრაელში რაღაც მომენტში ჩათვალეს, რომ ფუქსსა და ფრენკელს, უბრალოდ, ნელ-ნელა კლავდნენ.**

აქ, ალბათ, კიდევ ერთ ისტორიას უნდა შევეხოთ: 5 წლის განმავლობაში ისრაელის ხელისუფლება უშედეგოდ ცდილობდა ერთი ჯარისკაცის — გილად შალითის გათავისუფლებას, რომელიც ტერორისტებმა გაიტაცეს; მთავრობა ბევრს ეცადა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ბოლოს მან ამ პირტიტველა ბიჭის გათავისუფლების სანცვლოდ ციხიდან ასეულობით ტერორისტი გამოუშვა, რომელთაც ისრაელის 599 მოქალაქე ჰყავდათ მოკლული. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მოსახლეობის 69%-მა ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა. ასე ძვირად ფასობს ისრაელში ჯარისკაცის (და ზოგადად, ადამიანის) სიცოცხლე; ეს არ არის თანამედროვე საქართველო, რომლის მოქალაქეები, წელიწადზე მეტია, სომალელი მეკობრეების ტყვეობაში უმძიმეს პირობებში იმყოფებიან და ეს, მათი ნათესავების გარდა, პრაქტიკულად არავის ანაღვლებს.

თუმცა გილად შალითის ისტორიაში ერთი ნიუანსი არის: შიმონ პერესმა ტერორისტების შეწყალების აქტში სტანდარტული ფორმულირება შეცვალა და დაწერა: „არ ვივიწყებ მათ დანაშაულს და არ ვპატიობ მათ“. ნუთუ ვინმე ფიქრობს, რომ მას შემდეგ, რაც გარიგება შედგა და ტერორისტები გარეთ გამოვიდნენ, ისრაელის სახელმწიფომ, მთელი თავისი არმიით და „მოსადით“, მათი სახელები დაივიწყა? გარიგება, რომლის მიზანი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა იყო, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტერორისტი, შანტაჟისტი თუ ვინც იქნება, ხვალ ან ზეგ თავბედს არ დაიწყევლის. თუ რომელიმე სახელმწიფოზე შეიძლება ითქვას, რომ მას კარგი მეხსიერება აქვს, ეს, ალბათ, სწორედ ისრაელია.

საპასუხო ზომების გატარება ისრაელს, სავარაუდოდ, განხილულ შემთხვევაშიც მოუწევს და აქ საქმე მხოლოდ სააკაშვილში როდია. ბიზნესმენები ისრაელიდან, საქართველოს გარდა, ბევრ სხვა არშემდგარ სახელმწიფოშიც მუშაობენ. თუ რომელიმე დიქტატორი მივა დასკვნამდე, რომ შეუძლია იგივე ტრიუკი გაიმეოროს და ამით სარგებელი ნახოს, ეს ისტორია არაერთგზის გამეორდება, ხოლო თუ სააკაშვილის რეჟიმი სამაგალითოდ დაისჯება, მსგავსი აზრი თავში, ალბათ, არავის მოუვა. დღევანდელი გულთბილი საუბრები ტელეფონით (პერესი-სააკაშვილი; ლიბერმანი-ვაშაძე) სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ ისრაელის ხელისუფლება სხვა ტიპის ნაბიჯებს არ გეგმავს.

ჯერჯერობით კი შეგვიძლია დავივიწყოთ ინვესტიციები ისრაელიდან, ისევე, როგორც სერიოზული ინვესტიციები ზოგადად, რადგან საეჭვოა, ასეთ ხელისუფლებასთან ვინმეს საქმის დაჭერა მოუნდეს, თუ სათვალავში კოლუმბიელ ნარკობარონებს და კოკაინით გამოთაყვანებულ მათ შეიხებს არ ჩავაგდებთ. **ჯერ კიდევ მარტში ისრაელის მეწარმეთა ასოციაციის პრეზიდენტმა შრაგა ბრომშმა მრეწველობის მინისტრს, შალომ სიმჰონს მისწერა: „საქართველო მტრული და საშიში ქვეყანა გახდა და ამიტომ ისრაელის მთავრობამ უნდა გააფრთხილოს ჩვენი მეწარმეები, რომ ამ ქვეყანაში ჩასვლისგან და მასში რამენაირი ბიზნესაქტიურობისგან თავი შეიკავონ“.** მსგავსი მოსაზრებები, დიდი ალბათობით, ძალიან ფართოდ გავრცელდება. **ადამიანების თავისუფლებით ვაჭრობის პრეცედენტი სააკაშვილის ხელისუფლებისთვის (და, სამწუხაროდ, მთელი ქვეყნისთვის), სავარაუდოდ, უაღრესად ცუდ შედეგებს მოიტანს და 70 მილიონზე გაცილებით ძვირი დაგვიჯდება.**

**თუმცა ჯანდაბას ინვესტიციები, აქ მთავარი სულ სხვა რამ არის. ებრაელებთან ხანგრძლივი, გულწრფელი მეგობრობა გვაკავშირებს და ძალზე დასანანი იქნება, თუ რომელიმე მათგანი საქართველოს ეჭვის თვალით შეხედავს, აქ ჩამოსვლის და სააკაშვილის ხელისუფლების მიერ დაგებულ ხაფანგში გაბმის შეეშინდება.** იმედია, რეჟიმის ეს გამოხდომა ჩვენ ურთიერთობებზე ნეგატიურ ზეგავლენას ვერ მოახდენს. ალბათ, ისღა დაგვრჩენია, რონი ფუქსსა და ზეევ ფრენკელს გათავისუფლება მივულოცოთ და იგივე ვუსურვოთ სრულიად საქართველოს.

**ბიზნესმენები ისრაელიდან, საქართველოს გარდა, ბევრ სხვა არშემდგარ სახელმწიფოშიც მუშაობენ. თუ რომელიმე დიქტატორი მივა დასკვნამდე, რომ შეუძლია იგივე ტრიუკი გაიმეოროს და ამით სარგებელი ნახოს, ეს ისტორია არაერთგზის გამეორდება, ხოლო თუ სააკაშვილის რეჟიმი სამაგალითოდ დაისჯება, მსგავსი აზრი თავში, ალბათ, არავის მოუვა**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საააკაშვილის ხელისუფლებას, სავარაუდოდ, ხელს აძლევს, რომ „მაესტრომ“ მაუწყებლობა შეწყვიტოს, ან ფსევდოობიექტური, კონტროლირებადი არხი გახდეს, ან ორ (პირობითად, ღლონტისა და კიწმარიშვილის) ნაწილად გაიხლიჩოს. ყველა ამ ვარიანტს ხელისუფლებისთვის თავისი პლუსი და მინუსი აქვს; ამა თუ იმ მიზნის პრიორიტეტულობა, პრინციპში, იმაზე იქნება დამოკიდებული, რა საინფორმაციო სტრატეგიას აირჩევს სააკაშვილი წინასაარჩევნოდ და რა ბერკეტების ამოქმედება შეეძლება ისე, რომ უცხოელი პარტნიორების გამძვინვარება არ გამოიწვიოს.**

**30 ნოემბერს ეროსი კიწმარიშვილი ტელეკომპანია „მაესტროს“ ლობეზე ისე მოხერხებულად გადაძვრა, თითქოს ადამიანი-ობობა ან, როგორც მინიმუმი, კუ-ნინძა ყოფილიყოს. მართალია, გაობობებულ ადამიანთან შედარებით მას ელასტიურობა აკლდა და გამონინძებული კუსავით პლასტიური არ გახლდათ, მაგრამ დაუოკებელი სურვილი, რომელიც წინ უბიძგებდა, ამ ხარვეზების კომპენსირებას ახდენდა. ლობის ამ ეპიკური გადალახვის შემდეგ დაიწყო კრიზისი, რომელიც, ერთი კვირაა, საზოგადოების ყურადღების ცენტრში რჩება.**



# განხეთქილების მაესტრო

### აქა ამბავი ეროსისა

ბოლო 15 წლის განმავლობაში ეროსი კიწმარიშვილმა სხვადასხვა ადამიანისგან უამრავი დახასიათება მიიღო; ბევრი მათგანი ფრიად ნეგატიური იყო, მათ შორის ისეთი, რომელთა ციტირება ქალებისა და ბავშვების თანდასწრებით, უბრალოდ, არ შეიძლება, თუმცა არავის არასოდეს უთქვამს, რომ კიწმარიშვილი სულელია. პირიქით, არაკეთილმოსურნეებიც კი მას მუდამ ახასიათებდნენ როგორც საკმაოდ გამჭრიახ საქმოსანს, რომელსაც არცთუ ურიგო ტაქტიკური ალღო აქვს. ამ გარემოების გათვალისწინებით, შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რომ განხილულ სიტუაციაში კიწმარიშვილი მოუქნელად, თითქმის უგუნურად მოქმედებს. თავი დავანებოთ იმას, რომ მისი მოთხოვნები, იურიდიული თვალსაზრისით, მეტად საეჭვო ჩანს, მთავარი აქ, ალბათ, სულ სხვა რამ არის.

აზრი იმის თაობაზე, რომ კიწმარიშვილის მოქმედება, ხელს აძლევს ხელისუფლებას, ისე ფართოდ გავრცელდა, რომ ფიგურანტს მისი უარყოფა არც უცდია. „Presage.tv“-ს კორესპონდენტის კითხვაზე **„არ ფიქრობთ, რომ, რასაც დღეს აკეთებთ, სწორედ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს?“**, მან უპასუხა: **„აბსოლუტურად გეთანხმებით, ასეა. ზუსტად ესაა ჩემი ნერვიულობისა და გულისტკივილის მიზეზი“**. საერთოდ, როდესაც ომის დროს სტრატეგიული ობიექტის სიახლოვეს დივერსანტებს იჭერენ, თითოეულ მათგანს აქვს თავისი მოტივი, გულისტკივილი და შინაგანი სამყარო, თუმცა ეს არავის აინტერესებს. **საქართველოში, სადაც საზოგადოების დიდი ნაწილი თავს ხელისუფლებასთან ომში ჩაბმულად აღიქვამს, მსგავსი აღიარება საკუთარი თავისთვის საბოლოო განაჩენის გამოტანის ტოლფასია.**

ვიდრე ეროსოლოგიას ჩავუღრმავდებით, ურიგო არ იქნება იმის გარკვევა, თუ რა მიმართულებით ტრიალებს ხსენებული წისქვილი, რომელსაც კიწმარიშვილმა რამდენიმე ცისტერნა მღვრიე წყალი უკვე დაასხა. **სააკაშვილის ხელისუფლებას, სავარაუდოდ, ხელს აძლევს, რომ „მაესტრომ“ მაუწყებლობა შეწყვიტოს, ან ფსევდოობიექტური, კონტროლირებადი არხი გახდეს, ან ორ (პირობითად, ღლონტისა და კიწმარიშვილის) ნაწილად გაიხლიჩოს. ყველა ამ ვარიანტს ხელისუფლებისთვის თავისი პლუსი და მინუსი აქვს; ამა თუ იმ მიზნის პრიორიტეტულობა, პრინციპში, იმაზე იქნება დამოკიდებული, რა საინფორმაციო სტრატეგიას აირჩევს სააკაშვილი წინასაარჩევნოდ და რა ბერკეტების ამოქმედება შეეძლება ისე, რომ უცხოელი პარტნიორების გამძვინვარება არ გამოიწვიოს. დღეს რეჟიმი იძულებულია, ფრთხილად იმოქმედოს და საკუთარი ჩართულობა „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში მაქსიმალურად შენიღბოს.** მარტივად რომ ვთქვათ, დღეს არც 2004 და არც 2007 წელია და ხისტი მოქმედება სააკაშვილს შეიძლება ძვირი დაუჯდეს.

თუ ჩვენ გავიხსენებთ იმ ისტორიებს, რომლებიც კიწმარიშვილს ბოლო დროს თავს გადახდა, ვნახავთ, რომ კომენტატორების მნიშვნელოვანი ნაწილი მის მოქმედებებს ხშირად საბოტაჟის აქტად აღიქვამდა. ასე იყო 26 მაისის წინ, როდესაც „ქართული პარტიის“ ნაბიჯებმა „სახალხო კრებას“ საგრძნობი ზიანი მიაყენა. ასე იყო აშშ-ის საელჩოსთან გამართული აქციის დროს, როდესაც გამოითქვა არაერთი ვარაუდი იმის თაობაზე, რომ კიწმარიშვილი და მისი თანაპარტიელები ხელისუფლების დაკვეთას ასრულებენ და თავისი ქმედებით საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ანტიამერიკული განწყობის მარგინალიზებას ცდილობენ, კერძოდ, მის მიბმას ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფზე, რომლის მიმართ, საზოგადოებაში არაერთგვაროვანი, ხშირ შემთხვევაში, მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ჩამოყალიბდა.

იყო კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდი, როდესაც ეროსი (მაშინ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები დაჟინებით ხმარობდნენ სახელს „ერასტი“) კიწმარიშვილმა აგვისტოს ომის წინარე პერიოდთან დაკავშირებით საპარლამენტო კომისიას ჩვენება მისცა — სააკაშვილი, ერთი შეხედვით, ამხილა და მიწასთან გაასწორა. თუმცა ამ შემთხვევაში ყურადღება, ალბათ, ამ ფაქტის საინფორმაციო და ფსიქოლოგიურ ასპექტს უნდა მივაქციოთ: სააკაშვილის ხელისუფლებისათვის არასასურველი, მამხილებელი ვერსიები ნებისმიერ შემთხვევაში გავრცელდებოდა. ასე რომ, ჯობდა, ისინი ნეგატიური იმიჯის მქონე ფიგურას გაეჟღერებინა, რომლისთვის საზოგადოების დიდ ნაწილს ნდობის თვალით (როგორც მინიმუმი, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ), ალბათ, არასოდეს შეუხედავს. ასეთ სიტუაციაში კი უნდობლობა ინფორმაციის წყაროს მიმართ იწვევს უნდობლობას საკუთრივ ინფორმაციის მიმართ და ერთობ ანეიტრალებს იმ უარყოფით ეფექტს, რომელსაც მისი გავრცელება იწვევს.

მოკლედ, **ეჭვები კიწმარიშვილთან დაკავშირებით ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა, მაშინაც კი, როდესაც რიტორიკის დონეზე ის სააკაშვილს მიწაში დებდა, ასფალტს ასხამდა და ზედ „კატოკით“ დასეირნობდა.** ამას ამძიმებდა ის გარმოება, რომ კიწმარიშვილმა სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში, როგორც 2003-04, ისე 2007-08 წლების მიჯნაზე, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ 12 ოქტომბრის მიმართვაში ბიძინა ივანიშვილმა მოიხსენია კიწმარიშვილი (რამდენიმე სხვა პოლიტიკოსთან ერთად) როგორც ხელისუფლების დაკვეთის შემსრულებელი და მასთან თანამშრომლობის შესაძლებლობა ცალსახად გამორიცხა.



**ეჭვები კიწმარიშვილთან დაკავშირებით ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა, მაშინაც კი, როდესაც რიტორიკის დონეზე ის სააკაშვილს მიწაში დებდა, ასფალტს ასხამდა და ზედ „კატოკით“ დასეირნობდა. ამას ამძიმებდა ის გარმოება, რომ კიწმარიშვილმა სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში, როგორც 2003-04, ისე 2007-08 წლების მიჯნაზე, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ 12 ოქტომბრის მიმართვაში ბიძინა ივანიშვილმა მოიხსენია კიწმარიშვილი (რამდენიმე სხვა პოლიტიკოსთან ერთად) როგორც ხელისუფლების დაკვეთის შემსრულებელი და მასთან თანამშრომლობის შესაძლებლობა ცალსახად გამორიცხა.**

### ოპერაცია „ჰერაკლე“ (მესამე ფაზა)

მსგავსი ეჭვნარევი კომენტარები, რეჟიმთან ფარული თანამშრომლობის თაობაზე, არაერთგზის ირაკლი ოქრუაშვილთან დაკავშირებითაც გაკეთდა. გასულ კვირას **ტელეკომპანია „მაესტრომ“ გაავრცელა ეროსი კიწმარიშვილის სატელეფონო საუბრის ფარული ვიდეოჩანაწერი და გამოთქვა ვარაუდი, რომ კიწმარიშვილის თანამოსაუბრე, რომელსაც ის „მაესტროში“ შექმნილ სიტუაციას აღუწერდა, ოქრუაშვილი გახლდათ.** ერთი შეხედვით, ოქრუშვილი-კიწმარიშვილის მდგომარეობა ბოლო დროს მეტად გართულდა, რადგან „ქართული პარტია“ ლამის მარტივ მამრავლებად დაიშალა, თუმცა ეს, პრინციპში, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათ აღარ შეუძლიათ ხელისუფლების წისქვილზე კიდევ რამდენიმე ტონა წყალი დაასხან.

ამერიკა

## კეინს გული ატკინეს

**2012 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი ჰერმან კეინი მონაწილეობას აღარ მიიღებს. კეინის თქმით, ამ გადაწყვეტილების მიზეზი ის ცილისწამებაა, რაც მას და მის ახლობლებს „დიდ ტკივილს აყენებს“.** კეინს სექსუალურ ძალადობასა და ცოლქმრულ ღალატში ადანაშაულებენ. „მე არ გავჩუმდები და არსად წავალ,“ — განუცხადა კეინმა თავის მხარდამჭერებს ქალაქ ატლანტაში. გასულ კვირას ატლანტის მკვიდრმა, ვინმე ჯინჯერ უაიტმა განაცხადა, რომ ბოლო 13 წლის განმავლობაში მას კეინთან რომანი ჰქონდა. რამდენიმე კვირით ადრე კი ოთხმა ქალმა კეინი სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულა.

## აშშ მოკავშირეებს დაიცავს

**„ირანის მხრიდან საფრთხე კი არ მცირდება, იზრდება და ჩვენ ამ საფრთხის საწინააღმდეგოდ ოთხივე ეტაპს განვახორციელებთ იმის მიუხედავად, მოსწონს თუ არა ეს რუსეთს,“** — განაცხადა აშშ-ის წარმომადგენელმა ნატოში ივო დაადლერმა. მისივე თქმით, „აშშ ევროპაში საკუთარ მოკავშირეებს დაჰპირდა, რომ ირანის მხრიდან სარაკეტო საფრთხისგან დაიცავს და რუსეთის წინააღმდეგობა ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის რუმინეთში, პოლონეთში, თურქეთსა და ესპანეთში განთავსებასთან დაკავშირებით აღნიშნული გეგმების განხორციელებას ვერ შეცვლის“.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ ჩვენ გავიხსენებთ იმ ისტორიებს, რომლებიც კიწმარიშვილს ბოლო დროს თავს გადახდა, ვნახავთ, რომ კომენტატორების მნიშვნელოვანი ნაწილი მის მოქმედებებს ხშირად საბოტაჟის აქტად აღიქვამდა... ასე იყო აშშ-ის საელჩოსთან გამართული აქციის დროს, როდესაც გამოითქვა არაერთი ვარაუდი იმის თაობაზე, რომ კიწმარიშვილი და მისი თანაპარტიელები ხელისუფლების დაკვეთას ასრულებენ და თავისი ქმედებით საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ანტიამერიკული განწყობის მარგინალიზებას ცდილობენ.**

გავიხსენოთ ოქრუშვილის განცხადება, რომელიც მაისში საქართველოში დაანონსებული ჩამოსვლის ნაცვლად გააკეთა: „ხელისუფლების რიტორიკა, რითაც ხალხს აშინებდნენ, თითქოსდა ცხინვალის გავლით რუსული ტანკებით უნდა დავბრუნებულიყავი და პუტჩი მომეწყო, მყისვე აიტაცა ზოგიერთმა ოპოზიციონერმა ლიდერმა, რის გამოც გაერთიანება ჩაიშალა და, იმედი მაქვს, ხალხი შესაბამის დასკვნებს გააკეთებს. მათი სურვილია, ეს საქმე ჩემი ხელით გაკეთდეს და ხელი მე შემაწმინდონ, თანაც თვითონ სუფთა გამოვიდნენ ამ სიტუაციიდან. ამის შემდეგ მე უშუალოდ მივიღებ გადაწყვეტილებებს, სხვების აზრის გათვალისწინების გარეშე, — განაცხადა მაშინ ოქრუაშვილმა და დასძინა, — მე ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან“.

წარმოვიდგინოთ, რომ არჩევნებამდე მცირე დრო დარჩა და სააკაშვილის ჯგუფი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ ივანიშვილი თავის მოკავშირეებთან ერთად მას დიდი უპირატესობით დაამარცხებს. შემდეგ კი უკან გადავახვიოთ ფირი, რომელიც ლობეზე კიწმარიშვილის ჰეროიკულ გადაძრომას ასახავს და წარმოვიდგინოთ, რომ ლობესთან დაუდგენელი ტიპების გარემოცვაში არა კიწმარიშვილი, არამედ ირაკლი ოქრუაშვილი დგას, ხოლო ლობის მიღმა არა ტელეკომპანია „მაესტრო“, არამედ რომელიმე სტრატეგიული ობიექტი მდებარეობს; მარტივად რომ ვთქვათ, „მოდელირებული პუტჩი“ წარმოვიდგინოთ. **მსგავსი რამ რეჟიმს ხელ-ფეხს გაუხსნის საგანგებო მდგომარეობის შემოღებისთვის, ოპოზიციის რეპრესირებისთვის, იმისთვის, რომ პროპაგანდისტული მანქანის გამოყენებით ოქრუაშვილის ნაბიჯები ივანიშვილს დაუკავშიროს და წინასაარჩენო სიტუაციაში გარდატეხის შეტანა სცადოს ან, უკიდურეს შემთხვევაში, არჩევნები საერთოდ გააუქმოს.** ოქრუაშვილის ივანიშვილთან დაკავშირების პირველ მცდელობას ადგილი უკვე ჰქონდა. ეს 12 ოქტომბერს „მაესტროს“ ეთერში (გამოიცანით ვინ?) ეროსი კიწმარიშვილმა გააკეთა, როდესაც განაცხადა, რომ ივანიშვილი ოქრუაშვილთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. ივანიშვილის პრესსამდივნომ ეს, ცხადია, უარყო: „არანაირი მოლაპაკება „ქართული პარტიის“ წარმომადგენლებთან და მით უფრო ორაკლი ოქრუაშვილთან არ მიმდინარეობს და არც იგეგმება“. ამ ეპიზოდისთვის განსაკუთრებული ყურადღება არავის მიუქცევია და კითხვა — „რატომ გააკეთა კიწმარიშვილმა განცხადება, რომელსაც აპრიორი უარყოფდნენ?“, პასუხგაუცემელი დარჩა. ვინ იცის, იქნებ მას შემდეგ, რაც ხელისუფლება ოქრუაშვილის კარტს განხილული ჰიპოთეტური სცენარის ფარგლებში გაათამაშებს, კიწმარიშვილის ეს განცხადება „შეთქმულების“ არსებობის დადასტურებისთვის ერთ-ერთი დამატებითი არგუმენტი გახდება? განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პარალელურად ეთერში კიდევ ერთი განცხადება იტრიალებს, დაახლოებით ასეთი: „მათი სურვილი იყო, ეს საქმე ჩემი ხელით გაკეთებულიყო და ხელი ჩემთვის შეეწმინდათ... და ა.შ.“.

ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ვარაუდებია, თუმცა კიწმარიშვილის ნებისმიერი განცხადება ან ქმედება, რომელიც დღეს შეიძლება უგუნურად მოგვეჩვენოს, ალბათ, უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ კონკრეტული ტაქტიკური კონიუქტურის, არამედ სამომავლო პერსპექტივის გათვალისწინებით. კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ იმ გარემოებას, რომ **კიწმარიშვილი სულელი ნამდვილად არ არის; თუ ის მამუკა ღლონტისთვის ტელეკომპანიის „წართმევას“ დააპირებდა ან თუნდაც მიზნად დაისახავდა თავიდან ისეთი სიტუაციის აცილებას, როდესაც მას ცხვირწინ კარი მიუჯახუნეს, ამას, დიდი ალბათობით, მიაღწევდა. ის, ტაქტიკური უნარ-ჩვევების თვალსაზრისით, ღლონტზე გაცილებით განაფულია და, სხვათა შორის** (ეს განხილულ თემას ნაკლებად ეხება, თუმცა მაინც), **ტელევიზიის მართვის სფეროში გაცილებით მეტი გაეგება.**

შესაძლოა, ამჯერად კიწმარიშვილი სხვა მოწინააღმდეგეს შეეჯახა, რომლის ინტელექტუალური შესაძლებლობები, მნიშვნელოვნად აღემატება მამუკა ღლონტის პოტენციალს ან კიდევ, **მოცემულ მომენტში კიწმარიშვილი არა იმდენად ტელეკომპანიის დაპატრონებისთვის, რამდენადაც კრიზისის გაღვივებისთვის იღვწის, რომელმაც ნაყოფი მოგვიანებით, წინასაარჩევნო პერიოდის გადამწყვეტ მომენტში უნდა გამოიღოს.** თუმცა გამორიცხული არაა, რომ მსგავს რთულ გათვლებს ადგილი არ აქვს და სკანდალი იმიტომ დაიწყო, რომ **კიწმარიშვილი „მაესტროში“ ბანალურად ჯიბეს ისქელებდა**, ისე, როგორც ეს აღწერილია კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებლის — მაკა ასათიანის განცხადებაში, რომელიც 5 დეკემბერს გავრცელდა (კიწმარიშვილი ამას, ცხადია, კატეგორიულად უარყოფს).



> **წარმოვიდგინოთ, რომ არჩევნებამდე მცირე დრო დარჩა და სააკაშვილის ჯგუფი საბოლოოდ დარწმუნდა იმაში, რომ ივანიშვილი თავის მოკავშირეებთან ერთად მას დიდი უპირატესობით დაამარცხებს. შემდეგ კი უკან გადავახვიოთ ფირი, რომელიც ლობეზე კიწმარიშვილის ჰეროიკულ გადაძრომას ასახავს და წარმოვიდგინოთ, რომ ლობესთან დაუდგენელი ტიპების გარემოცვაში არა კიწმარიშვილი, არამედ ირაკლი ოქრუაშვილი დგას, ხოლო ლობის მიღმა არა ტელეკომპანია «მაესტრო», არამედ რომელიმე სტრატეგიული ობიექტი მდებარეობს; მარტივად რომ ვთქვათ, «მოდელირებული პუტჩი» წარმოვიდგინოთ.**

## სუსტი რგოლი

დღეს „მაესტროს“ ჟურნალისტები შესანიშნავად მუშაობენ. ასეთ სტრესულ სიტუაციაში ობიექტურობის შენარჩუნება საკმაოდ რთულია, თუმცა ისინი ამას ნამდვილად ახერხებენ და საუკეთესო პროფესიონალურ თვისებებს ავლენენ. ნებისმიერი საღად მოაზროვნე მოქალაქე დღეს მათ გვერდით დგას და საჭიროების შემთხვევაში მათ უფლებებს დაიცავს. **თუ საზოგადოება „მაესტროს“ დაკარგავს, ქართულ ტელესივრცეში, მართლაც რომ „უფსკრულ-ბნელეთი“ დაისადგურებს.** მაგრამ გამომდინარეობს თუ არა ამ თანადგომიდან ავტომატურად სოლიდარობა მამუკა ღლონტისა და მისი მისწრაფებების მიმართ?

მაგალითად, ნიკარაგუა (ნეტავ რამ გამახსენა? ალბათ, იმ ჰონდურასმა, რომელიც ჩვენ გარშემო სუფევს) ანტიჰიტლერული კოალიციის წევრი იყო და, აქედან გამომდინარე, პროგრესული კაცობრიობის მხარეს იდგა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის მმართველი, მონსტრი სახელად ანასტასიო სომოსა გარსია (უფროსი) კეთილი ნების ადამიანი იყო. ვერაფერს ვიზამთ, ხანდახან ისეც ხდება, რომ „ნათელ მხარეს“ შეიძლება ფრიად ორაზროვანი ფიგურები აღმოჩნდნენ (ბატონ მამუკას ბატონ ანასტასიოს, ცხადია, არ ვადარებ, მითუმეტეს, რომ ამისთვის ბატონი მიხეილი გვყავს).

იანვარში იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ შეიძლება გახდეს „მაესტროს“ დონორი, მამუკა ღლონტმა თქვა: „ყველა იმ ადამიანისგან, ვინც არ არის დამნაშავე, არ ზის ციხეში და უანგაროდ ჩადებს ფულს მედიის განვითარებაში, გინდ პოლიტიკოსი იყოს, გინდ მომღერალი, გინდ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი და გინდ მიხეილ სააკაშვილი, რატომ არ უნდა ავიღო ფული, მითხრას ვინმემ. ფულის სანაცვლოდ არ ვიძლევი არანაირ ვალდებულებას“. ამ ისტორიული პასაჟის შემდეგ ღლონტმა განაცხადა, რომ მართვაში კიწმარიშვილის კომპანიის შემოყვანით მან „მაესტროს“ დახურვის პროცესი შეაჩერა. ბუნებრივია, ღლონტს შეუძლია აწარმოოს ბიზნესი ისე, როგორც მოეხასიათება და აიღოს ფული ვისგანაც უნდა, თუმცა დღევანდელი კრიზისული ვითარება, ალბათ, მსგავსი მიდგომების შედეგიც არის. **შესაძლოა, სწორედ მამუკა ღლონტი და მისი პრინციპები არის ის „სუსტი რგოლი“, რომლის გამოც „მაესტრო“ შეიძლება კვლავ კრიზისულ ვითარებაში აღმოჩნდეს,** ისე, როგორც ეს უკვე მოხდა. **დღეს ტელეკომპანია პოლიტიკური ინტრიგის ეპიცენტრში მოექცა და მამუკა ღლონტს, ალბათ, განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულობა მართებს, რათა ფატალური შეცდომები არ დაუშვას. ამჯერად ეს შეიძლება გაცილებით სერიოზული შედეგებით დასრულდეს, ვიდრე ლობეზე ადამიანიობობას გადაძრომა ან ოფისში კუ-ნინძების შევარდნაა.**



> **კიწმარიშვილი სულელი ნამდვილად არ არის; თუ ის მამუკა ღლონტისთვის ტელეკომპანიის «წართმევას» დააპირებდა ან თუნდაც მიზნად დაისახავდა თავიდან ისეთი სიტუაციის აცილებას, როდესაც მას ცხვირწინ კარი მიუჯახუნეს, ამას, დიდი ალბათობით, მიაღწევდა. ის, ტაქტიკური უნარ-ჩვევების თვალსაზრისით, ღლონტზე გაცილებით განაფულია და, სხვათა შორის, ტელევიზიის მართვის სფეროში გაცილებით მეტი გაეგება.**



ალბათ, კარგი იქნება, თუ ის დაშვებულ შეცდომებს კრიტიკულად გააანალიზებს, მაგრამ, თუ ამას ვერ მოახერხებს, იმის ალბათობა, რომ საზოგადოება „მაესტროს“ დაკარგავს, კვლავინდებურად დიდი დარჩება.

3 დეკემბერს ცნობილი გახდა, რომ მამუკა ღლონტმა „მაესტროს“ მთავარ პროდიუსერობაზე უარი თქვა. „მორჩა — აღარც ეროსი, აღარც მამუკა, „მაესტრო“ თავისუფალია,“ — დასძინა ღლონტმა თავისი ემოციური განცხადების ბოლოს. ძნელი სათქმელია, დამოუკიდებლად მიიღო მან ეს გადაწყვეტილება, თუ ამის გაკეთება სხვა ადამიანმა (ო, ეს იდუმალი ფიგურა!) ურჩია, რომელმაც სიტუაცია ჯეროვნად შეაფასა, თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს, ალბათ, დადებითი ცვლილებაა. ღლონტის, ისევე, როგორც კიწმარიშვილის დისტანცირებამ (ცხადია, რეალურმა და არა მოჩვენებითმა) „მაესტროს“ საქმეებისგან შეიძლება გაცილებით უფრო პოზიტიური შედეგი გამოიღოს, ვიდრე იმ სიტუაციამ, რომელსაც ადგილი დღემდე ჰქონდა.

**დიმიტრი მონიავა**

მოკლედ

## ბრიტანეთის ინსტრუქციები

**დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქვეყნის დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელებს სთხოვს, ევროპის ქვეყნებში მოსალოდნელ არეულებებთან დაკავშირებით სათანადოდ მოემზადონ, რაც ევროზონის შესაძლო კოლაფსს უკავშირდება.** დიდი ბრიტანეთის მთავრობის ერთ-ერთმა მინისტრმა, რომლის ვინაობაც არ სახელდება, პრესას განუცხადა, რომ ქვეყნის ხელისუფლება გეგმებს აწყობს იქიდან გამომდინარე, რომ ევროს კრახი დროის საკითხია. მინისტრის თქმით, ხელისუფლებამ თავის დიპლომატიურ მისიებს სათანადო ინსტრუქციები გაუგზავნა, მასში ნათქვამია, რომ საელჩოები და საკონსულოები უნდა მოემზადონ ექსტრემალური სცენარისთვის, მათ შორის, მასობრივი არეულობებისთვის.

## მორიგი ულტიმატუმი

**არაბეთის სახელმწიფოების ლიგამ თავისი არსებობის მანძილზე სირიას ყველაზე მკაცრი ულტიმატუმი წაუყენა, რათა ქვეყანაში საერთაშორისო დამკვირვებლები დაუშვას.** ყატარში გამართულ შეხვედრაზე ლიგის წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს სირიის წინააღმდეგ სანქციების შემოღება, რაც დამასკოს მიერ მშვიდობიანი საპროტესტო აქციების მონაწილეების მიმართ სისხლიან ანგარიშსწორებას უკავშირდება. ლიგამ გამოაქვეყნა სირიის მაღალი თანამდებობის 19 პირის ვინაობა, რომლებსაც აეკრძალებათ არაბულ სახელმწიფოებში ჩასვლა და მათი აქტივები გაიყინება.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ სააკაშვილი სამოქალაქო საზოგადოების მტრად, პერსონა ნონ გრატად არ გამოცხადდა, არც ევროპა და არც აშშ არ დაუშვებს, რომ მან პრეზიდენტის თანამდებობა დატოვოს. როცა ევროპა იტყვის, რომ ის დიქტატორია, სააკაშვილის გამო ევროპა და ამერიკა ერთმანეთს არ „დაეჯახებიან“, სხვაგვარად საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე საუბარი ზედმეტია: სააკაშვილი ნებისმიერ არჩევნებს გააყალბებს“.**

## ზაზა ხატიაშვილი:

# სააკაშვილი მიცვალებულების პრეზიდენტია



### ზაზა ხატიაშვილი ევროპელებს მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, კონსტანტინე კუბლაშვილისა და ხათუნა კალმახელიძის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებას სთხოვს

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი ცოტა ხნის წინ ბრიუსელიდან დაბრუნდა, სადაც ევროპის ადვოკატთა შეკრებაზე იმყოფებოდა. რა საკითხებს განიხილავდნენ ევროპელი ადვოკატები და როგორ აფასებენ ისინი საქართველოში არსებულ ვითარებას, ვიზიტის მიზნებსა და საქართველოში ადვოკატთა ირგვლივ არსებულ ვითარებაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ზაზა ხატიაშვილი ესაუბრება.**

— ყოველი წლის ნოემბერში ევროპის ადვოკატთა ასოციაციისა და სამართლის საბჭოს პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს ირჩევენ და, ვინაიდან ჩვენ ვსარგებლობთ დამკვირვებლის სტატუსით, მე, როგორც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ვალდებული ვარ, დავესწრო ამ ღონისძიებას. ამას გარდა, პლენარულ სესიამდე ერთი დღით ან რამდენიმე საათით ადრე იმართება ევროპის ადვოკატთა ასოციაციისა და სამართლის საბჭოს კომიტეტის სხდომა. ჩვენ დიდი ბრძოლის შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ ქართველი ადვოკატების დევნის საკითხი ბოლო ხუთ სხდომაზე ნომერ პირველი განსახილველი საკითხი გახდა.

ჩვენ ასევე მივაღწიეთ, რომ, ევროპის ადვოკატთა ასოციაციის გადაწყვეტილებით, საქართველოში 29 სექტემბერს აღმასრულებელი კომიტეტის წევრები ჩამოვიდნენ. ისინი ქართველ ადვოკატებს შეხვდნენ და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში ევროპის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაც ჩაატარეს. ეს იყო უდიდესი მოვლენა. ის ფაქტი, რომ „ევროპის ადვოკატთა ასოციაცია“ ქართველი ადვოკატების დევნით დაინტერესდა, დიდი მიღწევაა.

**— როგორ ფიქრობთ, რა შედეგი მოჰყვება ამ ყველაფერს? ვიცით, რომ ერთი წლის წინ ევროპის ადვოკატთა ასოციაციის (CCBE)ხელმძღვანელმა ხოსე-მარია დავო-ფერნანდესმა პირადად მიხეილ სააკაშვილს გამოუგზავნა შეშფოთების წერილი. ქართველმა უფლებადამცველებმა საქმის კურსში ჩააყენეს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი თომას ჰამერბერგი, ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ქეთრინ ეშტონი, თუმცა, გარდა იმისა, რომ ევროპელი უფლებადამცველები მუდმივად შეშფოთებას გამოთქვამენ, არაფერი იცვლება, ქართველი უფლებადამცველები ადვოკატთა დევნასა და ციხეებში პატიმრების წამების ფაქტებზე მაინც საუბრობენ.**

— შედეგი ძალიან დიდია. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა ევროპაში თავისი მსტოვრები გააგზავნა, ევროპის პარლამენტმა ორი კვირის წინ დაიწყო ქართველ ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნის საკითხის განხილვა, რაც უკვე დიდი მიღწევაა. სწორედ ამის შემდეგ შეიწყალა ნეობოლშევიკმა სააკაშვილმა ადვოკატი მარიანა იველაშვილი, რომელსაც დანაშაული არ უღიარებია. ეს მოხდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციის სამართლის საბჭოს და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დიდი ზეწოლის შედეგად, მაგრამ ზაზა ხატიაშვილი მარტო არ უნდა იყოს ამ ბრძოლაში. როდესაც ქართველმა ადვოკატებმა დავიწყეთ ბრძოლა ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალური დაცვისთვის, სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას“ ეძახდნენ, მე კი ავდექი და ვენაში, მარტში აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას ხოსე მანუელ ბარუზოს სახელზე განცხადება გავუგზავნე და **მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, კონსტანტინე კუბლაშვილისა და ხათუნა კალმახელიძის პერსონა ნონ გრატად ცნობა და ევროკავშირის ტერიტორიაზე არშეშვება მოვითხოვე. ამას ძალიან დიდი ხმაური მოჰყვა. ამის შემდეგ სააკაშვილს ისე შეეშინდა, რომ ბელარუსის პრეზიდენტის, დიქტატორის დაცვა დაიწყო: ეს კაცი რატომ სცანით პერსონა ნონ გრატადო.**

**ნოემბერში, ევროპარლამენტმა უკვე იმსჯელა და სერიოზული დისკუსია მიმდინარეობს აღნიშნული პირების პერსონა ნონ გრატად გამოცხადების თაობაზე.**

**— იმედი გაქვთ, რომ მათ პერსონა ნონ გრატად სცნობენ?**

— რა თქმა უნდა, იმედი მაქვს. ევროპაში მიხეილ სააკაშვილზე, უკვე როგორც დიქტატორზე, ისე საუბრობენ და პერსონა ნონ გრატადაც გამოვაცხადებინებ. სააკაშვილი რომ დიქტატორია, ცოტა ხნის წინ უცხოეთში ხმას ვერავინ იღებდა, ვინაიდან საზღვარგარეთ ხელისუფლების მიერ დაქირავებული რამდენიმე იმიჯკომპანია მუშაობს. ამა წლის ნოემბერში ფრანგულ გაზეთ LexTimes.fr -ში გამოქვეყნდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციისა და სამართლის საბჭოს კომიტეტის წევრის, პარიზელი ადვოკატის, მარკ ჟობერის ინტერვიუ, რომელიც მარიანა იველაშვილის ბედით დაინტერესდა და მის გასათავისუფლებლად ხელმოწერებს აგროვებდა. ინტერვიუში ის ამბობს: „ოფიციალურად საქართველოში სასამართლო დამოუკიდებელია, ოფიციალურად ყველაფერი კარგადაა. რეჟიმს საზღვარგარეთ ღიმილით ხვდებიან. პრეზიდენტი ძალიან ფოტოგენურია. როცა ევროპაში მოგზაურობს, პრეზენტაციას მშვენივრად აკეთებს, მაგრამ მასთან ქვეყანაში დიქტატურა სუფევს. როგორც კი საპირისპირო აზრის მქონე გამოჩნდება, ხშირ შემთხვევაში ის ციხეში ამოყოფს თავს“. როცა პრესკონფერენცია ჩავატარე და ეს ამბავი გავახმაურე, მოვიდნენ ტელევიზიები, მაგრამ, „მაეტროსა“ და „კავკასიის“ გარდა, არც ერთმა ტელევიზიამ არ გააშუქა ეს საკითხი.

**სახალხო დამცველიც აცხადებდა, რომ არჩევნები გაყალბდა. უბანში 500 კაცი რომ ცხოვრობდა, სააკაშვილი 1500 ხმას იღებდა. ვსვამ კითხვას: რომელიმე ოპოზიციონერმა შეიტანა საჩივარი მისი პერსონა ნონ გრატად ცნობის თაობაზე? ლუკაშენკოს ბრალი სწორედ არჩევნების გაყალბების გამო წაუყენეს და პერსონა ნონ გრატადაც სცნეს.**

**— რატომ არ შეიტანეს სარჩელი, როგორ ფიქრობთ?**

— არ ვიცი, საზოგადოებაში საჯაროდ ვსვამ კითხვას: თუ ოპოზიციას რეალურად სურს სააკაშვილის მოშორება, რატომ არაფერს აკეთებენ? რასაც მე მწირი ფინანსური შესაძლებლობებით მივაღწიე, იმხელა შესაძლებლობები ჰქონდა ზოგიერთ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიას და შეეძლო სააკაშვილის მიწაზე დანარცხება, ეს რატომ არ გააკეთეს? **თუ ის სამოქალაქო საზოგადოების მტრად, პერსონა ნონ გრატად არ გამოცხადდა, არც ევროპა და არც აშშ არ დაუშვებს, რომ სააკაშვილმა პრეზიდენტის თანამდებობა დატოვოს. როცა ევროპა იტყვის, რომ ის დიქტატორია, სააკაშვილის გამო ევროპა და ამერიკა ერთმანეთს არ „დაეჯახებიან“, სხვაგვარად საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე საუბარი ზედმეტია: სააკაშვილი ნებისმიერ არჩევნებს გააყალბებს.**

ხომ ხედავთ, ე.წ. სამხრეთ ოსეთშიც კი ოპოზიციურმა კანდიდატმა გაიმარჯვა, ასევე მოხდა აფხაზეთშიც, ანუ ობიექტური არჩევნები მაინც ჩატარდა. რა გამოდის, რომ რუსეთი რომელ ტერიტორიებსაც აკონტროლებს, იქ შეიძლება თურმე არჩევნების ნორმალურად ჩატარება და ამერიკა რომელ ტერიტორიასაც აკონტროლებს, არა?

**სააკაშვილი სახელმწიფო გადატრიალების გზით „დაგვასვეს თავზე“ და ყველანაირი გზით ცდილობენ მის შენარჩუნებას.** როდესაც ლევან გაჩეჩილაძემ მიხეილ სააკაშვილს არჩევნები მოუგო, ბუში ღიად ჩაერია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხმები დათვლილი არ იყო, რომ გამოვიდა და სააკაშვილს პრეზიდენტობა მოულოცა. ამით თითი დაუქნია ყველას, არ გაბედოთ და არ თქვათ, რომ გაჩეჩილაძემ მოიგოო. გამოდის, რომ საქართველო ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც სამართლიან არჩევნებს ვერ ჩაატარებ. სააკაშვილს მაქსიმუმ 10%-მა მისცეს დღეს ხმა, მაგრამ 80%-ს იღებს, საიდან? ასეთ კაცს ანდეს ამერიკელებმა ქვეყანა.

ამოიღონ ოპოზიციურმა პარტიებმა დოკუმენტაცია, თუ რატომ და როგორ სცნეს ლუკაშენკო პერსონა ნონ გრატად და თავადაც იმოქმედონ. სააკაშვილმა გაცილებით მეტი გააფუჭა. **სად გაგიგიათ, ერთი საუკუნის წინ გარდაცვლილები იღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას? სააკაშვილი მიცვალებულების პრეზიდენტია.**

**— ირინა სალინაძე, ტარიელ მურმანიშვილი, ნაირა ოტიაშვილი... რა ხდება ამ ადვოკატების საქმეების ირგვლივ, ხელისუფლების მხრიდან, ყველა მათგანის მიმართ უკანონო ქმედებას აქვს ადგილი?**

— ირინა სალინაძის საქმე არის ევროპის ადვოკატთა ასოციაციისა და სამართლის საბჭოს განხილვის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი. ეს ქალბატონი იცავდა პატიმარს და ვინაიდან სურდა დაეფიქსირებინა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში გამეფებული უნამუსობა, მას შეურაცხყოფა მიაყენეს. მას დაუდგინდა ის დაზიანებები, რომლებიც მიაყენეს ქსნის №15 დაწესებულებასა და თბილისის პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში.

ძალიან მნიშვნელოვანია ნაირა ოტიაშვილის საქმეც. მან გადაიღო პროცესი, სადაც უკანონო აღსრულება მიმდინარეობდა. როდესაც გადაღებული ფირი ვერ წაართვეს, დაადეს ბორკილები, მაგრამ მოახერხა და ფირი მეგობარს გადასცა. სასამართლოში წავედით, ქეთი ბექაურმა დააყენა შუამდგომლობა, მოსამართლეს ფირი ენახა, ვინაიდან, ოტიაშვილის მიმართ ცრუ ჩვენებას იძლეოდნენ პოლიციის თანამშრომლები. მოსამართლემ კი განაცხადა, — არ მინდა ფირის ნახვაო და პოლიციელს სიტყვაზე ენდო.

ტარიელ მურმანიშვილი დააკავეს მოგებული საქმის გამო. ეს არის სააკაშვილის ბოლშევიკური რეჟიმის სახე. ვინაიდან ის სოლიდური ქონების მფლობელი უნდა გამხდარიყო, ციხეში გაუშვეს. უნდოდათ, მასაც ისევე ეჩუქებინა სახელმწიფოსთვის მოგებული თანხა, როგორც, გახსოვთ, რიყეზე რესტორნების მფლობელებმა ნახეს ერთ ღამეს სიზმარი, სააკაშვილისთვის ეჩუქებიათ ქონება. **ადეიშვილი, მე და მურმანიშვილი ჯგუფელები ვართ, მაგრამ მათთვის მთავარია, უდანაშაულო ადამიანი ციხეში გამოკეტონ.**

**— ამ ხნის მანძილზე ზურაბ ადეიშვილს პირადად შეხვედრიხართ?**

— მე ფაშისტური წარმომავლობის ბოლშევიკებს არ ვხვდები. ძალიან ბევრი სიბინძურე გააკეთეს, როცა მე თავმჯდომარედ მირჩევდნენ. ასეთ ადამიანებს ხელს როგორ ჩამოვართმევ, რომლებიც ყველანაირად ცდილობენ, ადვოკატები გააუბედურონ?! **რაც „დემოკრატიის შუქურა“ მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, 8 წლის განმავლობაში 130 ადვოკატს გამოუტანა განაჩენი.**

**ბოროტების საბჭოთა იმპერიას კი მთელი 70 წლის მანძილზე, დაახლოებით 80-მდე მსგავსი განაჩენი აქვს გამოტანილი. სააკაშვილმა რვა წელიწადში იმაზე მეტი მოახერხა, ვიდრე ეჟოვმა, ბერიამ, ლენინმა, ბრეჟნევმა, ანდროპოვმა და სხვებმა...**

**— უფლებადამცველები აცხადებენ, რომ ყველა პატიმარი ხდება წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი, რასაც ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს. მსგავსი ფაქტები კი უარყოფითად აისახება და ჩრდილს აყენებს ხელისუფლების დემოკრატიულ იმიჯს. როგორ ფიქრობთ, რისთვის სჭირდება ხელისუფლებას ასეთი მოქმედება?**

— თქვენთვის ცნობილია, რომ საქართველოში მოქმედებს საპროცესო შეთანხმება, რის შედეგადაც მილიონობით თანხა ირიცხება ბიუჯეტში. თუ ადამიანს არ სურს, აღიაროს დანაშაული და საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად საჩივარი შეაქვს ევროპის სასამართლოში, ასეთ პატიმრებს სასტიკად ექცევიან. ვინც დანაშაულს აღიარებს და საპროცესო შეთანხმებას მოითხოვს, ის პრივილეგიებით სარგებლობს. როცა პატიმარი აღიარებს დანაშაულს, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის ბრალს აღიარებს, არამედ ამ აღიარებით ის საკუთარ სიცოცხლეს ყიდულობს, ვინაიდან იქიდან ნორმალური არ გამოვა, ისე სასტიკად აწამებენ. **ეს ფორმიანი ყაჩაღები, პროკურორები პირდაპირ ეკითხებიან პატიმრებს, გინდათ, მერვე საპყრობილეში წახვიდეთო, რომელიც ყველაზე საშინელი ადგილია. ხელისუფლებას ფული ისე უყვარს, იმიჯი არ ადარდებს. ამას გარდა, ხელისუფლებას ხელს აძლევს ქვეყანაში შიშის სინდრომის არსებობა, ვინაიდან შიში მათთვის ერთადერთი საშუალებაა ხელისუფლების შესანარჩუნებლად.**

**— თუმცა ცოტა ხნის წინ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კონსტანტინე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ სასამართლოს მიმართ ნდობის რეიტინგი 72%-მდე გაიზარდა, რაც ჩატარებული რეფორმების შედეგიაო.**

— უკვე აღვნიშნე, რომ ამას დაქირავებული ამერიკული უნამუსო ორგანიზაციები აკეთებენ, რადგან სააკაშვილი არჩევნებს რომ გააყალბებს, სათქმელი ჰქონდეთ, ამდენი ხალხი გვიჭერს მხარსო. ფეოდალი კუბლაშვილი რას იტყვის, აბა! მას აქვს ფეოდალური დაწესებულება, რომელსაც სასამართლოს ეძახის.

**— როგორც იურისტი, ტელეკომპანია „მაესტროში“ მიმდინარე მოვლენებს როგორ შეაფასებთ: ჰქონდა თუ არა ეროსი კიწმარიშვილს იქ შესვლის, ხოლო მამუკა ღლონტს მისი არშეშვების უფლება?**

— სააკაშვილი შეშფოთებულია ტელეკომპანია „მაესტროს“ რეიტინგით და ეს არის მისი მორიგი მცდელობა.

**— ანუ ფიქრობთ, რომ კიწმარიშვილი სააკაშვილის მოგზავნილია?**

— ჩემი აზრით, ასეა. თან ეს მოხდა იმ დღის შემდეგ, რაც გადაცემაში სტუმრად იმყოფებოდა ბიძინა ივანიშვილი. **კიწმარიშვილს მხოლოდ კომპენსაციის მოთხოვნის უფლება აქვს. მას სოლიდური თანხის აღება შეუძლია და, რადგან ამას არ აკეთებს, ვფიქრობ, რომ ის ხელისუფლების მიგზავნილია.**

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

„თურქეთში ან შვეიცარიაში რომ ჩახვიდეთ, გიდი თუ მწვრთნელი რუსულად ლაპარაკობს, იცით, რატომ? იმიტომ, რომ რუსეთი არის ქვეყანა, საიდანაც ჩადიან ტურისტები, რუსეთი მათი შემოსავლის წყაროა. ჩვენც უნდა მოვიქცეთ ისე, რომ თავი არ შევაძულოთ რუსებს, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ რუსეთის დახმარებით კონფლიქტები მშვიდობიანად მოვაგვაროთ.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ოქრუაშვილი და კიწმარიშვილი ხელისუფლებას გაურიგდნენ...

**ყოფილი ომბუდსმენი, შემდეგ „ალიანსის“ სახე, საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი, ბოლოს კი „ქართული პარტიის“ ყოფილი ლიდერი სოზარ სუბარი საკუთარ პარტიას ტოვებს და ბიძინა ივანიშვილის თანამოაზრე ხდება. სუბარი გმობს ყოფილი თანაპარტიელის — ეროსი კიწმარიშვილის ქმედებებს და „მაესტროში“ შეჭრას თავისუფალი მედიის ზეწოლად აფასებს. მისი თქმით, ეროსი და ოქრუაშვილი ხელისუფლებას გაურიგდნენ, პარტიაში მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო...**
**სოზარ სუბარი მომავალ არჩევნებში გამარჯვებას რეალურად მიიჩნევს. მისი აზრით, პოლიტიკურ ბაზარზე ახალი მოთამაშის — ბიძინა ივანიშვილის გამოჩენა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დემოკრატიული ცვლილებების განხორციელების შანსს იძლევა.**



## სოზარ სუბარი ვანო მერაბიშვილისა და გიორგი ვაშაძის გასამართლებას მოითხოვს

**— ბატონო სოზარ, ახლახან „ქართული პარტია“ დატოვეთ, რა იყო ამის მიზეზი: ირაკლი ოქრუაშვილთან დაპირისპირება თუ სხვა რამ? მან განაცხადა, რომ თქვენ ბიზნესმენ გოგელიას ჯიბეს ჩამოეკიდეთ და მხოლოდ ფინანსური ინტერესები გამოძრავებთ, ამიტომაც ხშირად იცვლით პარტიებს.**

— სანამ ქართულ პარტიას ჩამოვაყალიბებდით, არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ. რაც შეეხება ალიანსს, მასში შევედი როგორც საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატი, მაგრამ, მოგეხსენებათ, ალიანსი დროებითი წარმონაქმნი იყო და დაიშალა, მასში ჩემი წვლილი ნულის ტოლი იყო. ალიანსი დავტოვე იმის გამო, რომ წინასაარჩევნო პროცესი და ჩემი იქ ყოფნა ჩემთვის წამგებიანი აღმოჩნდა, უარი ვთქვი არჩევნებში მონაწილეობაზე და წამოვედი. მაისის შემდეგ შევქმენით „ქართული პარტია.“

**— ბიძინა ივანიშვილის ბანაკში თქვენი შესაძლო გადაბარგება ხომ არ უკავშირდება ფინანსურ ინტერესებს? სანამ ქართულ პარტიას დატოვებდით, მანამდე ივანიშვილის პრესცენტრმა გააკეთა ამის შესახებ განცხადება...**

— არა, ასე არ იყო. მე გავიგე, რომ ივანიშვილს ჰქონდა ჩემ მიმართ დადებითი დამოკიდებულება, ჩემი დამოკიდებულებაც ბიძინა ივანიშვილის მიმართ აბსოლუტურად დადებითია. სანამ ის პოლიტიკაში გამოჩნდებოდა, მანამდეც ვამბობდი, რომ, თუ ვინმე უშველიდა დღეს ქართულ პოლიტიკას, ესაა ბიძინა ივანიშვილი. ამ რეალობას ჩვენ ვხედავდით განსაკუთრებით მაისის შემდეგ.

უკვე გასაგები გახდა ის, რომ არჩევნებს ვერ მოიგებდა ოპოზიცია. პოზიციას როგორადაც არ უნდა მოენდომებინა, დღევანდელ საარჩევნო პირობებში სააკაშვილის დამარცხება შეუძლებელი იყო.

ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ კი ხელისუფლებისა და მიშას უძლეველობის მითი დაიმსხვრა. **დღემდე „ნაცმოძრაობა“ გარდაუვალად იგებდა არჩევნებს არა იმიტომ, რომ მას ბევრი მომხრე ჰყავს, არამედ იმიტომ, რომ მას ჰქონდა ადმინისტრაციული, ფინანსური, ძალადობრივი რესურსები. ივანიშვილმა კი გააჩინა ნდობის ფაქტორი, შექმნა ალტერნატივა. ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილმა დროულად გააკეთა განცხადება პოლიტიკაში მოსვლის თაობაზე. სიმართლე გითხრათ, არ ვფიქრობდი „ქართული პარტიის“ დატოვებას. ვიყავი „ქართული პარტიის“ თავმჯდომარე და ამ დროს მოულოდნელად წამოვედი. თუ რატომ, ამაზე საუბარი სწორად არ მიმაჩნია.**

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას, მას აუცილებლად შევხვდები. შევალ თუ არა მის პარტიაში, ამაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია.

**— „ქართული პარტია“ საბოლოოდ დაიშალა?**

— ამ დღეებში უკვე რამდენიმე რაიონში დაიშალა „ქართული პარტიის“ ორგანიზაციები, პარტიაში არავინ დარჩა ორი კაცის გარდა.

**— ირაკლი ოქრუაშვილზე რას იტყოდით, ის ხელისუფლებას ხომ არ გაურიგდა?**

— ვერაფერს გეტყვით, ვერც გავაკეთებ კომენტარს. მე ვიცი, რომ „ქართულმა პარტიამ“ თავის გზას გადაუხვია და ის მოლოდინი, რომელიც მქონდა, არ გამართლდა. ის, რასაც „ქართული პარტია“ აკეთებს დღეს, ძალიან ჰგავს ხელისუფლებასთან გარიგებას.

**— ეროსი კიწმარიშვილი თქვენი მეგობარია და როგორ შეაფასებთ მის ქმედებებს; როგორ ფიქრობთ, ფინანსური დავა იყო „მაესტროსთან“ და მის დამფუძნებლებთან დაპირისპირება თუ ხელისუფლების შეკვეთა?**

— როგორ გითხრათ, ვერ ვიტყვი, რა მოხდა შიგნით, მაგრამ კიწმარიშვილის მიერ შენობაში პოლიციისა და გაურკვეველი პირების შეყვანა აშკარად რაღაცაზე მიგვანიშნებს. ეს არის „მაესტროზე“, საერთოდ მედიაზე ზეწოლა. არ ვიცი, ეროსი გაურიგდა ხელისუფლებას თუ იბრძვის ფინანსებისთვის, მაგრამ ფაქტია, რომ ეს პროცესი მართული იყო. არსებობს დავები, რაც სამართლებრივი გზით უნდა გაირკვეს. **დამოუკიდებელ ტელეკომპანიაში შეჭრა არასწორია, კიწმარიშვილი თავისუფალ მედიას ებრძვის. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, სააკაშვილის ხელისუფლება კიდევ უფრო გაამძაფრებს ზეწოლას მედიაზე, შეუტევს თავისუფალ პრესას, რადგან ახლოვდება არჩევნები, „ნაციონალური მოძრაობა“ კი არჩევნებს იგებს არა მარტო საარჩევნო კოდექსით, არამედ კანონის მიღმა ქმედებებით: ძალადობით, დაშინებითა და შანტაჟით. თუმცა მას არჩევნების კიდევ ერთხელ გაყალბება არ უნდა გამოუვიდეს,** რადგან, თუკი დღემდე მხოლოდ სააკაშვილის „ნაცმოძრაობა“ იყო პოლიტიკურ ბაზარზე ლიდერი, დღეს მას სერიოზული ალტერნატივა გამოუჩნდა და ელექტორატი გადანაწილდა. დარჩა ასეთი განლაგება: სახელისუფლო რესურსი და ის ადამიანები, რომლებსაც ნორმალურ ქვეყანაში უნდათ ცხოვრება. ხალხი იმ მხარეს დადგება, სადაც რეალური ცვლილებების შანსს დაინახავს.

**— ზოგიერთი ოპოზიციური პარტია ფიქრობს, რომ სახელისუფლო პარტია „ნაცმოძრაობა“ საარჩევნო ყუთთან არ უნდა მივუშვათ, რადგანაც შიში იმისა, რომ ისინი გააყალბებენ არჩევნებს, დიდია. ბურჯანაძე, რომელიც ქუჩის აქციების მომხრეა, ხელისუფლების არჩევნებში მონაწილეობას გამორიცხავს.**

— რას ნიშნავს რადიკალურად არის განწყობილი? **ქუჩის აქციები მანამდე იყო გამართლებული, სანამ ივანიშვილი გამოჩნდებოდა, ივანიშვილმა უარი თქვა ქუჩის პოლიტიკაზე. მე ვერ გეტყვით, ვინ რას ფიქრობს მთლიანად ოპოზიციაში, მაგრამ ერთადერთი სწორი გზა ივანიშვილის გზააა.**

**— არჩევნები მომავალი წლის ოქტომბერში დაინიშნება, თუმცა მანამდე შესაძლებელია ისე დამძიმდეს სოციალური ფონი და გაუსაძლისი გახდეს ცხოვრება, რომ ხალხი ქუჩაში გამოვიდეს, რა მოხდება მაშინ, სხვა ლიდერს მონახავენ?**

— ძალიან ძნელია, წინასწარ თქვა, რა მოხდება, ამ ეტაპზე საუბარია არჩევნებზე. ქუჩაში ხალხი თავისით არ გამოდის, ლიდერის მოწოდების გარეშე. დღეს გამოკვეთილი ლიდერი ვინც არის, ამბობს, რომ არჩევნებს უნდა დაველოდოთო. ისე კი, შეიძლება ვინმემ აქცია ჩაატაროს ან საპროტესტო მიტინგი. დღემდე ჩატარებული აქციებით შეუძლებელი გახდა ხელისუფლების შეცვლა.

**— ნატოს გენერალურმა მდივანმა საქართველოს ხელისუფლებას მისცა დავალება, ჩაატაროს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, რადგან ესაა ნატოში შესვლის ერთ-ერთი წინაპირობა. თქვენი აზრით, წავა ხელისუფლება ამ დათმობაზე? და რა მოხდება გაყალბების შემთხვევაში?**

— სააკაშვილს, ყოველ შემთხვევაში, სურს, ყველანაირად შეინარჩუნოს ხელისუფლება. მას სულაც არ ადარდებს ნატოში შესვლა, რა თქმა უნდა გააყალბებს არჩევნებს, მაგრამ ამის საშუალება არ უნდა მივცეთ, ბალანსი უკვე შექმნილია.

**— ხშირად ამბობენ, რომ ივანიშვილს საბჭოთა კავშირის ანალოგად მიჩნეულ ევრაზიული კავშირის ორბიტაზე სურს საქართველოს დაბრუნება...**

— იმ ქვეყანაში, სადაც მინისტრები სააკაშვილზე წერენ ლექსებს „მიშა მაგარია“, რაც სამარცხვინოა, ამაზე მეტი საბჭოთა კავშირში დაბრუნება რაღა გინდათ. საბჭოთა კავშირი დღეს საქართველოსთვის არის გოგა ხაჩიძე, რომელიც სამარცხვინო მინისტრია. საბჭოთა კავშირში დაბრუნება ასევეა მიშა სააკაშვილი, რომელსაც მოსწონს ხაჩიძის შემოქმედება და მას არჩევნების წინ ჰიმნად აქცევს. რაც შეეხება საქართველოს არჩევანს, საქართველოსთვის ევროპული არჩევანი არის უცვლელი, მაგრამ ამავე დროს ყველა მეზობელთან უნდა გვქონდეს კეთილმეზობლური ურთიერთობა. აზერბაიჯანთანაც გვაქვს მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ ამის გამო ჩვენ არ ვამბობთ, რომ პროაზერბაიჯანული ქვეყანა ვარ ან მისი გავლენის ქვეშ ვიმყოფებით. იგივე ურთიერთობა უნდა გვქონდეს რუსეთთან. რუსული ბაზრის გარეშე ჩვენი ეკონომიკა წინ ვერ წავა, ვერც ტერიტორიული მთლიანობა აღდგება რუსეთის ფაქტორის გარეშე.

თურქეთში ან შვეიცარიაში რომ ჩახვიდეთ, გიდი თუ მწვრთნელი რუსულად ლაპარაკობს, იცით, რატომ? იმიტომ, რომ რუსეთი არის ქვეყანა, საიდანაც ჩადიან ტურისტები, რუსეთი მათი შემოსავლის წყაროა. **ჩვენც უნდა მოვიქცეთ ისე, რომ თავი არ შევაძულოთ რუსებს, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ რუსეთის დახმარებით კონფლიქტები მშვიდობიანად მოვაგვაროთ.**

**— გინდათ, თქვათ, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ რუსეთს შეუძლია და ის მშვიდობიანად დაგვიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს?**

— ომით რომ არ დაგვიბრუნებს, ხომ დავინახეთ? ძალიან რთულია ისიც, რომ რუსეთმა მშვიდობიანად დათმოს ტერიტორიები. ერთადერთი, რაშიც ვეთანხმები ხელისუფლებას, ეს არის ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკა, მაგრამ პარალელურად უნდა დავამყაროთ ურთიერთობა რუსეთთან, რადგან რუსეთთან ურთიერთობის გარეშე ტერიტორიული პრობლემა ვერ მოგვარდება.

**— თქვენი აზრით, რამდენად არის დღეს სააკაშვილი მისაღები ამერიკისთვის და დასავლეთისთვის, ექსპერტები აცხადებენ, რომ დასავლეთი ფსონს ახლა ივანიშვილზე აკეთებს?**

— ვერაფერს გეტყვით. არ ვიცი, სააკაშვილი არის თუ არა მისაღები დასავლეთისთვის, მაგრამ მისი მართვის სტილი და ანტიდემოკრატიული მეთოდები აშკარად მიუღებელია. აღიარებენ იმას, ვინც არის ხელისუფლებაში, მათ კადაფთანაც ჰქონდათ ურთიერთობა, ადამიანთან, რომელიც 40 წელი ხელისუფლებაში იყო, თვითმფრინავებს აფეთქებდა და ათას უბედურებას აკეთებდა. ამერიკელებმა რამდენიმეჯერ დაბომბეს კადაფი, მაგრამ გადარჩა, მერე ისევ გააგრძელეს მასთან ურთიერთობა.

**— ძალიან ხშირად ივანიშვილი ამბობს, რომ ის ყველასთან ითანამშრომლებს სააკაშვილის გარდა, როგორ ფიქრობთ, მხოლოდ სააკაშვილია უბედურება და მისი გარემოცვა არა?**

— ზოგადად, საშუალოდ დაბალი ჩინოვნიკების ფენა, რომელსაც არაფერი დაუშავებია, მათ უნდა გააგრძელონ მუშაობა. სხვა დანარჩენი, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი, პასუხს აგებს. **შვარცკოფი იყო ამერიკელი გენერალი, რომელიც ერაყის სამხედრო ოპერაციას ხელმძღვანელობდა სახელწოდებით „უდაბნოს ქარიშხალი“. არ ვიცი, ანეგდოტია თუ სიმართლე, როცა მას ჰკითხეს, რომ ღმერთი შეწყალებისკენ მოგვიწოდებს, თქვენ კი რატომ ფიქრობთ, საომარი მეთოდებით გადაჭრათ პრობლემაო? — მან უპასუხა: „შეწყალება ღმერთის პრეროგატივაა. ჩვენი მოვალეობა სხვაა: ეს ადამიანები დამნაშავეები არიან და რაც შეიძლება მალე უნდა წარსდგნენ ღვთის წინაშეო“. სასამართლოს წინაშეც ყველა დამნაშავე უნდა წარსდგეს.**

**— რომელი ჩინოვნიკის გასამართლებას მოითხოვთ?**

— თუნდაც გიორგი ვაშაძის, რომელიც არის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე და იუსტიციის მინისტრის მოადგილე, მას დაბეჭდილი აქვს ათასობით ყალბი პირადობა, რომლითაც ყალბდებოდა არჩევნები.

**— მერაბიშვილიც?**

— რა თქმა უნდა, მერაბიშვილი 7 ნოემბრის, 26 მაისის მიტინგების დარბევისთვის, გირგვლიანისა და ვაზაგაშვილის მკვლელობისთვის და სხვა დანაშაულობებისთვის უნდა გასამართლდეს. ყველა დამნაშავე უნდა წარსდგეს სასამართლოს წინაშე, მათ შორის სააკაშვილიც, რომელიც ყველა ამ ბოროტებისა და უბედურების წყაროა.

ესაუბრა
**ეთერ ბალაძე**

ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თანხის ნაწილი ნაღდი ფულით გადაეცემათ მერაბიშვილისა და ადეიშვილის სტრუქტურებს და ეს შავი, არალეგალური ფული პოლიტიკური ოპოზიციის, ოპოზიციურად განწყობილი არასამთავრობოების ლიდერთა და წევრთა წინააღმდეგ დაგეგმილ პროვოკაციებს, შანტაჟს, მათ რიგებში ხელისუფლების ახალი აგენტურის ჩანერგვას მოხმარდება.**

# 120 კომპანია

## რომელთაც საახალწლოდ მერაბიშვილის კანტორიდან მიაკითხავენ



**„საქართველო და მსოფლიო“ უკვე წერდა იმის თაობაზე, რომ ახლო მომავალში „ნაციონალური მოძრაობა“ ქართული ბიზნესის დატერორების მორიგ ეტაპს დაიწყებდა. მაშინ ისიც აღვნიშნეთ, რომ ხელისუფლება მის მიერვე კონტროლირებადი თუ ნაკლებადკონტროლირებადი ბიზნესიდან 2 მილიარდი ლარის „ამოქაჩვას“ აპირებს (1 მილიარდის ამოღება ვანო მერაბიშვილმა იტვირთა, 1 მილიარდისაც — ზურაბ ადეიშვილმა).**

ეს თანხა „ნაციონალებს“ წინასაარჩევნო ეტაპისთვის სჭირდებათ. ამ თანხის სახელდახელოდ მოკრების აუცილებლობა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ განაპირობა. ცხადია, ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ ამ ორი მილიარდის გახარჯვას „ნაცმოელები“ არ აპირებენ — ეს ორი მილიარდი მოხმარდება სხვადასხვა სახის სოციალური ტიპის პიარ-აქციებს, რაც რეალურად შვებას ვერ მოჰგვრის შეჭირვებულ მოსახლეობას. თანხის დიდი ნაწილი მოხმარდება „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების დაფინანსებას და აქცენტი თბილისზე გაკეთდება. **ამ ეტაპზე თანხის ნაწილი ოფიციალურად გადაირიცხება ბიზნესტრუქტურებიდან „ნაციონალური მოძრაობის“ ანგარიშზე ან მმართველი გუნდის საპეცფონდებში, თანხის ნაწილი კი, ნაღდი ფულით გადაეცემათ მერაბიშვილისა და ადეიშვილის სტრუქტურებს და ეს შავი, არალეგალური ფული პოლიტიკური ოპოზიციის, ოპოზიციურად განწყობილი არასამთავრობოების ლიდერთა და წევრთა წინააღმდეგ დაგეგმილ პროვოკაციებს, შანტაჟს, მათ რიგებში ხელისუფლების ახალი აგენტურის ჩანერგვას მოხმარდება.**

„საქართველო და მსოფლიომ“ ექსკლუზიურად მოიპოვა რამდენიმე ათეული ბიზნესკომპანიის სია, რომელთა დაყაჩაღებას, თანხის გამოძალვას ხელისუფლება აპირებს. ამასთან, მათ შორის ისეთებიც არიან, რომელთა ხელმძღვანელები საკუთარი ნებით წლობით აფინანსებენ ხელისუფლების ახირებებს და, შესაბამისად, სანაცვლოდ საკუთარი ბიზნესისთვის სასათბურე პირობებს და უამრავ შეღავათს იღებენ.

დავძენთ, რომ ამ ეტაპზე ვაქვეყნებთ იმ კომპანიების სიას, რომლებიც ვანო მერაბიშვილის კონტროლქვეშაა, ანუ ამ კომპანიებიდან აპირებს მერაბიშვილი 1 მილიარდი დოლარის ამოღებას. კომპანიებს მერაბიშვილის უწყება შემოსავლების სამსახურისა და ფინანსური პოლიციის თანხებით ახალი წლიდან დაუვლის, ანუ, ვინც არ გადაიხდის, მას გადაახდევინებენ — შემოსავლების სამსახურსა და ფინანსურ პოლიციას შარის პოვნა არ გაუჭირდება ურჩი ბიზნესმენებისთვის, თუ ასეთი აღმოჩნდა ვინმე.

„საქართველო და მსოფლიო“ „ექსპო-ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას დაუკავშირდა და ერთადერთი კითხვით მიმართა — წინასწარ იცოდნენ თუ არა ამ კომპანიის მესვეურებმა, რომ მერაბიშვილის „შავ სიაში“ იყვნენ? **„არაფერი გვსმენია ამის შესახებ, არ ვიცით, რა სამსახურები აპირებენ შემოსვლას და ვეჭვობ, რომ ვინმემ რამე იცოდეს — პიარ-სამსახურმა ან დირექციამ,“** — გვითხრა „ექსპო-ჯორჯიას“ ადმინისტრაციის უფროსმა მაია მაზლარაშვილმა.

დაგეგმილი ეგზეკუციის შესახებ არც „ბადაგონის“ ხელმძღვანელობა აღმოჩნდა საქმის კურსში. **„მსგავსი არაფერი მსმენია, შესაძლოა, ეს იყოს იმგვარივე შემოწმება, როგორიც ადრეც ყოფილა და მომავალშიც იქნება. შესაძლოა, იყოს გეგმიური და იყოს არაგეგმიური, ოღონდ, კანონის ფარგლებში,“** — გვითხრა „ბადაგონის“ მარკეტინგის მენეჯერმა შოთა მოსიაშვილმა. ცხადია, სხვა კომპანიებში დარეკვას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ყველგან, სავარაუდოდ, ანალოგიურ პასუხს გაგვცემდნენ — ქართული ბიზნესი ხომ უდრტვინველად ატყავებინებს თავს ხელისუფლებას და არათუ პროტესტს გამოთქვამს, პირიქით, ყველანაირად ცდილობს, მიჩქმალოს ხელისუფლების რეკეტის ფაქტები.

**„საქართველო და მსოფლიო“ ეკონომიკის ექსპერტს, გია ხუხაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო გია, გვაქვს ინფორმაცია — იმ 122 კომპანიის სია, რომელთა დარეკეტებასაც ფინანსური პოლიციისა და საშემოსავლო სამსახურის მეშვეობით ვანო მერაბიშვილი აპირებს ახალი წლიდან. რამდენად რეალურად გეჩენებათ ის სია და ინფორმაცია, რომელიც მოვიპოვეთ?**

— არარეალურად მეჩვენება-მეთქი, რომ გითხრათ, დამიჯერებთ? ცხადია, რეალურია ეგ სიაც და ინფორმაციაც. ხელისუფლების მოქმედების სტილი ხომ ძალადობა, შანტაჟი და რეკეტია ბიზნესთან ურთიერთობაში. ახლა სააკაშვილი ახალ ქალაქს აშენებს — ლაზიკას, ყულევსა და ანაკლიას შორის და ფული ხომ უნდა? დააყაჩაღებენ ბიზნესს, ოღონდ სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე. სასაცილოა ეს უკვე, სატირალი რომ არ იყოს.

**— და ბიზნესმენები რატომ არ იღებენ ხმას? ხელისუფლების ყველა ხუშტურსა და ახირებას რატომ აფინანსებენ იძულებით?**

— ბიზნესმენებს ექცევიან როგორც მეწველ ძროხას, უპატრონო ძაღლს. სადამდე გაუძლებენ, მოწველიან და თან ჯოხით სცემენ. ხმა უნდა ამოიღონ, მაგრამ, რაც დარჩებათ, ისიც არ დავკარგოთო, ეშინიათ. ეს საშინელება, ეს რეკეტი დამთავრდება მალე, როცა არჩევნების გზით ეს ხელისუფლება შეიცვლება.

**— ჩვენი ინფორმაციით, ამოსაღები თანხა სრულად თუ არა, ნაწილობრივ საარჩევნოდ სჭირდებათ „ნაციონალებს“.**

— ეს აჩემებული „ქალაქი“ ლაზიკაც წინასაარჩევნო პიარის ნაწილი არ არის? გაისად ხომ უნდა დაიწყოს ამ „ქალაქის“ მშენებლობა და ფული ხომ უნდა. ცხადია, ფულის ნაწილი მოხმარდება „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებს, იმ დედაკაცებს, საარჩევნოდ ყველა საარჩევნო უბანთან სიებით რომ დგანან, ფული მოხმარდება ე.წ. ზონდერბრიგადებს, რომელთაც პრემიებს დაურიგებენ, თუ დასჭირდათ ოპოზიციურად განწყობილი ხალხის გადასაბირებლად, მოსასყიდად დასჭირდებათ ეს ფული, საერთაშორისო მასშტაბის პიარკამპანიისა და საეჭვო, ყალბი სოციოლოგიური და სხვა სახის კვლევებისთვის. მოკლედ, ფული სჭირდებათ, ცხადია. ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყარო რეკეტია, რეკეტია შავი ფულის ამოღების წყარო. სამწუხარო ისაა, რომ ჩვენი ბიზნესმენები თავიანთ უბედურებას აფინანსებენ, ყოველწლიურად იხდიან გაურკვეველ ფულს, ხარკს იმაში, რომ მომდევნო წელს უფრო მეტად მოუჭირონ მარწუხი და უფრო მეტი ააფცქვნან.

**ლევან ჯავახიშვილი**

## გთავაზობთ იმ 120 კომპანიის სიას, რომელთაც პირველ ეტაპზე გაფრცქვნის ხელისუფლება:

1. „გლობალ-თრეველი“
2. „ელიტ-თრეველი“
3. „N ტური“
4. „არგოტური“
5. „თრეველ სტუდიო“
6. „ვორლდექსპრესთრეველი“
7. „უნივერს-თრეველი“
8. „ბიზნესთრეველი“
9. „თრეველლაინი“
10. „ნიუ-ექსპრესი“
11. „უნითრეველი“
12. „სითი-ტური“
13. „გლობალთრეველი“
14. „მეჯიქტური“
15. „სქაი-ლაინი“
16. „ვანილა-სქაი“
17. „სოფ-თრეველი“
18. „M&T თრეველი“
19. „ექსპოჯორჯია“
20. „სითი-ფარმა“
21. „ასხეტასფარმა“
22. „M ფარმა“
23. „ალპენფარმაჯორჯია“
24. „ავიტა„
25. „აქტაფარმი“
26. „ბათფარმა“
27. „ბაიერშერინგფარმა“
28. „გლობალფარმა“
29. „ეი-ბისი-ფარმაცია“
30. „გეა“
31. „გეოპოლი“
32. „ვიტ-ჯორჯიაფარმი“
33. „მედია“
34. „ვია-ვიტა“
35. „მედი-ჯი“
36. „იმერ-ჯორჯია„
37. „დკც“
38. „იმედი L“
39. „არქიმედეს გლობალჯორჯია“
40. „ალფა“
41. „აისიჯგუფი“
42. „ალდაგი ბი სი აი“
43. „ჯი პი აი-ჰოლდინგი“
44. „ირაო“
45. „კავკაზუსელექტრომარკეტი“
46. „LG ელექტრონიკსი“
47. „მობი“
48. „გლობალელექტრონიქსი“
50. „ელიტელექტრტონიქსი“
51. „ტექნო-ბუმი“
52. „დეუ“
53. „ბეკო“
54. „ელექტრონიკა“
55. „იბერია-ბიზნეს-ჯგუფი“
56. „პრაიმ-ავტო“
57. „ჰიუნდაი-ავტო-ჯორჯია“
58. „აი-ეს-აი აუტო“
58. „ჯეოტრანსექსპრესი“
59. „დელტა მოტორსი“
60. „თეგეთა-მოტორსი“
61. „ჯორჯიან პლასტიკი-2008“
62. „ჯორჯიან ფეიფერფარდალშენი“
63. „M&M ტექნოლოგი“
64. „L-A კომპანი“
65. „ჰიპერნეტსტუდია“
66. „ბი-ემ-სი გეორგია“
67. „ალიონი-99“
68. „აქსისი“
69. „არტ-სტუდია“
70. „K2-გრუპი“
71. „ავტოტრანსი“
72. „ბაგები-სითი-ჯგუფი“
73. „ახალი სამშენებლო“
73. „არსი“
74. „ინჟმშენი“
75. „მეგალაითი“
76. „ახალი მშენებელი“
77. „ტიფლის-სიტი“
78. „ტიფლის-დეველოპმენტი“
79. „თბილისი“
80. „სასკო“
81. „ვაკო“
82. „ჯეო-გრუპი“
83. „ტექს-ჯგუფი“
84. „არსი“
85. „ქიდ-არქიტექტურა“
86. „ნოკი“
87. „დექსუსი“
88. „საქართველოს საკომუნიკაციო კომპანია“
89. „საქართველოს გაერთიანებული ტელეკომუნიკაციების კომპანია“
90. „მაქსტელკომი“
91. „სერვის ლაინი“
92. „სილქნეტი“
93. „სისტემნეტი“
94. „ჯეონეტი“
95. „ვიტელი“
96. „ჯორჯიატელ-2006“
97. „ჯეოსელი“
98. „თ&რ დისტრიბუშენ“
99. „ბ და ჯ“
100. „ბესტ ტობაკო“
101. „ელიზი“
102. „ომეგა-2“
103. „ოჯთ“
104. „საქართველოს თამბაქოს წარმოება“
105. „ჯეითი ინტერნეიშნლ ლუქსემბურგსი-ჯორჯია“
106. „ფილიპ მორის-ჯორჯია“
107. „იოლი-ჯგუფი“
108. „ეკო-ფუდი“
109. „მეგა-ფუდი“
110. „მითანა“
111. „ლიდერ-ფუდი“
112. „შირნჰოფერი“
113. „ქართული სუფრა“
114. „გალფი“
115. „სოკარი“
116. „რომპეტროლი“
117. „ვისოლი“
118. „ეკო“
119. „თელიანი-ველი“
120. „თელავის მარანი“
121. „ქინძმარაულის მარანი“
122. „ბადაგონი“.

ხელისუფლებას სრული საინფორმაციო სიყრუე სჭირდება. „მაესტროს“ შეფერხებაც ხელისუფლების ინტერესშია. ვერ გეტყვით, რა მოხდა „მაესტროში“. არ ვიცი, რატომ შექმნა კიწმარიშვილმა ეს პრობლემა და ვის წისქვილზე ასხამს წყალს; არც ის ვიცი, ვინ არის შიგნით მართალი და ვინ მტყუანი, არც მათი ხელშეკრულება წამიკითხავს, მაგრამ ერთი კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ტელევიზიის მაუწყებლობისთვის ხელისშემშლელით მოგებული რჩება ხელისუფლება.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ეროვნული ფორუმის“ ხელმძღვანელი გუბაზ სანიკიძე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ კურსს იზიარებს, მაგრამ ჯერ ვერ გაურკვევია, საით წავიდეს. მას ისეთ ოპოზიციონერებთან არ სურს ყოფნა, ვინც უფსკრულში გადაჩეხავს...
გუბაზ სანიკიძეს არჩევნების გაყალბების შემთხვევაში არც რევოლუციის ეშინია; მისი აზრით, რევოლუცია იგივე განახლებაა და ზოგჯერ სწორი გამოსავალიც...



## გუბაზ სანიკიძე:

# წაგებულ საქმეში მე არ წავალ...

## თუკი «ვარდების რევოლუცია» შეიძლებოდა, ახლა რატომ არ შეიძლება რევოლუციის მოწყობა?

**— ბატონო გუბაზ, რა ხდება თქვენს პოლიკურ ბანაკში? თქვენ აცხადებდით, რომ ჯერჯერობით გაურკვევლობაა პოლიტიკურ ოპოზიციაში; მიუხედავად იმისა, რომ გამოჩნდა ახალი პოლიტიკური მოთამაშე ბიძინა ივანიშვილი, არ არის გამოკვეთილი, რას გააკეთებს ოპოზიცია?**

— ეს პოლიტიკური გაურკვევლობა მალე უნდა დამთავრდეს, ოპოზიციას ბევრი დრო არ აქვს, დეკემბრის ბოლომდე უნდა მოხდეს სიტუაციის დალაგება. ბიძინა ივანიშვილს ჯერ არ დაუფუძნებია პოლიტიკური პარტია და, როდესაც პარტია ოფიციალურად შეიქმნება, მერე დალაგდება თუ არა, ამას მალე დავინახავთ.

**— სხვათაშორის, ბიძინა ივანიშვილი „რესპუბლიკელებთან“ და „თავისუფალ დემოკრატებთან“ ერთად თქვენს „ფორუმთანაც“ აპირებს თანამშრომლობას, თუ გქონით მასთან შეხვედრა და რაზე ისაუბრეთ?**

— ბიძინასთან შეხვედრა მქონდა, ვისაუბრეთ ყველაფერზე, ოპოზიციის სტატეგიასა და ტაქტიკაზე, მომავალ არჩევნებზე. რაც შეეხება თანამშრომლობას, ვნახოთ, რა მოხდება, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

**— მაინც როგორ არის შესაძლებელი ოპოზიციის ერთიანი კოორდინაცია; ყველა დიდი გაერთიანება ბოლოს იშლება, რა მოხდება ახლა, როგორ ჩამოყალიბდება ივანიშვილის ირგვლივ მტკიცე ოპოზიციური ძალა?**

— რა თქმა უნდა, ძნელია ერთიანი გუნდის ჩამოყალიბება, იმიტომ, რომ ოპოზიციაში ზოგიერთი პერსონა ხელისშემშლელი აღმოჩნდა, ზოგს სავარძელი აინტერესებს და ზოგს ქვეყანა. ზოგიერთს მხოლოდ პირადი ცხოვრების მოწყობა სურს. როცა ხელისუფლებაში მოსვლას აპირებ, შესაძლებელია სკამზე ფიქრობდე, მაგრამ იმ სკამზე დაჯდომის შემდეგ ქვეყანა არ უნდა დაგავიწყდეს, პირადზე არ უნდა იფიქრო. ოპოზიციამ სტრატეგია უნდა განსაზღვროს, ყველა ვარიანტი უნდა გამოიყენოს ხელისუფლების დასამარცხებლად. გასარკვევია ისიც, თუ სად გადის წყალგამყოფი ზღვარი შემრიგებლობასა და შეურიგებლობას შორის. ვერც იმას დავუჭერ მხარს, „წამოდი, ერთად გადავიჩეხოთ უფსკრულშიო“. წაგებულ საქმეში მე არ წავალ...

**— ბატონო გუბაზ, ისე საუბრობთ, ჩანს, ვიღაც თქვენთვის არ არის მისაღები, ვინ „გეპატიჟებათ“ უფსკრულში და ხომ არ უკავშირება ეს დღევანდელ სიტუაციას ივანიშვილთან მიმართებაში?**

— არა, ეს არ მიფიქრია, მე ვამბობ იმას, რომ ზოგიერთ ოპოზიციონერს ღუპავს მერყეობა და ჩამოუყალიბებლობა, არ ვაპირებ დავაკონკრეტო... ივანიშვილმა აშკარად შექმნა მოლოდინი ახლის დასაწყისის, გააჩინა იმედი, მაგრამ მოვლენებს ნუ გავუსწრებთ.

**— მომავალ არჩევნებში გამარჯვების იმედი თუ გაქვთ და რა მოხდება, თუკი არჩევნები გაყალბდება?**

— თუ მშვიდობიანად ვერ მივაღწევთ ხელისუფლების შეცვლას, მაშინ არამშვიდობიანი გზით შევცვლით ხელისუფლებას.

**— ივანიშვილმა უარი თქვა ქუჩის პოლიტიკაზე, მას სიტყვის რევოლუციის გაგონებაც არ სურს. თქვენ კი ხელისუფლების რევოლუციური, არამშვიდობიანი გზით შეცვლასაც უშვებთ...**

— რევოლუცია არც ჩვენ გვსურს, მაგრამ, თუკი სხვა გამოსავალი არ იქნება, მაშინ როდემდე ვუყუროთ ამ უზნეო ხელისუფლებას? თანაც რატომ არ შეიძლება რევოლუცია?! თუკი „ვარდების რევოლუცია“ შეიძლებოდა, ახლა რატომ არ შეიძლება რევოლუციის მოწყობა? რატომ გესობათ ეკალივით გულზე რევოლუცია? ვერ გავიგე, რატომ არის დაწყევლილი რევოლუცია, თუკი „ვარდების რევოლუცია“ კარგია და წლისთავებსაც აღვნიშნავთ, ახლა რატომ იქნება ტრაგედია? თუ ხელისუფლება გააყალბებს არჩევნებს და სხვა გზას არ დაგვიტოვებს, მაშინ მოვაწყობთ რევოლუციას. რევოლუცია ევოლუციას ნიშნავს, ანუ საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებას, ანუ განახლებას. ჩემი აზრით, რევოლუცია საშიში კი არა, აუცილებელია და ზოგჯერ სწორი გამოსავალიც.

**— საკონსტიტუციო ჩარჩოებს რას უშვებით რევოლუციის შემთხვევაში?**

— კანონი, რომელიც არ ექვემდებარება მორალს, დასანგრევია; კონსტიტუცია, რომელიც უზნეობას უწყობს ხელს, არ არის მისაღები, ასეთი კონსტიტუცია არ არის დოგმა, უზენაესი კანონი არის უზნეობასთან ბრძოლა.

**— თქვენი აზრით, ამომრჩეველთა გულის მოგებას შეძლებთ?**

— მოსახლეობის დიდი ნაწილი უკმაყოფილოა ამ ხელისუფლების, ახლა საჭიროა ამომრჩევლებისთვის თავის მოყრა და ორგანიზება. სამწუხაროდ, რეგიონებში უმძიმესი ვითარებაა, რადგანაც დღეს რეგიონები სააკაშვილის კონტროლქვეშაა. ოპოზიციის ლიდერები ამომრჩევლებთან კარდაკარ კი არ უნდა დადიოდნენ, არამედ ფანჯრებთანაც უნდა მიდიოდნენ. თუკი სააკაშვილი ყოველდღიურად 2000 კაცს ართმევს ხელს, ჩვენ რაღა დაგვემართა?

**— „ეროვნული ფორუმი“ დადის რეგიონებში მოსახლეობასთან შესახვედრად?**

— ამ ბოლო დროს ვერ დავდივართ, მაგრამ ყოველდღიური კონტაქტი გვაქვს.

**— არჩევნებს იგებს ფინანსები, ახლა ოპოზიციური სპექტრი ბიძინა ივანიშვილის ფინანსების იმედზეა, რომ ის დიდ თანხებს ჩადებს არჩევნებში, თუმცა ხელისუფლება ვენეციის კომისიის დასკვნას აქვეყნებს, სადაც გამახვილებულია ყურადღება იმაზე, რომ იურიდიულ პირებს არ აქვთ უფლება, დააფინანსონ საარჩევნო კამპანია, როგორ ფიქრობთ, ვენეციის კომისიის დასკვნას ხელისუფლება თავის სასარგებლოდ გამოიყენებს?**

— ვერაფერს გეტყვით, ვენეციის კომისიის დასკვნას არ გავცნობივარ, ერთი კი ცხადია, რომ არჩევნებს მოქმედება და ფინანსები იგებს.

**— დღითიდღე იბლოკება საინფორმაციო სივრცე, პრობლემა შეექმნა პრესის გავრცელების სამსახურს, ქალაქის მერიამ პრესის ჯიხურებს შეუტია, გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ „მაესტროში“ განვითარებულ მოვლენებს, იზღუდება თავისუფალი ელექტრონული მედიაც, როგორ შეძლებთ მიაწვდინოთ ხმა თქვენს ელექტორატს?**

— რა თქმა უნდა, მასმედია საზოგადოებრივ აზრს ქმნის, პრესის ჯიხურებზე ზეწოლა და „მაესტროს“ ამბები მიმართულია იქეთ, რომ თავისუფალმა მასმედიამ აღარ იარსებოს და არჩევნებამდე გაჩერდეს, ხელისუფლებას სრული საინფორმაციო სიყრუე სჭირდება. „მაესტროს“ შეფერხებაც ხელისუფლების ინტერესშია. ვერ გეტყვით, რა მოხდა „მაესტროში“. არ ვიცი, რატომ შექმნა კიწმარიშვილმა ეს პრობლემა და ვის წისქვილზე ასხამს წყალს, არც ის ვიცი, ვინ არის შიგნით მართალი და ვინ მტყუანი, არც მათი ხელშეკრულება წამიკითხავს, მაგრამ ერთი კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: ტელევიზიის მაუწყებლობისთვის ხელისშემშლელით მოგებული რჩება ხელისუფლება.

ესაუბრა
**ეთერ ბალაძე**

«რატომ გესობათ ეკალივით გულზე რევოლუცია? ვერ გავიგე, რატომ არის დაწყევლილი რევოლუცია, თუკი «ვარდების რევოლუცია» კარგია და წლისთავებსაც აღვნიშნავთ, ახლა რატომ იქნება ტრაგედია? თუ ხელისუფლება გააყალბებს არჩევნებს და სხვა გზას არ დაგვიტოვებს, მაშინ მოვაწყობთ რევოლუციას. რევოლუცია ევოლუციას ნიშნავს, ანუ საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებას, ანუ განახლებას. ჩემი აზრით, რევოლუცია საშიში კი არა, აუცილებელია და ზოგჯერ სწორი გამოსავალიც»



მოკლედ

## ირანიდან ელჩები გაიწვიეს

**საფრანგეთი, გერმანია და ნიდერლანდების სამეფო ირანიდან საკუთარ ელჩებს გაიწვევენ.** უცხოური მედიის ინფორმაციით, სახელმწიფოებმა შესაბამისი გადაწყვეტილება თეირანში დიდი ბრიტანეთის საელჩოზე განხორციელებული თავდასხმის გამო მიიღეს. ირანის ისლამური რესპუბლიკიდან დიპლომატები უკვე გაიყვანა თავად ბრიტანეთმა. ირანში დიდი ბრიტანეთის საელჩოზე რამდენიმე თავდასხმა განხორციელდა. ადგილობრივი მოსახლეობა ბრიტანეთის მიერ ირანის წინააღმდეგ შემოღებულ ეკონომიკურ სანქციებს აპროტესტებს.

## არჩევნებში «ედინაია როსიამ» გაიმარჯვა

**რუსეთში გამართული სახელმწიფო დუმის არჩევნების შედეგების მიხედვით, ქვეყნის პარლამენტის ქვედა პალატაში „ედინაია როსია“, სავარაუდოდ, 450-დან 238 ადგილს მოიპოვებს.** შესაბამისი განცხადება ქვეყნის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვლადიმერ ჩუროვმა გააკეთა. კომუნისტებს, სავარაუდოდ, 92 ადგილი ერგებათ, ხოლო „სპრავედლივაია როსიას“ — 64, ჟირინოვსკის ლიბერალურად დემოკრატიულ პარტიას — 56. შესაბამისი პროგნოზი ბიულეტენების 96%-ის დამუშავების საფუძველზე გაკეთდა.

## ვაი ჭკუისაგან

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაირკვა, რომ თარგამაძე კანონიერი ქურდების დახმარებით სარგებლობდა. კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ გამოძიების დაწყებაც კი მოითხოვა იმის დასადგენად, თუ რა ურთიერთობა ჰქონდათ გივი თარგამაძესა და ერეკლე კოდუას უკრაინაში მცხოვრებ ქართველ კანონიერ ქურდებთან. იგი ამტკიცებდა, რომ პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე დონეცკში სადამკვირვებლო მისიასთან დაკავშირებით, კანონიერ ქურდებთან – გია ხმელიძესთან და ლაშა შუშანაშვილთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა.**

# «ზდრასტი, ასიოლ!»



**ვირობანას მხოლოდ «თავისუფლების ინსტიტუტში» როდი თამაშობენ, ვირის აბანოშიც შეიძლება, ოღონდ ვირობანასაც გააჩნია; «გრძელ ვირს» თარგამაძე ვერ გაქაჩავს, ისევ იმის თამაში მოუწევს, რასაც ხალხურად «ზდრასტი, ასიოლს» ეძახიან.**

**ტურისტული ჟინით განთქმულ სააკაშვილის ფონზე თითქმის არ ჩანს არანაკლებ მოსიარულე გივი თარგამაძის, იგივე „ვასილიჩის" ვირზე ამხედრებული ფიგურა. არადა, იგი თუ სააკაშვილზე მეტს არა, ნაკლებს ნამდვილად არ მოგზაურობს, თანაც მისი მოგზაურობა ყოველთვის რევოლუციურ იდეალებს უკავშირდება. მართალია, ბოროტი ენებით, საქართველოს გარეთ მას სერიოზული ბიზნესინტერესები აქვს, მაგრამ ძირითადად იგი მაინც „ფერადი რევოლუციის" ექსპორტით არის დაკავებული.**

ხან იულია ტიმოშენკოს ეხმარება, ხანაც ყირგიზ ხალხს. საქართველოს გარდა, იგი რევოლუციური მიღწევებით ვერსად დაიტრაბახებს, მაგრამ, სამაგიეროდ, ბიზნესს მაინც მიხედავს. მისი ინტერესების სფერო ვრცელია, იმაზე ვრცელი, ვიდრე მისი საბჭოთა სამშობლო. კაცი, რომელიც საკუთარ ხალხს სულის ამოხდით ემუქრებოდა, ამას ნელ-ნელა აკეთებს, თან ისე მოხერხებულად, რომ სამსახურში (პარლამენტში) სიარულიც არ სჭირდება. რამდენიმეჯერ ხელფასიც ჩამოაჭრეს, მაგრამ რას დაგიდევთ დეპუტატი თარგამაძე ხელფასს, როცა მის ხელში არაერთ მილიონს გაუვლია?!

აკი მისი ამასწინანდელი მეგობარი ლევან ბერძენიშვილი ამბობს: **„ელიტური კორუფციის მაგალითები ბევრმა ვიცით. მაგალითად, ვიცით, რომ გივი თარგამაძემ სწორედ კორუფციით ნაშოვნი ფულით აიშენა სამსართულიანი ტრიპლექსი"... მისი „დაუძინებელი მეგობარი" რეზო ამაშუკელი კი საკუთარი ბინის ფანჯრების დაბნელებას სწორედ გივი თარგამაძისა და მისი ძმის მიერ წამოჭიმულ კორპუსს აბრალებს.**

2009 წელს, როცა ქვეყანაში მორიგი პოლიტიკური კრიზისი მომწიფდა, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძეს ყველა იმ „ცუდი ბიჭის" გვარი გაახსენდა, რომელთაც რევოლუციამდე საკმაოდ კარგად იცნობდა: ლევან მამალაძე, კახა თარგამაძე, ასლან აბაშიძე, ლევან პირველი და ა.შ. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, თუ რატომ არავინ დასვა კითხვა: როგორ მოახერხეს ამ ადამიანებმა „ვარდების რევოლუციის" შემდეგ უპრობლემოდ ქვეყნის დატოვება? ეს ის დროა, როცა ახალი „რკინის მინისტრი" გია ბარამიძე იმუქრებოდა: „მოგვიღერებთ ჯოხს — გესვრით ავტომატს, გვესვრით ავტომატს — გესვრით ზარბაზანს", თავად გივი თარგამაძე კი, სააკაშვილის კარზე მოპოვებული უზარმაზარი გავლენის წყალობით, თითქმის ერთპიროვნულად წყვეტდა შევარდნაძის ხელისუფლების ყოფილ მაღალჩინოსანთა ბედს.

არსებობს „გონივრული ეჭვი", რომ სწორედ ბარამიძე-თარგამაძის დუეტი დაეხმარა მაშინ ყოფილ მაღალჩინოსნებს ქვეყნის დატოვებაში და არცთუ ალტრუისტული მოსაზრებით, – პირველი მილიონებიც სწორედ მაშინ „გაიჭრა", თუმცა იყო ლეგალური მილიონებიც. მაგალითად, მარაბდა-კარწახის რკინიგზის მშენებლობისთვის აუცილებელი მიწების შესაძენად გამოყოფილი 4 მილიონი ლარი ძველმა მეგობრებმა გაანაწილეს ვანო მერაბიშვილის მიერ 1996 წელს დაფუძნებული „მიწის მესაკუთრეთა ასოციაციის" გამგეობის სახელით. ასოციაცია კი დღემდე ამაყობს საკუთარი საპატიო წევრებით: ვანო მერაბიშვილით, ჯაბა ებანოიძით, გიგა ბოკერიათი, გივი თარგამაძით...

ლევან ბერძენიშვილი ფულის სიყვარულში ამხელს ყოფილ თანამებრძოლებს და პირდაპირ აცხადებს: **„როგორ არ უყვარდა! ვანო მოხერხებული კაცია და არასამთავრობო ფული იშოვა. ვფიქრობ, მაშინ „თავისუფლების ინსტიტუტი" დააფინანსა. „თავისუფლების ინსტიტუტს" სერიოზულად აფინანსებდა ჟვანია. გივი თარგამაძე ფულის ასაღებად ბატონ მაჭავარიანთან მიდიოდა".** მაშინ ჟვანიას და მაჭავარიანის დრო იყო და თარგამაძე მათთან დადიოდა, ახლა „მათი დროა" და თარგამაძე პარლამენტში ძვირი სანახავი გაუხდათ.

მოგვიანებით კახა თარგამაძე, რევოლუციამდელი შინაგან საქმეთა მინისტრი, იგონებდა: **„ეს ვაჟბატონი, თავისუფლების ინსტიტუტში რომ დარბოდა და ვირობანას თამაშობდა, გავაფრთხილე: ან გვარი გადაიკეთე, ან თავი დამანებე-მეთქი. ახლა, მგონი, მე უნდა გადავიკეთო გვარი! გივი თარგამაძე ყველაფერზე მიდის იმისთვის, რომ გავლენა და ბიზნესები შეინარჩუნოს".** გვარის გადაკეთება — არა, მაგრამ საქართველოს დატოვება კახა თარგამაძეს მაინც მოუწია, ხოლო მისმა მოგვარემ, გავლენასა და ბიზნესებთან ერთად, კანონიერ ქურდებთან ურთიერთობასაც მიჰყო ხელი.

„რევოლუციური ტურიზმის" ერთ-ერთი ეპიზოდი, რომელიც ყოფილმა სანიტარმა სამარცხვინოდ ჩააფლავა, უკრაინაში არჩევნებზე „კუნთმაგარი დამკვირვებლების" მივლინება იყო. მაშინ თვალნათლივ გამოჩნდა, რომ „ვარდისფერი რევოლუციონერების" მიერ შეთხზული მითი საკუთარი უძლეველობის შესახებ ბლეფი იყო. ჯერ იყო და, „ქვეყნის ხერხემალ" ვანო მერაბიშვილისა და გივი თარგამაძის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი გამოქვეყნდა, რომელშიც 1000 კაცის ტრანსპორტირებაზე თათბირობდნენ, მერე და მერე მათი რაოდენობა გაორმაგდა, ბოლოს კი მერაბიშვილმა ისეთიც თქვა, რაზეც ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში თანამდებობას ულაპარაკოდ დაატოვებინებდნენ: „ახალაიამ თქვა, რომ მებრძოლებს მოგვცემს. მათაც გამოგიგზავნი"!

**შემდეგ სხვა ჩანაწერებიც გახმაურდა და გაირკვა, რომ თარგამაძე კანონიერი ქურდების დახმარებით სარგებლობდა. კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ გამოძიების დაწყებაც კი მოითხოვა იმის დასადგენად, თუ რა ურთიერთობა ჰქონდათ გივი თარგამაძესა და ერეკლე კოდუას უკრაინაში მცხოვრებ ქართველ კანონიერ ქურდებთან. იგი ამტკიცებდა, რომ პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე დონეცკში სადამკვირვებლო მისიასთან დაკავშირებით, კანონიერ ქურდებთან – გია ხმელიძესთან და ლაშა შუშანაშვილთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა.** „ვარაუდები ადრეც არსებობდა, რომ საქართველოს ხელისუფლება რეალურად თანამშრომლობს კანონიერ ქურდებთან და მთელი ის საუბრები, თითქოს საქართველოში მიმდინარეობს ბრძოლა კანონიერი ქურდების წინააღმდეგ, არის მხოლოდ და მხოლოდ შირმა. რეალურად ხელისუფლება გეგმავს არა კანონიერი ქურდების, როგორც ინსტიტუტის აღმოფხვრას, არამედ ამ ინსტიტუტის დაქვემდებარებას მმართველი პარტიის ინტერესებისათვის. არსებობს არაერთი ფაქტი საქართველოს ხელისუფლებისა და ტარიელ ონიანის, აგრეთვე, სხვა კრიმინალური ავტორიტეტების თანამშრომლობის შესახებ. ლაშა შუშანაშვილი და გია ხმელიძეც ამ თვალსაზრისით გამონაკლისები არ არიან," – აცხადებდა კახა კუკავა.

**კანონიერი ქურდების გარდა, თარგამაძეს არაჯანსაღი ინტერესი ჩრდილოეთ კავკასიელების მიმართაც ჰქონდა. იგი, როგორც ეს ჭეშმარიტ რევოლუციონერს შეჰფერის, რუსეთის „შიგნიდან აფეთქებაზე" წავიდა. ამ მიზნით იგი საზღვარგარეთ მცხოვრებ დიასპორებს უკავშირდება. ჩეჩნები, ჩერქეზები, ინგუშები – მას ყველა გამოადგება ამ „კეთილშობილური" მიზნის მისაღწევად. ეგვიპტეში საქართველოს ელჩს იგი ვანო მერაბიშვილის კაბინეტიდან ესაუბრა: „მანდ ეგენი ბევრნი არიან, – ეგვიპტეშიც, სირიაშიც, ლიბანშიც... ნუ, პრინციპში, ლიბანში სხვა მხრიდან იმას ვიზამთ... ჩვენ ვაპირებთ, პარლამენტში მაგათი გენოციდის საკითხის გატანას"...**

ჩერქეზთა გენოციდზე რიხით მოსაუბრე ბოცო წიკლაურისა და შოთა მალაშხიას ნაცვლად ამ საკითხებს სწორედ გივი თარგამაძე აგვარებდა ტელეფონით, მაგამ გამოხდა ხანი და მან ფირფიტა გადააბრუნა. დღეს იგი ნელ-ნელა გვაპარებს: „ჩვენ უნდა გავუძლოთ პერიოდს, სანამ პუტინი არსებობს". **ჟურნალისტის შეკითხვაზე: რეალურად როგორია რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების პერსპექტივა? თარგამაძე პასუხობს: „პუტინის პირობებში ის არ არსებობს. თავის მოტყუება იქნება, ვთქვათ, რომ რუსეთის ყოფილ და მომავალ პრეზიდენტს ვინმე აიძულებს ჩვენთან მდგომარეობის ნორმალიზებას. ჩვენ უნდა გავუძლოთ პერიოდს, სანამ პუტინი არსებობს და როცა აღარ იარსებებს, ვეცადოთ, ეს ყველაფერი რაღაცნაირად დალაგდეს".**

ასე „რაღაცნაირად" ალაგებს ყველაფერს თარგამაძე, თუმცა რას ერჩით, არ გამოსდის? ჯერ იყო და რევოლუციამდე მთვრალმა (სიმთვრალე კი ცუდი აქვს) რიგითი პოლიციელი (ბედის ირონიით, გვარად დონაძე!) სცემა, შემდეგ გურამ შარაძეს მიაყენა შეურაცხყოფა, მაგრამ მისთვის ბუზიც არავის აუფრენია. იმდროინდელი სახალხო დამცველი, ნანა დევდარიანი იხსენებდა, როგორ მივიდა მაშინ მასთან შალვა რამიშვილი და გივი თარგამაძის უფლებების დაცვა სთხოვა. მისგან განსხვავებით, შალვა რამიშვილი ისე დააჭრინა ყოფილმა მეგობარმა თარგამაძემ, რომ წარბიც არ შეუხრია.

**ზოგადად, ამ ხელისუფლების ხელწერა ქურდულია, ოღონდ შემდეგი რედაქციით: „ამ ქვეყანაში ქურდიც მე ვარ, პროკურორიც და მოსამართლეც"! ამ ქურდული „გარჩევების" გამო თარგამაძეს კისერშიც მოხვედრია და კუთხეშიც მიუმწყვდევიათ, მაგრამ მისი ბიოგრაფიის კაცი ამისთვის მზად უნდა იყოს და არის კიდეც. 1985-1987 წლებში მას მეოთხე მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ბინაზე სასწრაფო მომსახურების ბიუროს სანიტრად უმუშავია, 1990-1991 წლებში – უროლოგია-ნეფროლოგიის ინსტიტუტის საოპერაციო ბლოკის სანიტრად. როგორც ჩანს, ეს სანიტრული გამოცდილება სამედიცინო კარიერისთვის აიტანა, მაგრამ შემდგომ მას ერთადერთი შეხება ჰქონდა მედიცინასთან 2003 წელს, როცა რევოლუციის წინ გამოთქმით განაცხადა: „მე, როგორც მედიცინის ყოფილი მუშაკი, გარწმუნებთ, ამ ხელისუფლებას გვამური ლაქები გაუჩნდა"!**

დღეს მას არათუ ლაქები, ამ ხელისუფლების მიერ გავრცელებული სუნიც აღარ აწუხებს. არც არის გასაკვირი, – იგი ხომ არც სანიტარია, არც ჟურნალისტი, არც „ენჯეოშნიკი" და არც პოლიტიკოსი! გივი თარგამაძე საკუთარ ოფიციალურ ბიოგრაფიაში უთითებს: სპეციალობა – ჟურნალისტი, კვალიფიკაცია – ეთნოგენეტიკოსი. გივი თარგამაძის შემხედვარე, რთული დასაჯერებელია, რომ იგი ლევ გუმილიოვის შესწავლით იყოს დაკავებული, მაგრამ ასეც რომ იყოს, მაშინ მას კარგად უნდა ესმოდეს, რომ, როგორც ეთნოსს, ისე ცალკეულ „ვასილიჩს" პასიონარული ბიძგით წარმოშობის შემდეგ აღმასვლის, გადახურების, მსხვრევის, ინერციის, ჩაქრობის და საბოლოოდ, ჰომეოსტაზის მდგომარეობაში გადასვლა მოუწევს. თუ მაინცდამაინც ტოინბის ფანია, მაშინ ეთნოსის (ცალკეული „ვასილიჩის") განვითარება იმ „გამოწვევებით" უნდა ახსნას, რომელიც გარედან, სხვა ეთნოსებიდან (სხვა „ვასილიჩებისგან") მოდის და რომელზეც წარმატებული პასუხის გაცემა შეუძლია.

**მაგრამ წარმატებები მხოლოდ სააკაშვილის „ხვედრია", ხოლო ჩვენს „ვასილიჩს" ისევ იქ მოუწევს დაბრუნება, საიდანაც დაიწყო: ვირობანას მხოლოდ „თავისუფლების ინსტიტუტში" როდი თამაშობენ, ვირის აბანოშიც შეიძლება, ოღონდ ვირობანასაც გააჩნია; „გრძელ ვირს" თარგამაძე ვერ გაქაჩავს, ისევ იმის თამაში მოუწევს, რასაც ხალხურად „ზდრასტი, ასიოლს" ეძახიან.**

**თამარ დავითულიანი**



**დღეს მას არათუ ლაქები, ამ ხელისუფლების მიერ გავრცელებული სუნიც აღარ აწუხებს. არც არის გასაკვირი, – იგი ხომ არც სანიტარია, არც ჟურნალისტი, არც «ენჯეოშნიკი» და არც პოლიტიკოსი!**

დაავადება სახელწოდებით „ნუგზარ წიკლაური“ უკვე აღიარეს საქართველოს ტერიტორიაზე ოდესმე დაფიქსირებულ ინფექციურ დაავადებათა შორის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათოდ. მის წარმომავლობას დაზუსტებით ვერავინ ადგენს, თუმცა მეცნიერთა ერთი ჯგუფი მას ცნობილი ვირუსის, „ზაზა ბეგაშვილის“ მუტირებულ შტამად მიიჩნევს და არცთუ უსაფუძვლოდ.

## დიაგნოზი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ავად არის, ავადა...



**პატივცემულო მკითხველო!
წარმოგიდგენთ რუბრიკას „დიაგნოზი“, სადაც შევეცდებით, ყოველკვირეულად გაგაცნოთ თანამედროვე „სამედიცინო-პოლიტიკური“ მიღწევები და სიახლეები. პირველ გამოშვებაში გთავაზობთ ახლადაღმოჩენილ, ძალიან საშიშ დაავადებას, რამაც უკვე შეძრა ქართველ მედიკოსთა (და არა მარტო მათი) გულები და სხვა ორგანოები. მეცნიერები უკვე მუშაობენ ამ სენის თერაპიის მეთოდებზე და იმედოვნებენ, რომ მისი გავრცელების არეალი საქართველოს ფარგლებს არ გასცდება.**

მაშ, ასე:

**„საქართველოს ჯანმრთელობისა და პოლიტიკური დემაგოგიისგან დაცვის სამინისტრო“ გაფრთხილებთ, რომ ნუგზარ წიკლაური საშიშია თქვენი ჯანმრთელობისთვის: ნუგზარ წიკლაური კლავს, იწვევს კიბოს და ორსულობის დროს საფრთხეს უქმნის ნაყოფის ჯანმრთელობას!**

დაავადება სახელწოდებით **„ნუგზარ წიკლაური“** უკვე აღიარეს საქართველოს ტერიტორიაზე ოდესმე დაფიქსირებულ ინფექციურ დაავადებათა შორის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათოდ. მის წარმომავლობას დაზუსტებით ვერავინ ადგენს, თუმცა მეცნიერთა ერთი ჯგუფი მას ცნობილი ვირუსის, **„ზაზა ბეგაშვილის“** მუტირებულ შტამად მიიჩნევს და არცთუ უსაფუძვლოდ.

## ესე იტყოდა ნუგზარატუსტრა...

**ძირითადი სიმპტომები: „ნუგზარ წიკლაურით“** დაავადებულ ადამიანს (თუ შეიძლება, მას ადამიანი ვუწოდოთ) აღენიშნება მკვეთრად გამოხატული განდიდების მანია. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია, როცა მას კომენტარის გაკეთებას სთხოვენ.

დროთა განმავლობაში „ნუგზარ წიკლაურით“ დაავადებულს აღენიშნება შუბლის ძარღვის ატროფია და საბოლოოდ სრული გაქრობა, რაც მის განდიდების მანიას აძლიერებს. ამ დროს სახეზეა ახალი სიმპტომი — **უზრდელობა**, რის შედეგადაც პაციენტი ხდება აგრესიული, ზედმეტად ამბიციური, ივიწყებს საკუთარ წარმომავლობას, თავს მიიჩნევს დიდგვაროვან დიდებულად, რაც აშკარად რეალობის აღქმის დარღვევითაა გამოწვეული და ძლიერი ჰალუცინაციური აღგზნების ნიადაგზე ვითარდება.

ასეთ დროს დაავადებული ძალზე ადვილი სამართავი ხდება. საკმარისია, მას ვინმეზე მიუთითო და ისიც ავტომატურად იწყებს მის ლანძღვას. განსაკუთრებულ აგრესიას მასში წარმატებული, მდიდარი და საზოგადოებაში მაღალი სტატუსის მქონე პიროვნებები იწვევენ. სნეული მათ „მდაბიოს“ უწოდებს, რითაც თავისი წარუმატებლობისა და უნიათობის კომპენსირებას ცდილობს, თანაც თავის ილუზორულ დიდგვაროვნებას უსვამს ხაზს.

**„ნუგზარ წიკლაურის“** ერთ-ერთი ძირითადი სიმპტომია დემაგოგია: ავადმყოფი გამუდმებით ამტკიცებს, რომ მაწონი შავია, ხოლო ნუგზარ (ბოცო) წიკლაურის გული — თეთრი, ბროწეულის ყვავილი ულამაზოა, ეკა ხერხეულიძე — ვარდივით ლამაზი, თამრიკო ჭოხონელიძე უნიჭოა, ხოლო ნინა წკრიალაშვილი — ნიჭიერი, სიმონ მასხარაშვილი — ისტორიკოსი, ვერა ქობალია — ეკონომისტი, მაია ასათიანი — მსუქანი, კახა ბენდუქიძე — გამხდარი, რომ ქართულ სასამართლოსა და ტელეკომპანია „იმედს“ შეგიძლია ენდო, ხოლო ხელის მუხრუჭსა და (ჯვარი აქაურობას) კუბოს სახელურებს მაინც ნუ ენდობით, რომ სოსო ცინცაძე ექსპერტია, ხოლო გია ხუხაშვილი — შარლატანი, რომ თბილისის ანძა ეიფელს სჯობია, ხოლო ბათუმი — ნიცას. ამ არასრული ჩამონათვალიდან ნებისმიერის შემჩნევისას დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ავადმყოფის იზოლირება და უნდა მიმართოთ მკურნალ ექიმს.

## ამაოების ნუგზარი

**გამომწვევი მიზეზები: „ნუგზარ წიკლაურის“** გამომწვევი ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით დაუდგენელია. ზოგი მეცნიერი მას რევოლუციის გვერდით მოვლენად მიიჩნევს, ზოგიც იმას, რომ ავადმყოფი რევოლუციამდე საკუთარ თავს არარაობად თვლიდა და შრომის წიგნაკი პირველად გახსნა პარლამენტში ან მაღალ სამთავრობო პოსტზე დანიშვნისას.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით კი, **ნუგზარ (ბოცო) წიკლაურის** მთავარი პრობლემა არასრულფასოვნების კომპლექსის ფონზე განვითარებული განდიდების მანიაა.

**რისკ-ჯგუფი: „ნუგზარ წიკლაურით“,** ძირითადად, ხელისუფლების მიერ დაფასებული ადამიანები ავადდებიან, რომელთაც მანამდე ღირებული არაფერი გაუკეთებიათ, და ასევე ხალხი, რომელთაც მხოლოდ პარტიული კუთვნილების გამო მიიღეს თანამდებობა ან ჰგონიათ, რომ მიიღეს თანამდებობა.

**დაავადების პრევენცია: „ნუგზარ წიკლაურის“** თავიდან ასაცილებლად ზრუნვა ადრიდანვე, ბავშვობიდან უნდა დაიწყოთ. კერძოდ: დაუშვებელია ბავშვის ხშირი ცემა, საშინელი ზღაპრების მოყოლა, კუთხეში დაყენება და ყვირილი. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რასაც „მძიმე ბავშვობა“ ჰქვია, დროთა განმავლობაში **„ნუგზარ (ბოცო) წიკლაურად“** შეიძლება გადაიქცეს.

გაცილებით რთული მდგომარეობაა სკოლის პერიოდის ბავშვებში. სასკოლო პროგრამას გადამწყვეტი როლი ენიჭება დაავადების პრევენციაში.

ყოვლად დაუშვებელია სასწავლო პროგრამიდან აგიოგრაფიული ნაწარმოებების, პატრიოტული ლირიკისა და „ვეფხისტყაოსნის“ ამოღება, ასევე მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების ჩანაცვლება პაპსავიკებით, ხოლო პაპსავიკებისა — ერეკლე დეისაძით. ყურადღება უნდა მიექცეს კლასგარეშე საკითხავ ლიტერატურასაც. არ გირჩევთ მარიო პიუზოს ჩანაცვლებას გოჩა მანველიძით. გაითვალისწინეთ, რომ ამ ყველაფრის უგულებელყოფის შემთხვევაში ჩვენ 10-15 წელიწადში **„ნუგზარ (ბოცო) წიკლაურების“** თაობას მივიღებთ და, ფაქტობრივად, ეპიდემიის საშიშროების წინაშე ვდგავართ!

**საინკუბაციო პერიოდი: „ნუგზარ წიკლაურის“** საინკუბაციო პერიოდი შეადგენს 3 თვეს. თუ დასნებოვნებიდან 3 თვეში არ მოხდა მისი განკურნება, შემდეგ დიდი შანსია, რომ ქრონიკულ ფორმაში — **„ნუგზარ წაკლაურში“** გადავიდეს, რასაც მომავალ არჩევნებამდე ველარ მოიშორებთ.

**მკურნალობა:** დღესდღეობით არსებული მეთოდებიდან „ნუგზარ წიკლაურის“ წინააღმდეგ საბრძოლველად ყველაზე ეფექტურია მისი სრული იგნორირება ჟურნალისტების მხრიდან. ფარმაკოლოგიური მკურნალობა ჯერჯერობით კვლევის ეტაპზეა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „წიკლაურისგან“ განკურნებისთვის ყველაზე კარგი დრო 4 წლის შემდეგ დგება. ამ დროს, საკმარისია, მიხვიდეთ უახლოეს საარჩევნო უბანზე და სწორი არჩევანი გააკეთოთ. ამ მეთოდის შედეგად „ნუგზარ წიკლაური“ თავს დაგანებებთ და მისგან სამუდამოდ დაისვენებთ!

ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ!

**სპეციალურად „საქართველო და მსოფლიოსთვის“**

**„პოლიტიკურ დაავადებათა“ მკურნალი,**

**დოქტორი ნოდარ ჯაუსი**

# ტელეკომპანია «გურია» ჩხარტიშვილმა იყიდა

**ბოლო დღეებია, ოზურგეთში საზოგადოება აქტიურად საუბრობს იმის შესახებ, რომ ტელეკომპანია „გურია“ ბიზნესმენმა ვანო ჩხარტიშვილმა შეიძინა.**



აღნიშნულ საკითხზე „გურია ნიუსი“ ტელეკომპანია „გურიას“ აღმასრულებელ დირექტორს, ავთო გველებიანს და დირექტორს, ზურაბ გობრონიძეს ესაუბრა. ავთო გველებიანის თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტური არ არის.

ტელეკომპანია „გურიას“ დირექტორმა ზურაბ გობრონიძემ კომენტარისგან თავი შეიკავა.

**„არ ვიმყოფები ოზურგეთში, ქუთაისში ვარ. ამ დღეებში დაგიკავშირდებით და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გესაუბრებით. ეს სატელეფონო საუბრის თემა არ არის,“** — განაცხადა გობრონიძემ გამოცემასთან სატელეფონო საუბარში.

შეგახსენებთ, რომ ჩხარტიშვილი ბადრი პატარკაციშვილის პარტნიორი იყო ტელეკომპანია „მზეში“, თუმცა მოგვიანებით ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ „მზე“ მისი საკუთრება იყო და პატარკაციშვილი არაფერ შუაშიაო. 100-მილიონიანი ქონების პატრონ ჩხარტიშვილის ინტერესები ტელეკომპანია „მაესტროსთან“ დაკავშირებითაც გამოიკვეთა.

# ქუთაისი — ახალი ვენეცია

**ქუთაისის ცენტრალურ და პერიფერიულ ქუჩებში, ზამთრის მოახლოებასთან ერთად, ტროტუარებზე სიარული თითქმის შეუძლებელი ხდება. აღნიშნულ ადგილებზე რამდენიმე წლის წინ მთლიანად შეიცვალა გზის საფარი, თუმცა სანიაღვრე ზოლი ასფალტით დაფარეს. წვიმიან და თოვლიან ამინდში პატარა საოჯახო ნავი უთუოდ გაჭირვების ტალკვესი იქნებოდა. იმის გამო, რომ ბორდიურებიდან გადმოსული წყალი სამანქანო გზაზე თითქმის ნახევრამდეა, სამარშრუტო ტაქსის მძღოლები იძულებულნი არიან, მგზავრების მოთხოვნა შეასრულონ და შუა ქუჩაში გააჩერონ, რათა მგზავრს დატბორილ ქუჩაზე არ მოუხდეს ჩამოსვლა.**

**„თითქმის ყოველ წუთში მიწევს საგზაო წესების დარღვევა. წვიმის დროს ქუჩებში წყალი დგას, აქედან გამომდინარე, მეცოდება მგზავრები, როგორ გავუჩერო მგზავრს ამ ყინვაში მუხლამდე წყალში მანქანა, იძულებული ვარ, შუა ქუჩაში გავაჩერო და იქ ჩავიდეს ან ამოვიდეს მგზავრი“,** — განუცხადა გაზეთ P.S.-ს ერთ-ერთი ტაქსის მძღოლმა.

უკმაყოფილებას გამოხატავენ და დროზე რეაგირებას მოითხოვენ თავად მგზავრებიც. **„ხედავთ, სამი ბავშვი მახლავს, ავტობუსში რომ ჩავმჯდარიყავი, ჩემს თავს არ დავეძებდი, დამისველდა ფეხი და ორი ბავშვი ხელში ავიყვანე, მესამეს კი, ხედავ, როგორ დაუსველდა ფეხი? სკოლაში მიმყავს, წელამდე „ვალინკებს“ ხომ არ ჩავაცმევ?“,** — აცხადებს ქუთაისის მკვიდრი ზინა ჩხეტიანი.

**„ამ ზამთარში რომ აყარეს მოედანზე ფილაქანი, კი ხედავთ, როგორაა ამ ოღროჩოღროებში შექუჩებული ტრანსპორტი და რა დღეში არიან მოქალაქეები. ამ ხელისუფლებას დროის და ამინდის შეგრძნება არა აქვს, შავი ჯიპებიდან ხელის გადმოყოფაც ეზარებათ, წვიმა და თოვლი რომ განასხვაონ! თეატრის წინ მოცურებულმა ავტობუსმა კინაღამ გამიტანა. თავისთვის რომ მეშველა, გადავხტი და მუხლამდე წყალში ვტუცე ცალი ფეხი. ა, ბატონო, ასე ტყლაპა-ტყლუპით მივდივარ სახლში!“** — რეზინის ჩექმებზე იხედება ხნიერი მამაკაცი.

კეთდება თუ არა რაიმე ამ პრობლემის მოსაგვარებლად და იგეგმება თუ არა ქალაქის ქუჩებში სანიაღვრე ზოლების მოწესრიგება, ამის თაობაზე **მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსს ლევან ჭანჭალეიშვილს** მივმართეთ.

**„წყალი, დაგეთანხმებით, მეტ-ნაკლებად, ნამდვილად დგება ქალაქის სხვადასხვა ქუჩასა და ტროტუარზე. ჭავჭავაძის გამზირზე, ბენზინგასამართ სადგურ „ლუკოილთანაც“ არის აღნიშნული პრობლემა, სანიაღვრე ჭის მოწყობა 65 ათასი ლარი ჯდება, თანხას არ გამოვყოფთ მხოლოდ იმიტომ, რომ სულ ცოტა ხანში მანდ ველობილიკი უნდა გაკეთდეს და მთლიანად აიყრება ბორდიური, მანდაც მოუწევს გადაკეთება. მეორე, ეს არის ჭავჭავაძისა და ნიკეას ქუჩის გადაკვეთაზე, სადაც ბორდიურების რეკონსტრუქციის დროს მოხდა წყლის შეგუბება, თუმცა მოველაპარაკეთ ფირმას და სრულიად უანგაროდ მოაგვარებს აღნიშნულ პრობლემას“,** — აცხადებს კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ლევან ჭანჭალეიშვილი.

სანამ კეთილმოწყობის სამსახური სათანადო თანხებს გამოყოფს და სანიაღვრეებს გააკეთებს, ქუთაისში საერთო სურათი ასეთია: სველი ჩექმები და რიგები აფთიაქში.

**გაზეთი P.S.**

რეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალმოჩნდა, რომ იმ ერთ კონკრეტულ ობიექტზე (რომელსაც შეგნებულად არ ვასახელებ) 23 ნოემბერს, სწორედ იმ დღეს, როცა სააკაშვილმა გამზირის გახსნა იზეიმა, ასი მუშიდან ოთხმოცი გაუთავისუფლებიათ და მხოლოდ ოცი დაუტოვებიათ. თანაც იმ ოთხმოცი მუშისთვის ხელფასიც არ მიუციათ და უთქვამთ, ზედმეტი აყალმაყალი არ გაგვაგონოთ თორემ ასე და ისეო. მოკლედ, ხალხი ისე დაუშინებიათ, რომ ვერც ერთმა მათგანმა ხმის ამოღება და პროტესტის გამოხატვა ვერ გაბედა.**

# ყველა გიჟს — თითო ქალაქი?



**ეს უკვე კლინიკური შემთხვევაა. ასეთ დროს ექიმები მხრებს იჩეჩავენ და შეწუხებული სახით ამბობენ, – პაციენტი უიმედოა და მკურნალობას აღარ ექვემდებარება. განდიდების მანიით შეპყრობილი პრეზიდენტი ბოლომდე იხარჯება და ახალ-ახალ იდეებს გვთავაზობს, რომელთა განხორციელება არამხოლოდ უტოპია, არამედ სერიოზული განგაშის საფუძველია.**

ზუგდიდში, დადიანების სასახლესთან შეკრებილ მოსახლეობას სააკაშვილმა ახალი ინიციატივა გააცნო: ანაკლიასა და ყულევს შორის ახალი ქალაქი — ლაზიკა აშენდება. თურმე, დიდი ხანია, ამ გეგმაზე მუშაობენ და ახლა დადგა დრო, გრანდიოზული მშენებლობა წამოვიწყოთ. ლაზიკა დასავლეთ საქართველოს მთავარი სავაჭრო, ეკონომიკური და ბიზნესცენტრი გახდება და მთავარი ცენტრის ფუნქციას შეიძენს შავი ზღვისპირეთის მასშტაბით.

**ლაპარაკის ეშხში შესულ პრეზიდენტს ზუგდიდელები გაოცებით უყურებდნენ და არაფერს პასუხობდნენ. დაცვას რომ მიეშვა, ყველაზე გულჩვილები, ალბათ, თავზე მზრუნველად გადაუსვამდნენ ხელს და ეტყოდნენ – „И тебя вылечат...“**

**კვალიფიციური სპეციალისტების დახმარება მართლაც სჭირდება უავგუსტესს. აბა, სხვა რა შეიძლება შესთავაზო განვითარებადი ქვეყნის პრეზიდენტს თავისი მილიონამდე ღატაკითა და 9 მილიარდამდე ვალით, როცა თავდაჯერებული ამბობს, რომ 10 წელიწადში ააშენებს თბილისის შემდეგ სიდიდით მეორე ქალაქს, მინიმუმ, ნახევარ მილიონიანი მოსახლეობით.**

სააკაშვილმა დრო შესანიშნავად შეარჩია ახალი ინიციატივის გასახმიანებლად. ახლა მისი აღარავის სჯერა და ხალხის გაბითურებას კვლავაც „ჰაეროვანი“ იდეებით ცდილობს. არავინ ეკითხება, როგორ, რა სახსრებით, რა საშუალებებით აპირებს ჭაობზე ქალაქის აშენებას და თანაც 10 წელიწადში! შედარებისთვის: 14 წელიწადია, ასტანას აშენებენ გაშლილ ვაკეზე, ყაზახეთის დედაქალაქის ბიუჯეტი კი საქართველოს ბიუჯეტზე ორჯერ მეტია. იქაც ნახევარ მილიონს გადააჭარბა უკვე მოსახლეობამ და ულამაზესი ცათამბჯენებია აღმართული 700 კვადრატულ კილომეტრზე.

ჰკითხავენ და პასუხიც მზად აქვს: **უკვე დაწყებულია მოლაპარაკებები რამდენიმე მსხვილ საინვესტიციო ჯგუფთან აზიასა და ევროპაში. პრეზიდენტმა სააკაშვილმა კარგად იცის, რომ ანაკლიასა და ყულევს შორის რამდენიმე ათეულ კვადრატულ კილომეტრზე სიდიდით მეორე, ნახევარმილიონიანი ქალაქის აშენებას ისეთივე პერსპექტივა აქვს, როგორც მის სრულად განკურნებას.**

უიმედო საქმეა მშენებლობაც და განკურნებაც, მაგრამ გარემოცვა ამას საიმედოდ უმალავს. უფრო მეტიც, ნუგზარ წიკლაურმა თქვა, ლაზიკის მშენებლობაში ლაზი ინვესტორები დიდ თანხებს დააბანდებენო. ვერ ვიტყვი, რომ წიკლაური სრული დეგენერატია, მასზე უფრო უიმედონიც ბევრნი არიან „ნაცმოძრაობაში“, მაგრამ სააკაშვილის ყველა ახირებისთვის გამართლების მოძებნის მისეულ მცდელობებს სხვა ახსნას ძნელად თუ მოუძებნი ადამიანი და ჩვენც სამედიცინო ტერმინოლოგიით დავკმაყოფილდეთ. მისი ლოგიკით, თბილისს სახელი უნდა გადავარქვათ და ვუწოდოთ „არაბიკა“ — საუკუნეების მანძილზე საქართველოს დედაქალაქს არაბები მართავდნენ და იქნებ მათაც ჩადონ ინვესტიციები „ყოფილი თბილისის“ ასაღორძინებლად...

ხუმრობა იქით იყოს და, თუკი ახალი ქალაქის დაფუძნების გეგმაზე დიდხანს მუშაობდნენ, ვიღაცა „პატრონ-მყვარებელმა“ არ უნდა უთხრას პრეზიდენტს, რომ ტარანი თვლითაა და რამდენიმე ათეულ კვადრატულ კილომეტრზე ნახევარმილიონიანი ქალაქის აშენება სისულელეა? არ უნდა უთხრას, რომ ამ ქალაქს შესაბამისი ინფრასტრუქტურა — საავადმყოფოები, სკოლები, საბავშვო ბაღები, სურსათის თუ სხვა მაღაზიები, კვების ობიექტები და კიდევ ათასი რამ სჭირდება?

**პრეზიდენტ სააკაშვილს ოცნებაში ხელს ვერავინ შეუშლის და ჩვენც ვერას გავაწყობთ, მაგრამ მის გარემოცვას არ ადარდებს, რომ ხალხი ამ ადამიანს, რაც დრო გადის, კიდევ უფრო სულელად აღიქვამს?**

სხვაგვარად როგორ უნდა შეფასდეს მისი ინიციატივა, როცა **პრეზიდენტმა ისიც კი არ იცის, რომ კოლხეთის ჭაობი უბრალო ჭაობი არ არის და ორი საერთაშორისო კონვენცია იცავს, როგორც უნიკალურ რეფუგიუმს.** არც ის იცის, რომ ტორფზე ქალაქის აშენება ძალიან რთულია. და, რაც მთავარია, შავი ზღვა ტრანსგრესიის, ანუ ბუნებრივი, ციკლური აწევის ფაზაშია. ამას ემატება მყინვარების დნობა მთელ პლანეტაზე, რაც ასევე ზემოთ წევს ოკეანეების დონეს. სავარაუდო ლაზიკის ადგილი 0-დან -5 მეტრამდეა, ანუ ზღვის დონეზე დაბლაა. პლანეტას თავისი ციკლები აქვს და ამას ვერ გაექცევი. **არც ის იცის, რომ კოლხეთის ჭაობი მარტო ბაყაყები და მალარია არ არის. გარდა იმისა, რომ სახეობათა წარმოქმნის ადგილია, ასევე გამყინვარების პერიოდს გადარჩენილი უბანი** (სწორედ ამიტომ არის ის რეფუგიუმი — კლიმატური ცვლილებები არ შეხებია) **და ასევე ჩრდილოეთ ევროპიდან გადმომფრენი ფრინველების დასასვენებელი ადგილია. არ იცის და არც უნდა გაიგოს, რომ ამ ჭაობების დაშრობით, ფაქტობრივად, ევროპის დიდ ნაწილს ვუქმნით ეკოლოგიურ საფრთხეს.**

ეს ჩემი, როგორც ჟურნალისტის დასკვნა კი არა, კვალიფიციური ბიოლოგის ვასო გაბუნიას ინფორმაციაა და, თუ თვითონ არ იცის, სხვისი მაინც არ უნდა ესმოდეს ქვეყნის პრეზიდენტს?

კარგი, ვთქვათ აზიელები დათანხმდნენ სააკაშვილის ოცნების ხორცშესხმას, ევროპელებიც ისე გაგიჟდებიან, რომ საკუთარი ხელით გამოიჭრიან ყელს?

მოკლედ, ჩვენი საქმე ცუდად, ძალიან ცუდად არის და, თუ დროზე არ ვუსაშველეთ, პაციენტის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. აი, მერე კი უკვე რეალობად იქცევა ჩემი კოლეგის, ინგა ჩახვაშვილის გაკვირვებით ნათქვამი: **„ყველა ქალაქს ერთი გიჟი უნდა ჰყავდესო, გამიგონია, მაგრამ ყველა გიჟს თუ თითო ქალაქი შეეძლო ეშენებინა, ეგ აღარ ვიცოდი!“**

**ბონდო მძინარაშვილი**

# დაღმაშენებელს მუშებიც აგინებენ

**23 ნოემბერს, „ვარდების რევოლუციის“ მერვე წლისთავზე, სააკაშვილმა განახლებული აღმაშენებლის გამზირი გახსნა და თითქმის საათნახევრიან ისტერიულ მონოლოგში პლეხანოვი მეორე შანზ ელიზედ წარმოგვიდგინა, — „მინდა მოგილოცოთ ის, რომ ჩვენი პლეხანოვი, ჩვენი აღმაშენებელი, რომელიც ჩემთვის ძალიან ახლობელია, არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა ასე ლამაზად და ბრწყინვალედ წარმოდგენილი თბილისში. ჩვენ თბილისს ჩავბერეთ ახალი სიცოცხლე, ძირითადი პერსპექტივები განახლდა ისე, როგორც არასდროს არ ყოფილა,“ — სწორედ ამ სიტყვებით მიმართა იმ დღეს „ნაცმოძრაობის ბელადმა“ საზოგადოებას და იქვე დასძინა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში თურმე სიღარიბე 52%-დან 17%-მდე შემცირებულა...**




ცხადია, სააკაშვილის ამ მორიგ შიზოფრენულ გამოსვლაში შთამბეჭდავი და მით უფრო განსაკუთრებული არაფერი ყოფილა, რომ ამ თემას ორი კვირის შემდეგ ხელახლა მივბრუნებოდი, მაგრამ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთ სოციალურ ქსელში წავაწყდი მოქალაქის კომენტარს, რომელიც წერდა, რომ აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციაზე დასაქმებულ ათასამდე მუშახელს ორი თვის ხელფასი დღემდე არ მიუღია, რაზეც მერია, უბრალოდ, დუმს და განმარტებას არ იძლევა.

„საქართველო და მსოფლიო“, ბუნებრივია, დაინტერესდა ამ საკითხით და გასულ კვირას გამზირზე მუშები პირადად მოვინახულე. ადგილზე მისულს ქუჩაში ჯგუფ-ჯგუფად მდგომი ასობით უკმაყოფილო მოქალაქე დამხვდა. როგორც აღმოჩნდა, უკვე თვეებია, ისინი მერიისგან კუთვნილი ჯამაგირის მიღებას ამაოდ ელიან.

ჩემი მხრიდან მაქსიმალური მცდელობის მიუხედავად, ვერც ერთი მათგანი ინტერვიუზე ან თუნდაც მოკლე კომენტარზე ვერ დავითანხმე; მეტიც, როგორც კი ვუთხარი, კორესპონდენტი ვარ გაზეთიდან და იქნებ დამელაპარაკოთმეთქი, გამერიდნენ და ჩემგან, როგორც „საფრთხისგან“, თავი შორს დაიჭირეს. ზოგმა საერთოდ უარყო, რომ ხელფასი არ მიუღიათ, ზოგმაც პირდაპირ მითხრა, ველოდებით, ჯერ კიდევ იმედი გვაქვს, რომ მოგვცემენ, რომ დაგელაპარაკოთ, შეიძლება საერთოდ მშრალზე დაგვტოვონო.

ბოლოს, როცა დავრწმუნდი, რომ ინტერვიუზე არც ერთი მუშა არ დამთანხმდებოდა, ოდნავ მოშორებით სხვა ობიექტებთან მივედი და იქ მყოფ მუშებს თავადაც მუშად გავეცანი — სამუშაოს ვეძებ და მაინტერესებს, აქ რა პირობებია-მეთქი. ამის თქმა და ერთმა შუახნის კაცმა, რომელიც იქვე, ხარაჩოზე კედელს ლესავდა, ირონიულად გადმომძახა, — აქ რა სამუშაოს იშოვი, ვინც იყო, ისინიც აღარ სჭირდებოდათ და დაითხოვესო. **აღმოჩნდა, რომ იმ ერთ კონკრეტულ ობიექტზე (რომელსაც შეგნებულად არ ვასახელებ) 23 ნოემბერს, სწორედ იმ დღეს, როცა სააკაშვილმა გამზირის გახსნა იზეიმა, ასი მუშიდან ოთხმოცი გაუთავისუფლებიათ და მხოლოდ ოცი დაუტოვებიათ. თანაც იმ ოთხმოცი მუშისთვის ხელფასიც არ მიუციათ და უთქვამთ, ზედმეტი აყალ-მაყალი არ გაგვაგონოთ, თორემ ასე და ისეო. მოკლედ, ხალხი ისე დაუშინებიათ, რომ ვერც ერთმა მათგანმა ხმის ამოღება და პროტესტის გამოხატვა ვერ გაბედა...** ამის შემდეგ დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში ულუკმაპუროდ დარჩენილი მუშები ქუჩაში იდგნენ და ელოდნენ, როდის გამოიჩენდა ხელისუფლება მოწყალებას, მაგრამ ამაოდ, — კუთვნილი ხელფასები მათ დღემდე არ მიუღიათ და, როგორც დასაწყისში აღვნიშნე, არც მერიისგან მოუსმენიათ ამასთან დაკავშირებით რამე ახსნა-განმარტება.

ერთი სიტყვით, ბევრი რომ არ გავაგრძელო, სააკაშვილის ავტორიტარულმა რეჟიმმა ათასამდე გაჭირვებული, ფაქტობრივად, სიღატაკის ზღვარზე მყოფი მოქალაქე საკუთარი შიზოფრენული ამბიციების დასაკმაყოფილებლად თვეობით ამუშავა, გამოიყენა და ბოლოს, როგორც იტყვიან, ხახამშრალი დატოვა, თანაც ამ გამწარებულ, მშიერ-მწყურვალ და შეურაცხყოფილ მოქალაქეებს იმის „შანსიც“ არ დაუტოვა, რომ გამოსულიყვნენ და გული პროტესტის გამოხატვით მაინც ეჯერებინათ. „არმაშენებელმა“ სააკაშვილმა, რომელიც 23 ნოემბერს, აღმაშენებლის გამზირის სილამაზით ამაყობდა, იმავე აღმაშენებლის გამზირის აღმდგენი და გამლამაზებელი მოქალაქეები პირშიჩალაგამოვლებული დატოვა უკიდურესად გაძვირებული ყოფისა და უჩვეულოდ ცივი ზამთრის პირისპირ.

სხვათა შორის, ზემოთ პროტესტის გამოხატვა ვახსენე და, ერთადერთი ფორმა, რითაც „ნაცების“ მიერ პირშიჩალაგამოვლებული მუშები ამას ახერხებენ, სამშენებლო ობიექტებზე — შენობების კედლებზე ცნობილი საპროტესტო ლოზუნგების დატოვებაა. ერთ-ერთ შენობაზე თავადაც უხვად წავაწყდი ისეთი შინაარსის წარწერებს, როგორიცაა, მაგალითად, „მიშას რა“, „გვშია“, „ნუ გვატყუებთ“ და ა. შ. არაფერს ვამბობ უკმაყოფილების გამომხატველ იმ „პორნოგრაფიულ“ გამოსახულებებზე, რომლებიც ასევე უხვადაა მშენებარე ფასადებზე დატოვებული...

მოკლედ, როგორც ხედავთ, სააკაშვილის ხელისუფლებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ თითოეულ მოქალაქეში, მათ შორის კალატოზში, ხუროსა და მებათქაშეში ლოზუნგების ავტორი, დაუოკებელი მეამბოხე გააღვიძა. ასე რომ, „ნაცმოძრაობის მამამთავარს“ ურჩევნია, არჩევნები აღარ გააყალბოს და თავისი გზით წავიდეს, თორემ ერთ მშვენიერ დღეს კეფაში ან ქაფჩა, ან თარაზო, ან გონიო მოხვდება, სხვა, უფრო მძიმე, ბლაგვ და, შესაბამისად, მეტი ზიანის მომტან სამშენებლო ხელსაწყო-იარაღებზე რომ არაფერი ვთქვათ...

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. დასასრულ, ისევ სააკაშვილის სიტყვები მოვიგონოთ: „შემდეგ ორ წელიწადში უნდა აშენდეს იმაზე მეტი, ვიდრე გასულ ხუთ წელში. ესაა ჩვენი ვალდებულება, სხვა შანსი არ გვაქვს, სხვანაირად ვერ გამოვძვრებით მსოფლიო პროცესებიდან და იმ პრომბლემებიდან, რომლებსაც საქართველოს უქმნიან“.**

**მარტივად რომ ვთქვათ, ამით სააკაშვილმა მიგვანიშნა, რომ მომდევნო ორ წელიწადში იმაზე მეტი მუშა შეიძლება დარჩეს პირშიჩალაგამოვლებული, ვიდრე წინა წლებში. თანაც, მისი თქმით, ეს ყველაფერი გარდაუვალია. ასე რომ, ისღა დაგვრჩენია, თითოეულ მუშას გამძლეობა ვუსურვოთ.**

ბანკი ქართუ
CARTU BANK

კლიენტებს, რომლებსაც ჰქონდათ ჩვენი სესხი, „აღმოუჩინეს“ ასი ათასობით ლარის საბიუჯეტო დავალიანება. საკანონმდებლო ცვლილებამ ბიუჯეტს მისცა უფლება, დააყადაღოს მოვალე ორგანიზაციის ქონება და არ გაითვალისწინოს, რომ ეს ქონება სხვაგან, ამ შემთხვევაში, ჩვენთან გირაოდ არის ჩადებული. გაყიდიან იმ ქონებას, დაფარავენ კლიენტთან „შეთანხმებულ“ საბიუჯეტო მოთხოვნას, ჩვენ კი არაუზრუნველყოფილი სესხი დაგვრჩება.

ნაც-ტერორი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნოდარ ჯავახიშვილი:

# განხორციელდა უხეში სადამსჯელო ოპერაცია «ბანკ ქართუს» წინააღმდეგ




**„ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა ინტერვიუსწინა საუბარში თქვა, რომ არაფერს ისე არ ვაკეთებ, წინასწარ არ გავიაზრო, რისთვის და რატომ ვაკეთებო.**

**სასტარტო წინადადებად ეს სიტყვები გამოვიყენე და ვკითხე:**

**— ბატონო ნოდარ, „ბანკი ქართუს“ ხელმძღვანელობის გუშინდელ განცხადებაში ისეთი შეშფოთება გაქვთ ჩადებული, იძულებული ვარ, გკითხოთ, საჯაროდ რატომ გაამჟღავნეთ, რომ თქვენი პრაგმატული ბუნება აფორიაქდა, თქვენი და „უნერვო“ ბანკის? ხმა ახლა მაინც აღიმაღლეთო, მიმართავთ საბანკო დაწესებულებებს, უფლებადამცველ ორგანიზაციებს, „უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლობებს საქართველოში“, „ბანკ ქართუს“ წინააღმდეგ მიმართული და პოლიტიკურად მოტივირებული სახელისუფლო ტერორის, უკანონობისა და უსამართლობის წინააღმდეგ.**

**რა ხდება, ბატონო ნოდარ?**

— შეშფოთება იმან გამოიწვია, რომ, როგორც ჩანს, ამ აღვირახსნილობას საზღვარი არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო საქმეში კარგად ვარ გარკვეული, ახლო ურთიერთობა მქონდა დასავლეთის წამყვან ბანკებთან, ბანკირებთან და ასე შემდეგ, ჩემი წარმოდგენები არ ეტევა იმ ქმედებაში, რასაც ხელისუფლება ჩვენ წინააღმდეგ განახორციელებს.

მაგალითად, ვშიშობდი, რომ შეეძლოთ, არ დაეკმაყოფილებინათ ჩვენი მოთხოვნა და ბანკებისთვის არაოფიციალურად აეკრძალათ ჩვენთვის ნაღდი ფულის გამაგრების ოპერაცია, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ დააყაჩაღებდნენ ჩვენს საინკასაციო მანქანას. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო მსოფლიო საბანკო სისტემის ისტორიაში.

ბატონ ბიძინას განცხადების მეორე დღესვე დაიწყო ზეწოლა ჩვენი ბანკის კლიენტურაზე — გაიტანეთ თანხები ამ ბანკიდან, ოღონდ დატოვეთ სესხებიო, რის შესახებაც მე არაერთხელ განვაცხადე ქართული საზოგადოებრიობის გასაგონად.

**— რას ნიშნავს „სესხების დატოვება“?**

— ჩვენთან მოდიოდა ინფორმაცია, რომ ჩვენს მოვალეებს ჰპირდებოდნენ სესხების ჩამოწერას. მეცინებოდა, როგორ უნდა ჩამოეწერათ?! ეს არ არის ჭორის დონე, საქმის კურსში ჩვენი კლიენტები გვაყენებდნენ.

მეცინებოდა იმიტომ, რომ წარმოუდგენელი იყო: სუფთა გირაო გვაქვს ჩადებული, უზრუნველყოფილი ყველაფრით. შარს ვერ მოგვდებდნენ.

მაგრამ, როცა მიიღეს სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონში ცვლილებები და მოაყოლეს ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, მივხვდი, ვალების ჩამოწერა არ იყო ჰაერზე ნათქვამი. დავდექით ფაქტის წინაშე, რომ **კანონი, მისი უსამართლოდ გამოყენების შემთხვევაში იძლევა სესხების ჩამოწერის უფლებას (!) რაღაც ოდენობით მაინც. ამ შემთხვევაში არც კლიენტი დაზარალდებოდა, სახელმწიფოც იშოვიდა რაღაცას და მხოლოდ ჩვენ დავრჩებოდით ჩაწიხლულები.**

ავტეხეთ ამაზე ერთი ამბავი და... არ გამოგვეხმაურა არც ერთი ბანკი(!), მარტო ჩვენ კი არა, საკუთარ თავს არ დაუჭირეს მხარი. კი მოუქონეს წინასწარ თავი, თქვენს წინააღმდეგ კანონში ცვლილებებს არ გამოვიყენებთო, მაგრამ ვინმეს რამის გარანტია შეიძლება ჰქონდეს საქართველოში?!

ხმა არავინ ამოიღო. არც საბანკო ასოციაციამ არ გააკეთა არანაირი განცხადება. მოგვიანებით კი თქვეს რაღაც, მაგრამ უკან მიდევნებულ ლამპარს სწორი გზა ვისთვის გაუნათებია?!

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიც გაყუჩდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათთან შეხვედრებიც მქონდა და დეტალურად ავუხსენი, რა საშიშროებასაც შეიცავდა აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები.

**სამწუხაროდ, ძალიან მალე აგვიხდა ის, რის შესახებაც ვლაპარაკობდი: განხორციელდა უხეში სადამსჯელო ოპერაცია „ბანკ ქართუს“ წინააღმდეგ. წინა კვირაში ორისამი დღის განმავლობაში ჩვენ მიერ გაცემული სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი, დაახლოებით ერთი მეხუთედი ჩვენი საერთო პორტფელისა, დაგვიტოვეს უზრუნველყოფის გარეშე.**

**— ეს რას ნიშნავს?**

— კლიენტებს, რომლებსაც ჰქონდათ ჩვენი სესხი, „აღმოუჩინეს“ ასი ათასობით ლარის საბიუჯეტო დავალიანება. საკანონმდებლო ცვლილებამ ბიუჯეტს მისცა უფლება, დააყადაღოს მოვალე ორგანიზაციის ქონება და არ გაითვალისწინოს, რომ ეს ქონება სხვაგან, ამ შემთხვევაში, ჩვენთან გირაოდ არის ჩადებული. გაყიდიან იმ ქონებას, დაფარავენ კლიენტთან „შეთანხმებულ“ საბიუჯეტო მოთხოვნას, ჩვენ კი არაუზრუნველყოფილი სესხი დაგვრჩება.

ვიცოდით, რომ აამოქმედებდნენ ამ ჩვეულ სქემას. რა ქნეს, იცით? სუფთა ორგანიზაციის, რომელსაც ბიუჯეტის დავალიანება არ ჰქონდა, ქონება (მაშასადამე, გირაო და სესხიც) აყიდინეს იმავე ბიზნესჯგუფის სხვა კომპანიას, რომელსაც, აგრეთვე, ჰქონდა ჩვენი სესხი და ბიუჯეტის ვალიც.

**— ე. ი. თქვენ დაკარგეთ სესხიც და გირაოც?**

— დიახ. სწორედ იმ მაქინაციის შედეგად, რაც პარლამენტს მიაღებინეს და ჩვენ წინააღმდეგ განახორციელეს.

**— რისთვის დასჭირდათ ეს ყველაფერი?**

— მთავარი მიზანი არის ის, რომ ბანკში შემოიყვანონ დროებითი ადმინისტრაცია. ამისთვის, სხვა საკითხებთან ერთად, აუცილებელია, რომ ბანკი არ ასრულებდეს დაკისრებულ ნორმატივებს. გამოვა, რომ მე კი არ უნდა ვმართო ბანკი, არამედ ეროვნული ბანკის მიერ შერჩეულმა პიროვნებამ. ეს კი ნიშნავს, რომ ბიძინა ივანიშვილის დაფუძნებულმა ბანკმა უნდა იმუშაოს არა მისი, არამედ ვიღაც სხვისი მითითებების შესაბამისად.



აქ არის სხვა სპეციფიკური დეტალები, რომლებითაც, მოდით, ნუ გადავღლით თქვენს მკითხველებს.

**— ზარალის შესახებ იტყვით რამეს?**

— დაახლოებით ასი მილიონის ქონებაზე იყო ყადაღა დადებული, სამოცდაათი მილიონი ჩვენი სესხია, რომელიც უპერსპექტივო გახდა.

იმასაც გაგახსენებთ, რომ კლიენტებზე ზემოქმედების შედეგად 45 მილიონი გაედინა ბანკიდან.

**— ვინ გეგმავს ამ ყველაფერს? ის ბიჭი ხომ არა, პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე შენიშვნა რომ მოგცათ, პოლიტიკურ განცხადებებს ნუ აკეთებთო?**

— გადაწყვეტილების მიღებაში, თუ როგორ უნდა ებრძოლონ „ბანკ ქართუს“, მონაწილეობს საგადასახადო სტრუქტურები და ეროვნული ბანკი. „ჯგუფური შემოქმედების“ მიუხედავად, დაშვებულია სისხლის სამართლის დანაშაულის ელემენტები, რაც საშუალებას გვაძლევს, ვიჩივლოთ სასამართლოში. ვამზადებთ სარჩელს საკონსტიტუციო სასამართლოში წარსადგენად. სახეზეა კერძო საკუთრების ხელყოფა!

**— კვლავ კერძო საკუთრების ხელყოფა! ამაზე ხომ ადრეც ლაპარაკობდნენ, თანაც კატეგორიულად, საერთაშორისო ორგანიზაციები?**

— ლაპარაკობდნენ, მაგრამ ამას რეალური ზომები არ მოჰყოლია. განცხადებაც არ გაუკეთებიათ, რომ ეს უკანონობაა და უსამართლობა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძალიან პატარები ვართ, ის, რაც გააკეთეს, მაინც ნეგატიურად იმოქმედებს მსოფლიო ბაზარზე. ძალიან ცუდი პრეცედენტია. მაშინ, როცა მათ უზარმაზარი ფული აქვთ დახარჯული ქართული საბანკო სისტემის შესაქმნელად და ასამუშავებლად, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდს კრიზისის შემდეგ 500 მილიონი აქვს ჩადებული ქართულ ბანკებში, ძნელი წარმოსადგენია, არ აინტერესებდეთ ის, რაც ჩვენთან ხდება.

სანამ პროცესი მომწიფდებოდა, ველაპარაკე, მომისმინეს, გაოცდნენ, თითქოს შეშფოთდნენ კიდეც და — მორჩა. ახლა, როცა ფაქტი სახეზეა, ჩემთან შესახვედრად ვერ მოიცალეს (!), თითქოს ამაზე უფრო მნიშვნელოვანი სხვა რამ ხდება საქართველოს საბანკო სექტორში.

რახან სხვა გამოსავალი არ დაგვიტოვეს, ჩვენ ვცდილობთ, მათი ხელმძღვანელები ვაშინგტონში ჩავაყენოთ საქმის კურსში. ჩემი აზრით, მათი აქაური წარმომადგენლობა ამ ეტაპზე ნამდვილად არ გამოხატავს მსოფლიოში ყველასთვის საპატივცემულო ორგანიზაციების პოზიციას. როგორც ჩანს, მათ არ აქვთ დეტალური ინფორმაცია, ვერ აფასებენ სიტუაციას.

## «ბატონ ქადაგიძეს ამაოდ ჰგონია, რომ ნოდარ ჯავახიშვილის გაჩერება თითის დაქნევით შეიძლება, ისე, როგორც სხვა ბანკები გააჩერეს»

**— და მაინც, მათი ჩუმად ყოფნა ნიშნავს, რომ ისინი ხელისუფლების მხარეს იჭერენ?**

— ასე ნუ ვიტყვით, ამ შემთხვევაში გაჩუმება ნიშნავს, რომ უსამართლობის და უკანონობის მხარეს არიან.

**— აქვთ კი ასეთი უსამართლობის აღკვეთის საშუალება?**

— საერთაშორისო სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს აქვს უამრავი ფინანსური ბერკეტი. მე მგონი, ორ მილიარდამდე დოლარი სესხი აქვთ საქართველოში ჩადებული. მათ შეუძლიათ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, რომელსაც ვერც ერთი ქვეყნის ხელისუფლება ვერ გაექცევა. დეფოლტიც კი შეუძლიათ გამოუცხადონ ქვეყანას. ამას, ალბათ, არ გააკეთებენ, მაგრამ ყურში ხელის წავლების შესაძლებლობა ნამდვილად აქვთ.

**— როგორ რისკავენ ეს ჩვენი ხელისუფალნი?!**

— არ იცოდა ჩვენმა ხელისუფლებამ, რა ელოდა ცხინვალში? იცოდა, მაგრამ რაღაც უფრო დიდი მიზანი ამოძრავებდა.

**— ოღონდ მე გადავრჩე და ქვეყანა წყალსაც წაუღიაო?**

— ეს, დიდი ხანია, ცნობილია. აქ სხვა პრობლემაა. თვლიან, საშიშროება, რომელიც ბიძინა ივანიშვილისგან მოდის, უფრო დიდია, ვიდრე საშიშროება, რომელიც შეიძლება საერთაშორისო საზოგადოებიდან დაემუქროს.

**— ვთქვათ, დარჩით საკუთარი თავის ანაბარა და გაკოტრდა ბანკი.**

— არ გააკოტრებენ. შემოიყვანენ თავიანთ ადმინისტრაციას და თავიანთ ჭკუაზე მართავენ. ჩვენს კლიენტებს პრობლემებს არ შეუქმნიან, არ ათქმევინებენ, რომ მათი შემოსვლის შემდეგ გაუარესდა მომსახურება, მაგრამ თავიდან ბოლომდე გააკონტროლებენ ყველა ოპერაციას და განახორციელებენ ისეთ პოლიტიკას, რომელიც, როგორც მინიმუმ, ბატონ ბიძინას ინტერსებში არ იქნება. სავსებით შესაძლებელია, რომ „ქართუ“ საწინააღმდეგო ქმედების ფორპოსტიც აღმოჩნდეს.

მაგრამ ბატონ ქადაგიძეს ამაოდ ჰგონია, რომ ნოდარ ჯავახიშვილის გაჩერება თითის დაქნევით შეიძლება, ისე, როგორც სხვა ბანკები გააჩერეს.

**— ქადაგიძე, უკაცრავად, ვინ არის?**

— **ეროვნული ბანკის პრეზიდენტია, ის და მისი ვიცეპრეზიდენტი ბატონი ნადარაია მეუბნებიან, რომ განცხადებები შეწყვიტე, თორემ ამას გიზამთ და იმას გიზამთო. ვუპასუხებ, რომ მაქვს ამის უფლება, კეთილი ინებეთ და ჩაეტიეთ კანონით მონიჭებული უფლებების ჩარჩოში! მე რა განცხადებას გავაკეთებ, ეროვნული ბანკის საქმე არ არის! ტყუილად ჰგონია ბატონ ქადაგიძეს, რომ მაგის სურათს დავიკიდებ კაბინეტში.**

მე ვიცავ კორპორაციულ ინტერესებს, ვარ ბანკის მმართველი, შენ ამ ბანკს ებრძვი და აქცევ და ხმაც არ ამოვიღო?! ბოდიშს ვიხდი. ეს იმას ჰგავს, მოძალადე მსხვერპლს აუპატიურებდეს და აიძულებდეს „იფ, იფ“ იძახეო...

**— ამ ბანკს ჰყავს დამფუძნებელი და პატრონი. მისი რეაქცია როგორია?**

— შესაძლებელია, რომ ახალი მოძრაობისთვის უფრო მომგებიანი იყოს, თუ ბატონმა ბიძინამ არ გააგრძელა ბრძოლა ამ ბანკისთვის. თუმცა არ ვიცი და მით უფრო დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ თავისი სამშობლოსთვის ბოლომდე საბრძოლველად რომ მზად არის, ეს ერთმნიშვნელოვანია.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ნაციონალებმა“ მიაღწიეს იმას, რომ უკვე ღიად და დაუფარავად ახდენენ დარგების მონოპოლიზებას, რაც ქართველი ხალხისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საარსებო წყაროს წარმოადგენს, მონოპოლიზებულ სექტორებში ფასები კი მაღალ სახელისუფლო კაბინეტებში რეგულირდება.

# ნაციონალური ცხრიანი

ბოლო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა ფასები პირველადი მოხმარების საქონელზე როგორც საცალო, ისე საბითუმო ბაზრებზე. ფასები გაიზარდა ასევე ტრანსპორტზე და ყველაფერზე, რაზეც კი შეიძლებოდა. ფასების მატებას ეკონომიკის ექსპერტები ქვეყანაში სამომხმარებლო ბაზრის მონოპოლიზებით ხსნიან.

„მორჩა, დამთავრდა კორუფციის ამბავი და აღარ უნდა ვეძებოთ იქ, სადაც ის არ არის. დაიმახსოვრეთ, ჩვენ არა ვართ შევარდნაძის მთავრობის წევრები, რომლებიც კორუფციას ეკეკლუცებოდნენ,“ — ეს იმ პრეზიდენტის სიტყვებია, რომლის პრეზიდენტობის პერიოდში „ნაციონალებმა“ მიაღწიეს იმას, რომ უკვე ღიად და დაუფარავად ახდენენ დარგების მონოპოლიზებას, რაც ქართველი ხალხისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საარსებო წყაროს წარმოადგენს, მონოპოლიზებულ სექტორებში ფასები კი მაღალ სახელისუფლო კაბინეტებში რეგულირდება.

„იმ პირობებში, როცა საქართველოში კორუფცია აღარ არის, მთავარ პრობლემას გადაწყვეტილებების მიღებისას „გაჭედვა“, ბიუროკრატია, ქაღალდომანია და თანამდებობრივი ტკბობა წარმოადგენს. მართალია, ეს ბევრგან აღმოიფხვრა, მაგრამ ყველა სამინისტროსა და სახელმწიფო უწყებაში ბოლომდე უნდა გადაიჭრას,“ — აცხადებს პრეზიდენტი.

მაშინ, როცა ქვეყანაში ამდენი უმუშევარი, სოციალურად დაუცველი და მიუსაფარი ადამიანი ცხოვრობს, „საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა, გაერკვია, როგორ ცხოვრობს „ნაცელიტა“. საერთო სურათმა მოლოდინს ნამდვილად გადააჭარბა, თუმცა ეს კიდევ არაა სრული სია იმ ბიზნესებისა, რომელთაც ხელისუფლების წარმომადგენლები ასე საგულდაგულოდ მალავენ. კომპანიების უმრავლესობა მათი ახლობლების სახელზეა დარეგისტრირებული, მაგრამ ბევრი ფიქრი არ სჭირდება იმას, რეალურად ვინ დგას ამა თუ იმ ბიზნესის უკან. მაშ ასე, გთავაზობთ 9 ნაციონალის ბიზნესების სიას.



## დავით კეზერაშვილი — თავდაცვის ყოფილი მინისტრი:

მისი ცოლის, სოფო ჩიქოვანის ძმა — 26 წლის დიმიტრი ჩიქოვანი აგვისტოს ომამდე ცოტა ხნით ადრე ოფშორში ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული კომპანიის „ბლექ-სთაილის“ წარმომადგენელი გახდა საქართველოში. კომპანია მალევე გახდა საქართველოში გარე რეკლამის მონოპოლისტი. მისი დაფუძნებულია კომპანია „outdoor.ge“ , სადაც 70%-იანი წილის მფლობელია. თვის მხრივ, ამ კომპანიის დაფუძნებულია კომპანია „აუთდორ მონიტორსი“, სადაც 100%-იანი წილის მფლობელია. ეს უკანასკნელი აფუძნებს „აუთდორ ლიფტს“, სადაც 50%-ს ფლობს, რომლის მეწილე კეზერაშვილის მეგობარი კახა ნინუა ბოკერიას ქვისლია. „აუთდორ ლიფტის“ დაფუძნებულია „აუთდორ ტრანსპორტი“, რომელიც 50%-იანი წილით „აუთდორ ტრანსპორტ ედვერთაიზინგს“ აფუძნებს. გარდა ამისა, „outdoor.ge“ 20%-იანი წილის მფლობელია კომპანია „სამკუთხედში“, რომლის დირექტორიც დიმიტრი ჩიქოვანია, დამფუძნებელი კი „რუსთავი 2“-ის დირექტორი გოგი გეგეშიძე. „ბლექ სთაილის“ დაფუძნებულია ასევე კომპანია „აუთდორ ტოპოგრაფი“, სადაც 75%-იანი წილის მეპატრონე გოგი გეგეშიძეა. კეზერაშვილის ცოლისძმის კომპანია ასევე მეწილეა (70%-ით) კომპანია „ვაით დისტრიბიუშენში“. ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია აფუძნებს ასევე „ბიესემჯორჯიას“. სულ 11 კომპანიაა, რომელთა უკან კეზერაშვილი დგას.

2008 წლიდან კომპანია „უნი გრუპის“ მეწილეა. კომპანია „ლუკოილის“ საწვავის ექსკლუზიური დისტრიბუტორია. „უნი გრუპს“ სხვადასხვა დროს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები: 2011 წლის 22 თებერვალს ჯანმრთელობისა და სოციალური დახმარების ცენტრთან, რომლის ღირებულებაა 8480 ლარი; 2011 წლის 15 მარტს განათლების სამინისტროსთან — 224050 ლარი; 2011 წლის 22 თებერვალს უზენაეს სასამართლოსთან — 197850 ლარი; 2011 წლის 23 თებერვალს ტელერადიო ცენტრთან — 78005 ლარი; 2011 წლის 25 თებერვალს სახელმწიფო-სამხედრო ტექნიკურ ცენტრ „დელტასთან“ — 36000 ლარი; 2011 წლის 1 აპრილს ზოოპარკთან — 26366 ლარი; 2011 წლის 15 მარტს ფინანსთა სამინისტროსთან 137 330 ლარი; 2011 წლის 28 თებერვალს თბილისის მერიასთან — 20412 ლარი; 2011 წლის 1 მარტს ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან — 134 069 და 22568 ლარი; 2011 წლის 25 თებერვალს ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრთან — 10176 ლარი; 2011 წლის 17 თებერვალს მეცნიერებათა აკადემიასთან — 24849 ლარი; 2011 წლის 17 თებერვალს საქართველოს იუსტიციის საბჭოსთან — 67200 ლარი; 2011 წლის 25 თებერვალს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან — 112056 ლარი; 2011 წლის 28 იანვარს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან — 73500 ლარი; 2011 წლის 23 თებერვალს ბოლნისის მუნიციპალიტეტთან — 84000 ლარი; 2011 წლის 23 თებერვალს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან — 9029 ლარი; 2011 წლის 11 თებერვალს უშიშროების საბჭოსთან — 82468 ლარი; 2011 წლის 14 იანვარს ტყიბულის მუნიციპალიტეტის კომუნალურ გაერთიანებასთან — 153530 ლარი; 2011 წლის 17 იანვარს ეკონომიკის სამინისტროს ერთიან სატრანსპორტო ადმინისტრაციასთან — 19977 ლარი; 2011 წლის 24 იანვარს ტყიბულის მუნიციპალიტეტთან — 79200 ლარი; 2011 წლის 24 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლოსთან — 152000 ლარი; 2011 წლის 17 იანვარს ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის საქვეუწყებო დაწესებულებებთან — 20000 ლარი; ჯამში მოგებული ტენდერებიდან კომპანიაში შესულმა თანხამ მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში 1 მილიონ 823 ათას 915 ლარი შეადგინა.

კეზერაშვილს მოიაზრებენ იარაღით უკანონო ვაჭრობაშიც. იგი ამ ბიზნესში სააკაშვილის ბიძასთან, თემურ ალასანიასთან ერთადაა.



## ძმები ბეჟუაშვილები — გელა ბეჟუაშვილი, საგარეო დაზვერვის უფროსი და დავით ბეჟუაშვილი, დეპუტატი:

აფხაზეთის ომის შემდეგ, მარშალის კუნძულებზე დარეგისტრირებული კომპანია „ჩემექსიმ ინტერნეიშენალი“ რობერტ ბეჟუაშვილს ეკუთვნის. ეს კომპანია თავის მხრივ ფლობს კომპანია GIG group-ს. მასში კი შემდეგი კომპანიები შედის: „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“, „გარდაბნის თბოელექტროსადგური“, „საქართველოს ნახშირი“ (საქართველოში ნახშირის საბადოების ერთპიროვნული მფლობელია), „ინტერტრანსი“ (რკინიგზით შემოსული კონტეინერების მომსახურება), „გლობალ ტრანსი“ (საქართველოში მიმდინარე მშენებლობებში აქტიურად მონაწილეობს); „ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა“; „ინდუსტრია კირი“; „დურნუკის ღორღი“; „ორბი“; „ტიფლისი-სიტი“; „ბიზნეს-ცენტრი საბურთალო“; „ოფიცერთა სახლი“; „ბიზნეს-ცენტრი ჯიქიას ქუჩა“; „ბიზნეს-ცენტრი დელისი“; „ბიზნეს-ცენტრი ყაზბეგის №47“; „ა კლასის ბიზნეს-ცენტრი ლერმონტოვის ქუჩაზე“; „სასაწყობო მეურნეობა აგლაძის ქუჩაზე“, ელიავას ბაზრობა; საცხოვრებელი კომპლექსი ბათუმში („სანსითი“); მანგლისის სამთო კურორტი (მიწა 14 ჰექტარი); გუდაურის სამთო-სათხილამურო კურორტი (მიწა 4 300 კვმ); ბაკურიანის სამთო-სათხილამურო კურორტი (მიწა 12000 კვმ);

ეს GIG-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ჩამოთვლილი კომპანიებია, თუმცა არსებობს 24 კომპანია, რომლებიც პირდაპირ და ირიბად უკავშირდება ბეჟუაშვილების ბიზნესს. შპს „ქართული ღორღი“; „იჯიესი“ (50% — სახელმწიფო, 50% — GIG group); ტელეკომპანია „რუსთავი 2“ (30%); ტელეკომპანია „პირველი სტერეო“ (65%); ტელეკომპანია „მზე“ (45%); თავის მხრივ, „პირველი სტერეო“ ტელეკომპანია „ტოპტვ“-ის 100%-ს ფლობს; „ნანოტესტი“; „კასპიცემენტი“ („რუსთავცემენტი“, „მელიზა“, „კავკასიატრანსი“, „კარიერინვესტი“); „საქცემენტი“ (საქმშენი 100%); „ვაიმაქს ჯორჯია“ (51%); „ჰაიდელბერგ ჯორჯია“; „ჰაიდელბერგ ბეტონ ჯორჯია“; ბეჟუაშვილების ინტერესი იკვეთება ასევე რიყეზე „ბუდა ბარის“ მშენებლობაშიც.



## გიორგი უდესიანი — საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:

„კუს ტბა პალასის“ დირექტორი, მეწილე, „იოლის“ მეწილე; რუსთავის ავტობაზრობა (მიწა 33 374კვმ); ავჭალაში ყოფილი შუშის ქარხნის ტერიტორიაზე კომპანია „თბილისი ლოჯისტიკ პარკი“, რომლის (სავარაუდო ღირებულება 30 მილიონი დოლარი, მიწა — 14 ჰექტარი) მშენებლობის დასრულების შემდეგ, კომპანია მოემსახურება როგორც საავტომობილო, ისე სარკინიგზო ტვირთებს.



## გიგა ბოკერია — უშიშროების საბჭოს მდივანი:

სამშენებლო კომპანია „არტ-იქს“-ის მფლობელია ბოკერიას ცოლის და, რომელსაც ალმაშენებლის რეაბილიტაცია დაევალა. კომპანია „არკ სტუდია“, მფლობელი ლევან ბოკერია. ტელეკომპანია „საქართველო“, ასევე გიგა ბოკერიას ქვისლს, კახა ნინუას ეკუთვნის. ჟურნალი „ტაბულა“ — თამარ ჩერგოლეიშვილი. თბილისის მეტროში განთავსებული სარეკლამო ბილბორდების ბიზნესი; უკრაინიდან არმატურისა და რკინა-ბეტონის რეალიზაციის ბიზნესი.

ნაც-რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# არჩილ გეგენავა, კახა დამენია, რომან ფიფია: ანგარიშები კვიპროსზე, ლონდონში, სინგაპურში, შვეიცარიაში; კავშირი ცნობილ საბჭოთა აფხაზ ფეხბურთელთან და ბიზნესმენთან ახრიკ ცვეიბასთან და გაყიდულ საფეხბურთო თამაშებთან. ყველაფერი ეს ერთ ადამიანამდე მიდის — რეზო შარანგიამდე, სააკაშვილთან დაახლოებული ეს ბიზნესმენი სახელდება ყველა აღნიშნული პოლიტიკური და ბიზნესგარიგებების იდეის ავტორად.



## გივი თარგამაძე — თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე:

სამშენებლო კომპანიები და გზების მშენებლობის ბიზნესი – „ბლექ სი გრუპი“, რომელიც თარგამაძის დეიდაშვილს — ამირან მამუჩაძეს ეკუთვნის, „ელიავას ბაზრობის“ წილის მეპატრონე; საბაჟო საქმიანობაში მისი ძმის სახელიც ფიგურირებს. თვეში 5000 დოლარად მფარველობდა არჩილ გეგენავას ბიზნესს.



## ძმები რურუები:

მათი სახელი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გაყიდვაში ფიგურირებს; პიკასოს „ცისფერი ქალი“, ვან გოგის „მამის პორტრეტი“, ბრილიანტები, შუამდინარეთის ოქროს ქანდაკებები და მილიონებად შეფასებული სხვა ძვირფასეულობა, რომლებიც ერაყიდან ქურთების პროვინციისა და აზერბაიჯანისა და თურქეთის გავლით საქართველოში უნდა შემოსულიყო. გარიგება პიკასოს და სალვადორ დალის ნახატებს ეხებოდა, რომელთა საერთო ღირებულება 47 მილიონ ევროს შეადგენდა, თუმცა გაირკვა, რომ მოგებამ 22 მილიონი ევრო შეადგინა. თუმცა მყიდველ ქალბატონს შუამავალმა ზაზა ჯაფარიძემ თანხა არ დაუბრუნა და უთხრა, რომ მის უკან ჯარი იდგა. შემდეგ გაირკვა, რომ ამ გარიგების შესახებ საქმის კურსში იყო ამჟამინდელი კულტურის მინისტრი ნიკა რურუა. გასაყიდი ნახატების თანხის გადამრიცხველ ბანკად „სილკ როუდ ბანკი“ დასახელდა, რომელიც გიორგი რამიშვილის საკუთრებაა. ცნობილია, რომ რურუები და რამიშვილი ახლო მეგობრები არიან.

ბიზნესი შპს „გრეკო“, რომლის 100%-იანი წილის მფლობელი კომპანია „გრეკო ჯგუფი საქართველოა“, რომლის მფლობელი ასევე გიორგი რურუაა. შპს „ბესტი“-ს მოწილე, „გრანდი“, „ორი წუთი“. ექსკლუზიური ბიზნესის რიგებში შევიდა თბილისის იპოდრომი და ჟოკეი კლუბი.





## გიორგი რამიშვილი, იგივე «ზარალა» — «სილქ როუდ გრუპის» თავმჯდომარე, ყოფილი «ვერის საძმოს» წევრი, ძმებ რურუების მეგობარი:

„სილქ როუდ გრუპი“ — მეწილე, რომელსაც ეკუთვნის „სილქნეტი“, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ (65 ბენზინგასამართი სადგური, 9 გაზგასამართი სადგური, 4 სამრეცხაო, „ვისოლის“ გაზი მოსახლეობისთვის, ქუთაისის საფეხბურთო კლუბი „ტორპედო“, „ვისოლგაზი“ – შეკუმშული გაზით მომარაგება, ავიასაწვავის ბაზრის მოთამაშე, ყულევის, ბათუმის, ფოთის პორტებში შემავალი გემების ბუნკერინგი).

„რადისონ ბლუ ივერია“, უძრავი ქონების კომპანია „დი ესი“ (ტელეგრაფის შენობა – ღირებულება 50 მილიონი დოლარი; ტურისტული კომპლექსი ქობულეთში, სასტუმრო „მესხეთი“ ბათუმში, „ბათუმი რივიერა“, „რადისონ ბლუ ბათუმი“, საცხოვრებელი კომპლექსი „საქანელა“, რომლის აშენების შემდეგ ზემელი თბილისში, ფაქტობრივად, აღარ იარსებებს; ქობულეთში სასტუმრო „ჩირალდანი“, „ჰორიზონტი“, სანატორიუმი „ქობულეთი“, „ტალღა“, ტურბაზა „ქობულეთი“, „მწვანე კონცხი“, „კრისტალი“, „ჩაქვი“, „მახინჯაური“, „მზიური“, „კოლხიდა“, „ნარინჯი“, „ნიავი“), წინანდლის კომპლექსი, „საქართველოს ტელეკომი“, რომელშიც 2005 წელს თითქმის მთელი საქართველოს რეგიონალური კავშირგაბმულობა გაერთიანდა. „სმარტი“ — სუპერმარკეტების ქსელი; „ბითიეი სილქ როუდ ბანკი“.



## შარანგიები: ლორენცო შარანგია, შვილები — მერაბ შარანგია, რეზო შარანგია, ლევან შარანგია, შოთა შარანგია

მიხეილ სააკაშვილისა და შარანგიების დაახლოება სააკაშვილის კიევში ცხოვრების დროს დაიწყო. მისი უახლოესი მეგობარი და ჯგუფელი, ვისთანაც ის ცხოვრობდა, გახლდათ ვინმე გია ყარამანაშვილი, რომლის დაც, ნატა ყარამანაშვილი არის რევაზ შარანგიას მეუღლე.

შარანგიები მამის კომუნისტური წარსულის და მოსკოვში ქართული კრიმინალური კლანის წყალობით აფხაზეთიდან წამოსვლის შემდეგ მალევე დადგნენ ფეხზე. მოსკოვში ლორენცო შარანგიას სახელზე რეგისტრირებული კომპანიის საქმიანობაში მითითებულია: საცალო ვაჭრობა, საშუამავლო მომსახურება, რეკლამა.

ისევ მოსკოვი, ამჯერად სხვა კომპანიის დირექტორად მერაბ ლორენცოს ძე შარანგია სახელდება. რაც შეეხება საქმიანობას, ის საკმაოდ მრავალფეროვანია, სპეციალიზირებული ტექნიკის შეძენა-მონტაჟით დაწყებული, სატრანსპორტო გადაზიდვებით დამთავრებული.

„საქართველოს რკინიგზა“, „ლიბერთი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „კავკასუს ონლაინი“, „თბილისის წყალი“, დეზერტირების ბაზარი, „სოკარი“, „სახალხო აფთიაქი“, „თბილისი ცენტრალი“, რიყის ტერიტორია, „ბილაინი“, „საქართველოს ლატარეის კომპანია“, „ნუგეში“, „ჯი ემ სის რესტორნების ქსელი“, „შემოიხედე, განაცვალეს“ ქსელი, „იაპონური რესტორანი“ „სი თი პარკი“, „თბილისის ტაქსი“, სამარშრუტო ტაქსები, ბათუმის „ინტურისტი“.

არჩილ გეგენავა, კახა დამენია, რომან ფიფია: ანგარიშები კვიპროსზე, ლონდონში, სინგაპურში, შვეიცარიაში; კავშირი ცნობილ საბჭოთა აფხაზ ფეხბურთელთან და ბიზნესმენთან ახრიკ ცვეიბასთან და გაყიდულ საფეხბურთო თამაშებთან. ყველაფერი ეს ერთ ადამიანამდე მიდის — რეზო შარანგიამდე, სააკაშვილთან დაახლოებული ეს ბიზნესმენი სახელდება ყველა აღნიშნული პოლიტიკური და ბიზნესგარიგების იდეის ავტორად.

ის არის არა მარტო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესმენი ამ ქვეყანაში, არამედ „ძლიერთა ამა სოფლისა“ პირველი ოცეულის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პერსონაც.



## არჩილ გეგენავა — დეპუტატი:

43 კომპანია მის გვარს უკავშირდება. შპს „მეგაფუდს“, სადაც გეგენავას ძმაა მეწილე, 100-მილიონიანი კონტრაქტი აქვს თავდაცვის უწყებასთან. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გაფორმებულია 1 მილიონ 655 ათას 900-ლარიანი კონტრაქტი; იგივე კომპანია ზრუნავს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმრების კვებაზე. ასევე სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამახურეთა და დროებით იზოლატორში მოთავსებულ პატიმართა კვებაზეც. შპს „ფუდსერვისი“, სადაც ისევ არჩილ გეგენავას ძმის სახელი ფიგურირებს (ხელშეკრულება აქვს გაფორმებული რუსთავის ბაგა-ბაღებთან, ქუთაისის ბაღების გაერთიანებასთან; „ემ გრუპი“, სადაც 50%-იანი წილი აქვს გეგენავას ძმას, მასში სხვადასხვა რესტორანი და კვების ობიექტები შედის; ასევე ყვარლის ტბის კომპლექსი და საკონდიტრო კომპანია „ემ თეიქი“; სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ-კოლეჯი; საჯარო რეესტრში აღნიშნული კომპანიის მფლობელებზე ინფორმაცია არ არსებობს.

გეგენავა ჩანს ვაკის ხორცპროდუქტების ქარხანაშიც, სადაც დეპუტატის ძმას 15%-იანი წილი აქვს, ასევე აქვს ამ კომანიაში 25%-იანი წილი „ჰოლდინგ ჯის“. საკვები პროდუქტების კომპანია „ჰორეკაშიც“ გეგენავების წილია. საკვები პროდუქტებისა და ალკოჰოლური სასმელების რეალიზებას უკავშირდება კიდევ 13 კომპანია. „კოლხი ბიზნეს ჯგუფის“ დამფუძნებელი დეპუტატი გეგენავაა, სადაც ახლა მეწილეები მისი მეგობრები არიან. „პროგრეს ჯგუფში“, სადაც გეგენავები 20%-ს ისედაც ფლობდნენ, შემდგომში მინისტრ რურუას ძმამ, გიორგი რურუამ დამატებითი წილი დაუთმო უკვე „ემ გრუპის“ ეგიდით მოქმედ გეგენავებს. კომპანიის 30%-იანი წილი გასხვისებული აქვს „ფუდსერვისზე“, რომელიც ასევე გეგენავას სახელზე ირიცხება. შპს „აზიურში“ გეგენავები 25%-ს, ხოლო „ემ გრუპის“ სახელით 47%-იან წილს ფლობენ „ბელ დე ჯურში“; შპს „გრანდი“, „ბესტი“, „ჰოლდინგ ჯი“, სადაც 10%-იანი წილის მფლობელია ანდრო გეგენავა.

აღსანიშნავია, რომ ამ კომპანიის ხელმძღვანელების ვინაობაც არაა ცნობილი. სავარაუდოდ, ისიც გეგენავების ბიზნესს ეკუთვნის. იგივე კომპანიაა ზემოთჩამოთვლილ კომპანიებში მსხვილპროცენტიანი მეწილე. თავის მხრივ, ამ კომპანიის სახელი გვხვდება შემდეგ კომპანიებში: უშიშროებისა და საკუთრების დაცვის სამსახური „თორნი“, „AES intellinet GEORGIA“, „ექს-მეტი“, „ათინათი“, „ეიჩარ არს“, „ჯეო პროვიანი“. 2010 წლიდან კომპანია „სუფთა სამყაროში“ ისევ გეგენავების გვარი ჩნდება. კომპანიის მიერ სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებასთან გაფორმებულმა ხელშეკრულებებმა საერთო ჯამში 1 მილიონ 447 ათას 397 ლარი შეადგინა. „სუფთა სამყარო“ 40-მდე სახელმწიფო დაწესებულებას ალაგებს, მათ შორის პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც.

გეგენავების სახელს უკავშირდება, აგრეთვე, კომპანია „აგროგანვითარება“, „აგროვესტი“, „ნობ“, „ხის სახლი“, „ჯეო პლასტიკი“. შპს „სი ენდ სი“-ს ხელმძღვანელი არჩილ გეგენავა თანახმაა 100%-იანი წილი მიჰყიდოს „თელიანი თრენდინგს“, სადაც ასევე 100%-იანი წილის მფლობელი ასევე არჩილ გეგენავაა, რისთვისაც 800000-იან სესხს იღებს ბანკიდან. ასევე მას ეკუთვნის საქველმოქმედო ფონდი „ერთგულება“, რომელიც აქტიურად აფინანსებდა გიგი უგულავას საარჩევნო კამპანიას.

მოამზადა **ლილი მიროტაძემ**



დეფოლტის ზღვარზე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სახელმწიფო ვალის განსაკუთრებულ სიმძიმეზე მიუთითებს: მთლიანი შიგა პროდუქტის ღირებულება (უცვლელ ფასებში) 2003 წლის 8.041.9 მლნ ლარიდან 2010 წლისთვის 20.791.8 ლარამდე, ანუ 2,6-ჯერ გაიზარდა. საგარეო ვალის მოცულობა 2003 წლის 1774.6 მლნ დოლარიდან 2012 წლისთვის 8520.3 მლნ დოლარამდე, ანუ 4.8-ჯერ გადიდდება.

# ლიკბეზი ეკონომიკის მინისტრისთვის

## საქართველოს მიერ აღებული საგარეო ვალის უდიდესი ნაწილი გაიფლანგა



## საქართველოს პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე საგარეო ვალის მოცულობით პირველი ადგილი უკავია

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №42-43

**„ლიკბეზი“ — ეს სახელწოდება სახკომსაბჭოს 1919 წლის 26 დეკემბრის დადგენილებიდან მოდის, რომელმაც დაამტკიცა რსფსრ-ში უწიგნურობის ლიკვიდაციის სახელმწიფო პროგრამა — Ликвидация безграмотности — (Ликбез). უწიგნური ხელისუფლების გასანათლებელი საქმე, ჩვენი თხოვნით, თავს იდო ცნობილმა მეცნიერმა, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ამირან ჯიბუტმა. დღეს ვაგრძელებთ წინა ნომერში დაწყებულ საუბარს.**

ამირან ჯიბუტი



2008 წლის მაისში საქართველომ 500-მილიონიანი ევრობონდი (ევროობლიგაცია) გამოუშვა; ამის სანაცვლოდ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებმა საქართველოს 2013 წლისთვის დასაფარი ვალის გადახდა 2021 წლამდე გადაუვადეს.

ვალის გადახდის გადავადება რომ კარგია, ეს ეჭვს არ იწვევს, მაგრამ გადავადება კვლავ ვალის აღების ხარჯზე და ისიც 6,9%-იანი საპროცენტო განაკვეთით გადახდის პირობით მთლად გონივრული გადაწყვეტილება რომ არ არის, ეს უდავოა.

**მთავრობამ სესხის აღების შემდეგ დაიწყო ფიქრი, რისთვის უნდა გამოეყენებია ეს სესხი. იყო სხვადასხვა მოსაზრება, რომ ამ თანხებით კახეთის რეგიონში გაკეთებულიყო გაზსაცავი, ან აშენებულიყო მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები. ბოლოს გადაწყდა, რომ ნასესხები ფული ჩადებულიყო მომავლისა და განვითარების ფონდებში, მაგრამ დაიწყო რუსეთთან ომი და მთლიანად შეიცვალა ამ თანხის გამოყენების მიზნობრიობა.**

ჩვენი აზრით, ეს მთავრობის სერიოზული შეცდომა იყო, 2008 წელს სესხის აღების არანაირი გადაუდებელი საჭიროება არ არსებობდა. საქართველოს 2013 წელს კრედიტორებისთვის უნდა დაებრუნებია სხვადასხვა დროს აღებული დაახლოებით 1.800.0 მილიონი ლარი. იმ პირობებში, როცა ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავალი 6-7 მილიარდი ლარია, ამ თანხის გადახდა პრაქტიკულად მართლაც ძნელი იქნებოდა. ამდენად, 2013 წლისთვის ძველი დავალიანების დასაფარავად ახალი ვალის აღება მართლაც იყო შესაძლებელი, მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ ვალი 4 წლით ადრე აიღო და **არ იქნა გათვლილი მისი მძიმე შედეგები: საქართველოს 10 წლის შემდეგ ძირითადი ვალის 500 მლნ აშშ დოლარის გადახდასთან ერთად (წლიური 34,5 მლნ სარგებლის გადახდის კვალობაზე) 845 მლნ აშშ დოლარის გადახდა მოუწევდა.**

ხელისუფლების განმარტებით, ვალად აღებული 500 მილიონი აშშ დოლარი დევნილებისთვის განხორციელებულ ჰუმანიტარულ ღონისძიებებს მოხმარდა, რაც ნაკლებად სარწმუნოა. როგორც ჩანს, ეს თანხა ომის შემდეგ ქვეყნის საბიუჯეტო პრობლემების მოგვარებას მოხმარდა.

საბერძნეთის პრემიერ-მინისტრმა გეორგიუს პაპანდრეუმ ევროგაერთიანების ქვეყნების მიერ საბერძნეთისთვის გამოყოფილი (8 მილიარდი ევროს) ფინანსური დახმარების მიღება-არმიღების შესახებ ქვეყანაში რეფერენდუმის ჩატარება მოითხოვა, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო — საბერძნეთს ევროკავშირისგან მიეღო ეს დახმარება თუ ქვეყანაში მძვინვარე კრიზისი საბიუჯეტო ეკონომიის გზით დაეძლია. რეფერენდუმმა პაპანდრეუს წინადადება არ მიიღო. მან თანამდებობა დატოვა. უმოკლეს დროში გაირკვევა, რომ პაპანდრეუ მართალი იყო.

## არსებული საბიუჯეტო კრიზისის კიდევ უფრო მეტად გაღრმავების რეალური საფრთხეა მოსალოდნელი

### საგარეო დავალიანების სიმძიმე

დღეს საქართველოს საგარეო დავალიანების პრობლემის განხილვისას ლოგიკურად იბადება კითხვა, თუ რამდენად დიდია სავალო კრიზისის საშიშროება და, შესაბამისად, როგორია მისი დაძლევის რეალური შესაძლებლობანი.

ჩვეულებრივ, **საგარეო დავალიანების სიმძიმის შეფასებისთვის, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ქვეყნის გადახდისუნარიანობისა და ლიკვიდუნარიანობის დადგენა.**

გადახდისუნარიანობაში იგულისხმება დებიტორი ქვეყნის უნარი და შესაძლებლობა აღებული სესხის მაღალეფექტიანი გამოყენებით რამდენად უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალ და სტაბილურ ტემპს, რაზეც უშუალოდ დამოკიდებულია საგარეო ვალის დროული გადახდა. ეკონომიკური ზრდის დასადგენად გამოიყენება მთლიანი ეროვნული პროდუქტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოების მაჩვენებლები. ორივე ეს ინდიკატორი ნათელ წარმოდგენას იძლევა ეკონომიკური ზრდის ტენდენციის შესახებ, გადახდისუნარიანობის რეგულირების მოდელირების ძირითადი თავისებურებაა ის, რომ მისი გამოყენების შედეგად შესაძლებელი ხდება „გადახდისუნარიანობის დაკარგვის ფაქტის“ დაფიქსირება, ანუ გადახდისუნარიანობის მაჩვენებლის „კრიტიკულ“ ნიშნულს ქვემოთ გადაადგილება, რაც გვაძლევს კრიზისის დაწყების სიგნალს.

რაც შეეხება ლიკვიდუნარიანობას, მასში იგულისხმება განსაზღვრული პერიოდის შემდეგ (ვალების დაფარვის დადგენილი ვადებისთვის) საკმარისი ფულადი სახსრების (შემოსულობათა) არსებობა ქვეყანაში, რათა მან დროულად დაფაროს მიმდინარე სავალო ვალდებულებები. ლიკვიდუნარიანობის შეფასება ხდება საგარეო ვალის მიმდინარე გადასახდელების სიდიდესა და ქვეყანაში არსებული ლიკვიდური სახსრების (საექსპორტო შემოსავლების, ოქროსა და უცხოური ვალუტების რეზერვების, საბიუჯეტო შემოსავლების და სხვ.) მოცულობას შორის შეფარდების გზით.

თანამედროვე პირობებში გამოიყენება 20-30 და მეტი მაჩვენებელი. აღნიშნულ მაჩვენებლებს მიეკუთვნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, მისი სავალუტო და ფინანსური მდგომარეობის სხვადასხვა პარამეტრი: მეპ-ის ან მშპ-ის მოცულობა და მათი ზრდის ტემპი, საექსპორტო ფასების დინამიკა, ოქროსა და უცხოური ვალუტის დავალიანების დაფარვის შესაძლებლობა, საგადასახადო ბალანსის მდგრადობა, საგარეო ვალის მოცულობისა და მასზე გადასახდელების ზრდის ტემპი, ვალის მომსახურების ნორმა და სხვ.

ყველაზე გავრცელებულია საგარეო დავალიანების სიმძიმის შეფასების განმსაზღვრელი შემდეგი ე.წ. სტანდარტული კრიტერიუმები:

ა) რა სახისაა იგი — სახელმწიფო შიგა ვალია თუ სახელმწიფო საგარეო ვალი;

ბ) როგორია სახელმწიფო ვალის საპროცენტო განაკვეთი — მაღალი თუ დაბალი;

გ) ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ტემპი (მთლიანი ეროვნული პროდუქტის ან მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპი);

დ) საგარეო ვალის მოცულობის შეფარდება მთლიანი ეროვნული პროდუქტის ან მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობასთან;

ე) საგარეო ვალის მომსახურებისთვის (საპროცენტო განაკვეთის) გადასახდელი თანხის შეფარდება ბიუჯეტის შემოსავლებთან;

ზ) საგარეო ვალის მომსახურებისთვის გადასახდელი თანხის შეფარდება წლიური ექსპორტის მოცულობასთან.

საგარეო ვალის და მისი მომსახურების შესახებ ინფორმაცია ძალზე მნიშვნელოვანია სავალუტო რეზერვების ყოველდღიური მართვისთვის. აგრეგირებულ საფეხურზე კი იგი საჭიროა უცხოური ვალუტის მიმდინარე მოთხოვნების შესაფასებლად, ვალის მომსახურებისთვის გადასახადების დასაგეგმად, აგრეთვე, ახალი უცხოური სესხების მოზიდვის განსაზღვრისთვის და საგარეო რისკების გასაწევად.

**სახელმწიფო ვალის განსაკუთრებულ სიმძიმეზე მიუთითებს: მთლიანი შიგა პროდუქტის ღირებულება (უცვლელ ფასებში) 2003 წლის 8.041.9 მლნ ლარიდან 2010 წლისთვის 20.791.8 ლარამდე, ანუ 2,6-ჯერ გაიზარდა. საგარეო ვალის მოცულობა 2003 წლის 1774.6 მლნ დოლარიდან 2012 წლისთვის 8520.3 მლნ დოლარამდე, ანუ 4.8-ჯერ გადიდდება.**

მაშასადამე: ა) საქართველოში ადგილი აქვს მეტად არასასურველ ტენდენციას — საგარეო ვალის ზრდის ტემპი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ქვეყნის შიგა პროდუქტის ზრდის ტემპი, 2012 წლისთვის ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტთან შეფარდებით საგარეო ვალების მოცულობა გაცილებით მაღალი იქნება.

ამასთან, საქართველოში მშპ-ის ზრდის ტემპი მკვეთრად მერყეობს და მეტისმეტად დაბალია. იგი **შეადგენდა 2003 წელს — 11.1; 2004 წელს — 5.9; 2005 წელს — 9.6; 2006 წელს — 9.4; 2007 წელს — 12; 2008 წელს — 2,3; ხოლო 2010 წელს 6 პროცენტს. ასეთი მატებით თუნდაც 1990 წლის დონეს რომ მივაღწიოთ, სულ ცოტა 20 წელი დაგვჭირდება.**

ბ) ამავე პერიოდში საქართველოში საგარეო ვალის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე 1129 დოლარს გადააჭარბებს (ხოლო შიგა ვალი — 247 ლარს, ანუ 142 დოლარს), რაც ისეთი მცირებიუჯეტიანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საკმაოდ დიდ ტვირთს წარმოადგენს. **საქართველოს პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე საგარეო ვალის მოცულობით პირველი ადგილი უკავია.** ამ მაჩვენებლის მიხედვით ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ თურქმენეთს (75 დოლარი), სომხეთსა (152 დოლარი) და მოლდოვას (167 დოლარი).

გ) საგარეო ვალის ძირითადი თანხისა და სარგებლის გადასახადები ყოველწლიურად ქვეყნის ბიუჯეტის გასავლების სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება, ამიტომ საქართველოში ბიუჯეტის დეფიციტი და მზარდი სახელმწიფო ვალი ეკონომიკურ პრობლემათა ცენტრშია;

დ) საგარეო ვალის მთლიანი თანხის თანაფარდობა საქონლისა და მომსახურების ექსპორტთან (კრიტიკულ ზღვარს შეადგენს 275%) 290%-ს უდრის, რაც კრიტიკულ ზღვარს აღემატება. საქართველოში ექსპორტის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება იმპორტის ზრდის ტემპს, ხოლო კრედიტზე გადახდილი საპროცენტო თანხა აჭარბებს ექსპორტის ზრდის ტემპს. საექსპორტო კვოტა (ქვეყნის ექსპორ- ▶

## დეფოლტის ზღვარზე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამავე პერიოდში საქართველოში საგარეო ვალის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე 1129 დოლარს გადააჭარბებს (ხოლო შიგა ვალი — 247 ლარს, ანუ 142 დოლარს), რაც ისეთი მცირებიუჯეტიანი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საკმაოდ დიდ ტვირთს წარმოადგენს.**

# ასეთი მატებით თუნდაც 1990 წლის დონეს რომ მივაღწიოთ, სულ ცოტა 20 წელი დაგვჭირდება



ტის შეფარდება მთლიან შიგა პროდუქტთან) ჯერ კიდევ დაბალია და მიუთითებს მსოფლიო ბაზართან ეროვნული ეკონომიკის კავშირურთიერთობის ვიწრო მასშტაბებზე;

ე) საგარეო ვალის მოცულობის თანაფარდობა ქვეყნის სავალუტო რეზერვებთან კატასტროფულად გაიზარდა და 2500%-ს გადააჭარბა;

ვ) სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ისიც, რომ ძირითადი ვალის ზრდასთან ერთად იზრდება სარგებლის გადასახდელების თანხა. 2021 წლიდან საქართველოს ბიუჯეტიდან ყოველკვარტალურად გადასახდელი ექნება ასეულ მილიონობით ლარი საგარეო სესხების ძირითადი თანხისა და მასზე სარგებლის თანხის დასაფარავად.

ამრიგად, საგარეო ვალების მომსახურების საკითხი სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება და მთავრობის ფისკალური პოლიტიკის მკვეთრი გაუმჯობესების გარეშე არსებული საბიუჯეტო კრიზისის კიდევ უფრო მეტად გაღრმავების რეალური საფრთხეა მოსალოდნელი.

უცხოური კრედიტებისა და დახმარებების, აგრეთვე, შიგა ვალის, არაფექტიანი და სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარებელი ხარჯვა საზოგადოების საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს. ეს სფერო განსაკუთრებით ფართომასშტაბიანი ელიტური კორუფციის ერთ-ერთ ძირითად ასპექტად არის მიჩნეული.

ამასთან, **ყოველწლიურად იზრდება სამთავრობო ხარჯები, რაც მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას. სახსრები ძირითადად ხმარდება ტრანსფერებს, პოლიციის შენახვას, საზღვარგარეთ უშედეგო მოგზაურობებს, ლარის კურსის განმტკიცებას და ა. შ. რაც მთავარია, აღებული სესხები არ გამოიყენება წარმოების შემდგომი გამოცოცხლებისა და განვითარებისთვის.**

უნდა ითქვას, რომ **საქართველოს მიერ აღებული საგარეო ვალის უდიდესი ნაწილი გაიფლანგა.** მისი მნიშვნელოვანი ოდენობა მოხმარდა სურსათისა და მედიკამენტების იმპორტს, მოსახლეობისთვის ბუნებრივი გაზისა და საწვავის შეძენას, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მიღებული კრედიტები გამოყენებულ იქნა ფინანსური სისტემის სტაბილიზაციისთვის.

თუ სამთავრობო ხარჯების გადიდება ისეთი მიმართულებით განხორციელდება, როგორიცაა სუბსიდიები პარლამენტისა და მთავრობის სახელმწიფო მომსახურებისთვის ლიმუზინების, მერსედესების, ჯიპებისა და ა.შ. შესაძენად, მაშინ ვალის აღების სიმძიმე ნამდვილად დააწვება მომავალ თაობას. მაგრამ, თუ სამთავრობო ხარჯები მომავლისთვის მაინც გამოყენებული იქნება მატერიალური წარმოების სფეროს გაფართოებისთვის, ეს ღონისძიებები განამტკიცებს ეკონომიკის საწარმოო პოტენციალს, აამუშავებს საწარმოო სიმძლავრეებს, მიიღწევა სრული დასაქმება და გაიზრდება მეპ-ის მოცულობა. ამ შემთხვევაში საგარეო ვალი საერთო-სახელმწიფოებრივ საშიშრებას არ წარმოადგენს.

### ნულოვანი ვარიანტი: გონივრული გადაწყვეტილება თუ შეცდომა?

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საერთაშორისო ნორმებისა და „სახელმწიფო საკუთრების, სახელმწიფო აქტივებისა და სახელმწიფო ვალის სამართალმემკვიდრეობის შესახებ“ ვენის კონვენციის დებულების შესაბამისად, შედგა ყოფილი სსრკ-ს სახელმწიფო ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის ნუსხა. 1991 წლის 4 დეკემბერს გაფორმდა შესაბამისი შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრა ქონებრივ მემკვიდრეობაში ე.წ. მოძმე რესპუბლიკების წილი. შესაბამისად, დადგინდა საქართველოს წილიც, როგორც არსებულ ქონებაში და გაცემულ სესხებში, ისე მის მიმართ ვალებში (აქტივებსა და პასივებში) 1,62%-ის ოდენობით. რუსეთის წილი განისაზღვრა 61,34%-ით.

თითოეული მოკავშირე რესპუბლიკის წილი გაანგარიშებულ იქნა აგრეგირებული კრიტერიუმების გამოყენებით, რასაც საფუძვლად დაედო ისეთი მაჩვენებლების ფაქტორული ანალიზი, როგორიცაა 1986-1990 წლებში თითოეულის ხვედრითი წილი საბჭოთა კავშირის ექსპორტში, იმპორტში, წარმოებული ეროვნული შემოსავლის მოცულობასა და მოსახლეობის რიცხოვნობაში.

საერთაშორისო კონვენციის თანახმად, ისე, როგორც სხვა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს, საქართველოსაც შესაბამისი წილი უნდა მიეღო:

ა) საზღვარგარეთ არსებული ყოფილი სსრ კავშირის უძრავ-მოძრავი ქონებიდან;

ბ) ოქროს ფონდიდან და სავალუტო რეზერვებიდან;

გ) საზღვარგარეთ არსებული ინვესტიციებიდან;

დ) ყოფილი ალმასის ფონდიდან.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ვალისა და აქტივების სამართალმემკვიდრეობის შესახებ, 1991 წლის 4 დეკემბრის შეთანხმებით, აღნიშნული ქონება მოკავშირე რესპუბლიკებს შორის უნდა განაწილებულიყო, მაგრამ 1993 წლის 14 სექტემბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს შეთანხმებას „მოკავშირე რესპუბლიკებსა და რუსეთის ფედერაციას შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის აქტივებისა და საგარეო სახელმწიფო ვალების სამართალმემკვიდრეობის საკითხების რეგულირების შესახებ“. ამ დოკუმენტის მიხედვით, რუსეთმა იკისრა სსრკ-ის მთელი საგარეო დავალიანების გადახდა. სამაგიეროდ, მოკავშირე რესპუბლიკებმა დათმეს საზღვარგარეთ არსებული სსკ-ის აქტივები. ხელშეკრულებას ხელი მოაწერა საქართველოს წარმომადგენელმაც, მაგრამ შემდგომში აღნიშნული შეთანხმების (ნულოვანი ვარიანტის) რატიფიცირება არ მოუხდენია მოლდოვას, უკრაინასა და საქართველოს. დანარჩენმა რესპუბლიკებმა „ნულოვან ვარიანტს“ ხელი მოაწერეს.

**საქართველოს მაშინდელმა პრემიერმა ოთარ ფაცაციამ მოსკოვიდან თბილისში ჩამოიტანა დოკუმენტი, რომლითაც უარი ითქვა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის ქონებაზე, არამედ საქართველოს იურიდიულ და ფიზიკურ პირთა კუთვნილ ანაბრებზეც „ვნეშეკონომბანკში“. როგორც მოგვიანებით გაირკვა, საქართველოს პრემიერმა ერთი დოკუმენტი წაიკითხა, ხელი კი მეორეს მოაწერა. უფრო სწორად, შეთანხმებული ვარიანტის დედანი ქართულმა მხარემ დაკარგა, ხოლო, რომელიც დარჩა, სწორედ ის აღმოჩნდა სასარგებლო რუსეთისთვის. შვიდი წლის განმავლობაში თვით პარლამენტშიც კი ეგონათ, რომ ხელშეკრულება, რომლის რატიფიკაციაც ყოველწლიურად ხდებოდა, თურმე ანაბრების შესახებ პუნქტს არ შეიცავდა.**

საბოლოოდ, ექსპერტთა შეფასებით, რატიფიკაცია გაუკეთდა დოკუმენტს, რომელიც, პრაქტიკულად, ბუნებაში არ არსებობდა. ქართულმა მხარემ პარაფირებული ვარიანტი დაკარგა, რუსებს არ დაუკარგავთ, მაგრამ ცხადია, არ გამოაჩინეს და საქართველოს შედარების იურიდიული საფუძველი მოუსპეს.

საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლის შესახებ არსებობს 1969 წლის ვენის კონვენცია. ამ კონვენციის 49-ე მუხლის მიხედვით, თუ ხელშეკრულება ორ მხარეს შორის ერთ-ერთი მხარის მოტყუების საფუძველზე დაიდო, მეორე მხარეს უფლება აქვს, მისი ბათილად ცნობა მოითხოვოს. ამ შემთხვევაში „ნულოვანი ვარიანტის“ პარაფირებისას, პრაქტიკულად, რუსულმა მხარემ მოატყუა საქართველოს ხელისუფლება. საქართველოს პრემიერს ხელმოწერის ცერემონიაზე შეცვლილი ტექსტი შეაპარეს. ცხადია, პრემიერ-მინისტრს ხელმოწერის ცერემონიაზე ტექსტის წაკითხვისა და მისი ავთენტურობის შემოწმების საშუალება არ ჰქონდა.

**მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი დაკარგული იყო, საქართველოს პარლამენტმა მას რატიფიცირება გაუკეთა 7 წლის შემდეგ და ამით საქართველომ** საბოლოოდ უარი თქვა თავის წილ აქტივებზე საბჭოთა კავშირის ქონებიდან. მას პირველ რიგში შეეწირა საქართველოს მოქალაქეების კუთვნილი ანაბრები.

**„ვნეშეკონომბანკში“ საქართველოს მოქალაქეების ანაბრების საერთო რაოდენობა „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირების მომენტში 50 მლნ დოლარს აღემატებოდა.** სსრ კავშირის აქტივებისა და პასივების დადებითი სალდო ყველაზე მოკრძალებული ეკონომიკური გათვლებით 400 მილიარდამდე დოლარს უტოლდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტის ასეთი უგუნური გადაწყვეტილებით საქართველო დაემშვიდობა საბჭოთა კავშირის ქონებიდან და ვალდებულებებიდან კუთვნილ წილს 1,62%-ის ოდენობით.

**საბოლოოდ, გაურკვეველი დარჩა, ვინ და რატომ დაკარგა „ნულოვანი ვარიანტის“ როგორც დედანი, ისე პარაფირებული ტექსტი, რომლის ასლებიც ოთხ სახელმწიფო უწყებაში ინახებოდა და რომლის შენახვაზე, შესაბამისად, პასუხისმგებელი პირებიც არსებობდნენ.**

მოვლენების მსვლელობა ასეთი იყო: 1991 წლის ბოლოს მოსკოვში, სასტუმრო „პრეზიდენტჰოტელში“ (ყოფილი „ოქტიაბრსკაია“) თორმეტი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის მთავრობების მთაურები შეიკრიბნენ (ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკამ საბჭოეთის სამართალმემკვიდრეობაზე უარი თავიდანვე თქვა).

რუსეთის სასარგებლოდ აქტივებისა და ვალების დათმობის შეთანხმებას, იგივე „ნულოვან ვარიანტს“, ხელი ათი რესპუბლიკის მთავრობათა მეთაურებმა მოაწერეს. მათ შორის არ იყვნენ უკრაინის პრემიერ-მინისტრი და საქართველოს წარმომადგენელი.

მოგვიანებით, როცა საქართველომ რუსეთთან „ნულოვანი ვარიანტის“ შეთანხმების გადაწყვეტილება მიიღო, რუსეთმა საქართველოს წამოუყენა ულტიმატუმი — ან ვალების დაუყოვნებლივ გადახდა, ან „ნულოვან ვარიანტზე“ ხელის მოწერა.

საქართველოს ექსპერტთა პირველი ჯგუფი მოსკოვში 1993 წლის გაზაფხულზე გაემგზავრა. ექსპერტებმა თავდაპირველი ვარიანტის ტექსტში ქართული მხარისთვის რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის დაფიქსირება მოახერხეს. მათ შორის იყო „ვნეშეკონომბანკში“ დაგროვილი ანაბრების გადმოცემა საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის და მოლაპარაკებების დაწყება ალმასის ფონდის გაყოფაზე. **მომდევნო ჯგუფში, რომელმაც პრემიერის ხელმძღვანელობით საბოლოო ვარიანტი შეიმუშავა, საქართველოს საგარეო უწყების არც ერთი წარმომადგენელი არ ყოფილა. თუ რატომ, ეს კითხვა დღემდე პასუხგაუცემელია და ამას არც არავინ იძიებს.**

თუმცა საინტერესოა ერთი დეტალი: თბილისში დაბრუნებულ პრემიერ-მინისტრს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური წერილით აცნობა, რომ რუსულმა მხარემ პირობა დაარღვია და შეთანხმება უკვე აღარ შეესაბამება ექსპერტთა მიერ პარაფირებულ ტექსტს. წერილს თან ახლდა პარაფირებული დედნის ასლი, მაგრამ გაუგებარი მიზეზების გამო, საქართველოს მთავრობას დამატებითი კონსულტაციები არ მოუთხოვია.

ყბადაღებული „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიკაციას წინ ხანგრძლივი დებატები უძღოდა. მომხრეთა მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიკაციის გარეშე რუსეთი ვალის გადავადების წინააღმდეგი იქნებოდა. იმ პერიოდში იწურებოდა შეღავათების 3-წლიანი პერიოდი და ხელისუფლება რუსეთის 179-მილიონიანი ვალის სამომავლოდ გადადების გზებს ეძებდა.

1995 წლის 30 ნოემბერს რუსეთის მხარემ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტით აცნობა, რომ მან დაამთავრა ამ შეთანხმებასთან დაკავშირებული შიგა სახელმწიფო პროცედურები და საქართველოს პარლამენტის მიერ „ნულოვანი ვარიანტის“ რატიფიცირება მოითხოვა.

სამწუხაროდ, საქართველოს არ აღმოაჩნდა სსრკ-ის აქტივებისა და პასივების ზუსტი რაოდენობის შესახებ რუსეთთან შეჯერებული ოფიციალური მონაცემები.

1) **საზღვარგარეთ სსრკ-ის უძრავ-მოძრავი ქონების ღირებულება**, კანადის სააგენტო პინკერტონის მონაცემებით, 300-400 მლრდ დოლარს შეადგენდა; ხოლო რუსეთის საანგარიშო პალატის მიერ მსოფლიოს 112 ქვეყანაში 1996 წელს აღრიცხული და შეფასებული 1509 ობიექტის ღირებულება 324 მლრდ დოლარი იყო. **აქედან საქართველოს წილი დაახლოებით 5 მილიარდი ამერიკული დოლარი იქნებოდა;**

2) 1998 წლისათვის რუსეთის **ოქროს მარაგი** შეადგენდა 480 ტონას, რაც საბაზრო ფასებით შეფასებული იყო 4,6 მლრდ დოლარად. **აქედან საქართველოს წილი 74 მლნ დოლარს უდრიდა;**

3) სსრ კავშირის სავალუტო რეზერვებიდან (რომლის ღირებულება ათეულობით მილიარდი დოლარი იყო) **საქართველოს ეკუთვნოდა ათეულობით მილიონი დოლარი;**

4) **სსრ კავშირის ინვესტიციები საზღვარგარეთ** ათეულობით მილიარდი დოლარი იყო და მასში **საქართველოს წილი რამდენიმე ასეული მილიონ დოლარს შეადგენდა;**

5) სსრ კავშირის მიმართ სხვა სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოელი **დებიტორების ფინანსური ვალდებულებები** 150 მილიარდ დოლარზე მეტი იყო, **საიდანაც საქართველოს 2,5 მილიარდი დოლარი ეკუთვნოდა;**

6) რაც შეეხება **ალმასის ფონდის** გამოყოფას, აქ რუსეთის პოზიცია ცალსახა იყო — რადგან ალმასი მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე მოიპოვება, არ უნდა განაწილებულიყო და მისი მეპატრონე მხოლოდ რუსეთი უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშებით, **ყოფილი სსრკ-ის აქტივებიდან საქართველოს წილი ყველაზე შემცირებული გაანგარიშებითაც კი არანაკლებ 5 მილიარდი დოლარი იყო.**

ოფისის გაანგარიშების მიხედვით, სსრ კავშირის მიერ მემკვიდრეობით დატოვებული პასივების რაოდენობა 80,1 მილიარდ შშ დოლარს არ აღემატებოდა (42 მილიარდი დოლარი — საზღვარგარეთის ქვეყნების ვალი, 32 მილიარდი დოლარი — კომერციული ბანკების და 6,1 მილიარდი დოლარი — სავალუტო ობლიგაციების დავალიანება).

1994-1997 წლებში მსოფლიოს ფინანსურ კლუბებთან მოლაპარაკების შედეგად რუსეთს ამ ვალებიდან მნიშვნელოვანი თანხა ჩამოეწერა, რის შედეგად კრედიტორი ქვეყნის წინაშე მას საბჭოთა კავშირის დროინდელი დავალიანება 38 მილიარდი დოლარი, ხოლო უცხოეთის კომერციული ბანკებისათვის 350 მილიარდი დოლარი ჰქონდა გადასახდელი. ექსპერტების გაანგარიშებით, „პარიზის კლუბის“ წინაშე რუსეთის მთლიანი დავალიანება 44 მილიარდ დოლარს არ აღემატებოდა.

საბოლოოდ, „პარიზის კლუბის“ (კრედიტორი ქვეყნები) და „ლონდონის კლუბის“ (კრედიტორი ბანკები) მიერ **ვალების რესტრუქტურიზების შემდეგ ყოფილი სსრკ-ის ვალიდან საქართველოს წილად მოდიოდა 964 მლნ აშშ დოლარი.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს 2-3 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის ყოფილი სსრკ-ის აქტივებზე შეიძლებოდა ჰქონოდა პრეტენზია. ხოლო, თავის მხრივ, საქართველოს დაახლოებით 1 მლრდ დოლარის გადახდაზე მოუწევდა ვალების აღება და, **საერთო ჯამში, საბჭოთა კავშირის ქონებიდან მას შეეძლო 1-2 მლრდ დოლარის მოთხოვნა.**

(გაგრძელება იქნება)

**საგარეო ვალის მოცულობის თანაფარდობა ქვეყნის სავალუტო რეზერვებთან კატასტროფულად გაიზარდა და 2500%-ს გადააჭარბა**

საქართველო და მსოფლიო
კულისები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბიძინა ივანიშვილსა და მის მეუღლეს საქართველოს მოქალაქეობა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილმა არ ჩამოართვა — მის ნება-სურვილს ოცმა „ნაციონალმა“ ერთხმად და უტეხად დაუჭირა მხარი. სამად სამი კაცი წინააღმდეგი — დავით ბაქრაძე, მიხეილ მაჭავარიანი და ზურაბ მელიქიშვილი.

# 23 «ნაცკომისრის» შეთქმულება

## ივანიშვილისა და მისი მეუღლისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევა მიხეილ სააკაშვილმა «ნაცელიტასთან» სამი თათბირისა და ამერიკელ მრჩევლებთან კონსულტაციების შემდეგ გადაწყვიტა

**ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლის — ეკატერინე ხვედელიძისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა მიხეილ სააკაშვილის ახირებად, ერთპიროვნულ გადაწყვეტილებად გასაღდა. არადა, რეალურად ასე არ ყოფილა. მართალია, სააკაშვილი ხშირად იღებს ერთპიროვნულად ნებისმიერი სახის გადაწყვეტილებას — ხან ქვეყნის მთავარ არქიტექტორად მოგვევლინება, ხან მთავარ პროკურორად, ფინანსთა თუ განათლების მინისტრად, მაგრამ ეს ის გამონაკლისი შემთხვევა იყო, როცა სააკაშვილმა თავისი ახლო გარემოცვის წევრთა 3-დღიანი კონსულტაციის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება.**



**ამ იდეას მიემხრნენ გიგა ბოკერია, აკაკი მინაშვილი, ნიკა რურუა, გიგი უგულავა, ლევან რამიშვილი. მათ შორის დავა დიდხანს გაგრძელდა, თარგამაძე-ბოკერია-უგულავას გუნდი ამტკიცებდა, რომ ივანიშვილთან რაფინირებული, პოლიტიკურად და იურიდიულად დახვეწილი მეთოდებით ბრძოლის დრო და საშუალება არ არის.**

**„საქართველო და მსოფლიომ“ მოიპოვა ექსკლუზიური ინფორმაცია, თუ სად, როდის და რა ვითარებაში გადაწყდა ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხი. სააკაშვილმა ეს გადაწყვეტილება მიიღო თავისი ერთგული პოლიტიკოსების ჩარევის შედეგად — ამ არაოფიციალურ სასამართლო პროცესში, პრეზიდენტის გარდა, 20 „ნაციონალი“ მონაწილეობდა.**

წყაროს, რომელმაც ეს ინფორმაცია მოგვაწოდა, ამ თავყრილობის ერთ-ერთმა მონაწილემ მოუთხრო. მიხეილ სააკაშვილი, როცა შეიტყო, ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ გააკეთა განცხადებაო, ლამის ჭკუიდან გადასულა და სასწრაფოდ მოიწვია ვიწრო თათბირი პრეზიდენტის სასახლეში. ეს ხდება 7 ოქტომბერს, საღამოს, როცა ნიკოლა სარკოზი უკვე თბილისიდან გაემგზავრა. ჩვენთვის უცნობია, ვინ მონაწილეობდა ამ თათბირში, მაგრამ შედეგია ცნობილი — **პრეზიდენტმა კონკრეტულ პირებს დაავალა, შეემუშავებინათ ივანიშვილთან ბრძოლის პირველი ეტაპის გეგმა და მეორე დღეს ყველას ცალ-ცალკე წარმოედგინა ეს გეგმა. წყარო ირწმუნება, რომ სააკაშვილს მთელი ღამე არ სძინებია და მუშაობდა. მასთან მორიგეობით მიდიოდნენ „ნაციონალთა“ ლიდერები, „ნაციონალთა“ სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სხვადასხვა ქვეყნის საელჩოების შედარებით დაბალი რანგის ჩინოსნები, რომელთაც გარკვეული ინფორმაციები აინტერესებდათ.**

მეორე დღეს, დილის 11 საათიდან სააკაშვილმა წინა დღით ნათათბირები ლიდერები დაიბარა. შეხვედრა შუადღის 3 საათამდე გაგრძელდა. სააკაშვილმა, დაახლოებით 7-8 სამოქმედო გეგმა განიხილა ივანიშვილის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ არც ერთი არ მოიწონა. ამის მერე, მან ყველა დაითხოვა და მარტო დარჩა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის კონსულტაციებს გადიოდა მის გულშემატკივრებთან, რომლებიც მას საკმაოდ ჰყავს ამერიკის ხელისუფლებაში, ევროკავშირის, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის კონკრეტული ქვეყნების ხელმძღვანელობაში, საერთაშორისო პოლიტიკურ და ფინანსურ ორგანიზაციებში. ამის თაობაზე სააკაშვილმა თავადვე განაცხადა, როცა დიდი თავყრილობა მოაწყო, თუმცა იქვე დასძინა, რომ სანუგეშო ვერავინ ვერაფერი ურჩია. ზოგს ისიც უკითხავს — ვინ არის ბიძინა ივანიშვილი, აგვიხსენი, გაგვაგებინე და რჩევა მერე გვკითხეო.



**მოკლედ, 9 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, სააკაშვილის ავლაბრის რეზიდენციაში შეიკრიბნენ: ნიკა გილაური, დავით ბაქრაძე, გიგა ბოკერია, ლაშა თორდია, გრიგოლ ვაშაძე, ლევან რამიშვილი, პავლე კუბლაშვილი, კოტე კუბლაშვილი, ბათუ ქუთელია, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, მურთაზ ზოდელავა, გიგი უგულავა, აკაკი მინაშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, თამარ ბურჯალიანი და გიორგი ვაშაძე (იუსტიციის მინისტრის მოადგილეები); ნიკა რურუა, გიორგი პაპუაშვილი, დიმიტრი გვინდაძე, გივი თარგამაძე, ზურაბ მელიქიშვილი და პეტრე ცისკარიშვილი. ამ დროისთვის „ნაცმოძრაობის“ ბოსებს უკვე მკაცრად გადაეწყვიტათ — ბიძინა ივანიშვილი, არამც და არამც, არ უნდა შემოეშვათ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში, ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ, თუნდაც უკანონოდ, რომ მისი პოლიტიკური ამბიცია აელაგმათ და არანაირად არ დაეშვათ მომავალ არჩევნებში მისი და მისი პარტიის მონაწილეობა.**

ეს შეთანხმება, ეტყობა, 7 ოქტომბერს, სააკაშვილთან სხვადასხვა რანგის „ნაცლიდერთა“ შეხვედრებისას, გადაწყდა და შესაბამისი შეტყობინება ყველა რანგის „ნაციონალმა“ მიიღო. მერე ამის შესახებ მედიაშიც გავრცელდა ინფორმაცია.

ოცდასამი „ნაციონალის“ თავშეყრა (პლუს სააკაშვილი) საღამოს 6 საათამდე გაგრძელდა. 8 საათი ბჭობდა ნაცელიტა, რა ხერხით დაპირისპირებოდნენ ივანიშვილს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი მომხრე იყო, ივანიშვილთან ბრძოლის მეთოდები რაც შეიძლება დახვეწილი და კანონის ჩარჩოებში ყოფილიყო მოქცეული. მას მხარს უჭერდნენ გიორგი პაპუაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, მიხეილ მაჭავარიანი, ნიკა გილაური, მურთაზ ზოდელავა, გიორგი ვაშაძე... ამ ჯგუფს დაუპირისპირდა მეორე ჯგუფი. **გივი თარგამაძის ინიციატივა იყო, ივანიშვილს გასწორებოდნენ ნებისმიერი აკრძალული მეთოდით, ოღონდ სამართლებრივი საფუძველი მაინც შეექმნათ უკანონო ქმედებებისთვის.**

**«გივი თარგამაძის ინიციატივა იყო, ივანიშვილს გასწორებოდნენ ნებისმიერი აკრძალული მეთოდით, ოღონდ, სამართლებრივი საფუძველი მაინც შეექმნათ უკანონო ქმედებებისთვის»**

ამ იდეას მიემხრნენ გიგა ბოკერია, აკაკი მინაშვილი, ნიკა რურუა, გიგი უგულავა, ლევან რამიშვილი. მათ შორის დავა დიდხანს გაგრძელდა, თარგამაძე-ბოკერია-უგულავას გუნდი ამტკიცებდა, რომ ივანიშვილთან რაფინირებული, პოლიტიკურად და იურიდიულად დახვეწილი მეთოდებით ბრძოლის დრო და საშუალება არ არის.

**„ეგ „გრეჩიხა“ არ არის, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ კოდექსებს რომ ვერ არჩევს ერთმანეთისგან... ძალიან ჭკვიანი და განათლებული კაცია; თუ სამართლებრივ-პოლიტიკურ სივრცეში გადავიტანთ ბრძოლას, მოგვიგებს — უცხოელ იურისტთა მთელ არმიას დაიქირავებს, მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერ ყოფილ პრეზიდენტს საიდუმლო მრჩევლად გაიხდის ისე, რომ ჩვენ არც გვეცოდინება და დედას გვიტირებს, ამიტომ უკანონო, უხეში მეთოდებით უნდა ვებრძოლოთ, რომ როგორმე წყობიდან გამოვიყვანოთ, შეცდომები დავაშვებინოთ და თამაში ჩვენს მოედანზე გადმოვიტანოთ,“** — ეს გივი თარგამაძის, შესაძლოა, ყველაზე გრძელი მონოლოგია, რომელიც ცხოვრებაში წარმოუთქვამს. ბოკერია ეთანხმებოდა გივის, მაგრამ მაინც ფრთხილობდა — კი, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მწყობრიდან გამოვიყვანოთ, მაგრამ ისე უნდა გაკეთდეს, რომ უცხოელები არ გადავიკიდოთ, განსაკუთრებით, ამერიკაო. ▶

მოკლედ

## ბრიტანეთმა ირანიდან დიპლომატები გაიწვია

**დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ ირანში საკუთარი დიპლომატიური მისიის ყველა თანამშრომლის ევაკუაციის შესახებ განაცხადა.** ეს გადაწყვეტილება დიდმა ბრიტანეთმა მას შემდეგ მიიღო, რაც ირანელმა სტუდენტებმა თეირანში დიდი ბრიტანეთის საელჩო დაარბიეს. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ამ ქმედებებს „აღმაშფოთებელი და უპატიებელი“ უწოდა. აშშ-მ და ევროკავშირმა ირანის დედაქალაქში მომხდარი ფაქტი დაგმეს. შეგახსენებთ, რომ ირანში ბრიტანეთის საელჩოში შეჭრილ სტუდენტებსა და პოლიციის დანაყოფებს შორის შეტაკება მოხდა. არიან დაშავებულებიც.

## ბრიტანეთში გაფიცვაა

**დიდ ბრიტანეთში 2 მილიონი სახელმწიფო მოხელე მასობრივი გაფიცვისთვის ემზადება.** სკოლები, საავადმყოფოები, აეროპორტები, საზღვაო პორტები და სახელისუფლებო დაწესებულებები მუშაობას წყვეტენ. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში უპრეცედენტო გაფიცვით ბრიტანელები იმ საპენსიო რეფორმას აპროტესტებენ, რომლის გატარებას ქვეყნის ხელისუფლება გეგმავს. გაფიცვის ინიციატორი ბრიტანეთის პროფკავშირებია. ახალი კანონპროექტით, ბრიტანეთში საპენსიო ასაკი 60-დან 67 წლამდე იზრდება.



კულისები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თითქმის ყველა მომხრე ყოფილა იმისა, რომ სამართლებრივი სივრციდან გაეყვანათ ბიძინა ივანიშვილი, არალეგალური პოზიციიდან კი უფრო ეფექტურად შეუტევდნენ. კრება თითქმის ერთსულოვანი იყო, რომ ეს იყო შესანიშნავი საშუალება, ივანიშვილი და მისი მეუღლე აეძულებინათ, დაეტოვებინათ საქართველო, ამით დროს მოიგებდნენ.**

**გრიგოლ ვაშაძეს იქვე განუმარტავს, რომ უცხოეთის არც ერთი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრი ან ელჩი ჯერ სანუგეშოს ვერაფერს ამბობენ, დროს ითხოვენ სიტუაციაში გასარკვევად და სიფრთხილისკენ მოგვიწოდებენო.**

მიხეილ სააკაშვილს ვაშაძისთვის უთქვამს — მაგათმა ვირეშმაკობამ დამღალა, ახლა, ერთი მხარდამჭერი განცხადების ნაცვლად, ათას რაღაცას მომთხოვენ, მაგათმა სიფრთხილემ დამღალა, ვიმოქმედოთ და მერე ვიმუშაოთ იმაზე, რომ ჩვენი საქციელი, თუ რამე შეგვეშალა, გაამართლონ. მაგათ თავი ქუდში აქვთ, ფეხებზე ჰკიდიათ სააკაშვილიც და თქვენც, ყველანი, აგერ, სილვიო ბერლუსკონის სწირავენ, თვითონ თავი რომ გადაირჩინონ და მე რასაც მიზამენ, წინასწარ ვიციო.

**იდეა, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთმიათ, პალიკო კუბლაშვილს ეკუთვნის. შემდეგ გაირკვა, რომ პალიკო კუბლაშვილი იყო ერთ-ერთი იმ „ნაცლიდერთაგანი“, რომლებიც 7-8 ოქტომბერს შეხვდნენ სააკაშვილს და რომლებსაც მაშინ „სამოქმედო გეგმა“ დაუწუნეს.** ახლა კი სააკაშვილს წინა დღეს უარყოფილი გეგმა მოსწონებია და ყველასთვის უკითხავს რჩევა, — რა ვქნათ, ჩამოვართვათ მოქალაქეობაო? ვიდრე სხვები რამეს იტყოდნენ, კოტე კუბლაშვილმა იურიდიული განმარტება გააკეთა იქ მყოფთათვის, თუ რის საფუძველზე ართმევდა მოქალაქეობას ივანიშვილს, თუმცა იქვე უთქვამს, ეს იმას ჰგავს, კაცს ნაჩუქარი წაართვა უკან და დაუსაბუთო, რომ მართალი ხარო. **მეტი დამაჯერებლობისთვის, საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ სამართლიანია ეს ყველაფერი, კარგი იქნება, თუ მის მეუღლეს — ეკატერინე ხვედელიძესაც ჩამოვართმევთ მოქალაქეობასო.**

**ეს იდეა ბევრს მოსწონებია, თითქმის ყველა მომხრე ყოფილა იმისა, რომ სამართლებრივი სივრციდან გაეყვანათ ბიძინა ივანიშვილი, არალეგალური პოზიციიდან კი უფრო ეფექტურად შეუტევდნენ. კრება თითქმის ერთსულოვანი იყო, რომ ეს იყო შესანიშნავი საშუალება, ივანიშვილი და მისი მეუღლე აეძულებინათ, დაეტოვებინათ საქართველო, ამით დროს მოიგებდნენ. „რაც მთავარია, აქედან გავაგდოთ და მერე უკან აღარ შემოვუშვებთ. ამას მე ვიღებ ჩემს თავზეო,“** — ეს უკვე იუსტიციის მინისტრისა და გენპროკურორის, ზურაბ ადეიშვილის სიტყვებია. მათდა საუბედუროდ, იმ დროს არავის გახსენებია, რომ საფრანგეთის მოქალაქეს — ბიძინა ივანიშვილს, შესაძლოა, ჰქონოდა ევროკავშირის ვიზა. მისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევით თავიანთი თავის გადასარჩენად იბრძოდნენ და ესოდენ მნიშვნელოვანი დეტალი გამორჩათ. როცა „ხალხსა და ქვეყანაზე ზრუნვით შეპყრობილნი დასხდებიან ბჭობად“, მაშინ ხომ საერთოდ თავს ძალას არც დაატანენ (და არც ატანენ — ეტყობა ეს ხალხსაც და ქვეყანასაც!).

მიხეილ მაჭავარიანს არ გაუზიარებია კრების აღფრთოვანება და უკითხავს: ივანიშვილმა რუსეთისა და საფრანგეთის მოქალაქეობაც რომ დატოვოს და პრეზიდენტს ხელახლა მიმართოს მოქალაქეობის აღდგენის თხოვნით, მერე რას ვშვრებითო? სააკაშვილს პავლე კუბლაშვილისთვის უთქვამს, — უპასუხეო. პავლეს უპასუხია: — თუ მიზეზს მოვიძიებთ, ცოტა საფუძვლიანს, არ მივცემთ მოქალაქეობას, მანამდე უნდა იმოქმედონ ძალოვანებმა, რამე უნდა მოჩხრიკონ, სისხლის სამართლის საქმე უნდა აღუძრან და მერე თავისთავად ვეღარ შემოვა ქვეყანაშიო.

**ვანო მერაბიშვილს უკითხავს — დავუშვათ, ვერ ალვძარით ეგ სისხლის სამართლის საქმე. ბიძინა ივანიშვილია, ვიღაც ხომ არა, სად მივდივართ ასეთ შემთხვევაშიო?**

**პრეზიდენტს ახლა გიორგი პაპუაშვილი აუყენებია „მერხიდან“, — გვიპასუხეო. პაპუაშვილს უთქვამს, თუ საკონ**სტიტუციოში შემოიტანა საჩრჩელი და მოითხოვა მოქალაქეობა, თან არც ერთი ქვეყნის მოქალაქე არ იქნება, კი, უარს ვეტყვი და უზენაესის გადაწყვეტილებას კონსტიტუციურად ვაქცევ, მაგრამ ეს არ იქნება სამართლებრივი გადაწყვეტილებაო. ანუ რა ხდება მერეო? — უკითხავს მიშას. რა ხდება და, საერთაშორისო სასამართლოში გვიჩივლებს, მოგვიგებს პროცესს და გვაიძულებენ, სასწრაფო წესით მივანიჭოთ მოქალაქეობაო. პავლე კუბლაშვილსა და თამარ ბურჯალიანსაც თავის ქნევით დაუდასტურებიათ — კი, ბოლო ეგ იქნებაო. **სააკაშვილი მაინც კმაყოფილი დარჩენილა — მთავარია, დრო მოვიგოთ და ვიდრე ეგ საერთაშორისო სასამართლოს მოგვიგებს, მანამდე არჩევნებიც ჩაივლისო.**

## ზურაბ მელიქიშვილი:
# რას ლაპარაკობთ?! ივანიშვილთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა და არც შეიცვლება



**მაგრამ სააკაშვილს ისიც კარგად ესმის, რომ მარტო მოქალაქეობის ჩამორთმევით, თუნდაც ქვეყნიდან გაძევებითა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრით ბიძინა ივანიშვილს ვერ მოერევა. ამიტომ, დაუვალებია გვინდაძისთვის, ადეიშვილისთვის, ნიკა რურუასთვის, ნიკა გილაურისთვის და პეტრე ცისკარიშვილისთვის კანონის ფარგლებში მოიფიქრეთ რამე ისეთი, რაც მას ფინანსური რესურსის გამოყენების საშუალებას არ მისცემს; რაც უკანონო, მაგრამ ასე თუ ისე მისაღები მოგაფიქრდეთ, ისიც კანონის ფარგლებში მოაქციეთო. სააკაშვილმა გვინდაძესა და გილაურს დაავალა, ამ საქმეში ერთვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე და ბანკის მთელი ხელმძღვანელობა ჩაერთოთ...**

ამის შემდეგ კვლავ ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხს დაბრუნებია პრეზიდენტი და ოცეული. ვანო მერაბიშვილისთვის შენიშვნა მიუცია, — ეგ კაცი ისე შემოგეპარა პოლიტიკაში, აზრზე არ იყავი, ასეთი შეცდომა არასდროს დაგიშვიაო. ვანოს იხტიბარი არ გაუტეხავს, — მაგ შეცდომას მალე გამოვასწორებო. მიშას იქ შეყრილი „ნაციონალური“ ლიდერებისთვის მიუმართავს, — თუ ვინმეა წინააღმდეგი, რომ ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა ჩამოვართვა, აქვე დამიფიქსირეთ პოზიცია, არ მინდა აქედან ყველა „ერთსულოვანი“ გახვიდეთ და მერე ვიღაცები გმირები გახდეთ, — აი, ჩვენ წინააღმდეგი ვიყავითო. ამას კი ვერავინ იტყვის, რადგან ყველაფერი იწერება და კამერებით ფიქსირდება, მაგრამ მაინც, ყოველი შემთხვევისთვისო. **სამად სამი კაცი წასულა წინააღმდეგი ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევისა — და**

**ვით ბაქრაძე, მიხეილ მაჭავარიანი და ზურაბ მელიქიშვილი. ამის შემდეგ კრება კიდევ დიდხანს გაგრძელებულა. როცა დაშლილან, მიშას ეს სამეული — ბაქრაძე, მაჭავარიანი და მელიქიშვილი დაუტოვებია თავისთან და თათბირი ამ ოთხეულს შორის გაგრძელებულა. ჩვენთვის უცნობია მოტივი, რის გამო წავიდა ეს სამი კაცი წინააღმდეგი.**

**მოკლედ, ბიძინა ივანიშვილსა და მის მეუღლეს საქართველოს მოქალაქეობა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილმა არ ჩამოართვა — მის ნება-სურვილს ოცმა „ნაციონალმა“ ერთხმად და უტეხად დაუჭირა მხარი.**

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება 9 ოქტომბერს უკვე მიღებული იყო, მიხეილ სააკაშვილმა 1 დღე — 10 ოქტომბერი კონსულტაციებში გაატარა. ის შეხვდა ყველა თავის მრჩეველს, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს, იურისტებს — საერთაშორისო და სამოქალაქო სამართლის სპეციალისტებს არასამთავრობო სექტორიდან. წყარო ირწმუნება, რომ **ყველა ალტაცებით ხვდებოდა სააკაშვილის, უფრო ზუსტად, პალიკო კუბლაშვილის იდეას — ჩამოერთმიათ მოქალაქეობა ბიძინა ივანიშვილისთვის. ანდა, რატომ არ შეხვდებოდნენ ალტაცებით? პასუხისმგებლობას პრეზიდენტი იღებდა, მათ პასუხს კაციშვილი ვერ მოსთხოვს, მათ საკუთარი მერკანტილური მიზნები ამოძრავებთ — ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლა ხომ ამ ადამიანებს დააკარგვინებს თანამდებობებს, მსუყე გრანტებს, აწყობილ და დალხენილ ცხოვრებას ბიუჯეტისა თუ საქართველოს დამაქცევარი მრავალი საერთაშორის ორგანიზაციის ხარჯზე.**

მიხეილ სააკაშვილმა მხოლოდ 11 ოქტომბერს, შუაღამისას მოაწერა ხელი ბრძანებას ბიძინა ივანიშვილისა და ეკატერინე ხვედელიძისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის თაობაზე, რომელიც მისმა პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ მეორე დღეს, 12 საათზე გააცნო ქართულ და უცხოურ მედიას.

**„საქართველო და მსოფლიო“ აღნიშნული თავყრილობისა და იქ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ზურაბ მელიქიშვილსა და მიხეილ მაჭავარიანს დაუკავშირდა. ზურაბ მელიქიშვილმა არაფერი გვითხრა იმის შესახებ, მართლა ასეთ ფართო წრეში, 22 კაცში განიხილეს თუ არა ბიძინა ივანიშვილისა და მისი მეუღლისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხი. სამაგიეროდ გვიპასუხა კითხვაზე, მართლა წინააღმდეგი იყვნენ ამ გადაწყვეტილების მიღებისას თავად, ბაქრაძე და მაჭავარიანი: „რას ლაპარაკობთ?! ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია არ შეცვლილა და არც შეიცვლება“ — კატეგორიული იყო „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი.**

## მიხეილ მაჭავარიანი:
# არც ის ვიცი, სად და რა შეხვედრა შედგა. სიმართლე გითხრათ, ამგვარი შეხვედრის შესახებ არაფერი მსმენია



**მიხეილ მაჭავარიანმა** კი მოკლედ მოგვიჭრა: „ამ საკითხთან შეხება არ მქონია... არც ის ვიცი, სად და რა შეხვედრა შედგა. სიმართლე გითხრათ, ამგვარი შეხვედრის შესახებ არაფერი მსმენია“.

**„საქართველო და მსოფლიო“ „თეთრების“ ლიდერს, თემურ შაშიაშვილსაც დაეკითხა, რამდენად რეალური შეიძლება იყოს ავტოკრატი სააკაშვილის მიერ, თუნდაც ვიწრო წრეში და „დემოკრატიულად“ ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საკითხის განხილვა და ზემოაღნიშნული სამეულის ერთგვარი პროტესტი ამ გადაწყვეტილების მიმართ.**

**თემურ შაშიაშვილი:** თეორიულად ყველაფერია შესაძლებელი, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ სააკაშვილმა ეს საკითხი დასვა ასეთ თათბირზე და მეორე კიდევ, რომ მისი აზრისა და სურვილის წინააღმდეგ წასვლას ვინმე ბედავდეს. ეს არის მონური ფსიქოლოგიის გუნდი. მე კარგად ვიცნობ მიხეილ სააკაშვილს მისი პოლიტიკაში გამოჩენის პერიოდიდანვე და ვიცი, რომ ამგვარ საკითხს არავის შეუთანხმებდა. დემოკრატია, დათათბირება, პოზიციების შეჯერება — ეს არ არის სააკაშვილის მუშაობის სტილი. მას სამსახურში უყვარს მონა და ვერტიკალიააწყო მონურ ფსიქოლოგიაზე.

არც ის სამეულია წამსვლელი სააკაშვილის ნების წინააღმდეგ, საამისო ვაჟკაცობა არ ეყოფოდათ, კარგად ვიცი ესეც. ვინ, მიხეილ მაჭავარიანი წავიდოდა წინააღმდეგი? კაცი, რომელიც არის მონური ფსიქოლოგიის ადამიანი. ჟვანიას გუნდის წევრი დღეს რომ სააკაშვილის გუნდშია, მეტიც, ჟვანიას გაზრდილი კაცი, ამით ყველაფერია ნათქვამი.

**— იქნებ ეს თათბირი თუ კრება სააკაშვილმა სწორედ იმიტომ მოიწვია, რომ მომავალში, თუ რაიმე გართულება მოჰყვა ამ საკითხს, თავი იმართლოს — ეს გუნდური გადაწყვეტილება იყოო. თუნდაც, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე?**

— ეს არის გარედან მართვადი ხელისუფლება. სააკაშვილს მართავენ ლობისტი ჯგუფები, ისინი უგეგმავენ — რა ჩაიცვას, როგორ ილაპარაკოს, როდის გაიცინოს, ტრიბუნა იღლიაში როგორ ამოიდოს. აი, ამ ლობისტური ჯგუფების კარნახია კანონი მისთვის და არა პარლამენტის თუ ახლო გარემოცვის პოზიცია და აზრი. ვინმეს პასუხისმგებლობის არიდებას კი არ ვცდილობ, მაგრამ არა მგონია, თავის მონებს სააკაშვილი ჭკუას დაკითხვოდა. როდის იყო მონებს ჭკუას ეკითხებოდნენ? ამ კაცმა ქვეყანა დააქცია, თავის გუნდიდან შემპასუხებელი არ ჰყავს და ივანიშვილისა და მისი მეუღლისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევაზე მაჭავარიანი, ბაქრაძე და მელიქიშვილი წავიდოდნენ წინააღმდეგნი? არა მჯერა ამათი ვაჟკაცობისა და რა ვქნა?

**ლევან ჯავახიშვილი**

მოკლედ

## გაერო-ს უშიშროების საბჭოს ვიტალი ჩურკინი უხელმძღვანელებს

**გაერო-ში რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი ვიტალი ჩურკინი ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს უხელმძღვანელებს.** უცხოური მედიის ინფორმაციით, ჩურკინი გაერო-ს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეობას უკვე შეუდგა და პოსტზე ერთი თვის განმავლობაში დარჩება. გასულ თვეში საბჭოს პორტუგალიის წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა. გაერო-ს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე როტაციის პრინციპით ინიშნება. გაერო-ს უშიშროების საბჭო 15 წევრისგან შედგება. მათგან ხუთი (დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, რუსეთი, აშშ და საფრანგეთი) მუდმივ წევრებს წარმოადგენენ და ვეტოს უფლებით სარგებლობენ.

## უვნებელი ვიკილიქსი

**რესურს ვიკილიქსის მიერ გამოქვეყნებულმა მასალებმა აშშ-ის უსაფრთხოებას ზიანი ვერ მიაყენა.** ამის შესახებ ვიკილიქსის ინფორმატორის, დაკავებული ბრედლი მენინგის ადვოკატმა დევიდ კუმბსმა განაცხადა. დევიდ კუმბსი თეთრი სახლის, თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშებს ეყრდნობა და მათ გამოქვეყნებას ითხოვს. ადვოკატი აცხადებს, რომ პენტაგონის ანგარიშში WikiLeaks-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ხან მოძველებულს, ხან კი უკვე ყველასთვის ცნობილს უწოდებენ.

ეკონომიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოში სიღარიბის დაძლევის ლოზუნგით კაცი მიტინგზე რომ გამოდის, მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით, ის ღარიბი არ არის. ღარიბია ის, ვინც დღეში ერთ დოლარსა და 20 ცენტზე ნაკლებს იღებს. ჩვენი პენსიონერი თვეში 110 ლარს იღებს, მსოფლიო ბანკი გეუბნება, 78 ლარი უნდა გქონდეს, ღარიბი რომ იყო და სახელმწიფო რომ დაგეხმაროსო. ჩვენ ამ სტანდარტში ვზივართ.**

## დავით იაკობიძე:

# ბანკებმა დააქციეს ქვეყანა

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პროფესორი დავით იაკობიძე. თემა: კლასობრივი ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე, მდიდართა და ღარიბთა ანტაგონისტური თანაარსებობა, „ფულის ტომრების“ წინააღმდეგ „ჯიბეგაღლეტილების“ ბოლო დროს გამძაფრებული გამოსვლები, ანტიკორპორაციული აქციები, მთავარი სლოგანი — „დაიპყარი უოლ სტრიტი!“ მოწოდებათა შორის ერთი განსაკუთრებით საინტერესოა: „გადავაქციოთ უოლ სტრიტი ტახრირის მოედნად!“, აშკარა მინიშნება დემონსტრანტთა შეურიგებელ პოზიციაზე.**






**— მოძრაობა კანადაში დაიწყო, ნიუ იორკიდან კი მსოფლიოს დიდ ქალაქებს მოედო. თუმცა სად დაიწყო, ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, — ასეთი თავდაჯერებული შეკითხვა ბატონმა დავითმა კატეგორიულად მიუღებელი ჩათვალა.**

— პირიქით, — **თქვან მან,** — სად დაიწყო და სად განვითარდა, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან აქ აისახა ამერიკის ცივილიზაციაში უაღრესად მნიშვნელოვანი მომენტი: **ევროპული ელემენტის შეტანა ამერიკულ მენტალიტეტში.**

დაიწყო კანადაში, სადაც ღარიბები საერთოდ არ არიან.

ამერიკაში არასდროს გამოსულა ხალხის ასეთი მასა ამგვარი მემარცხენე ლოზუნგით, რადგან ამერიკელები თვითონ აგვარებდნენ ამ პრობლემას, მასების მონაწილეობის გარეშე.

**— არადა, თუ მასებზე შეიძლება ლაპარაკი, სწორედ — ამ შემთხვევაში. დემონსტრანტთა შორის არიან ამერიკის საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები: საქმიანი კაცები, პენსიონერები, მუშები, სტუდენტები, პანკები, პრეზიდენტ ობამას მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც, პაციფისტებიც და გეისაზოგადოებების აქტივისტებიც კი, რომლებმაც ხელიდან არ გაუშვეს „გამომზეურების“ საშუალება.**

— და ყველა მოითხოვს ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის შეცვლას.

**— ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებაში ქონების განაწილების შეცვლას, რაც, პროტესტის მონაწილეთა განცხადებით, არის 99 პროცენტი ერთის წინააღმდეგ, რაც შეძლებულთა და უქონელთა შორის შემოსავლების განაწილების მაჩვენებელია.**

— და რაც, პირდაპირ გეტყვით, მომიტინგეთა განათლებულობის მაჩვენებელიც. მეოცე საუკუნის დასაწყისში მიაჩნდათ, რომ, თუ მოსახლეობის 20 პროცენტს აქვს ქონების 80 პროცენტი, ხოლო 80 პროცენტს — 20 პროცენტი, ეს არის პარეტო-ოპტიმუმი და ეს კარგია.

**— პარეტო-ოპტიმუმი?**

— იყო ასეთი მკვლევარი ვილფრედო პარეტო. მისი აღმოჩენილია ეს ოპტიმუმი, რომელიც ამჟამად დარღვეულია. ამას გულისხმობენ საპროტესტო მოძრაობის მონაწილენი.

ევროპელებს მიაჩნდათ, რომ ადამიანი შეიძლება იყოს ღარიბი და მისი ასეთი მდგომარეობა იყოს შედეგი მატერიალური დოვლათის არასწორი განაწილებისა. ამერიკელები კი ფიქრობენ, რომ განაწილება არაფერ შუაშია, ადამიანი თვითონ არ იჩენს აქტივობას და ამიტომ არის ღარიბი.

ბიბლიის მიხედვით, უფალი ეუბნება მოსეს, რომ, მთავარია, ბევრი გქონდეს, მაგრამ ზედმეტი — არა. ცოტა გქონდეს, მაგრამ — საკმარისი.

ახალ აღთქმაში სხვა ფორმითაა მოწოდებული: იყავ ბედნიერი შენს სიღარიბეში. ხომ გახსოვთ, ნემსის ყუნწში აქლემი ვერ გაძვრებაო? „ნემსის ყუნწში“ იგულისხმება ქალაქში შესასვლელი კარიბჭე, რომელშიც საქონლით ზედმეტად დატვირთული აქლემი ვერ გაეტეოდა. ზედმეტზეა ლაპარაკი ქრისტეს შეგონებაში.

ამერიკელებმა ეს თავიანთ თავზე მოირგეს: სიღარიბე სირცხვილია, ვინც ღარიბია, საკუთარ თავს თვითონ უნდა უშველოსო.

დღევანდელი მილიარდერების ტოპათეულიდან მილიონერი მამა არავის ჰყოლია, თავიანთი ჭკუითა და მოხერხებით გამდიდრდნენ.

მაგრამ საპროტესტო აქციების მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ ამ მილიარდერებზე ნაკლები ჭკუის არ არიან, მეტის — კი. ჰაკერი, მაგალითად, თვლის, რომ არაფრით ჩამოუვარდება ბანკირს, რომელიც უოლ სტრიტზე ფაშასავით ზის: განათლება აკლია, ფარდობითობის თეორია არ ესმის თუ კომპიუტერული ტექნიკის საიდუმლოებებში ვერ ერკვევა?! დარწმუნებულია, ბანკირის ადგილაზე რომ იყოს, ყველა პრობლემას მოაგვარებდა.

**«მარტივად ავხსნი. მაგალითად, მივდივარ საჯარო რეესტრში რაღაც ცნობის ასაღებად. ამისთვის უნდა გადავიხადო 10 ლარი. მივდივარ ბანკში და ვიხდი 11 ლარს. 10 პროცენტს ვიხდი იმაში, რომ ვიხდი!»**

წმინდა ევროპული ტიპის პრობლემა შეიქმნა ამერიკაში.

გსმენიათ, ოდესმე ამერიკელი სტუდენტები გაფიცულიყვნენ, ქუჩაში გამოსულიყვნენ?

**— ვერ ვიხსენებ!**

— ახლა გამოდიან. და ეს ნიშნავს, რომ **ამერიკელების მენტალიტეტი ევროპელების მენტალიტეტისკენ იხრება, რაღაც სინთეზირება ხდება. ეს მისასალმებელია, რადგან ნიშნავს გლობალიზაციის დადებითი მუხტების წინა პლანზე წამოწევას.**

ახალი და პრინციპულად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ის შემთხვევაა, როცა ისტორიული და ლოგიკური ერთმანეთს ავსებს.

**— რახან გლობალიზაცია ახსენეთ, ეგებ ამ კუთხითაც განვიხილოთ ეს პრობლემა, რომელმაც მსოფლიო შეძრა?**

— დააკვირდით: ამერიკაში ღარიბი კაცი ამერიკის მთავრობის სახელდებითაა ღარიბი: თუ შენს ოთხსულიან ოჯახს წლიური შემოსავალი 22 ათას დოლარზე ნაკლები აქვს, ღარიბი ხარ, ამიტომ მე დაგეხმარები. მოვა სპეციალური სოცაგენტი, ნახავს, რომ, მაგალითად, კომპიუტერი არ გაქვს, ამერიკის მთავრობა შინ მოგართმევს და ა.შ. გამოვა ეს „ღარიბი“ კაცი ქუჩაში სოციალური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით?

არ გამოვა, რადგან მისი მენტალური გაგებით სიღარიბე სხვა რამაა.

**საქართველოში სიღარიბის დაძლევის ლოზუნგით კაცი მიტინგზე რომ გამოდის, მსოფლიო ბანკის გაანგარიშებით, ის ღარიბი არ არის. ღარიბია ის, ვინც დღეში ერთ დოლარსა და 20 ცენტზე ნაკლებს იღებს. ჩვენი პენსიონერი თვეში 110 ლარს იღებს, მსოფლიო ბანკი გეუბნება, 78 ლარი უნდა გქონდეს, ღარიბი რომ იყო და სახელმწიფო რომ დაგეხმაროსო. ჩვენ ამ სტანდარტში ვზივართ.**

**— რომელ სტანდარტზეა ლაპარაკი?**

— შეფარდებითი სიღარიბის სტანდარტზე. სრულ ფლუსტრაციაში ვიმყოფებით, ნეგატიურ ფსიქიკურ მდგომარეობაში, რაც განპირობებულია ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილების შეუძლებლობით, გულგატეხილნი და სასოწარკვეთილნი ვართ. ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, როცა ეფექტიანი მოქმედება მნიშვნელოვნად დაკნინებულია. ჩვენ რომ ისეთი მაგარი ბიჭები ვიყოთ, რომლებიც უოლ სტრიტს აღუდგნენ, სიღარიბეზე წუწუნს კი არ დავიწყებდით, სახელმწიფოს მოვთხოვდით, განესაზღვრა სიღარიბის ზღვარი: **თუ ამერიკის მთავრობა თვეში 450 დოლარს აძლევს ერთ ღარიბს და თვლის, რომ ღარიბია, შენ, ჩვენო ძვირფასო და ჩვენო არჩეულო ხელისუფლებავ, 100-ლარიანს მდიდრად გვაცხადებ?! ამიხსენი!**

მაგრამ ჩვენ საკითხს ასე არ ვაყენებთ, უფულობას ვტირით! ერთმა შესანიშნავმა მოქალაქემ და მოღვაწემ, ახლახან გარდაცვლილმა ოთარ ქვილითაიამ ერთხელ ასეთი კაფია თქვა:

**„უკან შარვალი დახეულია,**
**ჯიბეში მხოლოდ ხურდა**
**ფულია,**
**სხეულზე მეტად დიდი**
**გულია,**
**მაგრამ მთავარი**
**სიყვარულია“.**

რატომ თქვა? იმიტომ, რომ ბევრი იშრომა, ილვაწა და ბოლოს, როგორც რუსები იტყვიან, გატეხილ ვარცლთან აღმოჩნდა...

უოლ სტრიტზე გამოსული ბიჭები კითხულობენ: როგორ გახდა ბილ გეიტსი მსოფლიოში უმდიდრესი კაცი? არ შეუწყვეს ხელი? რატომ ამოარჩიეს მაინც და მაინც გეიტსი? მე მაგაზე კარგად ვსწავლობდი, უკეთესი პროექტები მქონდა, და — არაფერი! რატომ გრძელდება კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება ასეთი მახინჯი ფორმით? რატომ არ არის კონკურსი იმათ შორის, ვინც უნდა გამდიდრდეს?

**— უნდა იყოს?**

— რა თქმა უნდა! როგორ მოიქცნენ ამ შემთხვევაში რუსები? რა და ხელი შეუწყვეს მილიარდერების შექმნას.

**— რად უნდოდათ?**

— უნდოდათ და სჭირდებოდათ, რადგან საბაზრო ეკონომიკის საერთაშორისო ურთიერთობებში შესული ქვეყნის ხუთმილიონიან კაპიტალისტს კლასიკური კაპიტალისტური ქვეყნის მილიარდერები ისე ჩაყლაპავენ, თვალსაც არ დაახამხამებენ.

მილიარდერს მილიარდერი უნდა დაპირისპირებოდა.

არ არის ამაში ლოგიკა?

**— არის.**

— რა დამსახურება ჰქონდა ხოდორკოვსკის ისეთი, რომ 202 მილიონად ნაყიდი ქონება საერთაშორისოდ აღიარებულმა აუდიტორმა 14 მილიარდად შეუფასა?!

გამდიდრდნენ ბიჭები! მაშინ უთხრეს, აქეთ მოიხედეთ, ბევრი გაქვთ, მაგრამ ზედმეტი ნუ გექნებათო! ეს იმპერატივი ბიბლიიდან მოდის, იმათ კი სპეცსამსახურების მითითებად მიიჩნიეს. და მოიმკეს ის, რაც უნდა მიეღოთ!

**— ხომ არ მივდივართ ამ ლოგიკით სოციალიზმისკენ?**

— **სოციალიზმი და საბაზრო ეკონომიკა ერთად „ცხოვრობენ“. ვინ თქვა სოციალიზმზე უარი?** შექმნილი დოვლათის განაწილების ქვაკუთხედი არის სამართლიანობა, ესაა სოციალიზმი.

სიღარიბისა და სიმდიდრის კვლევის მათემატიკური აპარატი გვაძლევს კოეფიციენტს, — რომელ ქვეყანაში რამდენად სამართლიანია განაწილება. ამას ყურადღება იმთავითვე მიაქცია აშშ-ის პრეზიდენტმა ტრუმენმა, მდიდრების დაბეგვრის საშუალებით შექმნა სოციალური ფონდი ხალხის დასახმარებლად. ტრუმენის შემდეგ ადენაუერი, კენედი, ჯონსონი, ფორდი, დაბოლოს, „ჩვენიანი“ რეიგანი გადააკვდნენ ამ საკითხს და ვერაფერი მოუხერხეს, იმდენად სამართლიანად იყო ყველაფერი გაკეთებული.

**— ობამა ამათ რიგშია?**

— ობამამ გააძლიერა, მონახა საამისო რეზერვი.

**— ქუჩაში ეგდო?**

— თითქმის ასე იყო. 60 მილიონი ადამიანი ამერიკაში სიმსუქნის გამო მკურნალობს; 56 მილიონს მატერიალურად ეხმარებიან. მსუქნებმა თავიანთ თავს თვითონ მიხედონ, ღარიბებს გავუზარდოთ დახმარებაო.

ფინანსურმა კრიზისმა გააშიშვლა პრობლემა და დაანახა ხალხს, რომ **სამართლიანი განაწილებისკენ მისწრაფების შუაგულში გაჩნდა რაღაც პარაზიტი, რომელიც სიკეთეს იწოვს, მისი მისამართი კი არ ჩანს.** ამ ფენომენის ►

მოკლედ

## გერმანიაში ბომბი იპოვეს

**გერმანიის ხელისუფლებამ ქალაქ კობლენცის მოსახლეობის ევაკუაცია გამოაცხადა.** როგორც ბი-ბი-სი იუწყება, ქალაქში ნაპოვნია მეორე მსოფლიო ომის დროინდელი ბომბი, რომელიც დიდი ბრიტანეთის საჰაერო სამხედრო ძალებს ეკუთვნოდა. ქალაქი რამდენიმე საათში 45 ათასმა მოსახლემ დატოვა. მათ შორის მიმდინარეობდა ორი საავადმყოფოს ექიმებისა და პაციენტების, შვიდი მოხუცებულთა სახლისა და ქალაქში განთავსებული ციხის ევაკუაცია. ორტონიანი ბომბი, რომელიც სამი მეტრის სიგრძისა იყო, მდინარე რეინის სანაპიროსთან იპოვეს.



## ევროპას დისციპლინა გაუმკაცრეს

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ და გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა ევროკავშირის სტრუქტურის ცვლილების გეგმა წარადგინეს.** სარკოზის თქმით, საფრანგეთი და გერმანია ევროპის ახალი ხელშეკრულების ინიციატივით გამოდიან. „ეს ხელშეკრულება ხელს შეუწყობს უფრო მჭიდრო ინტეგრაციას და ევროკავშირში უფრო მკაცრ ფინანსურ დისციპლინას დაამყარებს“, — განაცხადა სარკოზიმ. მანვე განაცხადა, რომ ვალების კრიზისმა ევროკავშირის სერიოზული სისუსტეები წარმოაჩინა და უნდა მოხდეს ბლოკის რეფორმირება.

**თუ ამერიკის მთავრობა თვეში 450 დოლარს აძლევს ერთ ღარიბს და თვლის, რომ ღარიბია, შენ, ჩვენო ძვირფასო და ჩვენო არჩეულო ხელისუფლებავ, 100-ლარიანს მდიდრად გვაცხადებ?! ამიხსენი!**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პირველაღმომჩენები ინგლისელები იყვნენ. პრემიერ-მინისტრმა ჯონ ბრაუნმა ბანკებისკენ მიუთითა, ბუში დათანხმდა, ბანკებისთვის რომ დაერტყათ. ბანკებმა სამაგიერო გადაუხადეს და ბრაუნი მეორე ვადით არ აირჩიეს.

ამერიკელებმა კი იდეა აიტაცეს: ქვედა სართულმა შეუტია ბანკირებს.

**— ეს შეტევა ბიძინა ივანიშვილისკენაც შეიძლება წარიმართოს?**

— არა. ბიძინა ივანიშვილი ის კაცია, რომელმაც შექმნა ბევრი, მაგრამ არა ზედმეტი. მან არაფერი არ მოიხმარა იმაზე მეტი, რასაც არ მოიხმარს საშუალო მდიდარი ქართველი. ბიძინა ივანიშვილმა თავისი ქონება გაუნაწილა ხალხს, რაც ქრისტიანულ მორალს სრულად შეესაბამება.

**— უოლსტრიტელები არ ებრძვიან ბილ გეიტსს?**

— ისინი გეიტსს არ ებრძვიან.

**— წინააღმდეგობაში ხომ არ ვვარდებით, ბატონო დავით?**

— არა, არავითარი წინააღმდეგობა აქ არ არის: ისინი გეიტსს კი არა, ბანკებს, როგორც ინსტიტუტებს, ებრძვიან.

**— ნიუ იორკის სიტუაცია საქართველოზე რომ გადმოვიტანოთ, ჩვენც ჩვენს ბანკებს უნდა ავუმხედრდეთ?**

— მარტივად ავხსნი. მაგალითად, მივდივარ საჯარო რეესტრში რაღაც ცნობის ასაღებად. ამისთვის უნდა გადავიხადო 10 ლარი. მივდივარ ბანკში და ვიხდი 11 ლარს. 10 პროცენტს ვიხდი იმაში, რომ ვიხდი!

დაფიქრდნენ ამაზე ამერიკელები და ნახეს, რომ ბანკები ის ბიზნესორგანიზაციებია, რომლებიც მუშაობენ ხალხის სახელით და ხალხის პასუხისმგებლობით. რატომ? იმიტომ, რომ ბანკები სადეპოზიტო ორგანიზაციებია. სხვა საკრედიტო დაწესებულებებისგან (ლომბარდები და მისთ.) განსხვავებით, მათ უფლება აქვთ, სხვისი ფული გამოიყენონ, როგორც თავისი, კორპორატიული კლიენტის სასარგებლოდ.

რეალობამ კი დაგვანახა, რომ ბანკებმა დააქცია ქვეყანა, მოვალეებს ასახლებენ ბინებიდან, ართმევენ უძრავ და მოძრავ ქონებას და ა.შ., ანუ მუშაობენ, როგორც მევახშეები, როგორც ფინანსური შუამავლები კორპორაციასა და ინდივიდებს შორის.

**— მეწარმე სხვა არის და ბანკირი სხვა?**

— ბანკი არ არის საკრედიტო დაწესებულება, რომელიც აღჭურვილია სხვისი ფულის გამოყენების უფლებით. ასეთი უფლება არც ერთ ბიზნესმენს არ აქვს; თუ აქვს, ე. ი. არღვევს კანონს.

**— ხელისუფლება მაინც და მაინც თავს არ იკლავდა იმავე ნიუ იორკში აქციის, რომელზეც ვლაპარაკობთ, აღსაკვეთად. ეს არის დემოკრატიის მაჩვენებელი, თუ იმისა, რომ პრობლემა ამით არ მოიხსნება?**

— ჯერ ერთი, დემოკრატიის მაჩვენებელია. მეორე, აქ და ამ ადგილზე რომ მოერიო, სხვა ადგილზე იფეთქებს. ამიტომ ძალით დათრგუნვას კი არ ცდილობენ, არამედ მიაჩნიათ, რომ უმჯობესი იქნება, 3 პროცენტით გაუზარდონ გადასახადები იმათ, ვისაც დიდი შემოსავალი აქვს, ხოლო დაბალშემოსავლიანებს შეუმცირონ საშემოსავლო გადასახადი 2 პროცენტით. პრინციპში კონსესუსი მიღწეულია.

**— შეიძლება ეს მოძრაობა გადმოვიდეს საქართველოში?**

— საქართველოში, დიდი ხანია, გადმოსულია.

**— რომ არ ჩანს?**

— პრობლემაა გადმოსული: მატერიალური რესურსების არასწორი მართვა, და აქედან — არათანაბარი შემოსავლები.

**— ბიძინა ივანიშვილი ცდილობდა თავისი ქველმოქმედებით არათანაბარი შემოსავლების სამართლიანად განაწილების პრობლემის თავისი სახსრებით ერთგვარად გადაწყვეტას. შეიძლება თუ არა, აქედან გამომდინარე, დავასკვნათ, რომ პრემიერ-მინისტრად მისი მოსვლის შემთხვევაში, სწორედ ასეთი იქნება ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა?**

— სრული პასუხისმგებლობით გეტყვით, რომ **ბიძინა ივანიშვილი კი არა, ქრისტეც ვერ მოერევა პრობლემას, თუ ხალხს არ დაეყრდნო, მართალია, ბიძინა სული აქ, თავის სამშობლოშია დატყვევებული, მაგრამ კადრების პრობლემა განსაკუთრებულ ჩაღრმავებას საჭიროებს — ვინ რისი გამკეთებელია, ამის ზედმიწევნით ცოდნაა საჭირო.**

**— გუნდზე ლაპარაკობთ?**

— დამღუპველია მხოლოდ გუნდზე დაყრდნობა! უახლესი ისტორიის მაგალითზე აგიხსნით. ედუარდ შევარდნაძეს ერთი პერიოდი ჰქონდა (1994-95-96 წლები), როცა „მოქალაქეთა კავშირზე“ კი არ ფიქრობდა, არამედ — საქართველოზე. როგორც კი უარი თქვა ამ პრინციპზე, მართვის სადავეები ხელიდან გაექცა, რადგან აქცენტები შეიცვალა და უპირატესობა გუნდის წევრებს მიეცათ.

დღევანდელი ხელისუფლება სწორედ იმ გადანაცვლებულ პრინციპებზე აღმოცენდა და თავისი საქმიანობაც იმავე მეთოდით წარმართა.

**— აქედან წარმოიშვა ელიტარული კორუფციაც და სხვა მანკიერებანიც?**

— ფაქტობრივად, ასეა... ამ ბოლო დროს რუსთაველი შეუყვარდათ, მაგრამ ბოლომდე არ კითხულობენ.

შოთა რუსთაველი ამბობს:

**„უხვსა ჰმორჩილებს ყოველი,**
**იგიცა, ვინც ორგულია,**
**სმა-ჭამა დიდად შესარგი,**
**დება რა სავარგულია,**
**რასაცა გასცემ შენია,**
**რაც არა, დაკარგულია“.**

რას გვეუბნება ეს აფორიზმი? ხალხში ეძებე დასაყრდენი, ადამიანო, ვინც მოწოდებული ხარ, რომ გმორჩილებდნენო.

**— ორგულშიც?**

— ვინც ორგულია, ისიცო! მე არ მითქვამს, რუსთაველმა ბრძანა — ყოველიო, ყველა ჰმორჩილებს უხვს, მაგრამ მხოლოდ იმას, ვინც გამცემია, ვინც ყველასთვის გასცემს, ვინც ხალხისთვის იზრუნებს. გუნდზე, გამორჩეულობაზე კი არ მიგვითითებს ბრძენი პოეტი, არამედ ერთიანად ყველაზე. თანაც აქ მონურ მორჩილებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ თანადგომაზე, ომში წასული სარდლის მორჩილებაზე.

**— საინტერესო გააზრებაა.**

— უნდა ვიფიქროთ, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი საკუთარ ინტერპრეტაციას რუსთველისეული აფორიზმის — „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია“, რომელზეც „მაესტროს“ ეთერში ეკა ბერიძესთან საუბარში მიგვანიშნა, სრულად გაგვიშიფრავს. დარწმუნებულ ვარ, ეს ჩემ გარდა ბევრ სხვასაც აინტერესებს.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«შევარდნაძეს ერთი პერიოდი ჰქონდა (1994-95-96 წლები), როცა «მოქალაქეთა კავშირზე» კი არ ფიქრობდა, არამედ — საქართველოზე. როგორც კი უარი თქვა ამ პრინციპზე, მართვის სადავეები ხელიდან გაექცა, რადგან აქცენტები შეიცვალა და უპირატესობა გუნდის წევრებს მიეცათ»**



# ყვითელი ავტობუსების 600 კონტროლიორს უმუშევრად ტოვებენ

**თბილისის მერია ახალი წლიდან „ქამრების მოჭერით“, ანუ ქალაქის ბიუჯეტის დაზოგვით აპირებს ცხოვრებას. ცხადია, ეს არ გამოიწვევს მერიის მაღალჩინოსანთა ხელფას-პრემიების შემცირებას, კომფორტული უცხოური ავტომობილების შედარებით იაფფასიანით ჩანაცვლებას, არ დაეტყობა არც გიგი უგულავასა და მისი უახლოესი გარემოცვის უცხოეთში ვიზიტებს, რაც ასტრონომიული თანხები ჯდება. არა, უგულავა და მისი კლანი ეკონომიის გაწევას მერიის უჩინო თანამშრომლების ხარჯზე აპირებს.**

„საქართველო და მსოფლიოს“ ინფორმაციით, ახალი წლიდან დაგეგმილია ყვითელი ავტობუსების კონტროლიორთა გათავისუფლება სამსახურიდან. ეს „პროექტი“ 3 თვეში ეტაპობრივად განახორციელა მერიის ქვემდებარე შპს „თბილისის ავტობუსმა“. მერიის ტრანსპორტის სამსახურის შეფის — აკაკი ჯოხაძის ინიციატივითა და უგულავას თანხმობით, 600 კაცი დარჩება უმუშევარი.

შეგახსენებთ, რომ კონტროლიორთა ინსტიტუტი თბილისში მერიამ 2009 წლის 1 იანვარს შემოიღო, თუმცა რეალურად მუშაობა მათ 1 მაისს დაიწყეს. **მერიას 600 კონტროლიორის შენახვა წლიურად 6 მილიონ ლარზე მეტი უჯდება. კონტროლიორთა მინიმალური ხელფასი 600 ლარია, ხოლო ჯგუფის, უბნის და ა.შ. უფროსებს 800-1000 ლარიც აქვთ ჯამაგირი. ამას ემატება კონტროლიორთა საგაზაფხულო და საშემოდგომო უნიფორმის ხარჯები.**

ვიდრე კონტროლიორები გამოჩნდებოდნენ, მანამდე მგზავრობის საფასურის აკრეფა მძღოლებს ევალებოდათ და ყველა ხაზის ყველა ავტობუსი გეგმას 100 პროცენტით ასრულებდა. ავტობუსებში სალარო აპარატების გაჩენის მერე, რასაც მოჰყვა მგზავრობის ღირებულების 20 თეთრიდან ჯერ 30, მერე კი 50 თეთრამდე გაზრდა, გამოჩნდნენ კონტროლიორებიც, რომლებიც უბილეთო მგზავრებს „აბილეთიანებენ“, ხოლო ვისაც მგზავრობის ფული არ აქვს, აჯარიმებენ. **თავდაპირველად უბილეთო მგზავრობისთვის ჯარიმა 15 ლარი იყო, შარშან მერიამ 15-ლარიანი ჯარიმა „გააიაფა“ და 5 ლარი გახადა. ამის მერე კონტროლიორები უფრო გულმოდგინედ და დაუნანებლად აჯარიმებდნენ უბილეთო მგზავრებს. ამ ჯარიმებით მერიას საკმაოდ სოლიდური შემოსავალი შესდის, მაგრამ, ეტყობა, არც იმდენი, რომ 600 კონტროლიორის შენახვად უღირდეს. ამიტომაც ახალი წლიდან დაგეგმილია ამ ხალხის სამსახურიდან გაშვება. ეგეც თქვენი გიგი უგულავას დასაქმების პროგრამა და უმუშევრობის აღმოფხვრაზე ზრუნვა.** მართალია, ეს კონტროლიორები მგზავრთა დიდ ნაწილს ნერვებს უშლიან და დიდი კომუნიკაბელურობით, მეტიც, ზრდილობითაც არ გამოირჩევიან, მაგრამ **მთავარი აქ მერიის პრინციპია — დასაქმებულ ხალხს შინ უშვებს, უმუშევრად ტოვებს.**

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ **ამ 6 მილიონი ლარით თბილისის მერია არც ჯანდაცვის პროექტების დაფინანსებას აპირებს და არც სოციალურის. ეს 6 მილიონი მერის — გიგი უგულავას აპარატის ხარჯებს დაემატება, რაც ისედაც სოლიდურია.** მოკლედ, უგულავასა და მის ახლო გარემოცვას კიდევ ზედმეტი 6 მილიონი ლარი ექნებათ საგრიალოდ, ათასგვარი ფართი-მართის მოსაწყობად ბათუმში, ბაკურიანსა და გუდაუთაში „გასვლითი ღონისძიებების“ გასამართად, პრემიებისა და სხვა ბონუსების ჩამოსარიგებლად.

**რაც შეეხება მერიის ბიუჯეტში ამ ცვლილების განხორციელებას, არც ესაა პრობლემა გიგი უგულავასთვის. ბიუჯეტი ხომ მისთვის უბის წიგნაკია, სადაც, რასაც უნდა და როცა უნდა, მაშინ ჩაასწორებს.** მე შენ გეტყვი და თბილისის მორჩილი და ყურმოჭრილი საკრებულო ზაალ სამადაშვილის თავკაცობით სახელდახელოდ არ განიხილავს და არ დაამტკიცებს ამ ცვლილებას.

**კონტროლიორთა შესაძლო შემცირების შესახებ „საქართველო და მსოფლიომ“ თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელს — თეა შათირიშვილს დაუკავშირდა. მან უარყო ეს ინფორმაცია და განაცხადა, რომ აქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ მერიის ხელმძღვანელობა არ გეგმავს ახალი წლიდან კონტროლიორთა შემცირებას.**

ვნახოთ: აღდგომა და ხვალეო. თავის დროზე მერიის სხვადასხვა რანგის კომპეტენტური პირები და მათ შორის გიგი უგულავაც ირწმუნებოდა, რომ მუნიციპალური ტრანსპორტის (მეტრო და ავტობუსები) მგზავრობის საფასური არ გაიზრდებოდა, ასევე გვარწმუნებდნენ, რომ არ გაიზრდებოდა სამარშრუტო ტაქსების მგზავრობის საფასური; უცვლელი დარჩებოდა წყლისა და ნაგვის გადასახადი, პრესის გავრცელების ჯიხურებს ვანდალურად არ დაერეოდნენ და პრესის გავრცელებას არანაირი საფრთხე არ დაემუქრებოდა, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა — მერიამ, როგორც ეს არაერთგზის უქნია, ხალხის ინტერესები, უკაცრავად და, ფეხებზე დაიკიდა და საკუთარი, ანტიხალხური პოლიტიკა გაატარა ყველა ამ სფეროში.

**ლევან ჯავახიშვილი**

მსოფლიო

## ტიმოშენკო ციხეში რჩება

**კიევის სააპელაციო სასამართლომ წინასწარი მოსმენისას უარი განაცხადა ქვეყნის ყოფილი ექს-პრემიერის — იულია ტიმოშენკოს კასაციის დაკმაყოფილებაზე და ის პატიმრობაში დატოვა.** მოსამართლე ელენა სიტაილოს განცხადებით, ტიმოშენკოს გასათავისუფლებლად საფუძველი არ არსებობს. ტიმოშენკოს მხარეს ასევე უარი უთხრეს სასამართლოს გამოძიების ჩატარებაზე. სასამართლომ მიიღო აპელაცია ტიმოშენკოსთვის 7 წლით თვისუფლების აღკვეთასთან დაკავშირებით. აპელაციის განხილვა 13 დეკემბრისთვის დაინიშნა.



## «სიკვდილი ინგლისს»

**ირანში მდებარე ბრიტანეთის საელჩოში სტუდენტები შეიჭრნენ სკანდირებით: „სიკვდილი ინგლისს!“.** რამდენიმე დღის წინ ირანის პარლამენტმა ქვეყანაში დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური მისიის დონე დასწია. აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ იქნა მიღებული, რაც ლონდონმა, ვაშინგტონმა და ოტავამ ირანის ბირთვული პროგრამაში სამხედრო შემადგენლის აღმოჩენის გამო თეირანს სანქციები გაუმკაცრეს. ირანის პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას პარლამენტარები ოვაციებით შეხვდნენ, ისინი სკანდირებდნენ „სიკვდილი ინგლისს!“.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თუ პაციენტისთვის ისეთი მკურნალობაა აუცილებელი, რომელიც მხოლოდ თბილისშია შესაძლებელი, იგი ჩვენი მიმართვით ჩამოდის შესაბამის საავადმყოფოში და სადაზღვევო კომპანია „ქართუ“ აფინანსებს მის სამედიცინო მომსახურებას, მათ შორის, გადაუდებელ მომსახურებასაც“.

მალხაზ გაბისონია:

# ბიძინა ივანიშვილის დედა ოთარაანთ ქვრივის განსახიერებაა

**კარდიოლოგი მალხაზ გაბისონია თვეში ორი კვირით საჩხერეში ჩადის, სადაც საავადმყოფო-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში კარდიოლოგიურ სამსახურს ხელმძღვანელობს. პირიქითაც შეიძლება ითქვას: ჭორვილიდან თბილისში ჩამოდის ორი კვირით. დედაქალაქში კარდიოექსპრეს დიაგნოსტიკის კონსულტანტია. რა შუაშია ჭორვილა, ბიძინა ივანიშვილის მშობლიური სოფელი? იქაა დაბანაკებული, იქ ცხოვრობს, სწორედაც ბიძინა ივანიშვილის კარ-მიდამოში, ეს თბილისელი კაცი.**


მალხაზ გაბისონია

## მკურნალობა აქ, უწინდელივით, უფასოა

**ბატონი მალხაზი საჩხერის ძველ საავადმყოფოში მუშაობს, რომელიც მართვის უფლებით კავშირ „დოსტაქარისთვისაა“ გადაცემული.**

— „დოსტაქარი“ ბიძინა ივანიშვილის „ქართუ ჯგუფს“ დაქვემდებარებული სტრუქტურაა. აქვე, სადაც ჩვენ ვართ, შენდება ახალი საავადმყოფოს ორი დიდი კორპუსი, ერთი, პრაქტიკულად, ამ წლის ბოლოს ან გაისად, იანვარში უნდა ჩაბარდეს. ჩვენი დიდი ნაწილი იქ გადავა.

საჩხერის რაიონში მცხოვრები ადამიანები დაზღვეულები არიან სადაზღვევო კომპანია „ქართუში“, რომელიც „დოსტაქარს“ უნაზღაურებს იმ სამედიცინო საქმიანობის საფასურს, რომელსაც გასწევს.

**— სრულად?**

— სრულად, ოღონდ — კონკრეტულ ავადმყოფს, იმის მიხედვით, თუ ვის რა დასჭირდება. თუ პაციენტისთვის ისეთი მკურნალობაა აუცილებელი, რომელიც მხოლოდ თბილისშია შესაძლებელი, იგი ჩვენი მიმართვით ჩამოდის შესაბამის საავადმყოფოში და სადაზღვევო კომპანია „ქართუ“ აფინანსებს მის სამედიცინო მომსახურებას, მათ შორის, გადაუდებელ მომსახურებასაც.

**— ახალი საავადმყოფოს კორპუსები, თქვენ რომ ახსენეთ, საჩხერის ცენტრშია?**

— ცენტრად მოიაზრება საჩხერის ბაზრობა, სადგურის მოედანი, სადაც ხალხი მოძრაობს, და არა მთავარი ქუჩა, სადაც ყოფილი რაიკომის შენობა და კინოთეატრია. საჩხერის რაიონის სოფლებიდან უამრავი ხალხი სწორედ იქ იყრის თავს და არა რაიონის გამგეობასთან.

ახალი და ძველი საავადმყოფოები ერთი კონგლომერატია; ახალი ნაგებობა, რომელიც ტექნიკისა და მედიცინის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აშენდა, უახლესი ტექნიკით აღიჭურვება.

სამედიცინო დაწესებულებებს აქვს ბევრი ძალიან სპეციფიკური მოთხოვნა, რასაც, როგორც ვატყობ, ხშირ შემთხვევაში ყურადღებას არ აქცევენ. აი, ახალ კომპლექსში კი ყველა თავისებურება გათვალისწინებული იქნება.

**— რას გულისხმობთ, ბატონო მალხაზ?**

— მაგალითად, საიდანაც ავადმყოფი შედის, მნახველი იქედან არ უნდა შედიოდეს. საიდანაც გამოაქვთ ნაგავი და, ასე ვთქვათ, ნარჩენები, იქიდან არ უნდა გამოჰქონდეთ სამედიცინო ნარჩენი და ნაგავი. ბევრი ნაკადია შესვლისთვის და გამოსვლისთვის განკუთვნილი და ისინი არსად არ უნდა იკვეთებოდეს.

ახალ კორპუსებში ეს მოთხოვნა, როგორც გითხარით, დაცული იქნება.

**— პოლისებში რაღაც გარკვეული თანხა მოჭრითაა გათვალისწინებული — უნდა დაიხარჯოს ამდენი და არც ერთი ლარით მეტი?**

— არა. ამ მხრივ შეზღუდვა, როგორც ვიცი, არ არსებობს, ანუ, თუ ვინმეს რაიმე სჭირდება და ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია, რა თქმა უნდა, სრულად აფინანსებენ.

**— სასიცოცხლოდ აუცილებელში რა იგულისხმება?**

— რაც ადამიანის ჯანმრთელობასთან არის დაკავშირებული და არა, ვთქვათ, ოქროს კბილების ჩასმა.

**— ამ აუცილებლობას ექიმი ადგენს?**

— არა მხოლოდ ერთი ექიმი. თუ საქმე ეხება ავადმყოფის სხვაგან გაგზავნას და მის დაფინანსებას, ამას ადგენს სამეცნიერო საბჭო, რომელშიც შედიან „დოსტაქარის“ წამყვანი ექიმები, „ქართუ ჯგუფის“ სადაზღვევო კომპანია „ქართუს“ წარმომადგენლები. ასეთ საკითხებს ერთობლივად წყვეტენ.

**— უფასო მკურნალობის სიკეთით სარგებლობენ მხოლოდ საჩხერის რაიონში მცხოვრებნი და არავითარ შემთხვევაში — მეზობელი რაიონების?**

— ძალიან დიდი შეღავათებით სარგებლობენ ჭიათურის რაიონის მცხოვრებნი, იმ გამოკვლევებით, რომლებიც ჭიათურაში არ კეთდება, საჩხერეში უზრუნველყოფენ. ნებისმიერ ჭიათურელ ექიმს თავისი პაციენტი ასეთი გამოკვლევების ჩასატარებლად შეუძლია ჩვენთან გამოაგზავნოს.

**— მოუნდება და გამოაგზავნის?**

— არა. ამას შესაბამისი დასაბუთება სჭირდება: ექიმმა ან ავადმყოფმა „დოსტაქარის“ ხელმძღვანელობას უნდა მიმართოს. **პრაქტიკულად, არანაირი შეზღუდვა არ არის ისეთ კვლევებსა და მკურნალობაზე, როგორიც კორონაროგრაფია, სტენტირებაა და ასე შემდეგ. გადაუდებელ შემთხვევაში, მაგალითად, ინფარქტი თუ დაემართა და მიმართა საავადმყოფოს, ჭიათურელი კი არა, მოსკოვიდან ჩამოსულიც რომ იყოს, საჩხერის საავადმყოფოში შესაბამის დახმარებას აღმოუჩენენ სრულიად უსასყიდლოდ — არავინ ფულს არ გამოართმევს.**

**— საჩხერელმა პაციენტმა რა დოკუმენტები უნდა წარუდგინოს საავადმყოფოს მედპერსონალს იმისთვის, რომ უფასოდ უმკურნალონ?**

— პირადობის მოწმობა და პოლისი, რომელსაც იქვე მისცემენ. პოლისი შეიძლება ადამიანს არ ჰქონდეს აღებული და უცებ დასჭირდეს მკურნალობა. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფის პატრონი მიდის სადაზღვევო კომპანიის ფილიალში, რომელიც იქვეა, საჩხერეში და იღებს პოლისს, რომელიც მას, როგორც საჩხერელს, ფაქტობრივად, იმთავითვე აქვს.

## სიკეთის შუქ-ჩრდილები

— პრობლემები მხოლოდ მაშინ იქმნება, როცა ადამიანი იქ ჩაწერილი არ არის, ან დაავადებულია რომელიმე ქრონიკული დაავადებით, ჩადის ნათესავებთან საჩხერეში, ჩაეწერება, ერთი თვე იცდის და შემდეგ გვაკითხავს უფასო მკურნალობის მისაღებად.

**— არის ასეთი შემთხვევები?**

— ძალიან ხშირია და ეს სერიოზული პრობლემაა. ზოგი ძველი საჩხერელია, ზოგი საჩხერეში საერთოდ არ არის ნაცხოვრები, მაგრამ საჩხერეში ჩამოდის სამკურნალოდ. ეს ცალკე საკითხია. უწინ ამ საკითხებში ჩართული ვიყავი, ამჟამად — ნაკლებად, ამიტომ დეტალებზე საუბარი გამიჭირდება. თუმცა მგონია, რომ ეს პრობლემა უწინ უფრო მწვავე იყო, ახლა შედარებით შემცირდა.

**— გამოძახებები ავადმყოფებთან თქვენ გეხებათ?**

— არა. ამით ყოფილი 03-ია დაკავებული, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს. თუმცა ეპიზოდურად გარკვეული ინიექციებით „ქართულ ჯგუფი“ ეხმარება — ხან კარდიოგრაფები მისცეს, ხან ავტომობილები გაურემონტეს, საბურავებით მოამარაგეს და ა.შ. მაგრამ ეს არ არის ისეთი მუდმივი დაფინანსება, რითაც საავადმყოფო და სხვა სამსახურები არის უზრუნველყოფილი.

**— როგორც წესი, პაციენტი ექიმის მადლიერია და გამოხატავს კიდეც ამას. საჩხერეში უთუოდ იმ ადამიანსაც მოიხსენიებენ, ვინც ასეთი უნიკალური პირობები შეუქმნა.**

— საჩხერელი სუფრაზე ბიძინა ივანიშვილის სადღეგრძელოს პირველს თუ არა, მომდევნოს აუცილებლად იტყვის. მაგრამ სიკეთეს ეჩვევიან და ხშირად, როგორც კუთვნილს, ისეთ იღებენ. თუმცა ყველამ იცის, ვის უნდა უმადლოდნენ, თანაც არა მხოლოდ უფასო სამედიცინო დახმარებას, უამრავ სხვას — კომუნალური მომსახურებიდან დაწყებული და სახლის მშენებლობით დამთავრებული.

**— დაკვირვებული ადამიანები ამტკიცებენ, რომ ქველმოქმედებას თავდაპირველად სიხარულით იღებენ, შემდეგ აღიქვამენ როგორც აუცილებელს და გამორიცხული არ არის, რომ შეჩვევა უკმაყოფილებაშიც კი გადაიზარდოს. ასეთ ფაქტებს ხომ არ გადაწყდომიხართ?**

— ამასწინათ ვიღაცა გინეკოლოგებს უჩიოდა. მაგრამ უჩივიან არა დამფინანსებელს, ან „ქართუს“, არამედ კონკრეტულ ექიმს. ეს სხვა თემაა, მაგრამ, როცა მოთხოვნა მხოლოდ პაციენტის სურვილითაა გამოწვეული და არა აუცილებლობით, ეს უკვე ანომალიაა, უხერხული სიტუაცია იქმნება. ამასწინათ განვიხილეთ ერთ-ერთი ავადმყოფის, რომელიც უკიდურესად მძიმე, ფაქტობრივად, მომაკვდავი იყო, საჩივარი, რომელიც, რადაც უნდა დაჯდომოდა, მენჯ-ბარძაყის პროტეზირებას ითხოვდა. ოპერაციას, რა თქმა უნდა, ვერ გადაიტანდა, თუმცა უამისოდაც დიდი დღე არ ეწერა, გარდაიცვალა. სამწუხაროდ, ლეტალური ფინალი გარდაუვალი იყო. ზოგიერთი მზად არის, გაიკეთოს ნებისმიერი ოპერაცია, რადგან უფინანსებენ. პათოლოგიური მიდგომაა. არის ასეთი გამოვლინებებიც.

**— ის განსაკუთრებული სიკეთე, რაც საჩხერეშია მატერიალიზებული, მადლიერების გრძნობა, რომელიც, ალბათ, განსაკუთრებულ აურას ქმნის იმერეთის ამ კუთხეში, ცვლის ადამიანებს უკეთესობისკენ? თუ იქაური და აქაური პაციენტი მაინც ერთი და იგივეა?**

— პრინციპში, ერთი და იგივეა. ვისაც არ აქვს, ის უფრო აფასებს სიკეთეს, უფრო უფრთხილდება. იქ ყველაფერი უფასოა, როგორც საბჭოთა პერიოდში იყო. შეეჩვიენ და ნაკლებად აფასებენ.

**— ამბობენ, როცა ბიძინა ივანიშვილის დედა, ქალბატონი ციცინო საავადმყოფოში ექიმს ურიგოდ მიუღია, ხალხს უკმაყოფილება გამოუთქვამს, რატომ ჩვენნაირად რიგში არ ჩადგაო.**

— არ გამიგია. მოგონილს ჰგავს. ▶

**«ყველამ იცის, ვის უნდა უმადლოდნენ, თანაც არა მხოლოდ უფასო სამედიცინო დახმარებას, უამრავ სხვას — კომუნალური მომსახურებიდან დაწყებული და სახლის მშენებლობით დამთავრებული»**

## რუსეთი მშვიდობითაა დაინტერესებული

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს მოუწოდა, დაიცვან უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გაუქმებასთან დაკავშირებით.** „მოსკოვი ყურადღებით აკვირდება მეგობრულ მეზობელ სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენებს. დაინტერესებულია, რომ ამ ახალგაზრდა რესპუბლიკაში შენარჩუნდეს მშვიდობა და სტაბილური ვითარება, ხოლო პოლიტიკური პროცესები განვითარდეს მხოლოდ სამართლებრივ ჩარჩოში“, — ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების განცხადებაში.




## ისლანდიამ პალესტინა სახელმწიფოდ აღიარა

**პალესტინის ავტონომიის საგარეო საქმეთა მინისტრის — რაიდ ალმალკის განცხადებით, ისლანდიამ პალესტინა 1967 წლის საზღვრებში აღიარა.** უცხოური მედიის ინფორმაციით, აღნიშნულ გადაწყვეტილებას ისლანდიის პარლამენტის 63 წევრიდან მხარი 38-მა დაუჭირა. შესაბამისად, ისლანდია გახდა დასავლეთ ევროპის პირველი სახელმწიფო, რომელიც პალესტინის სახელმწიფოს აღიარებს. „ისლანდიამ პირველმა დასავლეთ ევროპაში გადადგა ეს ნაბიჯი“, — განაცხადა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ოსურ სკარფეინსონმა.

**„ქალბატონ ციცინოს გარშემო მყოფებთან ურთიერთობა ნაკლებად აქვს. თვითონაც ენატრება, რომ არ დაგიმალოთ, მაგრამ მასთან მნახველი უმეტესად მიდის იმიტომ, რომ რაღაც სთხოვოს. თხოვნის შესრულება მას პირადად არ შეუძლია და შვილს უნდა უთხრას, რომელიმეს მაინც, ან უნდა დაავალოს ვინმეს. ეს კი სუფთა ფსიქო-ემოციურ პრობლემებსაც იწვევს იმიტომ, რომ ყველაფერზე შვილის შეწუხება ეძნელება. წუხდება, განიცდის, ამიტომ სთხოვა ბატონმა ბიძინამ დედას, მაქსიმალურად შეემცირებინა კონტაქტები“.**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საჩხერელი სუფრაზე ბიძინა ივანიშვილის სადღეგრძელოს პირველს თუ არა, მომდევნოს აუცილებლად იტყვის

## ქალბატონი ციცინო და ივანიშვილების დიდი ოჯახი

**— სიტუაციამ მოიტანა და ბატონ ბიძინას ოჯახის წევრებთან თუ გქონიათ შეხება?**

— დედას, ქალბატონ ციცინოს ვმეთვალყურეობთ მე და ჩემი მეგობარი, ექიმი პაატა ქავთარია. სისტემატურად, ყოველდღიურად ვაკონტროლებთ მის სამედიცინო პარამეტრებს. მეცხრე წელიწადი იწყება, რაც იქ ვართ და, ბუნებრივია, როგორც საკუთარ დედას, ისე შევეჩვიეთ.

ასევე ხშირად ვხედავთ ბატონ ბიძინას ძმებს და დებს. ვინც ურეკსა და ზესტაფონში ცხოვრობს, იმათ — უფრო იშვიათად. ალეკო ხშირად ჩამოდის, მაგული, რომელიც სოფელში ცხოვრობს, უაღრესად კდემამოსილი, პატიოსანი და ძალიან კარგი ქალია. მას კვირაში, როგორც წესი, ორჯერ-სამჯერ მაინც ვნახულობთ.

**— ეს ყოველდღიური თუ, როგორც თქვით, ორჯერ-სამჯერ ნახვა ჯანმრთელობის პრობლემებით არის გამოწვეული?**

— არა, არა. ჩვენ იმ სახლის გვერდით ვცხოვრობთ, სადაც მათი დედაა, და დედის სანახავად შვილები რომ მოდიან, ბუნებრივია, ვხვდებით.

**— სულ მრავლობითში ლაპარაკობთ — ვცხოვრობთ, ვხვდებით... მარტო არა ხართ?**

— მე და ჩემი მეწყვილე პაატა ქავთარია ვართ.

**— ჭორვილაში ცხოვრობთ და, მაშასადამე, იქაურებთანაც ურთიერთობთ.**

— მე, პრაქტიკულად, — არა. ეს საქმე უფრო პაატას გამოსდის. მე უფრო ჩაკეტილი ვარ და ოჯახში ვტრიალებ. ნაცნობების მეტი რა გვყავს, მაგრამ ხშირი კონტაქტები მე ნაკლებად მაქვს.

**— მამა ბართლომემ, რომელიც ერთ პერიოდში ჭორვილაში მოღვაწეობდა და ვისაც ინტერვიუ ჩამოვართვი, ქალბატონი ციცინო დამიხასიათა როგორც უაღრესად თბილი და ყურადღებიანი ადამიანი.**

— ბიძინა ივანიშვილის დედა ოთარაანთ ქვრივის განსახიერებაა. პირში არავის მოეფერება, საკმაოდ მკაცრია, მაგრამ ეს სიმკაცრე ყოველთვის სიმართლესაა დაფუძნებული. მკაცრია იმიტომ, რომ ასეა საჭირო, საქმეს ასე სჭირდება. მეორე მხრივ, შინაგანად უაღრესად თბილი და უაღრესად მოყვარულია შვილების. შვილიშვილები რომ მოენატრება, ძალიან გულჩვილი ხდება...

ქალბატონ ციცინოს გარშემო მყოფებთან ურთიერთობა ნაკლებად აქვს. თვითონაც ენატრება, რომ არ დაგიმალოთ, მაგრამ მასთან მნახველი უმეტესად მიდის იმიტომ, რომ რაღაც სთხოვოს. თხოვნის შესრულება მას პირადად არ შეუძლია და შვილს უნდა უთხრას, რომელიმეს მაინც, ან უნდა დაავალოს ვინმეს. ეს კი სუფთა ფსიქო-ემოციურ პრობლემებსაც იწვევს იმიტომ, რომ ყველაფერზე შვილის შეწუხება ეძნელება. წუხდება, განიცდის, ამიტომ სთხოვა ბატონმა ბიძინამ დედას, მაქსიმალურად შეემცირებინა კონტაქტები.

თუმცა ქალბატონი ციცინო ხალისით მიდის ქორწილებში, დღესასწაულებზე, ეკლესიაში. მეტსაც გეტყვით, ამასწინათ ერთ ქორწილში იცეკვა კიდეც, ისე, როგორც 89 წლის ქალბატონს შეშვენის... ერთობა ხოლმე.

**— თავისი ვაჟის შემოსვლას ქართულ პოლიტიკურ სივრცეში როგორ შეხვდა ქალბატონი ციცინო?**

— ამ ბოლო პერიოდში ცუდად ხედავს და სატელევიზიო ამბებისთვის თვალყურის მიდევნება ცოტა უჭირს, თან, ჩვენი პოლიტიკოსების ნალაპარაკებს ადამიანი სიტყვა-სიტყვით საერთოდ ვერ მიჰყვება, ვერ გაერკვევი, რა ხდება. მაგრამ უფროსობას რომ აპირებს მისი შვილი, ეს აღქმული აქვს.

**— იმას ხომ არ ჰგავს, თბილისში ჩამოსულმა სტალინმა დედამისს რომ აუხსნა, ქვეყნის როგორი უფროსი იყო?**

— დაახლოებით ასეა. ამასწინათ საუბარში შვილს დაწინაურება მიულოცა. არა, დედა, მე რაზეც ვმუშაობდი, ისევ იმაზე ვმუშაობო, თბილი სიცილით აუხსნა ბიძინამ...

## სახლი ფერდობზე

— ბიძინა ივანიშვილის კარმიდამოში დგას სახლი, სადაც მე, პაატა და ბავშვების მასწავლებლები ვცხოვრობდით.

**— თბილისიდან ჩაყვანილი მასწავლებლები?**

— ან საფრანგეთიდან, ფრანგულის, მუსიკის მასწავლებლები, სტუმრები. ბატონ ბიძინას სახლიც იქ იყო.

**— სკოლაში ბავშვები არ დადიოდნენ?**

— რაღაც პერიოდი დადიოდნენ, თუმცა, როგორც ვიცი, არცთუ დიდხანს, სხვადასხვა პრობლემის გამო, მათ შორის, სწავლების დონის გამოც... გარკვეული დროის შემდეგ ბატონმა ბიძინამ ცოტა ქვევით, ფერდობზე საკმაოდ დიდი ტერიტორია შეისყიდა მეზობლებისგან და აიშენა სახლი: ტბა, პინგვინები, ზებრები, ტყე და ა. შ. და იქ გადავიდა საცხოვრებლად.

**— პინგვინები და ზებრები რატომ?!**

— მე მგონი, ბატონი ბიძინა ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ შვილებისთვის შეეყვარებინა სოფელი, ყველა პირობას უქმნიდა, იქ ყოფნა რომ ნდომებოდათ: ზოოპარკიც გვერდით ჰქონდათ, სპორტული დარბაზიც, ბატუტიც, სასირბილო ბილიკებიც, მეგობრებიც და მეზობლებიც. ყველაფერი ამისკენ იყო მიმართული.

**— ჭორვილელი ბავშვები მოდიოდნენ?**

— რა თქმა უნდა, მოდიოდნენ: რამდენიმე ბავშვი სისტემატურად დარბოდა ამათთან ერთად, ვარჯიშობდნენ...

გაგიგიათ თუ არა, ზებრები რომ ჩამოიყვანეს ჭორვილაში?

**— არა, არ გამიგია.**

— დედალ-მამალი ზებრები უნდა ჩამოეყვანათ და ორივე მამალი გამოდგა. ქართული იაღლიში ყოველთვის ხდება ამ ჩვენს სინამდვილეში. უკან ხომ არ დააბრუნებდნენ და დატოვეს. გავიდა დრო და ამ ზებრებმა ერთმანეთის მიმართ აგრესიულობის გამოვლენა დაიწყეს — კბენდნენ, წიხლებს ურტყამდნენ. ცუდად იყო საქმე. აიღეს და მოუყვანეს დედალი ვირი კორბოულიდან თუ სხვა სოფლიდან. დაწყნარდნენ ეს ზებრები. ის კაცი კი, რომელმაც ვირი ათხოვა, უშნოდ ხუმრობდა, ოთხი გოგო მყავს, ნეტავი რომელიმეს ჩემი ვირის ბედი ეწიოსო...

**— მამა ბართლომემაც თქვა და შემდეგ ეკა ბესელიამაც დამიდასტურა, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრე ბატონ ბიძინასთვის ოჯახია და უპირველესი საზრუნავი — შვილების აღზრდაო. თქვენც იმავეს ამბობთ.**

— რა თქმა უნდა. სადაც მოისურვებდა, იქ შეეძლო ეცხოვრა და ყველა პირობა შეექმნა შვილებისთვის, მაგრამ მაქსიმალურად ცდილობს, შეაყვაროს საქართველო, ჭორვილა, სადაც თვითონ დაიბადა და გაიზარდა. მეუღლეც, რომლის ძირი საირხეშია — მეზობელ სოფელში, უაღრესად შეყვარებულია თავის მიწა-წყალზე.

## გზა, რომელიც ჭორვილისკენ მიდის

**— საჩხერის საავადმყოფოსკენ ადამიანების სწრაფვა მარტო უფასო მომსახურებით რომ არ არის გამოწვეული, ფაქტია. მაღალკვალიფიციურ სამედიცინო მომსახურებას მიმზიდველობის არანაკლები ძალა აქვს. ასეა?**

— უნდა დაგეთანხმოთ, რომ ასეა.

**— თქვენ როგორ მოხვედით საჩხერეში, ბატონო მალხაზ?**

— ბატონი სოსო ბაქრაძე ათიოდ წლის წინათ „დოსტაქარის“ დირექტორი იყო. ეს პიროვნება ბატონ ბიძინას სიმამრთან ერთად სამხედრო ჰოსპიტალში წლების განმავლობაში მუშაობდა. მანამდე რუსეთშიც ერთად იყვნენ. ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. დიდი პროფესიონალი და უაღრესად პატიოსანი კაცი იყო, ბატონი ბიძინა კი განსაკუთრებით აფასებს პატიოსნებას და ლოგიკური იყო, რომ სწორედ იგი მიიწვია „დოსტაქარის“ თავმჯდომარედ.

იმ პერიოდში ქალბატონმა ციცინომ გერმანიაში გაიკეთა ოპერაცია გულზე. ბატონმა ბიძინამ ჩათვალა, რომ მას სჭირდებოდა სისტემატურად მიმხედავი ექიმი. ბატონი სოსო კარგად იცნობდა პაატას, ჩემს მეწყვილეს და მეც მიცნობდა. მაშინ კარდიოლოგიის ინსტიტუტში ვმუშაობდით მეც და პაატაც. პაატა პარალელურად ჰოსპიტალშიც იყო, კარდიოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა. ბატონმა სოსომ გვთხოვა და მას შემდეგ საჩხერეშიც ვმოღვაწეობთ.

მეც და პაატაც ვცდილობთ, რომ საჩხერის საავადმყოფოში კონსულტანტებად ისეთი ექიმები მივიწვიოთ, ვისაც განსაკუთრებით ვენდობით, ვის პროფესიონალიზმსა და პატიოსნებასაც ვაფასებთ. ასე მოხვდნენ საჩხერის საავადმყოფოში ალეკო ნანუაშვილი, უბრწყინვალესი ინფექციონისტი, რომელიც, სამწუხაროდ, ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა; ნიკა მჭედლიშვილი, რომელიც ახლა დანიაშია და ერთ-ერთი დიდი კლინიკის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. ბევრი სხვაც მოვიდა, მათ შორის, ისინიც, ვინც „დოსტაქარს“ ხელმძღვანელობს და ა.შ.

იყვნენ ისეთებიც, ვინც ვერ გაამართლა, მაგრამ უმეტესობა კარგები იყვნენ და არიან.

**— ხომ არ მიგიქცევიათ ყურადღება იმ განწყობისთვის, რომელიც ხალხს შეექმნა პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის მოსვლის შემდეგ?**

— ვერ ვიტყვი, რომ ხალხთან სისტემატური ურთიერთობა მაქვს. მე იქ ამბულატორიულ ავადმყოფებს არ ვსინჯავ, ჩემი ძირითადი სამუშაოა კარდიო-რეანიმაციული ავადმყოფების მიხედვა. ძალიან კარგი კოლექტივი გვყავს და ჩემი ჩარევა ამ ეტაპზე მინიმუმამდეა შემცირებული. ამიტომ იქაურ სიტუაციაზე საუბარი შემიძლია საავადმყოფოს პერსონალთან ურთიერთობიდან გამომდინარე, კერძოდ, იმ ხალხთან, რომელიც ჭორვილაში ტრიალებს. ფრთხილი, დაძაბული, მოლოდინის სიტუაციაა, რაც თბილისური სიტუაციისგან არაფრით განსხვავდება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**




**«გადაუდებელ შემთხვევაში, მაგალითად, ინფარქტი თუ დაემართა და მიმართა საავადმყოფოს, ჭიათურელი კი არა, მოსკოვიდან ჩამოსულიც რომ იყოს, საჩხერის საავადმყოფოში შესაბამის დახმარებას აღმოუჩენენ სრულიად უსასყიდლოდ — არავინ ფულს არ გამოართმევს»**



## მაკფოლი რესპუბლიკელებმა დაბლოკეს

**რუსეთში აშშ-ის ახალ ელჩად მაიკლ მაკფოლის დანიშვნის საკითხი რესპუბლიკელებმა დაბლოკეს. როგორც რუსული მედია წერს, მაკფოლის ახალ პოსტზე დანიშვნას სენატში გამართულ კენჭისყრისას მათ მხარი არ დაუჭირეს.** რესპუბლიკელი სენატორი მარკ კირკი ეჭვობს, რომ მაკფოლმა შესაძლოა რუსეთს ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიაწოდოს. სენატორი მოითხოვს, შეერთებული შტატების ხელისუფლებამ წერილობითი ვალდებულება აიღოს, რომ ამერიკის სარაკეტო პოტენციალის შესახებ ის ინფორმაციას არ გასცემს.



## იაპონიის იმპერატორს პენსიაზე უშვებენ

**იაპონიის პრინცი აკისინო იმპერატორისთვის საპენსიო ასაკის დაწესებას ითხოვს.** იმპერატორ აკიხიტოს უმცროსი შვილი მიიჩნევს, რომ მონარქისთვის ასაკობრივი ზღვარის დაწესება იმპერატორის მემკვიდრეებს მამის სიცოცხლეშივე მისცემს ტახტზე ასვლის შანსს. 46 წლის აკისინომ ეს იდეა საკუთარი დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე გაახმაურა. კანონის თანახმად, იაპონიის იმპერატორი ტიტულს სიკვდილამდე ინარჩუნებს, ამის შემდეგ კი ტახტზე მისი უფროსი შვილი ადის.

ᲓᲐᲘᲯᲔᲡᲢᲘ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲐᲜᲣᲠᲘ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲓᲔᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡᲙᲔᲜ.



# ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠᲘ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘ – ᲡᲐᲨᲕᲔᲚᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

**ეგვიპტეში, სირიაში, იემენსა და სხვა არაბულ სახელმწიფოებში არეულობები არ ცხრება. რა ხდება? ვინ აკეთებს ამას? რის მიღწევა სურთ? ვინ აფინანსებს ყოველივეს? და საერთოდ, რისთვისაა ეს საჭირო? დღესდღეობით მიმდინარე მოვლენების მთავარი პოსტულატი ავანტიურისტმა ჯერ კიდევ 2007 წელს გამოაცხადა: ᲗᲣ ᲐᲨᲨ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲜᲒᲠᲔᲕᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲝᲑᲐᲖᲐᲠᲡ, ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲛᲐᲚᲔ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲪᲣᲓᲐᲓ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲜᲡᲘᲐ, ᲙᲕᲚᲐᲕ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ ᲓᲐᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲖᲔ.**

## ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲖᲐᲓᲐᲐ



თუ ამერიკელები ამით არ ისარგებლებენ, თვით ჰიპერინფლაციური შოკის სტრატეგიის გამოყენებითაც კი ყველაფერი მეტნაკლებად მწვავე ეკონომიკური კრიზისის გზით წავა — ევროპა მწვავე კრიზისის გზით, ჩინეთი — ნაკლებად მწვავე. აშშ-ს დე-ფაქტო გამორიცხავენ მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემიდან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, მსოფლიო ბანკს დამარხავენ, დოლარის ანგარიშებს საერთოდ ამოშლიან მოხმარებიდან, მათთვის დახურავენ ყველა ფინანსურ ბაზარს, უარს განაცხადებენ ამერიკულ საფონდო ბაზარზე ფულის დაბანდებაზე, ვალების რეალური ფასით დაბრუნებას მოითხოვენ და ასე შემდეგ. და რა უნდა ჭამოს ამერიკამ ამ შემთხვევაში? როგორ მოიპოვონ პური არსობისა კოლონიალური გადასახადების გარეშე? იცოდვილონ მომავალი ასი წელი როგორც ვიღაც უქონლებმა? ასეთი რამ ვინმეს წარმოუდგენია, რომ ამერიკა მომავალი 100 წლის მანძილზე უქონელ ლატაკად დარჩეს?

**ᲛᲐᲨ ᲐᲡᲔ, ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘ ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲔᲑᲘᲗ.**

**ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 30-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲮᲔᲨᲘ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲐᲨᲨ-ᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲘᲜᲯᲕᲐ.**

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპისა და მთელი მსოფლიოს ეკონომიკა რომ არ დანგრეულიყო, აშშ დიდი დეპრესიიდან ვერასდროს გამოვიდოდა.

**ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲐᲘᲕᲔᲠᲘ? — ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘ.**

**ᲕᲘᲜ ᲘᲧᲝ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲐᲛᲐᲮᲐᲚᲘᲡᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲔᲚᲘ? — ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ.**

ფაშისტური მოძრაობა განავითარეს, გააფართოეს და დააფინანსეს. ფაშიზმმა კი მეორე მსოფლიო ომი გააჩაღა. შემდეგ მოიძებნა ხალხი, რომელმაც საკუთარი სიცოცხლის ფასად გაანადგურა ფაშიზმი. და მაშინვე მოიძებნა ხალხი, რომელმაც ისარგებლა ამ ომით. რა იყო აშშ-ისთვის მეორე მსოფლიო ომის მთავარი შედეგი? — მსოფლიო ეკონომიკის განადგურება, ცხადია, ფაშიზმთან ერთად; ამერიკის დეპრესიიდან გამოსვლა და მისი მსოფლიო ლიდერად, ჰეგემონად ქცევა მსოფლიო ეკონომიკაში. **ᲠᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ? ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ... ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲐᲓ, ᲰᲔᲒᲔᲛᲝᲜᲐᲓ ᲥᲪᲔᲕᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲨᲘ. ახლა რა ჩავსვათ მრავალწერტილის ადგილას? — სწორია, ისლამური ფუნდამენტალიზმი — ისლამის აგრესიული მიმართულება, მიმდინარეობა, რომელიც მუსლიმანების ცხოვრების წესის ყურანის მოთხოვნებისადმი დამორჩილებას და „მუსულმანური მიწების კოლონიზატორებისგან გათავისუფლებას" ითხოვს.**

მაგრამ დასაწყისისთვის საჭიროა ამ მიმართულების განვითარება, გაზრდა, შეიარაღება, შემდეგ კი მისი კაცობრიობის მთავარ მტრად გამოცხადება.

ამის შემდეგ აუცილებელი გახდება იმ ხალხის (ხალხების) პოვნა, რომლებიც მტერს გაანადგურებენ, ცხადია, მთელი მსოფლიოს ეკონომიკასთან ერთად.

**ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲐᲜᲣᲠᲘ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲘᲓᲔᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲐᲠᲐᲦᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲜᲢᲠᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲝᲛᲘᲡᲙᲔᲜ.**

მაშ ასე, ისლამიზმის აგრესიული ფრთის განვითარებისა და გაფართოების პროცესი დაწყებულია.

### №1. ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲔ

**აშშ-ის მხარდაჭერით სულ უფრო თამამად გამოჩნდნენ „ძმები მუსლიმანები". ახლა ქაირო მათი შტაბ-ბინაა, მათი გაერთიანებული ფრაქციები მთელ მსოფლიოშია მოფანტული.** ახლა, რევოლუციური მოვლენების შემდეგ, შეიძლება მთელი მსოფლიოს მუსლიმანურ ოპოზიციურ მოძრაობაში ქაირო მეთაურად გამოცხადდეს და ყველა ერთი დროშის ქვეშ დაირაზმოს, ერთ მუშტად შეიკრას. ეგვიპტის რევოლუციის შედეგებით მოხერხებულად ისარგებლეს „ძმებმა მუსლიმანებმა". „გაზაფხულის" კონფისკაცია დასავლეთმა მოახდინა, მისი მიღწევები კი „ძმებ მუსლიმანებს" გადასცა.

### №2. ᲢᲣᲜᲘᲡᲘ

**ტუნისის ისლამური პარტია „აღორძინება" დაუღალავად ქადაგებს თანასწორობას, როგორც თავისი მომავალი მმართველობის უმთავრეს პრინციპს. მაგრამ ისლამისტებმა დემოკრატია გაიტაცეს, დემოკრატია, რაზეც ტუნისელები ოცნებობდნენ და ქვეყანაში „არჩევნების უკიდურესი სისუფთავით" ჩატარების მქადაგებელი დასავლეთის მხარდაჭერით შეგულიანებულებმა თავდაჯერებით დაიწყეს მოძრაობა უმაღლესი ხელისუფლებისკენ.**

ოქტომბრის არჩევნების საბოლოო შედეგების თანახმად, ზომიერად ისლამურმა პარტია „ან-ნაჰდამ" გაიმარჯვა და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში 217-დან 89 ადგილს დაიკავებს. ელიტურმა რესპუბლიკურმა პარტიამ „კონგრესი დემოკრატიისთვის" 29 ადგილი მოიპოვა. მესამე ადგილზე 26 სავარძლით „სახალხო პეტიცია" გავიდა. ტუნისის ამ დამფუძნელთა კრებამ ქვეყნის ახალი კონსტიტუცია უნდა დაწეროს.

### №3. ᲚᲘᲑᲘᲐ

**სავსებით ელიტური სახელმწიფო სუფთა მუსლიმანურ ქვეყნად იქცა. იქ გამარჯვებულმა რევოლუციონერებმა უმალ გამოაცხადეს, რომ ლიბიაში შარიათის კანონები უნდა შემოიღონ.**

ექსპერტები ნატოსა და ისლამისტების კავშირს „კეთილსასურველ ქორწინებას" უწოდებენ. ისლამისტებმა გარდამავალ ნაციონალურ საბჭოში რიგიანად შეავიწროეს ლიბერალები. უკვე გასაგები ხდება, რატომ მოხვდა ალიანსის იარაღი ფუნდამენტალისტების ხელში. ეს უკანასკნელნი მზად არიან, აღნიშნული იარაღი გამოიყენონ ნებისმიერის წინააღმდეგ, ვინც პრეზიდენტის სასახლისკენ მიმავალ გზაზე გადაეღობებათ.

### №4. ᲘᲔᲛᲔᲜᲘ

**იემენში რელიგიური ფანატიკოსები, რომლებიც საკუთარ თავს „ზომიერ ისლამისტებს" უწოდებენ, ყველაზე ძლიერი და ყველაზე დაუნდობელი დაჯგუფებაა მათ შორის, ვინც სალეხის რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდა. მათ იდეოლოგიაში სიახლე არაფერია, არც დემორატიული და არც ლიბერალური. თუ ისინი ხელისუფლებაში მოვლენ, დასავლეთი კი უკვე განიხილავს ამგვარ შესაძლებლობას, იემენელები გამოემშვიდობებიან ცხოვრების გაუმჯობესების იმედებს, რადგან მათი რევოლუცია უკვე დაექვემდებარა კონფისკაციას.**

იქაურ „ალ ქაიდას" სათავეში უდგას იემენელი ნასარ ალვახიში; მისი მარჯვენა ხელი საუდეველი საიდ აშ-შუხრია. მათი ხელმძღვანელობით დაჯგუფება ძალზე სწრაფად გაიზარდა როგორც რაოდენობრივად, ასევე საბრძოლო პოტენციალის მხრივ. ბოევიკების რაზმების შემდუღაბებელია მოძრაობის მთავარი იდეოლოგი იმამი ანვარ ალ-აულიაკი, ისლამისტი მოძღვარი, რომელმაც საინჟინრო განათლება აშშ-ში მიიღო. იგი ისლამურ სამყაროში ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ მქადაგებლად მიიჩნევა. ალქაიდელებმა მთავარი პლაცდარმის შექმნა ღრმა სამხრეთით, სეპარატისტების მზარდი მოძრაობის შუაგულში მოინდომეს. სეპარატისტების მიზანია, იემენის სამხრეთი დამოუკიდებელ წარმონაქმნად აქციონ და ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებიდან გამოყონ. სულ რაღაც ათი მილის მოშორებით განუწყვეტლივ მოძრაობენ ნავთობტანკერების ქარავნები. აქ მსოფლიოს მთავარი ნავთობარტერია გადის.

### №5. ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

**თურქეთის ერაყში შეჭრის იდეა თანდათან მწიფდება. თუ ეს შეჭრა დროში გახანგრძლივდება, მას სერიოზული შედეგები მოჰყვება, უპირველესად, თურქეთისა და ახლო აღმოსავლეთის, შემდეგ კი მთელი მსოფლიოსთვისაც.**

უნდა ვივარაუდოთ, რომ ჩრდილოეთ ერაყში სრულმასშტაბიანი შეჭრის იდეა თურქეთის ხელისუფლებას, დიდი ხანია, აწვალებს, მაგრამ ამ იდეას თურქეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო მეთაურობა არ იზიარებდა. არ იზიარებდა, რადგან მშვენივრად ესმოდა ამ ნაბიჯის ყველა შედეგი.

მიმდინარე წლის ზაფხულში მთელი სამხედრო მეთაურობა, უკლებლივ ყველა სახეობის ჯარის მთავარსარდალი თანამდებობიდან დაითხოვეს. **ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲔᲚᲘᲢᲣᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲓ ᲓᲐ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲛᲣᲡᲚᲘᲛᲐᲜᲣᲠ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲖᲛᲡ. ᲠᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲔᲑᲐ ᲔᲠᲐᲧᲨᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲨᲔᲭᲠᲐ? ᲡᲐᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, — ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲜᲒᲠᲔᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲪᲮᲘᲗ. ᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲨᲘ? — ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲡ.**

დასრულდა. სამხედროები თურქეთის საზოგადოებაში გავლენას დაკარგავენ და თურქეთი დაუყოვნებლივ გახდება ირანი №2. ამით მუსლიმანური ფუნდამენტალიზმი — ისლამის აგრესიული ფრთა გაფართოვდება.

**„მტრული წნეხისადმი" გაცილებით მდგრადები აღმოჩნდნენ სპარსეთის ყურის სახელმწიფოები. მათ მოახერხეს უკონფლიქტო სამოქალაქო საზოგადოების აშენება, რითაც თეირანელი მულების დაუძინებელ მტრებად იქცნენ: ისინი აიათოლას მონარქიას ვერ დაუქვემდებარეს. ირანისადმი მტრულ განწყობას ისინი არც მალავენ.** შიიტებთან ურთიერთობებს აწყობენ, მათთან კონფლიქტებს მშვიდობიანად აგვარებენ. რეგიონში სამეფო ხელისუფლებას თვალის ჩინივით უფრთხილდებიან და გზას უჭრიან ისლამისტების ყველა მისწრაფებას — ზომიერსაც, პოლიტიკურსაც და რა- ▶



დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ 1973 წელს მუსლიმანთა რაოდენობა 500 მილიონს უტოლდებოდა, ახლა ეს რიცხვი 1,5 მილიარდს უტოლდება. სოციოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მხოლოდ არაბულ ქვეყნებში 2025 წლამდე მუსლიმანური მოსახლეობა გაორმაგდება... ევროპა კი მუსლიმანების ხელში შეიძლება მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ კარტად იქცეს.**

◀ დიკალურსაც. მაგრამ ჩნდება ცნობები იმის შესახებ, რომ **დასავლეთის სპეცსამსახურები მხარს უჭერენ და ეხმარებიან ისლამურ მოძრაობებს, რომელთაც შეუძლიათ შეუძლებელი მოახდინონ — სპარსეთის ყურეში ერ-რიადის გავლენას ბოლო მოუღონ.**

ფუნდამენტალისტების კანონზომიერ შეიარაღებაზე სალაპარაკოც არაფერია. 1 ნოემბერს „ინტერფაქსის" ლონდონის განყოფილება იტყობინებოდა, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ ლიბიის ხელისუფლებას დაავალა, არ დაუშვას კადაფის კუთვნილი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებისა და სხვა შეიარაღების ბოევიკებისა და ტერორისტების ხელში მოხვედრა.

**როგორც ბრიტანული სატელევიზიო კომპანია „ბი-ბი-სი" იტყობინებოდა, რუსეთის მიერ შეთავაზებული რეზოლუციის პროექტის მხარდაჭერა გამოხატა უშიშროების საბჭოს ყველა წევრმა.**

**მოსკოვი შეშფოთებას გამოთქვამდა იმასთან დაკავშირებით, რომ ლიბიაში მიმდინარე კონფლიქტისას იარაღის მნიშვნელოვანი ნაწილი უპატრონოდ დარჩებოდა და შეიძლებოდა საზღვარგარეთ გასულიყო.**

**გაეროს უშიშროების საბჭომ ასევე მოუწოდა ხელისუფლებას ტრიპოლში, გაენადგურებინა მთელი არსებული ქიმიური იარაღი უფლებამოსილ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მკაცრი კოორდინაციის პირობებში.**

**თავის მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა და გაეროს ორგანოებმა ლიბიის მთავრობასა და რეგიონის სახელმწიფოებს ხელი უნდა შეუწყოს შეიარაღების გაუვრცელებლობაში, — ნათქვამია რეზოლუციაში.**

აშშ-ის მონაცემებით, სამხედრო კონფლიქტის დაწყებამდე ლიბიის ტერიტორიაზე არსენალებში ინახებოდა დაახლოებით 20 ათასი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი. მათი ნაწილი ნატოს ავიადარტყმებისას განადგურდა, მეორე ნაწილი მეამბოხეებმა ნადავლის სახით ჩაიგდეს ხელში, მაგრამ შეიარაღების არც თუ მცირე ნაწილი, უბრალოდ, მოიპარეს.

თუნდაც 20 ცალი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი ისლამისტების ხელში არის 20 ჩამოგდებული სამგზავრო თვითმფრინავი.

შეიარაღების უდიდეს რაოდენობას ჩაიგდებენ ხელში ფუნდამენტალისტები იმ არაბულ ქვეყნებში, სადაც ისინი ხელისუფლებაში მოვლენ, მთელ მსოფლიოში მოდებულ ფუნდამენტალისტებში ამ იარაღის გავრცელება კი მსოფლიოს მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებს.


ირანში ბრიტანეთის საელჩოზე თავდასხმა

## №6. ევროპა

**ისლამი დედამიწაზე ყველა მიმართულებით წარმოუდგენელი სისწრაფით ვრცელდება. უკანასკნელ 25 წელიწადში მუსლიმანების რაოდენობა ზუსტად სამჯერ გაიზარდა და ისტორიაში პირველად გადააჭარბა ქრისტიანებისას. თუ 1973 წელს მუსლიმანთა რაოდენობა 500 მილიონს უტოლდებოდა, ახლა ეს რიცხვი 1,5 მილიარდს უტოლდება.**

სხვაგვარად რომ ვთქვათ, პლანეტის ყოველი მეოთხე მოსახლე მუსლიმანია. ეს გავრცელება იმდენად თავბრუდამხვევია, რომ ის არნახულ გავლენას ახდენს მათზე, ვინც ყოყმანობს და საბოლოოდ ისინი ისლამს იღებენ. ისლამი მსოფლიო იდეოლოგია ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმანების რაოდენობა იზრდება, არ შეიძლება საუბარი ერთიან საზოგადოებაზე ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ერთის მხრივ, არის ავღანეთი, ალჟირი — ქვეყნები, სადაც რადიკალური ისლამი მეფობს, მეორე მხრივ — ეკონომიკური უფსკრული აფრიკის ულატაკეს სახელმწიფოებსა და ირანსა და ერაყს (ნავთობის იმ მონარქ-მილიარდერებს შორის, რომლებიც საკუთარ თავში გეოპოლიტიკური პოტენციალს მალავენ) შორის; ამას ემატება ნაციონალური შუღლით ფეოდალურ კროსვორდად ქცეული პაკისტანი, პალესტინა, ბოსნია და ბოლოს კოსოვო...

მაგრამ შედეგი ერთი და იგივეა. მიუხედავად შიდა წინააღმდეგობებისა, თანხმობისა თუ უთანხმოებისა, ისლამი, ახდენს რა შიდა რესურსების მობილიზებას, მაინც იქცევა მძლავრ ერთიანობად და მოძრაობაში მოჰყავს ისტორიის ბორბალი, ვრცელდება მთელ მსოფლიოში და ერთიან იდეოლოგიად ყალიბდება.

**მუსლიმანების რაოდენობის ზრდის კიდევ ერთი ფაქტორი შობადობის მაღალი მაჩვენებელია. სოციოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მხოლოდ არაბულ ქვეყნებში 2025 წლამდე მუსლიმანური მოსახლეობა გაორმაგდება.**

ევროპაში 17 მილიონ ემიგრანტ-მუსლიმანს ასი ათასობით ევროპელი მიემატა. მათ მუსლიმანობა მიიღეს. ანალიტიკოსთა პროგნოზები კი ასეთია: **ევროპა მუსლიმანების ხელში შეიძლება მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ კარტად იქცეს.**

ახლახან გამოცემულ წიგნში „ისლამის მიმღებები: ისლამი ევროპაში" მკვლევარები აღნიშნავენ, რომ დიდი ხნის მანძილზე მუსლიმანები ევროპას აღიქვამდნენ როგორც პროვინციას, რომელიც შიდა განვითარების პროცესების შედეგად ისლამის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად იქცევა.

ერთ-ერთი ისლამური ცენტრის ხელმძღვანელის მიერ ნახევრად ხუმრობით ნათქვამი იმის შესახებ, რომ 50 წლის განმავლობაში ევროპა ისლამური გახდება ან ისლამის ძლიერი გავლენის ქვეშ მოექცევა, ევროპის ქრისტიანებს უკვე თავზარს სცემს. ეს მოვლენა განპირობებულია არა იმდენად აღმოსავლეთის ქვეყნებიდან იმიგრანტების ნაკადებით, რამდენადაც იმით, რომ კომუნიზმის კრახისა და კაპიტალიზმის შიდა დეგრადაციის შემდეგ ისლამი მსოფლმხედველობის ალტერნატივად განიხილება.

ბოლო ოც წელიწადში დასავლეთ ევროპაში მცხოვრები მუსლიმანების რაოდენობა განუხრელად იზრდება — 1990 წლის თითქმის 10-მილიონიანი მაჩვენებლიდან 2010 წლამდე თითქმის 17 მილიონს მიაღწია. ისლამური მოსახლეობის ზრდა თანდათან უმატებს გრადუსს ამასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ-სოციალურ პრობლემებს. სულ უფრო დაძაბულად მიდის მსჯელობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ევროპის საზოგადოებაში რელიგიის ადგილი, ქალების როლი, იმიგრანტების უფლებები და მოვალეობები, ტერორისტული ორგანიზაციების მხარდაჭერა და ასე შემდეგ.

სრულფასოვან დისკუსიას ის ფაქტი ართულებს, რომ ზოგიერთი ევროპელი მუსლიმანი პირდაპირაა დაკავშირებული ევროპის საზღვრებს გარეთ ბაზირებულ რელიგიურ გაერთიანებებსა და მოძრაობებთან. სამართლიანია ეს თუ არა, აღნიშნულ ორგანიზაციებს ხშირად ადანაშაულებენ ევროპულ საზოგადოებაში მუსლიმანების ინტეგრაციისთვის წინააღმდეგობების შექმნაში და ხანდახან მათვე ბრალდებათ რადიკალური განწყობისა და ექსტრემიზმის მატება.

**ესეც მესამე მსოფლიო ომის საბრძოლო მოქმედებების თეატრი.**

**მსოფლიო ეკონომიკის გასანადგურებლად ყველაფერი მზადაა.**

**აშშ მესამე მსოფლიო ომში პირდაპირ მონაწილეობას არ მიიღებს. შესაძლებელია მცირე ოპერაციები ომის დასასრულს, როგორც ეს 1945-ში იყო.**

**და როგორც ყოველთვის, ამერიკა კვლავ თეთრი და ფუმფულაა.**

aftershock-2

# როგორ ქაჩავს აშშ ფულს მსოფლიოდან

**იმის განხილვა, თუ როგორ ქაჩავს აშშ ფულს მთელი მსოფლიოდან, ეკვატორული გვინეის კლასიკურ მაგალითზე შეიძლება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მშვენივრად აითვისა სხვა სახელმწიფოებთან უდანაკარგოდ თანამშრომლობის ტექნოლოგია. ჩინურ იმპორტზე დახარჯული მილიარდები შეიძლება უკან დაბრუნდეს პეკინისთვის სახაზინო ობლიგაციების მიყიდვის გზით. საუდის ნავთობის შესაძენი მზარდი დანახარჯები იოლად შეიძლება ანაზღაურდეს არაბებისთვის იმდენი იარაღის მიყიდვით, რომ ნავთობის ფასი რამდენიმე წლით ადრეც იქნება გადახდილი. ის ფულიც კი, რომელსაც ამერიკელები განვითარებად ქვეყნებში ჩინოვნიკების მოქრთამვისთვის იყენებენ, თურმე თავისუფლად შეიძლება უკან დაბრუნდეს. ამისათვის საკმარისია იმ აქტივების კონფისკაცია, რომლებიც ამ ქრთამებითაა შეძენილი.**

25 ოქტომბერს ამერიკის იუსტიციის სამინისტრომ შეიტანა ორი სარჩელი კალიფორნიასა და ვაშინგტონში. სარჩელებში მოთხოვნილია ეკვატორული გვინეის აშშ-ში მდებარე სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის 71 მილიონი დოლარის ქონების კონფისკაციის შესახებ. მინისტრს ადანაშაულებენ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში, მექრთამეობაში და ფულის გათეთრებაში. კონფისკაციას უპირებენ თვითმფრინავს (38 მილიონი დოლარი), მალიბუში მდებარე აპარტამენტებს (30 მილიონი დოლარი), რამდენიმე ავტომობილსა და მაიკლ ჯექსონის პირად ნივთებს, რაც საერთო ჯამში დაახლოებით 2 მილიონი ღირს.

აშშ პირველად არ დასდევს კორუმპირებულ უცხოელ ჩინოვნიკებს, მაგრამ ეს მაინც განსაკუთრებული შემთხვევაა. გვინეელ მინისტრს თეოდორო ობიანგ-უმცროსი ქვია. მისი მამა, თეოდორო ობიანგ-უფროსი, უკვე 32 წელია, სათავეში უდგას აფრიკის ყველაზე მდიდარ ქვეყანას ეკვატორულ გვინეას და გადადგომას არც აპირებს. აშშ-ს სურს, ქვეყნის მოქმედი მეთაურის საზღვარგარეთული ქონების კონფისკაცია, თანაც არა რაიმე ეკონომიკური სანქციის ფარგლებში, არამედ, უბრალოდ, „მექრთამეობის, გამომძალველობისა და ბუნებრივი რესურსების დატაცებისათვის".

**ეს ყველაფერი ახალი „კლეპტოკრატიური ინიციატივის" ფარგლებში ხდება, რაც ობამას ადმინისტრაციამ ჯერ კიდევ შარშანდელი წლიდან წამოიწყო. თავად პრეზიდენტის თქმით, ეს ინიციატივა „უნდა დაეხმაროს დემოკრატიულ მმართველობებს მათი ერისათვის მოპარული აქტივების დაბრუნებაში". მისი ნოვატორობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ამერიკის ხელისუფლება კორუფციული ქონების კონფისკაციას დაიწყებს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც თავად კორუფციონერის მიმართ სასამართლოს ჩატარება შეუძლებელია მისი იმუნიტეტის ან აშშ-ის იურისდიქციაში არყოფნის გამო.**

ვაშინგტონი უკვე მრავალი წელია, აჯარიმებს ამერიკულ კომპანიებს, რომლებსაც უცხოელი ჩინოვნიკების ქრთამებთან კავშირი დაუტკიცდათ, მაგრამ ახლა ქონებრივი დანაკარგები ელით მათაც, ვისაც ეს ქრთამები თვალითაც არ უნახავს. მექრთამის მშობლიური ქვეყნის თანხმობა ამ ყველაფრისთვის საჭირო არაა. ობიანგ-უფროსს ამერიკის იუსტიციის სამინისტროსთვის არ ჩაუბარებია თავისი შვილი და მემკვიდრე; პირიქით, ის აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე გულუხვი და ლოიალური მოკავშირე იყო. მაგრამ ვაშინგტონში გადაწყვიტეს, რომ გვინეელმა კორუფციონერებმა ძალზე შორს შეტოპეს.

**გასაგებია, რომ გვინეის ხელისუფლებას ყველაზე მეტ ქრთამს სწორედ ამერიკული ნავთობკომპანიები უხდიან; სხვაგვარად როგორ გამოვიდოდა, რომ რეჟიმი მთლიანად კორუმპირებულია, ამერიკელები კი იქ საუკეთესო ნაჭრებს ეუფლებიან. აშშ გვინეის ნავთობის მთავარი მყიდველია. სწორედ ამერიკელებმა გახსნეს იქ ნახშირწყალბადების პირველი საბადო 90-იან წლებში. ტყუილად არ უწოდებდა კონდოლიზა რაისი უფროს ობიანგს GOOD FRIEND-ს, ობამა კი მეტროპოლიტენ-მუზეუმში მასთან ერთად სურათებს იღებდა.**

იდეაში კონფისკაციის შედეგად ამოღებული სახსრები ვაშინგტონმა დაზარალებული ქვეყნის ახალ, დემოკრატიულ მმართველობას უკან უნდა დაუბრუნოს. მაგრამ ეკვატორულ გვინეაში კვლავაც ობიანგია მმართველი და აბსოლუტურად ღიად ამზადებს თავის შვილს საკუთარ მემკვიდრედ. ამიტომ დემოკრატიული მმართველობა, რომელსაც ობიანგების მოპარული და ამერიკის მიერ ჩამორთმეული ქონება დასჭირდება, იქ კიდევ კარგა ხანს არ იქნება.

file-rf.ru

**მუსლიმანური ფუნდამენტალიზმის იდეისა და იარაღის კონცენტრაცია გამოცდილი ამერიკელი რეჟისორების ხელმძღვანელობით ძველი სცენარით მიდის მესამე მსოფლიო ომისკენ**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2001 წლის 11 ნოემბერს ჰოლივუდში შედგა თათბირი, რომელსაც თავად პრეზიდენტი ბუში, შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე კარლ როუვი და ჰოლივუდის ყველა წამყვანი სტუდიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია კინოინდუსტრიას „ტერორიზმთან ომში“. შეხვედრიდან ცოტა ხანში გაჩნდა რამდენიმე სერიალი, რომელშიც ნაციონალური უსაფრთხოების იდეაა წინა პლანზე წამოწეული.**

# ჰოლივუდი ამერიკული სპეცსამსახურების სამსახურში

**ერთი შეხედვით, ჭორად ვრცელდება ხმები იმის თაობაზე, თითქოს ჰოლივუდი კვლავაც რჩება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის, მათ შორის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს სამიზნედ. კინემატოგრაფში პროპაგანდის თაობაზე აკადემიური კამათი თითქმის სრულად რეტროსპექტულია, მაგრამ მთელ რიგ კომენტარებში ყურადღება გამახვილდა პენტაგონთან ხანგრძლივ და ღია ურთიერთობებზე, ჰოლივუდის დახმარებით განხორციელებულ ფარულ გავლენაზე კიდევ უფრო ნაკლები იწერებოდა 9/11-ის შემდგომ მსოფლიოში. ამრიგად, ეს სამუშაო „ღრმა პოლიტიკის“ მინდორზე მიმდინარეობს და მისი სრულად გაგება ამჟამად შეუძლებელია, რადგანაც მასში ხელისუფლების ჩრდილოვანი მოთამაშეების გავლენა ფიგურირებს.**




სხვადასხვა სახელმწიფო სააგენტოს (გამოძიების ფედერალური ბიუროდან დაწყებული, ნასათი და საიდუმლო სამსახურით დასრულებული) დღევანდელ ჰოლივუდში საკუთარი წარმომადგენლობა ჰყავს. ამ სააგენტოებიდან ზოგიერთს აქვს რაღაც, რაც სცენარების შეცვლის სანაცვლოდ შეიძლება შესთავაზონ, მაგრამ მათი გავლენა მინიმალურია. ამ მხრივ შესამჩნევ გამონაკლისს თავდაცვის სამინისტრო წარმოადგენს. ამ „გახსნილმა“ უწყებამ ძლივსძლივობით დაუშვა ტინსელ ტაუნთან ურთიერთობის პუბლიკაცია, რომელშიც **კონსულტაციების, ხალხისა და ღირებული აღჭურვილობების (ავიამზიდებისა და ვერტმფრენების) სანაცვლოდ პენტაგონი სცენარების მნიშვნელოვნად შელამაზებას ითხოვს.** ამგვარი ცვლილებების მაგალითებია ფილმებში: „შავი შევარდენის ვარდნა“ (სადაც რეალური სამხედრო გმირის პერსონაჟი შეიცვალა მისი, როგორც ბავშვებზე მოძალადის სტატუსის გამო, ჯეიმს ბონდის ერთ-ერთ სერიაში, სადაც ამოიჭრა ხუმრობები „დაკარგული ვიეტნამის“ შესახებ), „ქართან მოლაპარაკეები“ (საიდანაც ამოჭრეს, თუ როგორ აცლიდნენ ოქროს კბილებს მკვდარ იაპონელ ჯარისკაცებს სამხედრო მეზღვაურები). მსგავსი მაგალითები ბევრია და პენტაგონი ამგვარ თანამშრომლობას ფილმების უდიდეს რაოდენობას სთავაზობს. მათ შორისაა: „ტოპ განი“, „მართალი სიცრუე“, „ნაბრძანებია განადგურება“, „პრეზიდენტის თვითმფრინავი“, „შიშის საფასური“, „ტრანსფორმერები“, „რკინის ადამიანი“ და ასე შემდეგ. არის ტელესერიალებიც, მაგალითად, „სამხედრო-იურიდიული სამსახური“.

**ხელისუფლების ამგვარი ქმედებები, რომლებიც თავისთავად მორალისგანაც შორს დგას და თითქმის გაუხმაურებლადაც კეთდება, ცხადია, საზოგადოების საკეთილდღეოდაა გამიზნული. მაგრამ ცსს-ს ჰოლივუდურ საქმიანობაზე იგივე არ ითქმის.**

1996 წელს ცსს-მ ზედმეტი პომპეზურობის გარეშე აღნიშნა თავისი ახალი ოფისის — „Media Liaison“-ის გახსნა და მას სათავეში ვეტერანი ჩეიზ ბრენდონი ჩაუყენა. ამ ახალი წარმომადგენლობის წყალობით, ცსს-ს შეეძლო ღიად ეწარმოებინა ურთიერთობები ჰოლივუდის კინომწარმოებლებთან, ცხადია, მკაცრი „კონსულტაციების“ რეჟიმში.

## ცსს-ს შეეძლო ღიად ენარმოებინა ურთიერთობები ჰოლივუდის კინომწარმოებლებთან, ცხადია, მკაცრი «კონსულტაციების» რეჟიმში

ჰოლივუდთან გახსნილად თანამშრომლობის გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა „სამუშაო ჯგუფის მოხსენება ცსს-ს დიდი აღმოჩენის შესახებ საზოგადოებისთვის“. ის 1991 წელს ცსს-ს მაშინდელმა დირექტორმა რობერტ გეიტსმა შეადგინა და ხელახლა ჩამოაყალიბა „ღია სამუშაო ჯგუფი“, რომელიც საიდუმლოდ განიხილავდა საკითხს, გამხდარიყო თუ არა საიდუმლო სამსახური ნაკლებად საიდუმლო. მოხსენებაში აღიარებულია, რომ **ცსს „ახლა თანამშრომლობს ყველა მსხვილი საინფორმაციო სააგენტოს, გაზეთისა და ქვეყნის სატელევიზიო ქსელის რეპორტიორებთან“;** მოხსენების ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ეხმარება მათ „ზოგიერთი „საიდუმლო სამსახურის ჩავარდნა“ „საიდუმლო სამსახურის წარმატებად“ აქციოს და შეიტანოს სხვადასხვა შესწორება სხვადასხვა სახის ინფორმაციის აურაცხელ რაოდენობაში“. ამის შემდეგ მოხსენებაში წერია, რომ **ადრე ცსს „რეპორტიორებს არწმუნებდა, გადაედოთ, შეეცვალათ, შეენახათ და საერთოდაც გადაეგდოთ ისტორიები, რომლებიც შეიძლებოდა ნეგატიურად ასახულიყო სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე...“**

ამ აღიარებამ წონა შეჰმატა იმ უამრავ მოხსენებასა და კონგრესში მოსმენას, რომლებიც 1970-იანი წლებიდან გრძელდება და რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ცსს ინარჩუნებს ღრმა კავშირებს ნაციონალურ და საერთაშორისო მასმედიაში და მის არაფორმალურ სახელწოდებას „ოპერაცია გადამსწორებელი“.

**1991 წლის მოხსენებაში ცსს აღიარებს, რომ „აწარმოებს სააგენტოს შესახებ გარკვეული ფილმების — როგორც დოკუმენტურის, ასევე მხატვრულის — სცენარების მონიტორინგს ფილმების იმ მწარმოებელთა თხოვნით, რომლებიც მათ მიმართავენ სიზუსტისა და სისწორის დაცვის მიზნით“. ცსს გულმხურვალედ ირწმუნება, რომ, მართალია, „ხელი შეუწყო ზოგიერთი სცენის გადაღებას სააგენტოს შენობაში“, არ ცდილობს, „რაიმე როლი შეასრულოს ფილმების წარმოებაში“. მაგრამ ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ცსს, რომელიც ხანგრძლივად ინარჩუნებდა თავის ადგილს მედიასა და აკადემიებში, არანაირად არ ავლენს საკუთარ ინტერესს კინოინდუსტრიაზე გავლენის გასაძლიერებლად.**



ნამდვილად არაა საკვირველი ის, რომ ცსს ჩართული იყო ბოლოდროინდელ ბლოკბასტერებსა და ტელესერიალებში. ტელესერიალ „სააგენტოს“ აღმასრულებელი პროდიუსერი ვოლფგანგ პეტერსონი, ფაქტობრივად, თანაავტორის სტატუსით თანამშრომლობდა ცსს-ს ყოფილ აგენტთან და მეზღვაურთან ბაზელ ბაზლთან; ასევე მასთან კონსულტანტებად მუშაობდნენ ცსს-ს სხვა ყოფილი აგენტებიც. ცსს-მ დიდი სიხარულით გაუღო კარი ამ ფილმს და თავის შტაბბინაში გადაღებებისთვის დაუთმო შიდა თუ გარე მოედნები. ეს დაახლოებით იგივე მექანიზმი იყო, რაც გამოიყენეს პოპულარული სერიალის — „გამოძიების ფედერალური ბიუროს“ გადაღებისას. სერიალი ბიუროსთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიქმნა და მისი ყოველი ეპიზოდის ტიტრებში ედგარ გუვერს უხდიდნენ მადლობას. გარდა ამისა, სერიალ „სააგენტოში“ წარმოდგენილნი არიან ამერიკელი მზვერავები, რომლებიც თავდაუზოგავად ებრძვიან ბოროტმოქმედებს. ერთ-ერთ ეპიზოდში ისიც კია ნაჩვენები, თუ როგორ იხსნის სიკვდილისგან ცსს ფიდელ კასტროს. მაგრამ ყველაზე ირონიული ისაა, რომ რეალურ ცხოვრებაში ეს უწყება არაერთხელ ეცადა კუბელი ლიდერის სიცოცხლისთვის გამოსალმებას — 1999 წელს ჰავანამ ოფიციალურად დაადანაშაულა აშშ ფიდელ კასტროზე 637 თავდასხმის გამო. პრომოაქციები, სადაც პრემიერის წინ რეკლამირდებოდა შოუ 9/11, მიდიოდა ტიტრებით „ჩვენ გვჭირდება ცსს ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე“.

**ტელეფილმში „ჯაშუშების კომპანია“ მთავარი გმირი ცსს-ს ყოფილი თანამშრომელია, რომელიც სააგენტოში იმისთვის დაბრუნდა, რომ ჩრდილოეთ კორეის მიერ შეპყრობილი სააგენტოს ოფიცრები იხსნას. ცსს-ს ეს პროექტი იმდენად მოეწონა, რომ საკუთარ თავზე აიღო მისი პრეზენტაცია; დახმარებას უწევდა ფილმის შემქმნელებს, გადასაღებ მოედნებად აქცია საკუთარი ოფისი და 50 გადამდგარი ოფიცერი პირდაპირ გადაღებებზე გაამწესა.**

„ჯაშუშური“ მწერალი ტომ კლენსი ცსს-სთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირებით სარგებლობს. მას შემდეგ, რაც მან 1984 წელს დაწერა „ნადირობა წითელ ოქტომბერზე“, და მას შემდეგ, რაც ამ ნაშრომის მიხედვით 1990 წელს ფილმიც გადაიღეს, იგი პირდაპირ ლენგლიში მიიწვიეს. მეორედ სააგენტოს მიწვევა მწერალმა „პატრიოტთა თამაშების“ წერისას მიიღო, ამ წიგნის მიხედვით ფილმის გადაღებებისთვის კი ლენგლის ობიექტებზე წვდომა იქნა დაშვებული. **„მსოფლიოს ყველა შიშში“ ნაჩვენებია, თუ როგორ ეძებს ცსს ტერორისტებს, რომლებიც აშშ-ის ტერიტორიაზე ბომბის აფეთქებას აპირებენ. ამ ფილმზე მუშაობისას ცსს-ს დირექტორმა ჯორჯ ტენეტმა პირადად უხელმძღვანელა ექსკურსიას ცსს-ს შტაბ-ბინაში, ფილმის ვარსკვლავმა ბენ აფლეკმა კი სააგენტოს ანალიტიკოსებთან გაიარა კონსულტაციები.**

მედიის წყაროები მიანიშნებენ იმაზეც, რომ ფილმების — „ცუდი კომპანია“ და „სახელმწიფოს მტრები“ გადაღებისას ცსს მუშაობდა ენტონი ჰოპკინსთან და კრის როკთანაც. ამ თანამშრომლობის დეტალები საზოგადოებისთვის არ გაუმხელიათ.

**ტომ ჰენქსისა და რობერტ დე ნიროს მონაწილეობით გადაღებულ „ჩარლი უილსონის ომთან“ დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაციაც არსებობს, მაგრამ ესეც ბევრი არაფერია. პროექტზე მუშაობისას ცსს სრულფასოვნად იყო საქმეში ჩართული. რობერტ დე ნირო კინოკონსულტანტთან და ცსს-ს გადამდგარ ოფიცერთან მილტ ბირდონთან ერთად იყო მოსკოვის კინოფესტივალზე.**

ფილმებში კონსულტაციებზე ცსს-ს თანხმობის ჭეშმარიტი მიზეზები ნათლად ჩანს ცსს-ს ყოფილი მთავარი იურისკონსულტის — პოლ კელბოს ერთ-ერთ კომენტარში. 2007 წელს, ვირჯინიის კოლეჯში ყოფნისას, კელბომ ცსს-სა და ჰოლივუდის ურთიერთობაზე ლექცია წაიკითხა. ლექციას ადგილობრივი ჟურნალისტიც ესწრებოდა და დაწერა იმ ლექციის მიმოხილვა, რომელშიც კელბო ალ პაჩინოს მონაწილეობით გადაღებულ ფილმ „რეკრუტის“ შესახებ საუბრობდა. მისი თქმით, **გადასაღებ მოედანზე მუდმივად იმყოფებოდა ცსს-ს აგენტი კონსულტანტის სახით, მაგრამ მისი ნამდვილი ამოცანა იყო, არასწორი მითითებები მიეცა კინომწარმოებლებისთვის. „ჩვენ არ გვსურდა, რომ ჰოლივუდი ძალზე ახლოს მისულიყო სინამდვილესთან,“ — ამბობდა კელბო ლექციაზე.**

მოგვიანებით კელბომ კატეგორიულად უარყო, რომ ოდესმე მსგავსი რამ უთქვამს და ამტკიცებდა, რომ ▶

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთელი უკანასკნელი წლის განმავლობაში კაპიტალიზმი სრესს დემოკრატიას და ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ევროპის მაგალითზე. იქ ფინანსურმა ინსტიტუტებმა და მსხვილმა ინვესტორებმა ნამდვილი ომი გამოაცხადეს მკაცრი ეკონომიის დროშის ქვეშ, ნაკლებეფექტური ეკონომიკის მქონე ქვეყნების ხელისუფლებები კი, მართალია, აცნობიერებენ, რომ ვერ აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს, მაინც ძალაუფლებას ეზღაუჭებიან.**

ერთხელ ძალზე კონკრეტულად განიხილეს ცსს-ს ხელმძღვანელობასთან საკითხი იმის თაობაზე, რომ არავის და არასდროს ფილმების სიუჟეტზე გავლენის მიზნით არ დაუმახინჯებია სიმართლე.

სპეცსამსახურებს კინემატოგრაფიის ინდუსტრიაში ჩარევის ხანგრძლივი ისტორია აქვთ. ცსს-ს საბჭოსთან ფსიქოლოგიური სტრატეგიის მხრივ მომუშავე „პარამაუნტის“ ხელმძღვანელებისთვის მიწერილი საიდუმლო აგენტის — ლუიჯი ლურაშის წერილები ინახება პრეზიდენტ ეიზენჰაუერის ბიბლიოთეკაში. მათში ჩანს, თუ რა ღრმა გავლენას ახდენდა ცსს კინოინდუსტრიაზე ცივი ომის ადრეულ წლებში. მაგალითად, ლურაში იტყობინებოდა, თუ როგორ შეიპირა კასტინგის რამდენიმე დირექტორი, რომ ფილმებში ნელ-ნელა გამოჩნდებოდნენ „კარგად ჩაცმული ზანგები“ და აჩვენებდნენ, რომ „ზანგები ღირსეული ადამიანები არიან“. **ფილმიდან „ARROWHEAD“ ცსს-მ ამოიღო მთავარი სცენა, სადაც საუბარი იყო აშშ-ის დამოკიდებულებაზე აპაჩების მიმართ და სადაც ინდიელებს იძულებით აგზავნიან აშშ-ის ჯარში. იმხანად ამგვარი მოქმედებები საჭირო იყო იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირს არ გამოეყენებინა აშშ-ის ცუდი რეპუტაცია რასებს შორის ურთიერთობის საკითხში და, მეორეს მხრივ კი, საზოგადოებაში, რომელიც ჯერ კიდევ რასობრივი სეგრეგაციის პირობებში ცხოვრობდა, გარკვეული განწყობა ჩამოყალიბებულიყო.**

**ფილმ „1984“-ის გადაღებებს აკონტროლებდა კულტურის თავისუფლების ამერიკული კომიტეტი, რომელსაც თავის მხრივ ცსს აკონტროლებდა. ფილმში შეიცვალა საკვანძო მომენტები, რათა საბჭოთა კავშირის დემონიზაცია განხორციელებულიყო.**

ფილმში „წყნარი ამერიკელი“ სამხედრო საჰაერო ძალების პოლკოვნიკი, ცსს-ს ოპერმუშაკი ოპერაცია „მანგუსტში“ (კუბის წინააღმდეგ საბოტაჟისა და მკვლელობების დაგეგმვა და განხორციელება) მიმოწერას ახორციელებდა რეჟისორ ჯოზეფ მანკევიჩთან, რომელმაც მიიღო მისი წინადადებები. ამ წინადადებების თანახმად, ფილმის ფინალური სცენა შეიცვალა. შედეგად, ფინალიდან მაყურებელი იგებს, რომ ანტიგმირი მოტყუებით ჩაითრიეს კომუნისტებმა იმ საეჭვო ამერიკელის მკვლელობაში, რომელიც, როგორც გაირკვა, ბომბების დამამზადებელი კი არა, საბავშვო სათამაშოების მწარმოებელი იყო.

**2001 წლის 11 ნოემბერს ჰოლივუდში შედგა თათბირი, რომელსაც თავად პრეზიდენტი ბუში, შტაბის ხელმძღვანელის მოადგილე კარლ როუვი და ჰოლივუდის ყველა წამყვანი სტუდიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რა დახმარების გაწევა შეუძლია კინოინდუსტრიას „ტერორიზმთან ომში“. შეხვედრიდან ცოტა ხანში გაჩნდა რამდენიმე სერიალი, რომელშიც ნაციონალური უსაფრთხოების იდეაა წინა პლანზე წამოწეული.**

**2001 წლის ოქტომბრიდან დეკემბრამდე თეთრ სახლსა და ჰოლივუდს შორის კიდევ არაერთი შეხვედრა გაიმართა. 17 ოქტომბერს 11 სექტემბრის ტერაქტების საპასუხოდ თეთრმა სახლმა გამოაცხადა „გართობისა და ხელოვნების სფეროში მიზნობრივი ჯგუფის“ შექმნის თაობაზე.**

როგორც შეხვედრის პირდაპირი შედეგი, კონგრესმა კონსულტაციები გამართა ჰოლივუდის მოღვაწეებთან იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ფორმულირებულიყო ახალი სამხედრო გზავნილი ამერიკისა და მთელი მსოფლიოსთვის. 2001 წლის ნოემბერში პოპულარული ტელესერიალის „მესამე ცვლის“ ავტორი და პროდიუსერი ჯონ რომანო კომიტეტის პალატას არწმუნებდა, რომ ჰოლივუდის პროდუქციას საკვანძო როლი აქვს სხვა ქვეყნების მიერ ამერიკის აღქმის ფორმირებაში.

სატელევიზიო ხელოვნებისა და მეცნიერების ძლევამოსილმა აკადემიამ დააარსა საკუთარი კომისია „ჰოლივუდი ომში მიდის“, რომელიც განიხილავდა, თუ რისი გაკეთება შეეძლო ჰოლივუდს 11 სექტემბრის თავდასხმების საპასუხოდ. შეხვედრაზე ხელისუფლებას თეთრი სახლის მრჩეველი მარკ მაკკინონი წარმოადგენდა. შეხვედრას ესწრებოდა თეთრი სახლის შესახებ სერიალის „დასავლეთის ფრთა“ სცენარის ავტორი აარონ სორკინიც, რომელიც თავის გუნდს შეუთანხმდა, გადაეღოთ ერთი სერია ტერორისტების მხრიდან აშშ-ისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის თაობაზე. სერიას ერქვა „ისააკი და ისმაილი“. ის შეხვედრიდან ათ დღეში მზად იყო და ამერიკული ფასეულობების უპირატესობით გაჯერებული შინაარსი ჯიჰადისტი მუსლიმანების სიძულვილს აფრქვევდა.

ჰოლივუდისა და უშიშროების სამსახურების ურთიერთკავშირი ძველებურად მჭიდროა: **ცსს-ს ყოფილი აგენტი ბობ ბაერი ამბობს, რომ ცსს-სა და ჰოლივუდს შორის არსებობს სიმბიოზი და რომ ცსს-ს ყოფილი დირექტორი ჯორჯ ტენეტი ახლაც ჰოლივუდშია და სტუდიებთან ამყარებს ურთიერთობებს. მის მტკიცებულებებს სან-ბალის შეხვედრები ამყარებს. აიდაჰოს შტატში, სან-ბალიზე ყოველწლიურად იკრიბებიან ამერიკული მასმედიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენლები და ჰოლივუდის ყველა მსხვილი სტუდიის ბოსები, რათა მომავალი წლის განმავლობაში მასმედიისთვის საერთო სტრატეგია შეიმუშაონ.**

გოლფის მოედნების, კამკამა ტბებისა და ულამაზესი ტყეების ფონზე ფორმდება კონტრაქტები და იცვლება ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სახე. ამ კორპორატიული შეხვედრების გაშუქების უფლება პრესისთვის, ცხადია, ამ დრომდეც არ მიუციათ. ამიტომ ზუსტად არასდროსაა ცნობილი, თუ რა საკითხები განიხილებოდა შეხვედრებზე. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ 2003 და 2005 წლების შეხვედრებზე ძირითადი მომხსენებელი იმხანად ჯერ კიდევ ცსს-ს დირექტორი ტენეტი გახლდათ.

mixednews.ru

# კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის დაძაბულობა მატულობს

**არსებობს თუ არა წინააღმდეგობა კაპიტალიზმსა და დემოკრატიას შორის? ნუთუ ისინი ერთმანეთს ასუსტებენ? რიგითი ამერიკელისთვის ამგვარი კითხვები უცნაურია. კაპიტალიზმი და დემოკრატია ხომ სიამის ტყუპებივით განუყრელნი არიან. ამ პოსტულატს შელოცვასავით ვიმეორებდით ცივი ომის პერიოდში, როდესაც ყველასთვის ნათელი იყო, რომ კომუნიზმი და დემოკრატია აბსოლუტურად არათავსებადი მცნებებია, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცივი ომი დასრულდა, მდგომარეობა შეიცვალა და მოცემული მტკიცებულების აზრი საკმაოდ ბუნდოვანი გახდა.**

კაპიტალიზმის ბარაკები და ცათამბჯენები



გაიხსენეთ, როგორ ირწმუნებოდა უამრავი ამერიკელი პოლიტიკოსი, პრაქტიკულად ყველა პრეზიდენტი და განსაკუთრებით კი ორივე ბუში და კლინტონი, რომ საკმარისია ჩინეთში კაპიტალიზმი დამყარდეს და ის უმალ დემოკრატიულ ქვეყნად იქცევა. მაგრამ ყველაფერი მთლად ისე ვერ გამოვიდა, როგორც ისინი გეგმავდნენ. სინამდვილეში მთელი უკანასკნელი წლის განმავლობაში **კაპიტალიზმი სრესს დემოკრატიას და ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ევროპის მაგალითზე. იქ ფინანსურმა ინსტიტუტებმა და მსხვილმა ინვესტორებმა ნამდვილი ომი გამოაცხადეს მკაცრი ეკონომიის დროშის ქვეშ, ნაკლებეფექტური ეკონომიკის მქონე ქვეყნების ხელისუფლებები კი, მართალია, აცნობიერებენ, რომ ვერ აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს, მაინც ძალაუფლებას ეზღაუჭებიან.**

**იტალიისა და საბერძნეთის არჩეული ხელისუფლებები განზე გადგნენ — ორივე ქვეყნის სათავეში დღეს ფინანსური ტექნოკრატები მოვიდნენ. ესპანური ობლიგაციებისთვის საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდით რამდენიმე დღის წინ სოციალისტების მიერ ფორმირებულმა კაბინეტმა ხელისუფლება დაუთმო მემარჯვენე ცენტრისტულ პარტიას, რომელსაც კრიზისის დარეგულირების არავითარი საშუალება არ წარმოუდგენია. ახლა სარკოზის ხელისუფლებას ემუქრებიან ფრანგულ ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთების მომატებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ევროპულ ბაზრებს, უბრალოდ, მოსწყინდათ მთელი ეს დემოკრატიული სისულელე.**

თუ ვინმეს ნათქვამი გადაჭარბებად ეჩვენება, ყურადღება მიაქციოს ფინეთის მემარჯვენე ხელისუფლების ევროპის საქმეთა მინისტრის — ალექს სტუბის ინტერვიუს, რომელიც მან გაზეთ Financial Times-ის ჟურნალისტებს მისცა. მისი თქმით, ევროზონის იმ ექვსი წევრი ქვეყნის ხმას, რომლებსაც „AAA“ რეიტინგი აქვს, უფრო დიდი წონა უნდა ჰქონდეს საერთოევროპული ეკონომიკის საკითხების გადაწყვეტისას, ვიდრე დანარჩენი 11 ქვეყნისას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებზე დამოკიდებულნი უნდა გახდნენ. სინამდვილეში კი ისინი დამოკიდებულნი ხდებიან იმ სარეიტინგო სააგენტოებზე, რომლებიც ახლა საფრანგეთისთვის რეიტინგის დაწევით იმუქრებიან და, თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ევროზონის იმ ქვეყნების რაოდენობა, რომელთაც გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვთ, ექვსიდან ხუთამდე შემცირდება.

ის, რასაც სტუბი ამბობს და რასაც ახლა ბაზრები აკეთებენ, სხვა არაფერია, თუ არა პრინციპის — „ერთი დოლარი — ერთი ხმა“ გავრცელება ევროზონის იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც ჯერ კიდევ თანაბარი ხმის უფლება აქვთ.

**აშშ-ში უმაღლესმა სასამართლომ უკვე კანონმდებლობით გაამყარა მსგავსი მდგომარეობა თავისი გადაწყვეტილებით არაკომერციული ორგანიზაცია Citizens United-ის საჩივართან დაკავშირებით. გამოდის, რომ ნორმა, რომელიც ხმის უფლების მოპოვებისთვის საკუთრების ფლობას მოითხოვს და რომელიც დემოკრატი პრეზიდენტის — ჯექსონის მეთაურობით ადმინისტრაციამ 1880-იან წლებში გაამარტივა, კვლავ აღორძინდა ფინანსური ინსტიტუტებისა და მათი პოლიტიკური მოკავშირეების ძალისხმევით. საერთო ევროპული ვალუტის ზონაში შემავალი ქვეყნებისადმი ამ წესის გამოყენებისას ხმის უფლების მოსაპოვებლად „საკუთრების“ როლში „სწორი“ საკრედიტო რეიტინგი ითვლება.**

ეს ყველაფერი ძალზე უცნაურად გამოიყურება. ფიქრი იმის შესახებ, რომ ჩვენი ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემები ერთმანეთთან კონფლიქტში არიან, აღსაქმელად ძალზე ძნელია და არა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპაშიც ყოველთვის თვლიდნენ, რომ დემოკრატია და კაპიტალიზმი (უკიდურეს შემთხვევაში — ევროპაში არსებული სოციალური კაპიტალიზმის მოდელი) ხელიხელჩაკიდულნი დადიან. ამგვარმა თვალსაზრისმა ფესვი იმიტომ გაიდგა, რომ ორივე სისტემა ჰარმონიულად ვითარდებოდა და ყვაოდა კიდეც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სამი ათწლეულის მანძილზე. შემოსავლები იზრდებოდა, მიუხედავად ხელფასებისა და სოციალური დახმარებების ზრდისა.

**მაგრამ რა მოხდება მაშინ, თუ ეს პერიოდი წესებიდან გამონაკლისი იყო? რა მოხდება მაშინ, თუ ნორმალური განლაგებისას ბაზრებსა და ადამიანებს შორის კონფლიქტი გარდაუვალი იქნება?**

სწორედ ეს არგუმენტი მოჰყავს მაქს პლანკის სახელობის საზოგადოებათა კვლევის ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს — ვოლფგანგ შტრეკს თავის სტატიაში, რომელიც ჟურნალმა New Left Review-მა ორიოდე თვის წინ გამოაქვეყნა. შტრეკი ირწმუნება, რომ **1970-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული ხელისუფლებები იძულებულნი იყვნენ, მოქნილობა გამოეჩინათ საპირისპირო მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად.** მაგალითად, 70-იან წლებში ხელისუფლება ახორციელებდა ინფლაციისკენ მიმავალ პოლიტიკას, რათა დახმარებოდა დაქირავებულ მშრომელებს, რომელთა ხელფასებმაც მოულოდნელად ზრდა შეწყვიტა. 80-იან წლებში რონალდ რეიგანმა და მარგარეტ ტეტჩერმა საპირისპიროდ შეცვალეს პოლიტიკური კურსი. მათ გაზარდეს საპროცენტო განაკვეთები, უმუშევრობის დონე და გაიმარჯვეს პროფკავშირებზე.

**ბოლოს და ბოლოს, 90-იან წლებში კომპრომისს მიაღწიეს, მაგრამ ეს კომპრომისი ფატალური აღმოჩნდა. შემოსავლები არ იზრდებოდა და ამ მდგომარეობის გაწონასწორებისთვის ფინანსურმა კომპანიებმა, სარგებლობდნენ რა რეგულირების არარსებობით, მომგებიან პირობებში სესხების შეთავაზება დაიწყეს. შედეგად კერძო პირების ვალები გაიზარდა. სახლების მეპატრონეები და მომხმარებლები მთლიანად კრედიტებს დაეყრდნენ. სახელმწიფო ვალი შემცირდა. მაგალითად, აშშ-ს იმხანად უდეფიციტო ბიუჯეტი ჰქონდა. მას შემდეგ, რაც 2008 წლის კრიზისი გაჩნდა, მოვლენათა მსვლელობა მკვეთრად შეიცვალა. ხელისუფლებებმა საკუთარ თავზე აიღეს გადახდის უუნარო მოქალაქეთა ვალებზე პასუხისმგებლობა და რეცესიის საწინააღმდეგოდ დეფიციტური საბიუჯეტო დაფინანსების პოლიტიკაზე გადავიდნენ.**

დღეს ბაზრები საპასუხო დარტყმას აყენებენ სახელმწიფოებს. ნაპოლეონმა ვერ შეძლო მთელი ევროპის დაპყრობა, სააგენტო Standard & Poor's-ი კი, როგორც ჩანს, შეძლებს. ევროპელებს და ამერიკელებს მალე გაუჩნდებათ კითხვა — ვის მხარეს არიან? რაზეც, დიდი ხანია, არ უფიქრიათ.

**დემოკრატია და კაპიტალიზმი (უკიდურეს შემთხვევაში — ევროპაში არსებული სოციალური კაპიტალიზმის მოდელი) ხელიხელჩაკიდულნი დადიან. ამგვარმა თვალსაზრისმა ფესვი იმიტომ გაიდგა, რომ ორივე სისტემა ჰარმონიულად ვითარდებოდა და ყვაოდა კიდეც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სამი ათწლეულის მანძილზე**

The Washington Post

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დავით IV-მ მახვილი შეაბა ქართველობას, მაგრამ მეორე ხელში წიგნი დააჭერინა. შექმნა გელათი „მეორე იერუსალიმად", „სხვად ათინად". ჩამოაყალიბა თავისებური „მეცნიერებათა აკადემია", დააწესა მოძღვართ-მოძღარის სახელი**

ლოვარდ ტუხაშვილი

# ნიშატი ქართველთა

**დავითიზმი ნახტომისებური ტეხილია — რევოლუციური. მისი გამათავისუფლებელ-გამაერთიანებელი მოღვაწეობა გადიოდა საზოგადოების გარდამქმნელ პროცესებზე. ამ პროცესებს თვითონვე ქმნიდა, აჩერებდა დროს, მერე ატრიალებდა გაჩერებულ დროს, სხვა მიმართულებას აძლევდა, ანიჭებდა დინამიზმს, ამოძრავებდა დაუნჯებულ ენერგიას. ვითარცა სუბსტანცია, ბიძგს აძლევდა მაცოცხლებელ იმპულსს. არ ანებებდა მოსვენებას ქართველობას; ძალმომრეობდა; მძლავრობდა სიზარმაცეზე, სიდუნეზე, გაუტანლობაზე, მეშუღლეობაზე, შურზე, ღვარძლზე, ორგულობაზე; დავით IV „განასხამდა ეშმაკს" ქართველთა სხეულიდან. „ვინაიდან ნათესავი ქართველთა ორგული ბუნება არს პირველითგანვე თვისთა უფალთა, რამეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი". არსენ ბერის თხზულების ეს ციტატა გაუგებრობას იწვევს; მკითხველს და კომენტატორებს არ მოსწონთ „ქართველთა ორგულობის" ხაზგასმა. აქ არაფერი შეურაცხმყოფელი არ არის. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ქართველები (უმთავრესად არისტოკრატია), ყოველთვის არ ერთგულებენ („ორგულ ბუნება არს") ძველთაგანვე („პირველთაგანვე") ხელისუფლებას („თავისთა უფალთა"). ეს როდი ნიშნავს, რომ ისინი ორგულობენ ღმერთს, სამშობლოს, მოყვასს, აღთქმულ პირობას. არა, ორგულობენ მეფეებს, ერისმთავრებს. ინდივიდი თავს სუვერენულ სუბიექტად თვლის, არა აქვს მონური სული, უბრალო გლეხს შეუძლია მეფეს უთხრას: „მეფეო, ათი რომ შენა ბრძანო, ერთი ჩემიც გაიგონეო". ასეთი რამ იშვიათია! გვაქვს არისტოკრატიული ამბიცია.**



ყველა მპყრობელი ქვეყნის უმაღლეს წრეებში გააღწია ქართველმა: გაყიდული მონები სულთნებად, იმპერატორებად იქცნენ. ჩამოყალიბდა „ბელადთა ერის" ფსიქოლოგია. თამარის შემდეგ ქართველთა სიამაყე გადაეწნა დეგრადაციის ხანას და მიიღო სასაცილო გაფორმება. ქართველს შეიძლება ემღერა „ქართველო, ხელი ხმალს იკარო" და თავი დაედრიკა მპყრობელის წინაშე. ეს შეუსაბამობა თვითონვე აბნევდა. „სამშობლოს ვერვინ წაგვართმევსო", ამაყად იკვეხნიდნენ, სამშობლო უკვე წართმეული ჰქონდათ.

თითოეულ ფეოდალში პატარა „მეფე" იჯდა. დავითის წინ იდგა რთული ამოცანა. საჭირო იყო ერის შენივთება, ჯერ საერთო ნიადაგის მოძებნა, მერე კი პოლიტიკური უნისონის პლატფორმის შემუშავება. ექსტრემალურ სიტუაციაში უნდა დაითრგუნოს „მე" „ჩვენის" წინაშე, უნდა წაიშალოს პირადული საზოგადოებრივის სასარგებლოდ. დავით IV-ის „აღმოცისკრებისას" აუცილებელი იყო არა კონფრონტაცია, არამედ შეკავშირება მონოლითურ ერთიანობად. დავითის სურვილი იყო, ცალკე ქართველი კი არ მოქცეოდა ბიზანტიას თუ ირანს სათავეში, ქართველობა ქცეულიყო სამყაროს მესიად. **დავითიზმი არის თვითდამკვიდრებისკენ სწრაფვა, თვითდამკვიდრების მეთოდის მოძებნა და, რაც მთავარია, თვითდამკვიდრების პრაქტიკული განხორციელება. დავით IV-მ შეაერთა ქართველობა ერთიან ძალად, წარმართა ეროვნული ინტერესებისათვის. შეერთებული „ნათესავი ქართველთა" აქცია საერთოკავკასიური იმპერიის ბირთვად. იგი არ ეძებდა დახმარებას უცხოეთში. არც სურდა მფარველობა. თვით ერი იწყებდა საკუთარი ბედის მართვას.** ასეთი ქმედებით ქართველთა ლიდერი მართლაც გადაიქცა კაცად, „რომლისა აჩრდილსა შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთის და ყივჩაღეთისა, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შარვანისა და სპარსეთისანი". დავითიზმი არის წესრიგი. ცენტრს დაქვემდებარებული მწყობრი ორგანიზაცია. თანამიმდევრული რეფორმებით დავით IV-მ თანდათანობით შექმნა მსოფლიოში უნიკალური ბიუროკრატიული აპარატი.

**დავით IV-მ შეძლო შეეცვალა ტრადიციული ბრუნვა ქართველთა ბედისწერისა, შემოატრიალა „მამულისა ჩვეულებისაებრ სვლა", იოანე საბანისძისეული ჭირთა თმენის „ფილოსოფია".**

ისტორია მძლავრობდა ჩვენზე, ქართულ რაინდულ ბუნებას ამუხრუჭებდა გარემოცვა. ჩვენ ხომ „ყურესა ამისა შინა" მარტონი ვიყავით დარჩენილი, თითქმის არ გვახსოვდა ცენტრი. ეროვნული სული უმთავრესად განაპირა ხეობებში გახიზნული, ამოუცნობი მექანიზმით, რაღაც სიურეალისტური ხილვებით ბრუნდებოდა ერთიანობისაკენ. ეს ასაზრდოებდა ჩვენს ნიშატს. ისტორიული ბედი კვებავდა ეროვნულ ხასიათს. დათმობა, ტოლერანტიზმი, ალტრუიზმით ნაჯერი „სხვათა სიყვარულის" ცნება „სა-უცხო-ოთი" გამოხატული (ო, როგორ სძულდა სიტყვა „საუცხოო" — საუკეთესოს აღმნიშვნელად შალვა დადიანს). აპირობებდა თავგანწირულ სიმამაცესაც და სულმოკლეობასაც. გმირებიც ბევრი გვყავდა, რენეგატებიც. ადვილად ხელის ჩაქნევაც ვიცოდით, მცირედით დაკმაყოფილებაც. ეს თვისება უდარდელობაშიც გადასულა, ეროვნულ უპასუხისმგებლობადაც განვითარებულა. უკიდურეს გამძლეობას ვიჩენდით უკიდურესი გაჭირვების ჟამს. „სიმშვიდისას" ნაკლებად ვიტკივებდით თავს. გული გადაგეწურება, როდესაც ამოიკითხავ ძველ მატიანეებში საოცარ წინგაუხედაობას. არაერთ მტერს შევხვდით მოუმზადებელი. გენერალ მაზნიაშვილის მოგონებებში გადმოცემული ამბავი ერთდროულად სასაცილოცაა და სატირალიც. დაშნაკებთან კონფლიქტის დროს ქართველებმა დაიკავეს სტრატეგიული სიმაღლე, ღამე შესცივდათ, მიატოვეს, — დილით ისევ ავიღებთო. მეორე, მესამე დღეს იგივე განმეორდა. აიღებდნენ სიმაგრეს, ისევ დათმობდნენ და ა.შ.

დავით IV-ის დროს გამორიცხული იყო ასეთი „კაზუსები". მან ქართველობას მიანიჭა მსოფლიო მაჯისცემის შეგრძნების უნარი. ქართულ საქმეებს უფარდებდა საერთო პოლიტიკური მოვლენების მიმდინარეობას. „ჩვეულებისამებრ მამულისა სვლა" იყო ხანგრძლივი მოთმინება.

ლეგენდების სამყაროს თუ გამოვთიშავთ, დავით IV-მდე ნამდვილი თავისუფლება არ გვქონია. ფარნავაზიც სხვისი ვასალი იყო, ფარსმან ქველიც, მირიანიც, ვახტანგ გორგასალმაც ვერ მოიშორა ირანული უღელი. დავით IV-მ მოიპოვა აბსოლუტური სუვერენიტეტი. არსი დავითიზმისა ქართველთათვის აღმოჩნდა ერთობ მოულოდნელი. ვერ ავითვისეთ პრაგმატისტული ცხოვრების წესი. აღმაშენებლობა ჩვენთვის იქცა უმძიმეს გოლგოთად. ახალი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კონცეფცია არ მოერგო ნაციონალურ ხასიათს — „საყდარი დავითიანი" თამარობაში გაცხადდა 65 წლის შემდეგ. მეფე-ღმერთს „გაექცა" ქართველი, მეფე-დედას სიხარულით შეეხიზნა. ძალა უარვყავით, სათნოებას დავემყარეთ. შევქმენით მსოფლიოში პირველი და ერთადერთი სახარებისეული ქრისტიანული სახელმწიფო. „დავითიზმის" „თამარობაში" „გადასვლა" ლოგიკური განვითარება იყო სიმაღლისაკენ. ვაი, რომ ძალზე ნაადრევი აღმოჩნდა ეს თვისებრივი ნახტომი. „დავითიზმის" მსუსხავ რეჟიმს გარიდებული გალაღებულ-განებივრებული ქართველობა ცურავდა ამქვეყნიურ სიამეთა მორევში. ჭაბუკი მეფე ლაშა, დარდიმანდი „რაინდი", თავისუფალი სიყვარულის რაინდი, უდარდელად ეძლეოდა ზმანებებს ჰაშიშით გაბრუებული. ქართველნი „როკავდნენ, იმღერდნენ, სმურობდნენ, განიხარებდნენ!" ყარაყორუმის მიწა კი უკვე კვნესოდა თათარმონღოლთა დაუჭედავ ცხენებზე ამხედრებულ ურდოთა სიმძიმისაგან შეძრწუნებული.

ნაციონალური ხასიათი — ნიშატი ერისა, გენეტიკურ ძირებს ემყარება. ძნელად დასაძებნია მისი საფუძველი. არავის ძალუძს, ზუსტად მიგვანიშნოს, რა არის ქართველის ქართველობა, სად გადის „კათოლიკე ძარღვი" ქართლოსიანთა. ცალკეული ნიშნების ჩამოთვლა იოლია, ერთიანობის ფოკუსის განსაზღვრა რთულდება; მიახლოებით თუ შეგვიძლია დადგენა საკითხისა, ისტორიული ბედი აპირობებს ნიშატს, თუ, პირიქით, ნიშატი ახდენს ისტორიული ბედის მეტაფორმოზებს. **სულხან-საბა ორბელიანის აზრით, ნიშატი ბუნებითი ძალაა, ე.ი. ის ენერგეტიკული წყაროა განვითარებისა.** ეს ენერგეტიკული საწყისი ერთობ მოდუნებული ჩანს. ქართველების ერთგულება მშობლიური მიწა-წყლის მიმართ უფრო პასიურ სიჯიუტეს წააგავს, ვიდრე პატრიოტიზმს. ასევე კონსერვატიზმით თუ აიხსნება ე.წ. ისტორიული ზომიერება. ორივე დღეს საამაყოდ მიგვაჩნია, თავს ვიქებთ იმით, სტრაბონისეული საზღვრები აქამდის რომ უცვლელი გვაქვს, თვით დიდი იმპერიული ზეობის — თამარის მმართველობის დროსაც არ გაჭიმულა ძალზე შორს ეთნიკური ხალხი ქართველთა. ისტორიული პროცესის ანალიზი გვარწმუნებს, რომ „ვიკინგური სული" წინსწრაფვისა, აგრეთვე, თურქული მოდგმის ეთნიკური ექსპანსიის უნარი, სრულიადაც არ აღმოჩნდა დამღუპველი. ჩვენმა ალტრუიზმმა კი ბევრი ვერაფერი შეგვმატა.

**დავით IV-მ სცადა ჩვენი ხასიათის შეცვლა. მან ძალით ააგლიჯა ვიწრო ხეობებს ჩაბღაუჭებული ქართველი, „საერთო სახლის" საშენ მასალად აქცია. არ მისცა მოცალეობა არავის. ზვიადი კოშკებიდან გულგრილად გადმომზირალი სვანი „ყოველი საქართველოს" მოქალაქედ დაასაქმა. XIII საუკუნის მერე ერთი-ორჯერ თუ გამოიხედეს სვანებმა ბარისკენ, ქუთაისი გაძარცვეს და უკან წავიდნენ. დავით აღმაშენებელმა ომი გამოუცხადა პარტიკულარიზმს. მან „საქართველოებიდან" „ყოველი საქართველო" შექმნა.**

XV საუკუნეში უკუპროცესი დაიწყო. „ყოველი საქართველო" ჯერ 8 „საქართველოდ" დაიშალა. მერე ცალკეულმა „საქართველოებმა" დაკარგეს „საქართველოობა", — კახეთად, ქართლად, სამცხე-ჯავახეთად, იმერეთად, სვანეთად, გურიად, სამეგრელოდ, აფხაზეთად გადაიქცნენ. XVIII საუკუნის ბოლოს სოლომონ ლეონიძემ დაიტირა „სახლი სადავითო", კვლავ იქადაგა „მავასხელობითი სიყვარული ქართველთა". **„მავასხელობითი ურთიერთსავალდებულო სიყვარულს ნიშნავს. ამ თეორიის მიხედვით კახელს — ქართლელი, ქართლელს — მეგრელი, მეგრელს — გურული და ა.შ. კი არ უნდა უყვარდეს უბრალოდ, არამედ ვალდებულია, რომ უყვარდეს. ეს ვალდებულება არის ხსნა.** თუ ქართველი ქართველს არ მოეხვევა, მაშინ მას სხვა მოეხვევა ისე მაგრად, შესაძლოა მოახრჩოს კიდეც. სოლომონ ლეონიძემ ააღორძინა „სადავითო სახლის" იდეა. სამწუხაროდ, აღარსად იყო დავით IV. 54 წელი კი იმეფა გმირმა პატარა კახმა — ერეკლე II-მ, მაგრამ... ძნელი ეგ არის, „ვერ იდავითა პატარა კახმა". პოეტის ცრემლიან სიტყვებში არის მწარე სიმართლე.




დავით IV იბრძოდა ევროპიზაციისათვის. მას ჰქონდა გამოკვეთილი ევროპული ორიენტაცია. ეს რომ უკეთ გავიგოთ, უნდა ვიცოდეთ, რა არის ევროპიზმი. ევროპიზმი თვისებრივ სიმაღლეა, მუდმივი განვითარების აღმავალი დინამიკაა, იგი გამორიცხავს სტაგნაციას. ის სრბოლაა მუდმივი, უწყვეტი. ამ თვალსაზრისით, აღმოსავლეთი არასოდეს არ უსწრებდა ევროპას, რომელიც უკვე ელინურ-ლათინური ეპოქიდან ცივილიზაციის კანონმდებელია. დავით IV-მ საქართველო შეაბრუნა ევროპიზმისაკენ, თამარი ჯერ თითქოს მის კვალს გაჰყვა, მაგრამ მერე დაუშვა აღმოსავლური სიდუნე და კვლავ გამოეთიშა მოძრავი მაძიებელი ევროპისაგან. თამარის დროს იძალა დავითის მიერ უარყოფილმა ბიზანტინიზმმა, რომელიც შეამსუბუქა არაბულ-სპარსულმა „სინაზემ". შემთხვევითი როდია, დავითის ეპოქის ქართულ კულტურაში წამყვანი ფილოსოფიური აზროვნება. თამარის დროს ფილოსოფიაში გენიოსი აღარ გვყავს, სამაგიეროდ პოეტური პარნასია აღმატებული.

**დავით IV-მ მახვილი შეაბა ქართველობას, მაგრამ მეორე ხელში წიგნი დააჭერინა. შექმნა გელათი „მეორე იერუსალიმად", „სხვად ათინად".** ჩამოაყალიბა თავისებური „მეცნიერებათა აკადემია", დააწესა მოძღვართ-მოძღარის სახელი (ეს თანამდებობა, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, აერთიანებს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, განათლებისა და კულტურის მინისტრის პოსტებს). ყოველდღე ეძებდა სასულიერო ლიტერატურაში სახელმწიფო ზნეობის საძირკველს. უკვე აღვნიშნეთ, მეფე ძალას ემყარებოდა. ისიც მივუთითეთ, ეს ძალა იძულებითი მეთოდი იყო, დროებითი გამოსავალი, ექსტრემალური სიტუაციისათვის შესაფერისი. იგი არ წარმოადგენდა საბოლოო მიზანს, ამიტომ მწიგნობარი მეფე დაუცხრომლად ცდილობდა, ეპოვა ქართველთა მომავლის პოლიტიკური პანაცეა. ეცნობოდა ყურანსაც, სომხურ ღვთისმეტყველებასაც, ბერძნულ ორთოდოქსალიზმსაც, კათოლიციზმსაც. ვფიქრობთ, გენიოსმა მოაზროვნემ ვერ მოასწრო მოეხდინა ღრმა თეორიული ცოდნის განზოგადება იდეოლოგიურ დოქტრინად. ეგებ არც „ბუნებითი", არც „წიგნის სჯული" არ აკმაყოფილებდა, ყოველ შემთხვევაში, ეს არ ასახულა შემორჩენილ მემკვიდრეობაში. დავით IV-მ მომავალს დაუტოვა სახელმწიფოს ისეთი აპარატი, რომელიც აუცილებელი იყო კრიზისულ მდგომარეობაში. საომარ ვითარებაში სრულყოფა შთამომავლობას უნდა მოეხდინა.

შეცვალა თუ არა დავით აღმაშენებელმა ნიშატი ქართველთა? რა თქმა უნდა, ვერა! ნიშატი ხომ ენერგეტიკულია, საიდუმლო გენეტიკით ნასაზრდოები. მაგრამ „ქართველთა ღმერთმა" შეძლო აღეზარდა ახალი ტიპის ქართველი. მან ქართველობა გაათავისუფლა შიშისაგან, მოუხსნა მორჩილების კომპლექსი, მიანიჭა იმპერიული ამბიცია, აამოძრავა, გამოაფხიზლა, საზოგადოებრივი „ჩვენით" გარკვეულ დონემდე დათრგუნა პირადი „მე". დავით IV-მ გიორგი და ექვთიმე მთაწმინდელების „ნაციონალისტური" მსოფლმხედველობის უნივერსალიზაცია მოახდინა, მიაჩვია განათლებული ქართველი კრიტიკულ აზროვნებას. ეს იყო დავითიზმის ეთნოფსიქოლოგიური ასპექტი.

ისე, როგორც ეროვნულ მოძრაობას, ეროვნულ ცნობიერებასაც ილია ჭავჭავაძე წარმართავდა. სწორედ მან დასვა ერის ყოფიერებისა და საზრისის, მისი დანიშნულების პრობლემები და დასვა ისე ნათლად და საფუძვლიანად, რომ ამ პრობლემათა თანამედროვე განაზრებანი იმეორებენ იმ პრინციპებს, რომელნიც ილიამ საუკუნის წინ წამოაყენა.

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ედუარდ კოდუა

# ერის საზრისის საკითხები ოციან წლებში

**XIX-XX საუკუნეები მასობრივ მოძრაობათა, სოციალურ ძვრათა და გადატრიალებათა სიმრავლით ხასიათდება. არენაზე გამოდიან ახალი ძალები და ახალ მიმართულებას აძლევენ ისტორიულ პროცესს, შესაბამისად, ტრანსფორმირდება სოციალურ ცვლილებათა ამსახველი ცნობიერებაც. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სოციალურ ურთიერთობათა არსისა და დანიშნულების გარკვევა, იქმნება მასების თეორიული გააზრებანი ორი საპირისპირო მიმართულებით: ერთი მხრივ, მასების მოძრაობათა დამაკნინებელი ცნებებისა და კატეგორიების მოაზრებით, რომელთა სათავეში ექცევა ბრბოს ცნება ყველა იმ უარყოფითი ნიშნით, რაც შეიძლება მიეწეროს მასობრივ მოძრაობებს. აზროვნების ამ მიმართულებით წარმართვაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ტოკვილმა, ლებონმა, ნიცშემ, სიგელემ, ტარდმა, ედგარ და ბრუნო ბაუერებმა და სხვ. XX საუკუნეში ამ ტრადიციას აგრძელებენ ორტეგა გასეტი და მასთან ახლო მყოფი მოაზროვნეები. მეორე მხრივ, მარქსიზმი და მასთან დაკავშირებული თეორიები პოზიტიურად გაიაზრებენ მასების სოციალურ აქტივობას, მათ გადამწყვეტ როლს სოციალურ ცვლილებებში, უპირისპირდებიან არაკრიტიკულ ბრბოს და კრიტიკული თვითცნობიერებების თეორიებს. სოციალური მოძრაობისა და ცნობიერების შემობრუნების პროცესში ტრადიციული ფილოსოფიური გააზრებანი შინაარსს იცვლიან.**


ილია ჭავჭავაძე

ისტორიის ფილოსოფიურ თეორიათა გვერდით საფუძველი ეყრება სოციალურ ანთროპოლოგიურ ძიებებს, ასევე, სოციალურ ფსიქოლოგიას. თავდაპირველად მასების თუ ხალხების ფსიქოლოგიად წოდებულს, ყალიბდება ადამიანის გაუცხოების, მისი არსებისა და არსებობის შეუსაბამობის თეორია, მკვიდრდება სოციალური მოძრაობის ფილოსოფიურ განაზრებათა სხვადასხვა ნაკადი, განსაკუთრებულ სიმწვავეს იძენს სოციალურ ერთობათა ყოფიერებისა და დანიშნულების საკითხები. ეს ეხება როგორც კლასებს, ასევე ერებსა და ხალხებს მათ მიმართებაში კაცობრიობასთან. ლოკალურ ისტორიათა მსოფლიო ისტორიად გარდაქმნის კვალობაზე პრობლემურ სიტუაციათა განაზრებაში მსოფლიო ისტორიის ერთიანობის გაცნობიერებით ისმის კითხვა, რატომ და რისთვის არსებობს კაცობრიობა? როგორია მისი მოძრაობის მიმართულება? რაშია კაცობრიობის ყოფიერების საზრისი? ამ საკითხის გარკვევა მოითხოვდა სოციალურ ერთობათა ისეთი ფორმების, როგორიცაა კლასები და ერები, ღირებულებისა და დანიშნულების გარკვევას. შეიქმნა სოციალურ ერთობათა, მასებისა და კაცობრიობის დანიშნულებისა და ყოფიერებაში მათი როლის განმსაზღვრელი თეორიები. ყოფიერებისა და ცნობიერების ყოვლისმომცველ მოძრაობას, ბუნებრივია, ასახვა უნდა ეპოვა ერების გააზრებაშიც, ეროვნული ცნობიერება კითხვას სვამდა კაცობრიობის გვერდით საკუთარი ერის დანიშნულებასა და ხასიათზე. ეროვნულ მოძრაობათა მომძლავრებისა და არნახული გაქანების ვითარებაში აუცილებელი გახდა ერებისა და ხალხების ხასიათის, ეროვნული ტიპების, კულტურაში ამა თუ იმ ერის წვლილისა და დანიშნულების თუ მისიის გარკვევა. ყველაფერი ეს აისახა ქართულ სინამდვილეშიც. ეს ბუნებრივია, რადგან ის ერთიანი კულტურის ორგანული შემადგენელი ნაწილია. ქართული ეროვნული მოძრაობის მესვეურებმა არა მარტო ამ სოციალური მოძრაობის მოთავეობა იკისრეს, არამედ მისი გაცნობიერებაც, ე.ი. იმის გარკვევა, ვინა ვართ, რისთვის მოვსულვართ ამ სამყაროში და რა აგური მიგვიტანია კულტურის ნაგებობასთან. დაისვა საკითხი „ერისა და ისტორიის", „ერისა და კაცობრიობის", „ერისა და კულტურის" მიმართების შესახებ.

**ისე, როგორც ეროვნულ მოძრაობას, ეროვნულ ცნობიერებასაც ილია ჭავჭავაძე წარმართავდა. სწორედ მან დასვა ერის ყოფიერებისა და საზრისის, მისი დანიშნულების პრობლემები და დასვა ისე ნათლად და საფუძვლიანად, რომ ამ პრობლემათა თანამედროვე განაზრებანი იმეორებენ იმ პრინციპებს, რომელნიც ილიამ საუკუნის წინ წამოაყენა.**

ავიღოთ ერთი კონკრეტული ნიმუში, თანამედროვე ანთროპოლოგიური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მარტინ ბუბერი, როდესაც ახასიათებდა გაუცხოებულ, გაარადამიანებულ სამყაროს და უპირისპირებდა მას წარსულს, აღნიშნავდა, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც Behaustheit და Hauslosigkeit ეპოქები, თუ წარსულში ადამიანი სამყაროში ისე გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სახლში, აწმყოში ის ემსგავსება ველზე მდგომ უსახლკაროს. მის წინაშე ისმის კითხვა: ვინ არის, რისთვის არის ამ სამყაროში? მაგრამ ამ კითხვაზე მას პასუხი არ გააჩნია, რადგან არა აქვს მეობა. ილია ჭავჭავაძე ამას საუკუნის წინ ამტკიცებდა მთელი ხალხების მიმართ, აფიქსირებდა რა მათ კრიზისულ ვითარებას და იმ გარემოებას, რომ მათ კრიზისის ცნობიერებაც არა აქვთ. „ამისთანა ხალხი უბინაო კაცსა ჰგავს, რომელმაც არ იცის, ვინ არის, საიდამ მოდის" (ერი და ისტორია, ილია ჭავჭავაძის რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. 4, თბილისი, 1987, გვ. 165), ილია მოითხოვდა, დავფიქრებულიყავით ჩვენი ერის ყოფიერებაზე, აგვეხსნა, როგორ შევძელით, გაგვეძლო ისტორიის ქარტეხილებისათვის, გაგვეგო დღევანდელი ვითარება, რათა დაგვესახა ხვალის სამოქმედო გეგმა, ის გვსაყვედურობდა იმის გამო, რომ **„არ ვიცით, რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ, რანი ვართ, ვერ გაგვიგია, რანი ვიქნებით"** (რა გითხრათ? რით გაგახაროთ?, ილია ჭავჭავაძე, ტ. 4, გვ. 175). ილია აცნობიერებდა იმ დიდ საფრთხეს, რომელიც ერს მოელოდა, თანაც ხედავდა, რომ ეს საფრთხე არატრადიციული იყო, ტრადიციულად მტერი მოდიოდა ცეცხლითა და მახვილით და ერი იარაღს იარაღით უპირისპირდებოდა. „რა გადაგვხდენია თავზე, რა მტრები არ შემოგვსევია, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლისღვრა, რა ღრეჭა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით" (იქვე, გვ. 174). გავუძელით იმიტომ, რომ „ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა". დღეს კი ეს ცოდნა არ არის, არ ვიცით დღვანდელ ეპოქაში როგორ მოვიქცეთ, რა ვაკეთოთ. ვითარება შეიცვალა, ხმლითა და იარაღით მოსეული შეცვალა ცოდნით და ხერხით მოსეულმა. **„ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო რა — შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, ხალხს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვები დაეპატრონებიან"** (იქვე, გვ. 176). კრიზისული სიტუაცია წარმოშობს კრიზისულ განაზრებებს, ილიას განაზრებანი სწორედ კრიზისულ სიტუაციაზე პასუხი იყო. ის საყვედურობს ერს იმის გამო, რომ არაფრის გაგონება არ სურს, არ უნდა, გააცნობიეროს კრიზისული სიტუაცია და ძველებურად უდარდელად ცდილობს დროის მოკვლას. **„არც არაფერს ვხედავთ და არც არაფერი გვესმის, უზარმაზარი თხრილია ჩვენს, ქართველებს წინ და აინუნშიც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგავართ და საკმაო ხეი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად"** (იქვე, გვ. 177).

ისტორიის ფილოსოფიური გააზრებანი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს კრიზისულ სიტუაციაში. ასე იყო ეს ქართველი ერის ყოფიერებაშიც. კრიზისულმა სიტუაციამ დაბადა ერის ყოფიერებისა და დანიშნულების, მისი საზრისის გააზრების აუცილებლობა. კრიზისის ცნობიერება და სამოქმედო პროგრამა დასახა ილიამ. ამიტომ გახდა ის ერის ყოფიერებისა და დანიშნულების გამააზრებელი, ეს მემკვიდრეობით გადაეცა შემდეგ თაობებს. ყოველი მათგანი სვამდა ილიას მიერ დასმულ კითხვას, როგორია ჩვენი ვითარება, რა უნდა ვაკეთოთ და რისთვის ვაკეთოთ? ამ კითხვების სისტემურ-თეორიული განაზრების ცდა იყო მიხაკო წერეთლის „ერი და კაცობრიობა". სამწუხაროდ, უკვე რამდენიმე თაობა ისე მიდის სამოღვაწეო ასპარეზიდან, რომ ეს წიგნი არ უნახავს და ბუნებრივია არ იცნობს იმ პრობლემატიკას, რომელიც მასშია დასმული. ერის ყოფიერებისა და დანიშნულების გარკვევა იყო არჩილ ჯორჯაძის ნააზრევი, მისგან ამოდიოდა დიმიტრი უზნაძე ერის ყოფიერების საზრისის ძიებაში, როცა არკვევდა ერისა და კულტურის მიმართებას, ამ საკითხის გადაწყვეტაში მან გამოავლინა ახალი ნაკადი, როცა ერის დანიშნულება დაინახა კულტურის შენებაში.

**ყოფიერების საზრისისა და დანიშნულების გარკვევა არა მარტო კრიზისული სიტუაციის შედეგია, არამედ კრიტიკული ცნობიერებისაც. ამ უკანასკნელის გარეშე დოგმატური წინამძღვრებიდან ამოსვლით არც იმის გაცნობიერება იქნება, რომ ერს გამოფხიზლება სჭირდება, რომ მას არა აქვს მოძრაობის იმპულსი და მიმართულება და ვერც სწორ ორიენტირს მოვუნახავთ ერს.**

**ალბათ, ყველაზე უბედურია ერი, რომელსაც არა აქვს კრიტიკული ცნობიერება თვითკმაყოფილებისა და უზრუნველობის ვითარებაში. თავისთავით კმაყოფილი კულტურა შემოქმედების იმპულსს მოკლებულია და განწირულია დასაღუპავად, რადგან მას არა აქვს მოძრაობის სტიმული.**

ამ მხრივაც ილია იყო პირველი, ვინც არა მარტო მოძრაობისა და მიმართულების აუცილებლობა გააცნობიერა, არამედ ერის საქმიანობასა და მოღვაწეობას კრიტიკული შეფასება მისცა. ის რაც დოსტოევსკიმ და ნიცშემ გააკეთეს რუსი და გერმანელი ერების მიმართ, ილიამ გააკეთა ქართველებისათვის. მან გამოამზეურა ჩვენი ერის წყლულები და გააკრიტიკა ერის მთვლემარე ცნობიერება.

ყველაზე ნიშანდობლივი ამ მხრივ არის „რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?" და „ბედნერი ერი". ილიას მიერ შთაგონებულმა ერის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გააგრძელეს ეს ტრადიცია და ქმედითად შეუტიეს მატერიალურ ყოფიერების განზომილებამდე დაყვანას, კარიერიზმსა და ფარისევლობას, ღალატსა და მუხანათობას.

**ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა"**




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» ოცდამეოთხე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის" ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა" საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა" — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 30 წლის ბავშვი

**ბრაზილიაში 30 წლის ბავშვი ცხოვრობს. მარია აუდეტე დო ნასკიმენტო 1981 წლის 7 მაისს დაიბადა, თუმცა დღემდე 9 თვის ბავშვის სხეული აქვს.** მარია კეარაში მამასთან და დედინაცვალთან ერთად ცხოვრობს. დედინაცვალი მასზე, უკვე 13 წელია, ზრუნავს. მარიას არ შეუძლია ლაპარაკი, საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, დამოუკიდებლად ჩაცმა. კეარის უნივერსიტეტის პროფესორები ვარაუდობენ, რომ 30 წლის ბავშვს ფარისებრი ჰორმონების დეფიციტი აქვს, შესაბამისად, მარიას სხეულმა ვერ შეძლო ვერც გონებრივი და ვერც ფიზიკური განვითარება. მკურნალობა კი უკვე ძალიან გვიანია, თუმცა ნაწილობრივი განკურნების იმედი პროფესორებს მაინც აქვთ.



# ყველაზე საიდუმლო ადგილები

**ჩვენს პლანეტაზე არსებობს გასაიდუმლოებული ტერიტორიები, სადაც ჩვეულებრივი მოკვდავი ვერასოდეს მოხვდება. ამ იდუმალებით მოცული ადგილების შესახებ უამრავი მითია გავრცელებული, თუმცა მათში ხანდახან სიმართლეც გამოერევა ხოლმე.**

## ისეს ტაძარი



**იაპონიაში ყველაზე წმინდა ადგილი ისეს ტაძარია.** ტაძარი ყოველ 20 წელიწადში ინგრევა და თავიდან შენდება. მისი მორიგი აღდგენა 2013 წელს მოხდება. ამ ტაძარში შესვლის უფლება მხოლოდ ძალიან წმინდა ადამიანებს ან იაპონიის იმპერატორის ოჯახის წევრებს აქვთ.




## №39

**№39, იგივე 39-3 ბიურო, ჩრდილოეთ კორეის ყველაზე დახურული ორგანიზაციაა. ეს ორგანიზაცია 1970 წლის ბოლოს შეიქმნა.** ამბობენ, რომ იგი დაკავებულია ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდით. ამ ორგანიზაციაში შედის 120 სავაჭრო კომპანია, რომელთა იურიდიული და ფინანსური დოკუმენტაცია ყოველთვის „წესრიგშია“.



## ზონა 51

**„ზონა 51“ იმ ამერიკული გასაიდუმლოებული ბაზის ფსევდონიმია, რომელიც ნევადას შტატის სამხრეთით, ლას ვეგასიდან 133 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს.** ამ ბაზაზე ხდება ექსპერიმენტული თვითმფრინავებისა და ახალი სამხედრო ტექნიკის გამოცდა. ის ასევე უცხოპლანეტელებზე დაკვირვებისა და შესწავლის ყველაზე დიდ ცენტრს წარმოადგენს. ამ ზონის სიახლოვეც კი სერიოზულ პრობლემებს უქმნის ადამიანებს.

## კლუბი «33»

**დისნეილენდი არის ადგილი, სადაც ალკოჰოლს არასოდეს ყიდიან.** გამონაკლისია კლუბი „33“, რომელიც გასართობი ცენტრის შუაგულში მდებარეობს. ამ კლუბის წევრობა ძალიან ძვირი სიამოვნებაა — მსურველს 33-ჯერ უნდა ჰქონდეს მოგებული ჯეკპოტი სხვადასხვა კაზინოში და კლუბის ლიცენზიას 14 წელი უნდა ელოდოს.






## სამხედრო ბაზა «რაფი»

**ბრიტანული სამხედრო ბაზა აგენტურის გლობალური ქსელის ერთ-ერთი მთავარი საყრდენი წერტილია.** ამ ბაზაზე არსებობს სრულიად დამოუკიდებელი თანამგზავრული ცენტრი, რომლის სიგნალებს ვერც ერთი ქვეყანა ვერ აკონტროლებს. აგენტურული ქსელი საბჭოთა კავშირის დროს შექმნა ბრიტანეთმა. მისი დაშლის შემდეგაც ამ ადგილს თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. ის დღეს ანტიტერორისტული ოპერაციების პოლიტიკური და დიპლომატიური გადაწყვეტილებების ცენტრია. ამბობენ, სწორედ აქედან ხდება მნიშვნელოვანი სატელეფონო ზარებისა და რადიოტალღების კონტროლი.



## ვატიკანის საიდუმლო არქივი

**შეგიძლიათ ვატიკანის არქივში ნებისმიერი დოკუმენტი მოითხოვოთ და მოგცემენ კიდეც,** მაგრამ ვერასოდეს მოხვდებით თავად არქივის საცავებში, ვერ ნახავთ დოკუმენტს, რომელიც 75 წელზე ნაკლები ასაკისაა, რადგან თვლიან, რომ შეიძლება ამით დიპლომატიური და სახელმწიფოებრივი საიდუმლოებები გასცეს. ვატიკანის საიდუმლო არქივების თაროების სიგრძე 84 კილომეტრია.





## მთათაშუა ქალაქი

**რუსეთის ტერიტორიაზე, იამანტას მთებში, არსებობს საიდუმლო ქალაქი, რომელსაც პირობითი სახელი მთათაშუა (მეჟდუგორიე) ჰქვია.** ეს ქალაქი 1979 წელს აშენდა. ამერიკის დაზვერვის ინფორმაციით, იქ თავმოყრილია ყველაზე ბევრი საიდუმლო ატომური ობიექტი და ბუნკერი. ეს დამალული ქალაქი ამერიკელებმა 1990 წელს აღმოაჩინეს თანამგზავრის საშუალებით. როდესაც მთელი მსოფლიო საბჭოთა კავშირის ხელისუფლებისგან ითხოვდა ამ საიდუმლო ქალაქის შესახებ ინფორმაციას, ისინი აცხადებდნენ, რომ ეს იყო ადგილი, სადაც ინახავდნენ საკვებ პროდუქტებს, რომელთაც ბირთვული აფეთქების შემთხვევაში გამოიყენებდნენ.



## მოსკოვის მეორე მეტრო

**სტალინის დროს საბჭოთა კავშირის დედაქალაქში აშენდა მიწისქვეშა ქალაქი სახელწოდებით „დ-6“, რომელსაც მოსკოვის მეტროპოლიტენზე ფართო ქსელი აქვს.** ამ საიდუმლო გვირაბების შესახებ დღემდე ბევრი მითქმა-მოთქმა არსებობს. ამ გვირაბებით ერთმანეთს უკავშირდება კრემლი, უშიშროების ფედერალური სამსახურის შტაბ-ბინა და აეროპორტი ვნუკოვო.



## ჯენტლმენების კლუბი «ვაითი»

**„ვაითი“ ყველაზე ექსკლუზიური კლუბია ინგლისელი ჯენტლმენებისთვის.** ის 1693 წელს შექმნა იტალიელმა ფრანჩესკო ბიანკომ და იქ ცხელ შოკოლადს ყიდდნენ. კლუბის ექსკლუზიურობა დღემდე შენარჩუნებულია. ამ კლუბში შეკრებილი ჯენტლმენები უცნაურ სანაძლეოებს დებენ, ყველაზე პატარა ფსონი კი 3000 ფუნტიდან იწყება. თუ არ ხართ ძალიან გავლენიანი პერსონა პოლიტიკაში ან ხელოვნებაში, არასოდეს მიგიწვევენ კლუბში.



## ყველაზე დიდი ტუჩები

**მსოფლიოში ყველაზე დიდი ტუჩები სანკტ-პეტერბურგელ ქრისტინა რეის აქვს. გოგონამ 15 წლის ასაკში გადაწყვიტა მულტიპლიკაციურ გმირს, ჯესიკა რებიტს დამსგავსებოდა.** 7 წლის განმავლობაში კრისტინამ 100-ჯერ მიაკითხა პლასტიკურ ქირურგს და ტუჩებში სილიკონის ინექცია შეიყვანა. სულ გოგონამ ტუჩების კორექციაზე 7 ათასი დოლარი დახარჯა და მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ პლასტიკურ ქირურგიაზეა დამოკიდებული. ერთი ინექციის ფასი დაახლოებით 70 დოლარია. ქრისტინა ირწმუნება, რომ გიგანტური ტუჩები მას ხელს არ უშლის ჭამაში, კოცნასა და საუბარში. პლასტიკური ქირურგიის თაყვანისმცემელი ამაზე შეჩერებას არ აპირებს. ქრისტინას თავის გარეგნობაში კიდევ არაერთი კორექციის შეტანა სურს. „მინდა გავიდიდო მკერდი, შევიცვალო ცხვირის ფორმა. გარდა ამისა, მინდა ყურები ელფებივით წვეტიანი მქონდეს. მომწონს, განსხვავებული რომ ვარ," — ამბობს ქრისტინა.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე საშიში მცენარეები

მსოფლიოში მრავალი შხამიანი და საშიში მცენარეა, რომლებსაც ადამიანის მოკვლა შეუძლიათ. მათგან ყველაზე ვერაგები კი პირველ ათეულში მოხვდნენ.



## 1. Nepenthes attenboroughii

**ეს მცენარე ფილიპინებში, ვიქტორიას მთაზე ხარობს. იგი ხორცისმჭამელი მცენარეა და გამოყოფს ნექტრის მსგავს ნივთიერებას, რომელიც იზიდავს მსხვერპლს ფერმენტებისა და მჟავის მორევში.** წებოვანი ნივთიერებების გროვების მეშვეობით შეუძლებელი ხდება მსხვერპლისთვის მცენარის „კლანჭებისგან" თავის დაღწევა. ამ მცენარის დიამეტრი 30 სანტიმეტრს აღწევს, რაც მღრღნელების მახეში გაბმის საშუალებას იძლევა, მაგრამ Nepenthes attenboroughii-ის ჩვეულებრივი საკვები მაინც მწერები არიან. კოკისებური მცენარეები, რომელთა 600-მდე სახეობა არსებობს, ხარობს იმ ადგილებში, სადაც აზოტის დეფიციტია, და ამის გამო ნუტრიენტები ასუსტებენ მცენარის მსხვერპლს.



## 4. Eupatorium rugosum

**ამ მცენარით გარდაიცვალა აბრაამ ლინკოლნის დედა ნენსი ჰენქსი. მისმა ძროხამ მცირე რაოდენობით გველისძირა შეჭამა, მაგრამ გადარჩა.** სამაგიეროდ რძე მოიწამლა, ამ რძის დალევის შემდეგ კი ნენსი ჰენქსი გარდაიცვალა. მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს უჯერ ალკოჰოლს — ტრემეტოლს, რომელსაც შეუძლია პირუტყვის კუნთების შეკუმშვა, სანამ მოკლავს მას. მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ხალხი ვერ ხსნიდა, თუ რით კვდებოდა მათი საქონელი, სანამ აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა „არ მიაგნო მკვლელს" და გარკვეული ღონისძიებები არ გაატარა. დღეს თეთრი გველისძირას შხამით საქონლის მოწამვლა აღარ ხდება.



## 7. Venus flytrap: Dionaea muscipula

**ამ მცენარეს აქვს უნარი, ნახევარ წამში დაიხუროს. მწერი მას ზედიზედ ორ „თმაზე" უნდა შეეხოს, რეაქცია რომ მოახდინოს, მაგრამ მცენარის მოქმედების ზუსტი მექანიზმი ჯერჯერობით უცნობია.** ამერიკის ბოტანიკური საზოგადოება აღნიშნავს ძველ თეორიებს, რომლებიც ირწმუნებიან, რომ წყლის წნევის მოულოდნელი ცვლილება განაპირობებს ამ მცენარის რეაქციას, მაგრამ ამ თეორიას დღეს არავინ იზიარებს.



## 2. Ricinus communis

**კასტორის ცერცვი ბაღებშიც მოჰყავთ, მიუხედავად იმისა, რომ სასიკვდილო შხამს შეიცავს.** ემი სტიუარტს, რომელიც მომწამვლელი მცენარეების ექსპერტია, აქვს შეხება ასეთ მცენარეებთან და რამდენიმე მათგანი მის ბაღშიც იზრდება.

ამ მცენარის თესლის გადამუშავების შედეგად გამოყოფილ შხამს სპეციალურ იარაღებში იყენებენ.



## 5. Aconitum napellus

**ერთხელ სტიუარდს ჰკითხეს, — რომელი მცენარე იყო საუკეთესო საშუალება სადილზე მოწვეული სტუმრის მოსაწამლად.** მან გადაწყვიტა, რომ ეს მცენარე იყო აკონიტი. მისი რჩევით, საკმარისია, ამ მცენარის ფესვები დაბეგვოთ და დაუმატოთ მოშუშულ საკვებს. ღია იისფერ აკონიტს ხშირად შეხვდებით ბაღების შემოგარენში. ის შეიცავს ტოქსიკურ ალკალოიდს — აკონიტს, რომელსაც შეუძლია ასფიქსიის გამოწვევა.



## 8. Brugmansia

**დახრილი და თვალისმომჭრელი ანგელოზის საყვირის ყვავილი სამხრეთ ამერიკის რეგიონებში ხარობს.** ის შეიცავს ძლიერი ტოქსიკური ნივთიერებების გროვებს, რომლებიც შეიცავს ატროპინს, ჰიოსკიამინსა და სკოპოლამინს. კოლუმბიაში კრიმინალებმა ამ მცენარიდან გამოყვეს სკოპოლამინი და გამოიყენეს ძლიერი ნარკოტიკული მოქმედებისთვის. ამ ტოქსინის ზემოქმედების შედეგად მსხვერპლი უნებურად ეცემა, საბოლოოდ კი კვდება. სკოპოლამინს კანი და ლორწოვანი გარსიც კი იწოვს, ამიტომ მისი სახეზე შეყრაც კმარა ადამიანის მოსაკლავად.

## 10. Cnidoscolus angustidens

**სტიუარტი აღწერს, რომ ეს ბაღის მცენარე მხოლოდ შხამიანი არ არის.** მისი სახელწოდება თარგმანში ცუდ ქალს ნიშნავს. მცენარე ხარობს სამხრეთ-დასავლეთ მექსიკაში და დაფარულია საშინელი ეკლებით. საშიშია მისი მწველი, რძის მაგვარი ნივთიერება, რომელიც კანის მტკივნეულ გაღიზიანებას და ფერის შეცვლას იწვევს, რაც ადამიანს საზარელ სანახავს ხდის.



## 3. Cicuta douglasii

**ითვლება, რომ ეს მცენარე ყველაზე შხამიანია ჩრდილოეთ ამერიკაში.** მას **წყლის კონიო** ჰქვია და შეიცავს ნივთიერებას, რომელსაც შეუძლია ცენტრალური ნერვული სისტემის მწყობრიდან გამოყვანა. შხამი იწვევს ადამიანის კრუნჩხვებში ჩავარდნას, კუნთების შეკუმშვას და საბოლოო ჯამში — სიკვდილს. წყლის კონიო განსხვავდება შხამიანი კონიოსგან, რომლითაც, ცნობილია, რომ სოკრატე მოკლეს. ეს მცენარე ადამიანს კლავს სასუნთქი სისტემის პარალიზებით.



## 6. Common Bladderwort: Utricularia macrorhiza

**ეს მცენარე წყლის პატარა ცხოველებს ჭამს. მისი რამდენიმე ბუშტუკი წყალშია ჩაძირული და იჭერს მსხვერპლს — თავკომბალებსა და პატარა კიბოსნაირებს.** ამ მცენარის ჯაგრისებრ გამონაზარდებში ებმება მსხვერპლი და შემდეგ ან შხამით, ან შიმშილით კვდება. როცა მსხვერპლი დალპება და სითხედ გადაიქცევა, მცენარის კედლებზე განლაგებული ბუშტუკები შეიწოვს მას.



## 9. Nerium oleander

**ეს, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი მარადმწვანე ბუჩქი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი მცენარეა. მისი ფოთლები, ყვავილები და ნაყოფი შეიცავს გულის ამაჩქარებელ გლიკოზიდებს.** მას რაღაც ოდენობით სამკურნალო დანიშნულებითაც იყენებენ, მაგრამ ყველა ადამიანზე ინდივიდუალურად მოქმედებს. სამკურნალო მიზნით მისი გამოყენების შედეგად მრავალი ადამიანი დაიღუპა. ხალხს ხშირად თვალს ჭრის ამ მცენარის სილამაზე და ფერები, მაგრამ, თუ მისი შხამი სხეულში მოხვდა, გულს მომენტალურად აჩერებს.



# «ილბლიანი» კონგრესმენები

**არავისთვის არის საიდუმლო, რომ ინსაიდერული ვაჭრობა, როგორც არ უნდა უარყონ ეს ძლიერთა ამა ქვეყნისათა, მაინც არსებობს.**
**თუმცა 2008 წლის კრიზისმა ინსაიდერული ინფორმაციით ვაჭრობისა და მისი გამოყენების არაერთი ფარული სქემა გამოააშკარავა.**
**ახლა, როცა ინვესტორთა ნდობა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია, „ინსაიდის" ახალი სკანდალები ბაზრის მონაწილეებს სერიოზულ დარტყმებს მიაყენებს.**



ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სკანდალი კომპანია Galleon Management-ს უკავშირდება, რომლის მფლობელმა რაჯა რაჯარატნამმა 1,3 მილიარდი დოლარი სწორედ „ინსაიდერული ინფორმაციის" წყალობით იშოვა. როგორც წესი, ამგვარ გარიგებებში ორი მხარე მონაწილეობს: ერთი ყიდის ინფორმაციას, მეორე კი მას ღია ბაზარზე ვაჭრობისთვის იყენებს. ამ ისტორიაში რაჯა საბოლოო პროდუქტის მიმღებს წარმოადგენდა, შემდეგ კი კოლეგას xej-fond Galleon-ში, ბანკ Goldman Sachs-ის დირექტორს — რაჯათ გუფტას აწვდიდა, რომელიც ახლახან გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დააპატიმრა სწორედ ინსაიდერული ვაჭრობის ბრალდებით. მანამდე გუფტა კონსალტინგურ კომპანია McKinsey-ის ხელმძღვანელობდა და ერთხანს რუსეთის „სბერბანკის" დირექტორიც იყო. საქმეში მსხვილი ფიგურები არიან ჩარეულნი, თუმცა ერთი წამით დავუშვათ, რომ რაჯათი და რაჯა ერთი და იგივე პიროვნებაა და კონსალტინგურ კომპანიაში ან საინვესტიციო ბანკში კი არ მუშაობს, არამედ — აშშ-ის კონგერესში. ერთი შეხედვით ეს წარმოუდგენელია, მაგრამ **ტელეკომპანია CBS-მა გადაცემა „60 წუთში" ამერიკელ კონგრესმენთა ინსაიდერულ გარიგებებს მთელი სიუჟეტი მიუძღვნა.**

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ასეთ შემთხვევაში „კონგრესმენი რაჯა" არც ციხეში წავიდოდა და არც რეკორდულ ჯარიმას – 92,8 მილიონ დოლარს გადაიხდიდა! თვით ჰენრი მანი, რომელიც ინსაიდერული ვაჭრობის ლეგალიზაციის მომხრეა, აღაშფოთა ამგვარმა ვითარებამ: **„1966 წელს გამოცემულ ჩემს წიგნში ხაზგასმით მივუთითებდი, რომ სახელმწიფო მოხელეებს სამსახურებრივი გზით მიღებული ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობაში მონაწილეობის საშუალება არ უნდა ჰქონდეთ. ამგვარი მოქმედება კანონგარეშედ უნდა გამოცხადდეს. ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ფაქტობრივად, ქრთამის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს".**

თუმცა, კანონში ყოველთვის არის ხვრელები. ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიას (SEC) უფლება არ აქვს, საკუთარი ინიციატივით წამოიწყოს იმ საქმეთა შესწავლა, რომლებიც კონგრესისა და მთავრობის წარმომადგენელთა მიერ სამსახურებრივად მიღებული ინფორმაციის ბაზარზე ვაჭრობისას გამოყენებას ეხება. აშშ-ის კანონმდებლობის მიხედვით, „ინსაიდერული ვაჭრობა" არის ფასიანი ქაღალდების ან საქონლის შეძენა არასაჯარო ინფორმაციის გამოყენებით, რაც კომპანია ემიტენტის ან ინფორმაციის წყაროს კონფიდენციალობას არღვევს. ფედერალურ მოხელეთა უმრავლესობა ვალდებული არ არის, სამსახურებრივად მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცვას და ამდენად, პასუხს არ აგებს „ინსაიდერულ ვაჭრობაზეც".

რა თქმა უნდა, არსებობს ეთიკის მკაფიო წესები, რომელიც კონგრესმენებმა უნდა დაიცვან. კერძოდ, კონგრესმენებმა საკუთარი პრივილეგირებული მდგომარეობა და სამსახურებრივად მიღებული ინფორმაცია პირადი გამდიდრებისთვის არ უნდა გამოიყენონ, თუმცა ეს მხოლოდ ეთიკის წესია და არა ნორმატიული აქტი, ანუ მისი დარღვევა, სინდისის ქენჯნის გადა, არავითარ სამართლებრივ შედეგს არ იწვევს. SEC-ს კი არ შეუძლია იძულებითი ზომების გამოყენება სენატორისა თუ კონგრესმენის მიმართ.

**ამერიკელი კონგრესმენების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ ინფორმაცია ამერიკული მედიის ხელთ არაერთხელ მოხვდა, მაგრამ ინსაიდერულ ვაჭრობაში მხილებული არც ერთი მათგანი არ გადამდგარა. ყველაზე ნათელი მაგალითი ამ თვალსაზრისით სამი წლის წინ იყო, როცა ფინანსთა მინისტრი ჰენკ პოლსონი და ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარე ბენ ბერნანკე კონგრესმენთა ჯგუფს შეხვდნენ, რათა დაერწმუნებინათ ბანკების გადასარჩენად 100 მილიარდი დოლარის გამოყოფაში. შეხვედრაზე გაკეთდა არაოფიციალური განცხადება იმის თაობაზე, რომ „ქვეყანა ფინანსური კატასტროფის ზღვარზეა".**

მეორე დღეს აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერმა ჯონ ბონერმა ინფლაციის შედეგად მოგების მიზნით შეტანილი საკუთარი თანხები ერთ-ერთი ფონდიდან გამოიტანა, ფონდმა კი სულ მალე საკუთარი ღირებულების ნახევარი დაკარგა.

შტატ ილინოისის სენატორმა დიკ დურბინმა. რომელიც იმავე შეხვედრას ესწრებოდა, საინვესტიციო ფონდის აქციები 40 ათას დოლარად გაყიდა. მოგვიანებით ბონერმა განმარტა, რომ მისი საბირჟო მაკლერი დამოუკიდებლად მოქმედებდა და მასთან არც კი ულაპარაკია, ხოლო დურბინმა განაცხადა, რომ „სხვებივით გადადგომის საფრთხეზე წუხდა". ორივე ამტკიცებდა, რომ პოლსონთან და ბერნანკესთან შეხვედრაზე მიღებული ინფორმაციის წყალობით მოგება არ უნახავთ.

კონგრესის თანამშრომელთა საოცარი ილბლიანობის კიდევ ერთ მაგალითად აიდაჰოს სენატორის თანაშემწის — კარენ ბრაუნისა და სენატის საბანკო საქმიანობის კომიტეტის წევრის — მაიკ კრაპოს ისტორია იქცა. კარენმა 2009 წლის განმავლობაში Bank of America-ს აქციებით შვიდჯერ ივაჭრა – აპრილში სამჯერ გაყიდა, ხოლო სექტემბერში ოთხჯერ შეიძინა. გარიგებათა მინიმალური მოგება 43%-ს შეადგენდა. საყურადღებოა, რომ ბრაუნმა აქციები სწორედ მაშინ შეიძინა, როცა ხსენებული ბანკი მთავრობის მითითებით სტრესს-ტესტების შედეგებზე მსჯელობდა. საბოლოო შედეგები მხოლოდ 7 მაისს გამოქვეყნდა, — ბრაუნის მიერ აქციების შეძენიდან რამდენიმე კვირის შემდეგ.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ აშშ-ის კონგრესის წევრთა ნახევარი მილიონერია! **„36 დემოკრატი და 30 რესპუბლიკელი სენატორი, 2010 წლის მონაცემებით, 1 მილიონი დოლარის აქტივებს ფლობს,"** — აცხადებს „პასუხისმგებელი პოლიტიკის ცენტრი".

**ყველაზე წარმატებული ბიზნესმენები კი ის კონგრესმენები აღმოჩნდნენ, რომლებმაც 2008 წლის კრიზისის პირობებშიც კი, წაგების ნაცვლად, მოგება ნახეს. მათი აქტივები 13%-ით გაიზარდა. ექსპერტთა შეფასებით, „ეს მონაცემები მეტისმეტად კარგია იმისათვის, რომ სიმართლეს ჰგავდეს".**

## კუდ-ს არ სძინავს, ვერა ქობალიას უწყებაში კი კორუფციაა!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სახელმწიფო მოხელეების მიერ კორუფციული დანაშაულის მორიგი ფაქტები გამოავლინეს.** დაკავებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ლიცენზირებული საწარმოს დირექტორი რობიზონ თავაძე და სამტრედიის რაიონის სოფელ ეწერის რწმუნებული ზურაბ ვერულეიშვილი, რომლებმაც მეწარმეს მიწის ნაკვეთის პრივატიზებაში დახმარების სანაცვლოდ გამოსძალეს 6000 ლარი.




**ასევე დაკავებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვემო ქართლის აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს თანამშრომელი ირაკლი გიგინეიშვილი,** რომელმაც მეწარმეს უძრავი ქონების პრივატიზებაში დახმარების სანაცვლოდ ქრთამის სახით გამოსძალა 500-500 ლარი. დანაშაული ითვალისწინებს 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. სისხლის სამართლის საქმეს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი იძიებს.

## ბინა — სექსის სანაცვლოდ!

**სქემა „სექსუალური მომსახურება – ბინის ქირის სანაცვლოდ" სულ უფრო ხშირად გამოიყენება ფინეთში, სადაც პროსტიტუციაც ლეგალიზებულია.**



ფინეთის არენდატორთა კავშირი ყოველთვიურად არეგისტრირებს ბინის მფლობელთა განცხადებებს იმის შესახებ, რომ ისინი მზად არიან, ბინა გააქირაონ სექსუალური მომსახურების სანაცვლოდ. გარიგების მხარეები სრულწლოვანი უნდა იყვნენ. ადგილობრივი პოლიცია გარიგებას კანონიერად ცნობს, თუ ბინის მფლობელი ძალადობას და მუქარას არ მიმართავს, ხოლო ქალებს, უმეტესად სტუდენტ გოგონებს, აფრთხილებს, ამ გადაწყვეტილების შესახებ პოლიციას აცნობონ, რათა დანაშაული აიცილონ თავიდან.

## გერმანია სავიზო რეჟიმს ამკაცრებს

**გერმანიის პარლამენტმა 1 დეკემბერს გერმანული ვიზების გაცემაზე კონტროლის გამკაცრების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. უმრავლესობამ მხარი დაუჭირა მონაცემთა ბაზის შექმნას, რომელშიც იმ ადამიანების მონაცემებს შეიტანენ, ვისაც პოტენციურად ვიზაზე შეიძლება უარი ეთქვას.**

„შავ სიაში" ის ადამიანები შევლენ, რომელთაც ადრე უკვე ეთქვათ უარი ვიზის გაცემაზე, მაგალითად, საკუთარი თავის შესახებ არასწორი ინფორმაციის მიწოდების გამო. დაარეგისტრირებენ აგრეთვე ნასამართლობს მქონე პირებსაც. იგულისხმება ადამიანით ვაჭრობის, არალეგალური შრომითი საქმიანობის და პროსტიტუციის მუხლებით ნასამართლობა. დოკუმენტებს შეადარებენ ანტიტერორისტული მონაცემთა ბაზასაც.

ოპოზიციამ კანონპროექტს ხმა არ მისცა. მათ მიაჩნიათ, რომ ამგვარად სახელმწიფო უდანაშაულობის პრეზუმპციაზე ამბობს უარს და გერმანიის ვიზის ყველა მთხოვნელს ექვმიტანილად აცხადებს.

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოლუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net